



**გურამ თავართქილაძის სახელობის  
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის  
სამეცნიერო შრომათა კრებული  
№8**

**გამოდის 2011 წლიდან**



**გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2018**

## სარედაქციო საბჭო

**მთავარი რედაქტორი** – გიორგი მათიაშვილი,  
რექტორი, პროფესორი

**მთავარი რედაქტორის მოადგილე** – მაია უკლება,  
პროფესორი.

### საბჭოს წევრები:

გელა ალადაშვილი, პროფესორი;  
ნონა ახალაშვილი, პროფესორი;  
ჩერეკ ბუსტრა, გთუნის საპატიო დოქტორი (ნი-  
დერლანდები);  
ინგა დიაკონიძე, პროფესორი;  
ვალერი ვაშაკიძე, პროფესორი;  
მარინა ვეკუა, პროფესორი;  
ამირან თავართქილაძე, პროფესორი;  
სერგეი იაკუბოვსკი, პროფესორი (უკრაინა);  
გივი ლობჯანიძე, პროფესორი;  
ამიდ ნიზჰადი, პროფესორი (აშშ);  
რაინჰარდ პაულინგი, პროფესორი (გერმანია);  
თალიკო ჟვანია, პროფესორი;  
იორნ ვან რიი, პროფესორი, ინჰოლანდის უნი-  
ვერსიტეტი, (ნიდერლანდები);  
ჟილ რუე, პროფესორი (საფრანგეთი);  
შენგელი ფიცხელაური, პროფესორი;  
რომან შენგელია, პროფესორი;  
ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე, პროფესორი;  
ბარბარა ჰინესი, პროფესორი (აშშ);  
ნიკოლოზ ფიცხელაური, ასოც. პროფესორი.

## EDITORIAL BOARD

**Chief Editor** – Giorgi Matiashvili, Rector, Professor

**Vice Chief Editor** – Maia Ukleba, Professor

### BOARD MEMBERS:

Gela Aladashvili, Professor;  
Nona Akhalashvili, Professor;  
Tjerk Busstra, Honorary Doctor of GTUNI (The  
Netherlands);  
Inga Diakonidze, Professor;  
Valeri Vashakidze, Professor;  
Marina Vekua, Professor;  
Amiran Tavartkiladze, Professor;  
Sergei Yakubovskiy, Professor (Ukraine);  
Givi Lobzhanidze, Professor  
Hameed Nezhad (USA);  
Reinhard Pauling, Professor (Germany);  
Taliko Zhvania, Professor;  
Jorn van Rij, Professor, Inholland University (The  
Netherlands);  
Gilles Rouet, Professor (France);  
Shengeli Pitskhelauri, Professor  
Roman Shengelia, Professor;  
Lali Chagelishvili-Agladze, Professor;  
Barbara B. Hines, Professor (USA);  
Nikoloz Pitskhelauri, Associate Professor

ISSN 2587-4543

© შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, 2018

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2019

თბილისი, 0186, ა. პოლიბაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com



**SCIENTIFIC PROCEEDINGS OF GURAM  
TAVARTKILADZE TBILISI TEACHING  
UNIVERSITY VOLUME  
№8**

**Published since 2011**



Publishing House **“UNIVERSAL”**

*Tbilisi 2018*

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ყოველწლიურ, მრავალდარგობრივ სამეცნიერო შრომათა კრებულში წარმოდგენილი ნაშრომები ეძღვნება სამართლის, ეკონომიკის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აქტუალური საკითხების კვლევას.

გამოცემის მიზანია, ხელი შეუწყოს ქართველი და უცხოელი ავტორების, განსაკუთრებით, ახალგაზრდა სპეციალისტების, მეცნიერული ძიების გაღრმავებას, ორიგინალური კონცეფციების წარმოჩენას, აკადემიური კონტაქტების გაფართოებას და ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შექმნას, საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გახორციელებული საქმიანობის შედეგად შემოთავაზებული დასკვნებისა და რეკომენდაციების გაშუქებას.



The papers presented in annual, multi-branch journal –Scientific Proceedings of Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University – cover the acute problems of economic, social, humanitarian and law sciences.

The purpose of the journal is to foster the scientific research carried out by Georgian and foreign authors, especially those conducted by young specialists; reveal and encourage original conceptions; broaden academic contacts and create joint scientific and research projects; highlight the conclusions and recommendations offered by international organizations, as a consequence of their work carried out in Georgia.

# შინაარსი CONTENTS

## სამართლის მეცნიერებები SCIENCES OF LAW

- თ. დარსანია** – ბრალის ასპექტისათვის რელიგიაში ..... 7  
**T. Darsania** – Aspect of Fault in Religion
- ქ. ზაქარეიშვილი** – ხელშეკრულების თავისუფლებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების გავლენა სტანდარტულ პირობებზე ..... 12  
**K. Zakareishvili** – Influence of the principles of contract freedom and good faith on standard terms of contract
- Bence Kis Kelemen** – Targeted killing, armed drones and the international law of use of force ..... 15
- გ. ლობჯანიძე** – ქართველი ციციერონი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი ..... 27  
**G. Lobzhanidze** – Georgian Tsitseroni, Luarsab AndronikaShvili
- რ. შენგელია, ე. შენგელია** – სავალუტო ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების საფუძვლები ..... 31  
**R. Shengelia, E. Shengelia** – Fundamentals of legal regulation of currency relations

## ეკონომიკის მეცნიერებები SCIENCE OF ECONOMICS

- გ. ალადაშვილი** – სამენარმეო ეკოსისტემის შესწავლის ასპექტები ..... 37  
**G. Aladashvili** – Aspects of Studying Entrepreneurship Ecosystem
- დ. ვეკუა** – სიღარიბე- საქართველოს განვითარების მუხრუჭი ..... 42  
**D. Vekua** – Poverty – as major spoiler of Georgia’s development
- ს. თევდორაძე** – PR სტრატეგიები ტურისტული პროდუქტის ბაზარზე წინაწინების კომპლექსში ..... 47  
**S. Tevdoradze** – PR Strategies for the Tourism Product Promotion in the Market
- თ. კურტანიძე** – საქვეითო ქუჩების განვითარების ტენდენცია ..... 51  
**T. Kurtanidze** – Pedestrian Street Development Tendencies
- ზ. ლაოშვილი, ა. ირემაშვილი, ს. კვიჟინაძე, ლ. გრიგოლია** – გის მონაცემთა ორგანიზების პრინციპები ..... 55  
**Z. Laoshvili, A. Iremashvili, S. Kvizhinadze, L. Grigolia** – GIS Data Organizing Principles
- თ. ჟვანია, შ. კაპანაძე** – ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გამოყენების პერსპექტივები ტურიზმში ..... 62  
**T. Zhvania, Sh. Kapanadze** – Prospects of Cloud Technologies in Tourism
- ლ. ტაბატაძე** – Управление и успех международного предпринимательства ..... 67  
**L. Tabatadze** – Management and Success of International Entrepreneurship
- მ. უკლება** – სპა ტურიზმი – მნიშვნელოვანი ტრენდი საქართველოს რეკრეაციული ტურიზმისთვის ..... 70  
**M. Ukleba** – SPA Tourism – Significant Trend for Georgian Recreational Tourism
- ნ. ჯერენაშვილი** – აგრობიზნესის განვითარება საქართველოში ..... 75  
**N. Jerenashvili** – Development of Agrobusiness in Georgia

**სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები**  
**HUMANITY AND SOCIAL SCIENCES**

<b>ი. გერსამია</b> – პიროვნებათშორისი ურთიერთობის როლი ბავშვის სოციალური ადაპტაციის პროცესში .....	78
<b>I. Gersamia</b> – The Role of Interpersonal Relations in the Process of Child’s Social Adaptation	
<b>ნ. გოგიჩაშვილი</b> – სელფი – დიაგნოზი, თვითპრეზენტაცია თუ კულტურის ატრიბუტი? .....	83
<b>N. Gogichashvili</b> – Selfie-diagnosis, self-presentation or the attribute of social culture?	
<b>ი. დიაკონიძე</b> – ინტერკულტურული ინტერვენციის მნიშვნელობა საერთაშორისო მობილობის სტუდენტისათვის.....	92
<b>I. Diakonidze</b> – Significance of Intercultural Interventions for the Internationally Mobile Students	
<b>მ. კლდიაშვილი</b> – აუტიზმის ნეირობიოლოგიური მექანიზმები.....	96
<b>M. Kldiashvili</b> – Neurobiological Mechanisms of Autism	
<b>ნ. ლომსაძე, ნ. ბოჭორიშვილი</b> – ხელოვნური ინტელექტი, ახალი ინტერფეისი ენის სწავლებაში .....	101
<b>N. Lomsadze, N. Bochorishvili</b> – Artificial Intelligence the New Interface in Language Teaching	
<b>ნ. ლომსაძე, ნ. ბოჭორიშვილი</b> – ედმოდა სოციალური ქსელი ტრადიციული სწავლების ჭრილში ....	104
<b>N. Lomsadze, N. Bochorishvili</b> – Edmodo a social networking teaching website within traditional approach	
<b>თ. მერაბიშვილი, ი. იოსელიანი</b> – თანამედროვე მეტყველების ფიგურალური პარადიგმები.....	107
<b>T. Merabishvili, I. Ioseliani</b> – Figurative Paradigms in Contemporary Speechmaking	
<b>თ. მერაბიშვილი, ი. იოსელიანი</b> – ცვლილებები განათლების სისტემაში თანამედროვე საზოგადოებაში.....	110
<b>T. Merabishvili, I. Ioseliani</b> – Contemporary changes of education in modern society	
<b>თ. მერაბიშვილი</b> – არასრულფასოვნების განცდა, დანაშაულის განცდა და თვითშეფასების პრობლემა.....	113
<b>T. Merabishvili</b> – Complex of Inferiority, feeling of guilt and self-esteem problem	
<b>ნ. პარინოსი</b> – მეომარი ქალები – ამერიკული და ქართული სინამდვილე (მე-18 საუკუნიდან დღემდე).....	120
<b>N. Parinos</b> – Women Warriors – American and Georgian Reality (Since 18 <sup>th</sup> century till now)	
<b>თ. ტუხაშვილი</b> – შფოთვა თირკმლის დონორებში ტრანსპლანტაციის შემდეგ.....	129
<b>T. Tukhashvili</b> – Anxiety of Renal Donours after Transplantation	
<b>ვ. შუბითიძე</b> – ნიკო ნიკოლაძე და ქართული ეკონომიკურ-ინფრასტრუქტურული პროექტები.....	136
<b>V. Shubitidze</b> – Niko Nikoladze and Georgian Economic and Infrastructure projects	

# სამართლის მიცნობის რეალიზაცია

## თ. დარსანი

### ბრალის ასაქმისათვის რელიგიაში

რელიგია გენეტიკურად წინ უსწრებდა რა სამართალს, ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მის წარმოშობასა და ფორმირებაში. სამართლებრივი შეგნება თავდაპირველად მჭიდრო კავშირში იყო რელიგიურ მრწამსთან. ცნებები „ცოდნა“ და „დანაშაული“, უმეტეს შემთხვევაში, ერთმანეთს ემთხვევა. რელიგიური განაწესი ხშირად იყო წყარო სამართლებრივი ნორმისთვის, ხოლო მართლმსაჯულების სათავეში უმეტესად იდგნენ მღვდელმსახურები. რელიგიის ხელყოფა კი ყოველთვის განიხილებოდა როგორც დანაშაული.

ცნობილი რუსი სამართალმცოდნე ნ. ტაგანცევი ამის თაობაზე წერდა: „სამართლებრივი ნორმების მდგრადობა უმეტესწილად მოწმდება მათი ისტორიული განვითარების პირობებით. სამართალი იქმნება ხალხის ცხოვრებით, არსებობს და იცვლება მათთან ერთად, ამიტომაც გასაგებია, რომ მდგრადია იმ კანონთა დებულებები, რომელშიც აისახა ისტორიულად ჩამოყალიბებული სახალხო წარმოდგენები: კანონი, რომელსაც არა აქვს ფესვები, ყოველთვის განწირულია გახდეს ეფემერული და იქცეს სამართლის მკვდარ ბგერად“<sup>1</sup>.

ზემოთქმული ნიშნავს, რომ სამართლის ნორმის კვლევა არ შეიძლება ილუზორულად, სოციალ-პოლიტიკური მოვლენებისაგან მოწყვეტილად. აუცილებელია ასევე გავითვალისწინოთ სამართლებრივი ნორმების რელიგიურ-საერო განაწესი, რომლებიც მრავალი საუკუნის განმავლობაში პოულობდა თავის გამოხატულებას ისეთ წმინდა რელიგიურ წყაროებში, როგორიცაა „ტორა“, „ბიბლია“, „ყურანი“<sup>2</sup>.

საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების შეცვლამ და მორალურ – სამართლებრივი ფასეულობების გადაფასებამ მიგვიყვანა სამართლის პოზიტივისტური განმარტებიდან (როგორცაა ქცევის საყოველთაო წესების ერთობლიობა, სახელმწიფოს მიერ დადგენილი და დაცული), რომელიც გაბატონებული კლასის ნებას გამოხატავს, ბუნებრივ – სამართლებრივ გაგებაზე, როგორცაა „ნორმატიული დებულებების სისტიმა, რომელიც ემყარება ადამიანური სამართლიანობისა და თავისუფლების იდეებს და გამოიხატება უმეტესწილად კანონმდებლობისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებაში“<sup>3</sup>.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ალოგიკური იქნებოდა, რომ არ განგვეხილა ბრალისადმი დამოკიდებულების საკითხი პოლიტიკურსა და მონოთეისტურ რელიგიებში. ჩვენ არ წარმოვადგენთ დეტალურად ყოველი რელიგიური სისტიმის სპეციფიკას, გვინდა მხოლოდ ხაზი გავუსვათ, რომ საუბარი გვექნება კონკრეტულად რელიგიურ და არა ფილოსოფიურ სისტიმებზე.

პოლიტიკურ რელიგიებში ინდივიდი ნების მცირე შესაძლებლობით იყო დაჯილდოებული, რადგან ცალკეული ღმერთი თუ სული, რომელიც ადამიანთან ერთად ცხოვრობდა ამ სამყაროში, ერეოდა მის ცხოვრებაში. ბრალი ადამიანის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებაში ერთგვარად გაქარწყლებულია, რადგან ნებისმიერ ღმერთთაგანს შეეძლო ჩარევა მოვლენათა მსვლელობაში. განსხვავებულადაა საკითხი წარმოჩენილი მონოთეისტურ რელიგიებში. აქ ღმერთი ამ სამყაროს გარეთ იმყოფება. ამიტომ თვით ინდივიდს გააჩნია ნების თავისუფლება, ანუ ბრალი დამოკიდებულია მხოლოდ მასზე. სრული მონოთეიზმი წარმოდგენილია მხოლოდ იუდეიზმში, ქრისტიანობასა და ისლამში<sup>4</sup>.

ქრისტიანობის ფესვები, რომელმაც ყველაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ევროპული სამართლის ფორმირებაზე, დევს იუდეიზმში. იუდეისტური სამართალი წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს სამართლებრივ სისტიმას. იუდეიზმის სხვადასხვა მიმართულებაში შეიძლება დავაკვირდეთ ბრალის ცნებაზე წარმოდგენების ევოლუციას.

<sup>1</sup> Таганцев В. С. Уголовное право (общая часть), т. 2. გვ. 233

<sup>2</sup> Таганцев В. С. Уголовное право (общая часть), т. 2. გვ. 234

<sup>3</sup> Козочкин Д. В. Уголовное право зарубежных государств, გვ. 449.

<sup>4</sup> Козочкин Д. В. Уголовное право зарубежных государств, გვ. 447.



იუდეიზმისა და ქრისტიანობის საფუძველი დევს ძველ აღთქმაში, რომელიც მოიცავს კანონს, წინასწარმეტყველებასა და საღვთო წერილს. კანონი (იუდეიზმში „თორა“) – ბიბლიის პირველი ხუთი წიგნი, ე. წ. მოსეს ხუთწიგნეული, – აღწერს წმინდა ისტორიასა და რელიგიურ-ეთიკურ და სამოქალაქო წესების კოდექსს. იუდეველი წინასწარმეტყველები: ნენია, ეზდრა, იერემია და იეზეკელი ქადაგებენ, რომ ყველა რელიგია ერთის გამოკლებით ცრუა და ღმერთმა მკაცრად, მაგრამ სამართლიანად დასაჯა თავისი რჩეული ხალხი კერპთაყვანისცემლობისათვის, რომელშიც ის იყო დამნაშავე. იდეა ნელ-ნელა ხდება ორთოდოქსალური და ლებულობს ნაციონალურ განსაკუთრებულ ხასიათს. შედეგად იუდეველებს მიეცათ კანონი, რომელიც მონოდებული იყო დაეცვა იუდეველთა ნაციონალური ერთობა<sup>1</sup>.

აქედან გამომდინარე, ბრალი იუდეურ სამართალში ატარებს რელიგიურ ხასიათს და გამოიხატება ღვთის რწმენის დარღვევაში ანუ ქმედების ობიექტურ ნაწილში. ამასთან უკანონობისთვის ისჯებიან დამნაშავეებთან ერთად უდანაშაულოებიც.

ამ პერიოდის ძველი ებრაელების რელიგიურ და სამართლებრივ წარმოდგენებში აშკარად ჩანს ძველი ბაბილონის კულტურისა და სამართლის ზეგავლენა. ასევე იგრძნობა გვაროვნული წყობილების გადმონაშთებიც. კერძოდ, მოქმედებდა ტალიონის პრინციპი და სისხლის აღების წესი.

სისხლის აღებამ მიიღო კანონის ძალა, მაგრამ ის დაიშვებოდა მხოლოდ ფორმალური სასამართლო ძიების შემდეგ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სისხლის აღების თავიდან აცილება შეიძლებოდა, თუ დანაშაული ჩადენილი იყო მტრობის ან განზრახვის გარეშე. ბრალის ფორმები გამოიყოფოდა და ზეგავლენას ახდენდა დამნაშავის პასუხისმგებლობაზე. ასე, მაგალითად, „უნებლიე“ მკვლელობისას პირს შეეძლო თავიდან აეცილებინა სისხლის აღება, თუ თავს შეაფარებდა მათ ქვეყანაში მდებარე იმ ექვს თავშესაფარ ქალაქთაგან ერთ-ერთს, სადაც დამნაშავე უნდა დალოდებოდა მღვდელმთავრის სიკვდილს, რომლის შემდეგაც დაზარალებული კარგავდა სისხლის აღების უფლებას და დამნაშავეს შეეძლო უსაფრთხოდ დაბრუნებულიყო სახლში. მაგრამ თუ „უნებლიე მკვლეელი“ ვადაზე ადრე დატოვებდა ქალაქს და მოკლავდა შურისმაძიებელი, ასეთ შემთხვევაში მკვლელს არ ედებოდა „სისხლისმღვრელის ბრალი“. სისხლის აღების პრინციპი გულისხმობდა ბრალის ფორმის დადგენას, ეს პრინციპი მოქმედებდა მხოლოდ განზრახ ბრალის დადგენის შემთხვევაში<sup>2</sup>.

ძველ აღთქმასთან ერთად იუდეიზმში თავყანს სცემდნენ წმინდა ტრაქტატებს, რომლებიც შედის თალმუდში (შედგენილი ძვ.წ. მე-4 ს. – ახ.წ. მე-6 ს.). თალმუდი გვეუბნება, რომ ყოველი ადამიანი მიდრეკილია ბოროტებისკენ (კიდუშინ, 306). სიკეთეს ქმნის ის, ვინც ასრულებს ღვთის ნებას. მასში, ბრალი განიმარტება როგორც სიკეთისგან განდგომა ანუ ღვთის ნების დარღვევა<sup>3</sup>.

იუდევე – მაკიაველთა ომების შემდგომ პერიოდში, როდესაც ისრაელში გამეფდა ხასმონეების დინასტია, საზოგადოება დაიყო სამ ძირითად რელიგიურ მიმართულებად: სადუკეველები, ფარისეველები და ესეეები.

სადუკეველები ემხრობოდნენ მხოლოდ მოსეს ხუთწიგნეულს. ისინი უარყოფდნენ ბედისწერას და თვლიდნენ, რომ ღმერთს არანაირი ზეგავლენა არა აქვს ადამიანის ნების გამოვლენაზე. ბოროტსა და კეთილს შორის არჩევანი თვითონ პიროვნების გადასაწყვეტიაო. ბრალი, მათი შეხედულებით, განისაზღვრებოდა ადამიანის თავისუფალი ნებით,

ფარისეველები, რომლებიც სადუკეველების ოპოზიციაში იდგნენ, ემხრობოდნენ კანონის სიტყვასიტყვით განმარტებასა და განმსაზღვრელად მიიჩნევდნენ ღვთის ნებასა და ბედისწერას. ადამიანს ჰქონდა არჩევანი კეთილსა და ბოროტს შორის, რომელიც შემოიფარგლებოდა ადამიანის ბედისწერით. პიროვნების ბრალეულობაში მის ნებასა და ინტელექტს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან ყველაფერი განსაზღვრული იყო ბედით და ბოლოს ევსეები, ქრისტიანული შეხედულების ფუძემდებლნი იყვნენ დანაშაულსა და ბრალზე.

იუდეიზმის რელიგიურ-სამართლებრივ წყაროებში პრაქტიკულად პირველად დადგა თავისუფალი ნების საკითხი, ინდივიდს მიეცა ქცევის ამა თუ იმ ვარიანტის არჩევანის უფლება, ანუ ჰქონდა თავისუფალი ნება ემოქმედა სურვილის მიხედვით. ბრალს იუდეიზმში აქვს რელიგიურ-სამართლებრივი ხასიათი. ამასთან გამოიყოფოდა ქმედებები ჩადენილი განზრახ და გაუფრთხილებლობით. მათ გამოყოფას ჰქონდა მნიშვნელოვანი პრაქტიკული დანიშნულება, რადგან ბრალის ფორმაზე იყო დამოკიდებული პიროვნების პასუხისმგებლობისა და სასჯელის საკითხი. თუმცა თვით ბრალის ცნება ჯერ კიდევ გაიგივებული იყო დანაშაულის ობიექტურ მხარესთან.

<sup>1</sup> Козочкин Д. Уголовное право зарубежных государств, გვ 448.

<sup>2</sup> Таганцев В. С. Уголовное право (общая часть), ტ. 2. გვ. 235.

<sup>3</sup> დეკანოზი ვახტანგი (კვიციანიძე), რელიგიის ისტორია, გვ. 232.





მიუხედავად იმისა, რომ იუდეიზმში ასე თუ ისე დამუშავებული იყო ბრალის საკითხი, ამ ფენომენის შესახებ გადამწვეტი ზეგავლენა იქონია ქრისტიანობამ. „განსხვავებით იუდეიზმისაგან, რომელიც ერთი ერის რელიგიად ჩამოყალიბდა, ქრისტიანობა მრავალ ხალხთა რელიგია გახდა და ხშირად მათ მთელი რიგი სახელმწიფოები ღებულობდნენ არამარტო როგორც რელიგიას, არამედ როგორც მეტასამართალს“<sup>1</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანობისა და სამართლის ურთიერთკავშირის განხილვისას არ შეიძლება გვერდი აუარო მათი დაცვის ინტერესების ერთობლიობას. კავშირი ქრისტიანობასა და, მაგალითად, ძველ ქართულ სამართალს შორის წარმოჩნდება სამართალდამრღვევისათვის პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას. განსაკუთრებით მძიმე სამართალდარღვევები ისჯებოდა, როგორც სახელმწიფოს, ასევე ეკლესიის მიერაც. ქრისტიანული დოქტრინა, რომელიც მორწმუნის ბრალეულობის კონცეფცია და მისი ცხოვრების ნაწილი გახდა, აიძულებდა ყოველ მათგანს მუდმივ ანგარიშგებას საკუთარ საქციელზე, აფასებდა მათ და განსაზღვრავდა მის შემდგომ ქცევას. პრაქტიკული ფასეულობა და ქრისტიანობის ძლიერი მორალურ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობა გამოიხატებოდა, პიროვნებისთვის თავისუფალი ნების მინიჭებაში, რადგან ბრალი თანდათან ღებულობს არა ობიექტური, არამედ სუბიექტური ელემენტის ნიშანს, რომელსაც ზეგავლენა აქვს ადამიანის ქმედებაზე. ქრისტიანობა ნელ-ნელა გავრცელდა მთელს ევროპაში. მე-6 საუკუნიდან ქრისტიანული ეკლესია ღებულობს მონაწილეობას ევროპული ადრეფეოდალური სამართლის ფორმირებაში. რა თქმა უნდა, ეს შეუძლებელი იყო არ გამოხატულიყო შუა საუკუნეების სამართალმცოდნეების წარმოდგენებზეც, რომლებიც უმეტესწილად რელიგიურ ხასიათს ატარებდნენ. ქრისტიანობაში უკვე აშკარად გამოიყო ბრალის ნებელობითი და ინტელექტუალური მომენტი, ამასთან ნებელობითი მომენტის აღწერა გადმოტანილია იუდეიზმიდან, კერძოდ, სადუკველეებისაგან. ქრისტიანული მორალის ზეგავლენა სამართალზე გამოიხატა Bბრალის ინტელექტუალურ მომენტზე წარმოდგენის ჩასახვაში. ამიერიდან ბრალის კონსტრუქცია აგებული იყო იმის დაშვებით, რომ სამართალდამრღვევს უნდა ჰქონოდა წარმოდგენა ბოროტებასა და სიკეთეზე და, აქედან გამომდინარე, გამოეყენებინა საკუთარი ნება. წარმოდგენა სიკეთესა და ბოროტებაზე ატარებდა წმინდა რელიგიური მორალის ხასიათს.

ბოლო ხანებში ისლამის ზეგავლენა გაფართოვდა, მუსულმანურ სამართალში ბრალის პრობლემასთან დამოკიდებულებას და გამომუშავებულ მიმართულებებს ბევრი დაინტერესებული მეცნიერი სწავლობს. ნახევარ მილიარდზე მეტი ადამიანი დედამიწაზე ცხოვრობს ისლამური სამართლის პროცეპებით. ამასთან დაკავშირებით რუსი მეცნიერი ს. ტკაჩენკო სამართლიანად გვაფრთხილებს: „ერთგვარმა მოჩვენებითმა არქაულობამ არ უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში მუსულმანური სამართლის ზეგავლენასა და მნიშვნელობაზე“<sup>2</sup>.

თანამედროვე მუსულმანური წყაროების შესწავლა საკანონმდებლო ტექსტებით ცხადჰყოფენ მათ სიახლოვეს და მსგავსებას ევროპულ სამართალთან.

მუსულმანური სამართალი წარმოიშვა იუდეიზმისა და ქრისტიანობის დიდი ზეგავლენის ქვეშ და დაკავშირებულია წინასწარმეტყველ მუჰამედის სახელთან. ისლამური დოქტრინის მიხედვით, რელიგიური ხელისუფლება გამოყოფილია საერო ხელისუფლებასაგან და წარმადგენს მის საფუძველს. აქედან გამომდინარე, ისლამი მოითხოვს სრულ მორჩილებას ღვთისა და წინასწარმეტყველისადმი და მათ მიმართ, ვისაც ხელისუფლება უპყრიათ.

შარიათი სამართლებრივ დებულებათა ერთობლიობაა და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ისლამური იდეოლოგიისა. ისლამი სამართლებრივ დებულებას განიხილავს, როგორც ერთიანი ღვთიური კანონისა და წესრიგის ნაწილს. შარიათი მიუთითებს, თუ როგორ უნდა იქცეოდეს მუსულმანი თავის თანაბართან და ღვთის წინაშე, ანუ სხვა სიტყვებით, შარიათი დაფუძნებულია ვალდებულებათა იდეაზე, დაკისრებულს ადამიანზე და არა უფლებებზე, რომელიც შეიძლება მას გააჩნდეს. ვალდებულებათა შეუსრულებლობის შედეგი არის ცოდვა იმისა, ვინც ეს ჩაიდინა. შარიათში ღვთიური განგებისა და რელიგიური სამართლებრივი საწყისების შეტანამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ქცევის კანონიერ და უკანონო სახეობათა ჩამოყალიბებაში. მასში ღვთიური ნების აღიარებამ მოგვცა უმნიშვნელოვანესი საკითხის დასმის საშუალება – მუსულმანის თავისუფალი ნებისა და მისი ფარგლების შესახებ. ისლამის შიგნით წარმოქმნილი რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობის წარმომადგენლები სხვადასხვანაირად უდგებიან ამ საკითხის გადაწყვეტას. ზოგიერთი მათგანი კი მიდის უკიდურესობამდე და აცხადებს, რომ თავისუფალი ნება როგორც ასეთი, არ არსებობს<sup>3</sup>.

ბრალი მუსულმანურ სამართალში წარმოადგენს ნებას მიმართულს შედეგის მისაღწევად, რომე-

<sup>1</sup> ს. ლორთქიფანიძე, რელიგია და სამართალი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, გვ.4.

<sup>2</sup> В.И. Ткаченко, Уголовное право (особенная часть), т. 2. გვ. 276.

<sup>3</sup> ვიკიპედია.



ლიც ენინალმდეგება მუსულმანზე დაკისრებულ მოვალეობებს, რადგან მოვალეობა დადგენილია არა მარტო სამართლებრივ, არამედ რელიგიური წყაროების დონეზეც. დანაშაული იმავდროულად ცოდვა-ცაა. როგორც ვხედავთ, ბრალს მუსულმანურ სამართალში გააჩნია რელიგიური ხასიათი. ისლამურ სამართალში ადრეულ ეტაპზე დაიწყო განზრახი და გაუფრთხილებელი სამართალდარღვევის გამიჯვნა ფსიქოლოგიური კომპონენტების გამოყოფის გარეშე. ამასთან, სამი ძირითადი ჯგუფიდან პრაქტიკულად დაყოფა განზრახ და გაუფრთხილებელ დანაშაულად ხდება მხოლოდ ერთში. ასე, მაგალითად, მკვლელობა, ან სასიკვდილო ჭრილობა შეიძლება ჩადენილი იყოს განზრახ ან გაუფრთხილებლობით. სამართალდარღვევის დაყოფა ბრალის ფორმებიდან გამომდინარე, ზეგავლენას ახდენდა დამრღვევის იურდიულ პასუხისმგებლობაზე. განზრახი მკვლელობა და სასიკვდილო ჭრილობის მიყენება ინვევდა სისხლის აღების უფლების წარმოშობას, ან, თუ მოკლულის ნათესავები აპტაიებდნენ დამნაშავეს, ფულადი კომპენსაციით იცვლებოდა. გაუფრთხილებელი მკვლელობისათვის გათვალისწინებულია გამოსასყიდი, რომელსაც თან სდევს ორთვიანი მარხვა და მუსულმანის განთავისუფლება. ერთობლიობაში შეიძლება ითქვას, რომ განძრახ და გაუფრთხილებელ დანაშაულებად დაყოფის მიუხედავად, ბრალი რჩება ობიექტურ კატეგორიაში და მხოლოდ ნაწილობრივ გულისხმობს დამნაშავეს ნებას<sup>1</sup>.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქრისტიანობა, იუდეიზმი და ისლამი პოზიტიურ გავლენას ახდენდა ბრალის როგორც დანაშაულის ელემენტის ფორმირებაში. რელიგიური ზეგავლენის ქვეშ ნელ-ნელა წრმოიქმნება ბრალის როგორც ფსიქოლოგიური შინაარსის მქონე ცნების წამოწევა. უპირველესად, ეს გამოიხატა იმის გაგებაში, რომ ადამიანი ქმედების ჩადენისას თავისუფალია ნების გამოვლენაში, იყენებს მას კეთილსა და ბოროტზე წარმოდგენის შესაბამისად. რელიგიაში ქმედების განზრახ და გაუფრთხილებლად დაყოფა ინვევს პრაქტიკულ მნიშვნელობას და ზეგავლენას ახდენს დამნაშავეს პასუხისმგებლობაზე, თუმცა ადამიანის ქცევა რელიგიური მორალის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ არ გამოხატულა ბრალში, როგორც სუბიექტურ კატეგორიაში.

### გამოყენებული წყაროები

1. კვიციანიძე, ვ. (დეკანოზი), რელიგიის ისტორია, თბილისი., 2017.
2. Козочкин Д. В. Уголовное право зарубежных государств, Москва. 2001.
3. ლორთქიფანიძე, ს. რელიგია და სამართალი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, თბილისი. 2011.
4. Ткаченко В.И. Уголовное право (особенная часть), т. 2. Москва. 2004
5. Таганцев В. С. Уголовное право (общая часть), т. 2. М. 2003.

### თ. დარსანია

#### ბრალის ასპექტისათვის რელიგიაში

#### რეზიუმე

რელიგია გენეტიკურად წინ უსწრებდა რა სამართალს, ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მის წარმოშობასა და ფორმირებაში. სამართლებრივი შეგნება თავდაპირველად მჭიდრო კავშირში იყო რელიგიურ მრწამსთან. ცნებები „ცოდნა“ და „დანაშაული“, უმეტეს შემთხვევაში, ერთმანეთს ემთხვევა. რელიგიური განაწესი ხშირად იყო წყარო სამართლებრივი ნორმისთვის, ხოლო მართლმსაჯულების სათავეში უმეტესად იდგნენ მღვდელმსახურები. რელიგიის ხელყოფა კი ყოველთვის განიხილებოდა როგორც დანაშაული. ქრისტიანობა, იუდეიზმი და ისლამი პოზიტიურ გავლენას ახდენდა ბრალის როგორც დანაშაულის ელემენტის ფორმირებაში. რელიგიური ზეგავლენის ქვეშ ნელ-ნელა წრმოიქმნება ბრალის როგორც ფსიქოლოგიური შინაარსის მქონე ცნების წამოწევა. უპირველესად, ეს გამოიხატა იმის გაგებაში, რომ ადამიანი ქმედების ჩადენისას თავისუფალია ნების გამოვლენაში, იყენებს მას კეთილსა და ბოროტზე წარმოდგენის შესაბამისად. რელიგიაში ქმედების განზრახ და გაუფრთხილებლად დაყოფა ინვევს პრაქტიკულ მნიშვნელობას და ზეგავლენას ახდენს დამნაშავეს პასუხისმგებლობაზე, თუმცა ადამიანის ქცევა რელიგიური მორალის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ არ გამოხატულა ბრალში, როგორც სუბიექტურ კატეგორიაში.

<sup>1</sup> В. И. Ткаченко, Уголовное право (особенная часть), т. 2. გვ. 277.



**T. Darsania**

### **Aspect of Fault in Religion**

#### **Summary**

Genetically religion always was ahead the Law and it played a significant role in origin and formation of Law. Initially, Legal consciousness was closely related to the religious faith. The concepts “Knowledge“ and “Fault“, in most cases, are coinciding. Religious rules often were the source for legal norm, and the priests were always at the head of the justice. Religion encroachment has always been considered as a crime. Christianity, Judaism and Islam influenced positively in formation of crime elements. Under religious influence slowly is creating forwarding the concept of fault as of psychologic content. Firstly, it was revealed in understanding of the fact, that in committing an act a person has free will, he applies his will in accordance with his representation of good and evil. Division of deliberate and negligent action in religion leads to cognitive impairment and influences on the offender's responsibility, but in terms of religious morality a human's behavior has not yet been expressed in the subjective category.



**ქ. ზაქარეიშვილი**

**ხელშეკრულების თავისუფლებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების გავლენა სტანდარტულ პირობებზე**

კერძო სამართლებრივი ურთიერთობები მხარეთა ნება-სურვილის გამოხატვისა და შესრულების საუკეთესო მექანიზმია, რასაც ყველაზე მეტად მასში დამკვიდრებული ხელშეკრულების თავისუფლების, კეთილსინდისიერების, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპები უზრუნველყოფს. მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საერთაშორისო უნიფიცირებული წესებიც შეიცავს ცალსახა რეგულაციებს აღნიშნულის შესახებ. მაგალითად, ევროპული სახელმეკრულებო სამართლის პრინციპების 1:102-ე მუხლი ადგენს, რომ „მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად დადონ ხელშეკრულება და განსაზღვრონ მისი შინაარსი კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად“.<sup>1</sup> თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეროვნული კანონმდებლობის მსგავსად, თავად ამ პრინციპების განმარტებას საერთაშორისო დოკუმენტი არ იძლევა და მხოლოდ ღია ნორმის სახით გვთავაზობს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელშეკრულების თავისუფლებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების როლის განსაზღვრა ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან მიმართებით, სადაც ერთ-ერთი მხარე ამკარად უთანასწორო მდგომარეობაშია მეორესთან და ინტერესებს შორის დისბალანსის აღბათობა საკმაოდ დიდია. იმის ფონზე, რომ მხარეს საკმაოდ ეზღუდება თავისუფლება, საკუთარი ნების საფუძველზე განსაზღვროს მომავალი სამართალურთიერთობის შინაარსი და ამიტომ ის, მხოლოდ შემთავაზების კეთილსინდისიერების იმედად რჩება; კანონმდებელმა იმპერატიულად დაავალა შემთავაზებელს კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა პირობების შედგენის დროს და დაადგინა იმ პირობების ბათილობა, რომლებიც ზიანს აყენებენ ან აუარესებენ მიმღების მდგომარეობას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში კეთილსინდისიერების პრინციპი ასახულია ზოგადი და ყოველისმომცველი ვალდებულების სახით,<sup>2</sup> რაც ასევე აისახება ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ინსტიტუტზეც და მისი ერთ-ერთი მაკონტროლებელი მექანიზმიც შეიძლება იყოს, რადგან სწორედ აღნიშნული უზრუნველყოფს მხარეთა შორის ბალანსის დაცვას და შედარებით სუსტ პოზიციაში მყოფი, პირობების მიმღების ინტერესების გატარებას.<sup>3</sup> ამასთანავე, კეთილსინდისიერების პრინციპის მიხედვით, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლის საგანს წარმოადგენს ხელშეკრულების ისეთი პუნქტები, რომლებიც არ ყოფილა ინდივიდუალური მოლაპარაკების შედეგი და ცალსახად შემთავაზებლის ინტერესების გამტარებელია. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 346-ე მუხლი ადგენს, რომ „ბათილია ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობა, მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი ჩართვისა, თუ იგი ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისთვის...“ თუმცა, ეს უკანასკნელი არ უნდა იქნეს მიჩნეული ისეთ ნორმად, რომელიც ზღუდავს შემთავაზებლის უფლებას, ჩამოაყალიბოს პირობები, არამედ ამ ნორმით ხდება ნების ავტონომიის პრინციპის დაცვა და სამართლებრივი ურთიერთობების სამართლიანად და ნათლად მოწესრიგების უზრუნველყოფა პირობების მიმღების ინტერესების გათვალისწინებით.<sup>4</sup>

შესაბამისად, ტესტი მიმართულია შემთავაზებლისკენ, რომელმაც არ უნდა გამოიყენოს თავისი

<sup>1</sup> ევროპული სახელმეკრულებო სამართლის პრინციპები, თარგმანი, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2014 წ.

<sup>2</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლი: „სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავინთი უფლება-მოვალეობანი“; 361-ე მუხლი: „ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას“; 316-ე მუხლი „2. თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას.“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი: „თუ კანონის ანალოგია შეუძლებელია, ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, აგრეთვე სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნების შესაბამისად (სამართლის ანალოგია). ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>

<sup>3</sup> აღნიშნულის შესახებ პირდაპირ უთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოც: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმე N ას-722-1045-05

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება საქმე Nას-992-1245-05

<sup>4</sup> ხუნაშვილი ნინო, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელმეკრულებო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2014 წ. გვ. 216



უპირატესობა პირობების მიმღების მიმართ. ეს უკანასკნელი კი, შეიძლება გამოიხატებოდეს, როგორც ბაზარზე დომინირებული მდგომარეობით, ისე პირობების ცალმხრივად განსაზღვრის შესაძლებლობით. მიმღები ორივე შემთხვევაში მოკლებულია შესაძლებლობას, გაეცნოს ან შეცვალოს შემოთავაზება. იგი იძულებულია, ან დაეთანხმოს, ან უარი თქვას შეთანხმების გაფორმებაზე. გარდა იმისა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება დაირღვეს კეთილსინდისიერების პრინციპი, ცალსახაა რომ ადგილი აქვს თავისუფლების პრინციპის შეზღუდვასაც.

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი თავის მხრივ, ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა და იძლევა საშუალებას, მხარეებმა თავად განსაზღვრონ ვისთან დადონ ხელშეკრულება და რა პირობებით. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მისი ორგვარი გაგება არსებობს, ხელშეკრულების დადებისა და პირობების განსაზღვრის თავისუფლება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან მიმართებით, როდესაც ხშირად, ერთი მხარე მოკლებულია შესაძლებლობას აირჩიოს თუ ვისთან დადოს შეთანხმება – მაგალითად, ამ უკანასკნელის დომინირებული მდგომარეობის გამო და თითქმის ყოველთვის შეზღუდულია, თავად განსაზღვროს პირობები.

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპისა და სტანდარტული პირობების ურთიერთმიმართებისას, აშკარა წინააღმდეგობას ვაწყდებით თავად ინსტიტუტის ბუნებიდან გამომდინარე. სტანდარტული პირობების მთავარი მახასიათებელი ისაა, რომ ისინი არ წარმოადგენენ ინდივიდუალური მოლაპარაკების საგანს და შეთავაზებულია ერთი მხარის მიერ მეორისადმი,<sup>1</sup> ეს უკანასკნელი კი ყოველგვარი კორექტირებისა და ჩასწორების გარეშე ეთანხმება წინასწარ განსაზღვრულ დებულებებს. შესაბამისად, იბადება სრულად ლეგიტიმური და ლოგიკური კითხვა – პირობების მიმღების სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლები ხომ არ გადის მხოლოდ იმ ზღვარზე, რაც ხელშეკრულების დადების ან მასზე უარის თქმით შემოიფარგლება? ფაქტია, რომ ამ შემთხვევაში, მიმღების თავისუფლება ხელშეკრულების გაფორმების დროს საკმაოდ ვიწროა და ფაქტობრივად, აცდენილია თავისუფლების პრინციპის მთავარ მიზანს.

„ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, იქ სადაც სტანდარტული პირობებია, სხვა არაფერია თუ არა ფიქცია.“<sup>2</sup> დავას არ ინვევს, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები მხოლოდ ერთი მხარის ინტერესების გამტარებელია, რადგან შემთავაზებელი ცდილობს წინასწარ, მხოლოდ საკუთარი სურვილები გაითვალისწინოს და რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიიღოს. შესაბამისად, ხელშეკრულების თავისუფლების ფართო საზღვრები ეხება მხოლოდ შემთავაზებელს და ვერანაირად ვერ გავრცელდება პირობების მიმღებზე.<sup>3</sup> ამიტომ, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის აბსოლუტურობასა და შეუზღუდავ ფარგლებზე საუბარი გადაჭარბებულია.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დროს, საკმაოდ რთულია დადგინდეს რამდენად დაცულია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შემთავაზებლის კეთილსინდისიერებას პირობების შედგენისა და შეთავაზების ეტაპზე, რადგან მიმღებს თავად ინსტიტუტის ბუნებისა და დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე არ შეუძლია კორექტირება შეიტანოს შემთავაზებულ დებულებებში და მხოლოდ კეთილსინდისიერების იმედად რჩება.

თანაც, მხარეთა უთანასწორობის პირობებში განსაკუთრებით რთულია ნების გამოვლენისა და მიღების თავისუფლებაზე მსჯელობა, რადგან მიმღები ხშირად იძულებულია გააფორმოს ხელშეკრულება ისეთი პირობებით, რომელიც სულაც არაა მისთვის მომგებიანი. შესაბამისად, მისი თავისუფლება შემოიფარგლება მხოლოდ იმით, გააფორმებს თუ არა შეთანხმებას. ამ დროს კანონმდებელი ცდილობს დაიცვას ბალანსი და შემთავაზებელს სპეციალურად უდგენს განსაზღვრულ ვალდებულებას – კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით შეადგინოს ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, ხოლო მიმღებს ანიჭებს უპირატესობას, თუ ამგვარმა პირობებმა ზიანი მიაყენა, ყოველგვარი შეფასების გარეშე მოითხოვოს დებულებების ბათილობა და ნაკისრი ვალდებულებებისგან გათავისუფლება.

<sup>1</sup>Unidroit Principles of International Commercial Contracts, International Institute for the Unification of Private Law, Rome, 2010. Article 2.1.19 Contracting under standard terms, p.66

<sup>2</sup>Markensinis, Volume/TheLawofContractsandRestitution: AComparativeintroduction, commentary, 1997.p 211

<sup>3</sup>ზარი ციტირებულია: ზაალიშვილი ვახტანგ, სტანდარტული პირობების ცალკეული პრობლემური საკითხები - შეთანხმების თავისუფლება და მისი ფარგლები, თსუ - იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის ჟურნალი, N1, 2017, გვ. 36.





### გამოყენებული წყაროები

1. ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის ერთიანი კარძო სამართლებრივი ხასიათის კანონის მოდელი – „ევროპული სახელმეკრულებო სამართლის პრინციპები“ – (თარგმანი) – თბილისი, 2014 წ. გამომც. დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი;
2. ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელმეკრულებო სამართალში“, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2014 წ.;
3. ზაალიშვილი ვ., სტანდარტული პირობების ცალკეული პრობლემური საკითხები – შეთანხმების თავისუფლება და მისი ფარგლები, თსუ – იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის ჟურნალი, N1, 2017;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმე N ას-722-1045-05;
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექი,  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>;
6. Unidroit Principles of International Commercial Contracts (International Institute for the Unification of Private law, 2010),  
<http://www.unidroit.org/english/principles/contracts/principles2010/integralversionprinciples2010-e.pdf>;
7. Principles, Definitions and Model Rules of European Private Law – Draft Common Frame of Reference DCFR.  
<http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law-en.pdf>;
8. The principles of European Contract Law (prepared by the Commission on European Contract Law 1999 text in English).  
<http://www.jus.uio.no/lm/eu.contract.principles.parts.1.to.3.2002/>;
9. Markensinis, Volume/The Law of Contracts and Restitution: A Comparative introduction, commentary, 1997.

### ქ. ზაქარეიშვილი

#### ხელმეკრულების თავისუფლებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების გავლენა სტანდარტულ პირობებზე

#### რეზიუმე

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობა სხვა უამრავ ფაქტორთან ერთად, დამოკიდებულია ზოგადი პრინციპების მოთხოვნათა სწორად განმარტებასა და დაცვაზე. განსაკუთრებით საინტერესოა ხელმეკრულების თავისუფლებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების გავლენა ხელმეკრულების სტანდარტული პირობების მიმართ, როცა მხარეებად აპრიორი უთანასწორო მდგომარეობაში მყოფი პირები გვევლინებიან. მნიშვნელოვანია განისაზღვროს ვრცელდება თუ არა თავისუფლების პრინციპი ზოგადად ამ ტიპის ხელმეკრულებებზე – რამდენად თავისუფალია პირი პირობების შედგენის დროს ან/და ხომ არ არის რომელიმე მხარე შეზღუდული მხოლოდ გარიგების დადების ან მასზე უარის თქმის უფლებით?

კეთილსინდისიერების პრინციპის ტესტი კი, ძირითადად მიმართულია უპირატესობის მქონე შემთავაზებისკენ, რომელიც ვალდებულია გულისხმიერებით იმოქმედოს პირობების შედგენა/შეთავაზების დროს, რადგან მიმღები, ფაქტობრივად, ხელმეკრულების სუსტ მხარედ გვევლინება.

### K. Zakareishvili

#### Influence of the principles of contract freedom and good faith on standard terms of contract

#### Summary

Stability of civil legal relations, along with many other factors, depends on correct definition and protection of the general principles of the private law. It is particularly interesting what is the influence of the principles of contract freedom and good faith in the standard terms of the contract, when the parties are in the unequal position. It is important to determine whether the principle of freedom is generally applicable to these types of treaties –how much free a person is when making terms or if any party is restricted by just making a transaction or denying it?

As for the principle of good faith, the test is mainly directed towards the superiority of the offeror, who is obliged to act with honesty when making terms / suggestions, as the acceptor is actually a weak party of the contract.



**BENCE KIS KELEMEN**

## **TARGETED KILLING, ARMED DRONES AND THE INTERNATIONAL LAW OF USE OF FORCE\***

### **I. Introductory remarks**

The United States – along with many other states – has been using armed unmanned aerial vehicles (or drones) since 2001 to target and kill terrorist suspects in the Middle-East, namely, Afghanistan, Pakistan, Yemen, Iraq and Syria. The so called ‘drone debate’<sup>1</sup> concerning drone-strikes began around 2010 and is ongoing ever since. This debate has many aspects, political, moral, military and of course legal. The latter debate focuses on the use of armed drones for military purposes outside the ‘hot battlefields’ with regards to *jus ad bellum*, or the law of use of force, and *jus in bello*, or international humanitarian law as well as international human rights law.

The debate hasn’t reached a conclusion yet, nonetheless this paper aims to demonstrate the brief history of drones and their use for military purposes and defines targeted killing as perhaps ‘*the only game in town*’ to deal with international terrorism. (II.) It identifies the possible breaches of international law concerning drone strikes and it explores the *jus ad bellum* legitimizations of such attacks. (III.) The article includes thoughts on consent, which can preclude the illegality of an otherwise unlawful action in the general law on state responsibility. (III.1) It also examines the authorization or mandate of the United Nations Security Council to use force (III.2.) and the *de lege lata* law of self-defense, with special attention to non-state actors. (III.3.) Last but not least the article deals with the expanding scope of the law of self-defense against non-state actors, in particular with the so called ‘unwilling or unable theory’. (IV.)

### **II. Targeted killing and armed drones**

Targeted killing doesn’t have any generally accepted definition. In scholarly writings the notion changes with time and with the purpose of the article they are used in.

The concept of targeted killing caught much attention after 2000, when Israel first used ‘preemptive targeted killings’ officially against terrorists in the occupied territories.<sup>2</sup> In 2008 Nils Melzer defined targeted killing as intentional, deliberate and premeditated use of lethal force against individually selected persons who are not in the custody of the attacker, and the conduct is attributable to a subject of international law.<sup>3</sup> The greatest advantage of this definition is its neutral and descriptive character, which makes it ideal for further examination.<sup>4</sup>

One has to distinguish targeted killing from assassination, extrajudicial killing and capital punishment. The latter two are easier to delimit, as the lack of custody constitutes the main differentiating factor among them. In case of extrajudicial killing or when the execution is based on a judgment of a court of law, the object of the use of lethal force is usually in the custody of the executor of the killing, while targeted killing lacks this characteristic.<sup>5</sup> The tougher nut to crack is the difference between the definitions of assassination and targeted killing.

Assassination can be defined differently in peacetime and in armed conflicts. While the prior is an essentially

\* This article was made possible by Minerva Center for the Rule of Law under Extreme Conditions at the Faculty of Law and Department of Geography and Environmental Studies, University of Haifa, Israel. I would like to also thank Ziv Bohrer from Bar-Ilan University, Faculty of Law for his remarks on my paper.

<sup>1</sup> See Avery Plaw – Matthew S. Fricker – Carlos R. Colon: The Drone Debate – A primer on the U. S. use of unmanned aircraft outside conventional battlefields, Roman & Littfield, Lanham-Boulder-New York-London, 2016.

<sup>2</sup> When Israel acknowledged it’s targeted killing program, See L. Orna Ben-Naftali – Karen R Michaeli: We Must Not Make a Scarecrow of the Law: A Legal Analysis of the Israeli Policy of Targeted Killings. Cornell International Law Journal, Vol. 36. No. 2, 2003. p. 235. and pp. 240-241.

<sup>3</sup> See Nils Melzer: Targeted killing in International Law. Oxford University Press, 2008. p. 5. Compare with L. Markus Gunneflo: Targeted Killing – A Legal and Political History. Cambridge 2016. p. 3., L. H. Jefferson Powell: Targeting Americans – The Constitutionality of the U.S. Drone War. Oxford 2016. p. xix., L. Jack McDonald: Ethics, Law and Justifying Targeted Killings – The Obama administration at war. Contemporary Security Studies, Routledge, 2017. 3. or Roland Otto: Targeted Killings and International Law with special respect to Human Rights and International Humanitarian Law. Beiträge zum ausländischen öffentlichen Recht und Völkerrecht, Vol 230., Springer, Berlin – Heidelberg 2012. pp. 13-18.

<sup>4</sup> Compare this with the recently used ‘targeted assassination’ term by an Israeli minister. See Dan Williams – Nidal al-Mughrabi: Gazans send fire-starting kites into Israel; minister threatens lethal response, UK Reuters 5 June 2018. <https://uk.reuters.com/article/uk-israel-palestinians-kites/gazans-send-fire-starting-kites-into-israel-minister-threatens-lethal-response-idUKKCN1J1271>

<sup>5</sup> See Philip Alston: Report of the Special Rapporteur on the extrajudicial, summary or arbitrary executions. Study on targeted killings. United Nations, General Assembly, A/HRC/14/24/Add. 6, 2010, par. 10. or Human Rights and Law Enforcement – A Trainer’s Guide on Human Rights for the Police, Professional Training Series, No. 5/Add.2., New York, Genf, 2002, p. 15.



illegal killing of individually selected persons with a political motive,<sup>1</sup> the latter's object is also an individually selected person, but he or she has to be an enemy combatant or civilian taking direct part in hostilities and the killing must be perfidious.<sup>2</sup> One can conclude, that in peacetime, political character is the main differentiating factor, and during armed conflict the perfidious nature of the killing is what decides the characterization of the action. Based on this, using armed drones to target and kill terrorists can be defined as targeted killing, since they are not conducted out of political motivations nor in treacherous or perfidious manner, because the drone strikes do not differ from regular air strikes in their main features.<sup>3</sup>

The UAV (Unmanned Aerial Vehicle) is an aircraft without a human pilot aboard. They are commonly referred to as 'drones'.<sup>4</sup> With regards to the topic in question the mostly used version of this phrase isUCAV (Unmanned Combat Aerial Vehicle) which means armed combat drones.<sup>5</sup>

The UAV technology has been part of warfare for almost 150 years and it came to existence through various military research after several armed conflicts. Today drones are much more common in civilian aviation, but they are the result of military technology development. To summarize their evolution, one can begin with the 19<sup>th</sup> century balloons, and through the 2<sup>nd</sup> World War's remote-controlled missiles one can get to the new millennium's aircrafts, which vary not only in size and form but in purpose as well. The most common among these unmanned aerial vehicles are the Predator and Reaper drones. They have been used in targeted killing operations against Al-Qaida and ISIL.<sup>6</sup> These platforms have two or four Hellfire air-land missiles at the controller's disposal and they can destroy their targets with precision missile strikes. The Reaper – the big brother of the Predator drone – can stay in the air without landing for 14-28 hours, which makes it ideal for counterterrorism operations in remote locations.<sup>7</sup>

Earlier, one could have concluded that only three states, namely the United States, the United Kingdom and Israel have been using armed drones under the banner of the so-called 'war on terror'.<sup>8</sup> Nowadays the technology proliferates like wildfire and the number of states conducting drone strikes has been increasing significantly.<sup>9</sup> At the same time many European countries are engaged in UAV-related actions.<sup>10</sup> The analysis of this paper focuses on the United States' conduct, since the strikes' continuous nature and the variety of data which is available concerning these strikes makes the U.S. the ideal choice as subject of the investigation.

One of the biggest challenges with regard to drone strikes is the lack of precise databases which officially measure how many strikes have been conducted in certain areas and what the number of victims is in connection with the attacks. The only method for statistical analysis is the examination of various open-source databases, which base their work on the media and other unofficial information.<sup>11</sup>

In the beginning, the United States had two drone programs. One belonged to the military, the other to the Central Intelligence Agency (CIA).<sup>12</sup> The military drone program is public and concentrates on the so called 'hot battlefields', which are the main areas of armed conflicts such as Afghanistan or Syria. These drones have been used to strike the enemy of the allied forces in defense of the troops deployed there, and therefore they were part of the

<sup>1</sup> See Melzer supra note 3 p. 46. or Matthew C. Wiebe: Assassination in Domestic and International Law: The Central Intelligence Agency, State Sponsored Terrorism, and the Right to Self-Defense. *Tulsa Journal of Comparative and International Law*, Vol. 11, No. 1., 2003. p. 365. or W. Hays Parks: Memorandum of Law, Executive Order 12333 and Assassination, Reproduction Department of the Army. 1989. p. 2.

<sup>2</sup> See Melzer supra note 3 p. 47. or Nathan Canestaro: American Law and Policy on Assassinations of Foreign Leaders: The Practicality of Maintaining the Status Quo. *Boston College International and Comparative Law Review*, Vol. 26. No. 1., 2003. or Michael N. Schmitt: State-Sponsored Assassination in International and Domestic Law. *Yale Journal of International Law*, Vol. 17. No. 2., 1992. For perfidy see Rule 65 of Customary IHL database, ICRC, [https://ihl-databases.icrc.org/customary-ihl/eng/docs/v1\\_rul\\_rule65](https://ihl-databases.icrc.org/customary-ihl/eng/docs/v1_rul_rule65)

<sup>3</sup> See Schmitt supra note 7 pp. 632-642. or Canestaro supra note 7. pp. 7-11.

<sup>4</sup> See Palik Mátyás (ed.): *Pilóta nélküli repülés profiknak és amatőröknek*, second edition, Nemzeti Közszerzői Egyetem, Budapest, 2013. p. 11 or Csapó Zsuzsanna: *Drónok harca- kérdések kereszttüzében, Van-e szükség új nemzetközi szabályozásra*. In: Csapó Zsuzsanna (ed.): *Emlékkötet Herczegh Géza születésének 85. évfordulójára – A ius in bello fejlődése és mai problémái*, Pécsi Tudományegyetem Állam- és Jogtudományi Kar, Pécs, 2013. p. 39.

<sup>5</sup> See Palik supra note 9 p. 12.

<sup>6</sup> See Palik supra note 9 pp. 25-51.

<sup>7</sup> See Palik supra note 9 pp. 48-51.

<sup>8</sup> See Harold Hongju Koh, Legal Adviser, U.S. Dep't of State, Address at the Annual Meeting of the American Society of International Law, p. 14.

<sup>9</sup> See Chris Cole: Drone strikes spread as proliferation surges. *Drone Wars UK*. <https://dronewars.net/2016/12/06/drone-strikes-spread-as-proliferation-surges/>

<sup>10</sup> See Clay Dillow: All of These Countries Now Have Armed Drones. *Fortune*, <http://fortune.com/2016/02/12/these-countries-have-armed-drones/>

<sup>11</sup> See Plaw – Frickers – Colon supra note 1. pp. 28-34.

<sup>12</sup> See Chris Woods: CIA's Pakistan drone strikes carried out by regular US air force personnel. <https://www.theguardian.com/world/2014/apr/14/cia-drones-pakistan-us-air-force-documentary>





conventional warfare. On the other hand, the CIA drone program's goal has been to destroy terrorist objects in states, where no allied forces could be found, for instance in Pakistan, Yemen or Somalia. The U.S. has been conducting its strikes in a manner consistent with the belief that the battlefield 'follows' any member of Al-Qaida or associated forces, thus they can be targeted anytime and anywhere on the globe. The Bush-administration was confident that these strikes were compatible with international law and the principles of *war on terror*. Barack Obama, successor of George W. Bush as president of the United States, did not change any fundamental aspect of the program, but widened its applicability as to its geographical scope and the administration changed its rhetoric from war on terror to 'armed conflict with Al-Qaida and associated forces' as well as the responsibility for the strikes being shifted from the C.I.A. to the military.<sup>1</sup> Donald J. Trump did not change his heritage, the drone program, but one can observe a sudden increase in the number of strikes conducted, which may or may not have a correlation with the change in presidency.<sup>2</sup>

### III. Targeted killing and the international law of use of force

Despite all this, one can conclude that the current legal regime dealing with international use of force concerning self-defense against non-state actors is not natural nor real. One cannot interpret to UN Charter in a manner, which makes it impossible to combat international terrorism by military means. Perhaps this is not the ideal way to deal with these phenomena, but until other means fail, states must be able to protect themselves from threats which potentially affect the lives of their citizens.

## V. Closing remarks

As it was established above, *lex lata* there is no direct right to self-defense against non-state actors, and the contemporary understanding of the attribution makes it possible to attribute the conduct of non-state armed groups to states. It was also noted, that this approach is untenable in the age of international terrorist organizations, such as ISIL, Boko Haram, or al-Qaida. There are current trends, which marks the shift towards a more permissive international legal regime in light of the horrible events of the past 17 years, but we are certainly not there just yet.

What could be the possible solutions? First and foremost, the amendment of the UN Charter, which is unfortunately unthinkable at this moment. Secondly, a paradigm-changing judgement of the International Court of Justice, by recognizing a new norm of customary international law, either in form of permitting direct self-defense against non-state actors or accepting the emerging 'unwilling or unable' doctrine with clear content, what is a *sine qua non* requirement of every norm in international law.

Only a marginal fragment of the contemporary drone strikes is legal – usually which are conducted on the basis

<sup>1</sup> Ibid. p. 17. and O'Connell supra note 30 pp. 436-456.

<sup>2</sup> See Milanovic supra note 35

<sup>3</sup> Ibid.

<sup>4</sup> See Daniel Bethlehem: Self-Defense Against An Imminent or Actual Armed Attack by Nonstate Actors, *The American Journal of International Law*, 2012/106. p- 776. par. 11-12. or Ashley Deeks: 'Unwilling or Unable': Toward a Normative Framework for Extraterritorial Self-Defense, *Virginia Journal of International Law*, 2012/50.

<sup>5</sup> See Bethlehem supra note 104 p. 766. par. 11-12.

<sup>6</sup> See Elena Chacko – Ashley Deeks: 'Who is on Board with 'Unwilling or Unable'', *Lawfare*, 10 October 2016. <https://www.lawfareblog.com/who-board-unwilling-or-unable>

<sup>7</sup> See Deeks supra note 104 p. 491.

<sup>8</sup> 'The *opinio juris*, or belief that a state activity is legally obligatory, is the factor which turns usage into a custom and renders it part of the rules of international law.' See Shaw supra note 20 p. 60. For the state practice, see Chacko – Deeks supra note 105

<sup>9</sup> If states would argue, that there is a new customary international law norm, currently emerging, which would change the currently existing rule of Article 3. f) of the 3314 General Assembly Resolution, namely if a state allows another state to use its territory for aggression, it also commits aggression, to apply to non-state actors as well. This way it would be possible to argue for the doctrine and staying in the precious framework of the *de lege lata jus contra bellum* system. For similar line of argumentation see Kajtár Gábor: Vonakodik vagy nem képes? Az önvédelem jogának újabb paradigmaváltó kísérlete, *Közjogi Szemle*, 2018/1. pp. 7-8.



of consent or collective self-defense – *jus ad bellum*. When a state seeks to combat international terrorism by the means of military power, it has to be cautious in exercising its rights. One has to remember that even the smallest mistake can make the difference between life and death and state practice as it is, in the hand of ‘evil’ can open the Box of Pandora, and possibly end the *jus contra bellum* system, which lead to relative peace and security in our world.



## 8. ლოპანიძე

### ქართული ციცირონი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი

იშვიათად შეხვდებით საუნივერსიტეტო განათლების იურისტს, მითუმეტეს სწავლულს, რომელსაც გავლილი არ ჰქონდეს რომის სამართლის ისტორია და არ იცნობდეს ციცირონის ფილოსოფიურ და სამართლებრივ შეხედულებებს. ციცირონი იყო რომაელი იურისტთა შორის ის ადამიანი, რომელმაც კარგად შეახამა თეორიები პრაქტიკასთან და ორივე მიმართულებით დიდ წარმატებას მიაღწია. ცნობილი ფრანგი იურისტი რ. დავიდი როდესაც ერთმანეთს ადარებდა თეორიისა და პრაქტიკის მნიშვნელობას, წერდა: ორივე ერთად იდეალური ვარიანტი იყო.<sup>1</sup> სწორედ რომ იდეალური მაგალითია ციცირონი. ამის თქმა შეიძლება ცნობილ ქართველ იურისტ ლუარსაბ ანდრონიკაშვილზეც, როგორც დიდ თეორეტიკოსსა და წარმატებულ პრაქტიკოსზე. მართალია, მას ციცირონთან დრო და სივრცე ამორებს, მაგრამ საფუძვლიანი ცოდნა, განათლება და პრაქტიკა ძალზე აახლოებს.

მკვლევართა აზრით, ციცირონის ბიოგრაფიის შესაქმნელად მასალები ისევე მისივე თხზულებებშია მოცემული, თუმცა მას ბიოგრაფები არ აკლდა. საკმარისია ციცირონის ცხოვრების პლუტარქესეული აღწერილობა „პარალელურ ბიოგრაფიაში“.<sup>2</sup> ციცირონის ბიოგრაფიულ მონაცემებს ვხვდებით ავლუს გელიუსის ნაშრომში „ატიკური ღამეები“ (Noctes Atticae) და ისტორიკოს ტიტუს ლივიუსის თხზულების „პერიოდებში“. ციცირონის მშობლები შეძლებული ადამიანები იყვნენ და შვილებს ბრწყინვალე განათლება მიაღებინეს. მათი ოცნება იყო, მარკუსი და მისი უმცროსი ძმა კვინტუსი სახელმწიფო მოღვაწეებად გამოეზარდათ. ამ მიზნის მისაღწევად მათი ოჯახი ქ. არპინიუმიდან რომში გადმოსახლდა და დამკვიდრებაში პრობლემები არ შექმნია. ციცირონი მამამისმა იმ პერიოდისათვის ბრწყინვალე და ცნობილ ბერძენ მასწავლებლებს მიაბარა. წყაროების მიხედვით, პატარა მარკუსი მეცნიერებათა მიმართ იშვიათ ნიჭსა და მონდომებას იჩენდა, მაგრამ ყველაზე მეტად ლიტერატურითა და პოეზიით იყო გატაცებული, რაშიც დიდი იყო „ფილოლოგოსების“, ელიუს სტილონისა და ავლუს ლიცინიუს არქიმინას დამსახურება.

ციცირონი არანაკლებ იყო დაინტერესებული ფილოსოფიითა და ორატორული ხელოვნებით. ფილოსოფიურ იდეებს იგი აზიარეს ფედროსმა, რომელიც ეპიკურეს იდეების მიმდევარი იყო, სტოელმა დიოდოტემ, ახალი აკადემიური ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენელმა ფილანმა.

ციცირონი მალე მიხვდა, რომ მისი მოწოდება იურისტობა და ადვოკატის პროფესია იყო, ამიტომ იმთავითვე დაიწყო ორატორული ხელოვნების სიღრმისეული შესწავლა. კითხულობდა და ეცნობოდა ბერძენ ორატორებს, დადიოდა ცენტრში – ფორუმზე, უსმენდა იმ პერიოდის ყველაზე გამოჩენილ მჭერმეტყველებს, ინერდა და სწავლობდა მათ მიერ წარმოთქმულ აზრებს. ძველ რომში ორატორული ხელოვნების სწავლება ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლებოდა, მას ამ ხელოვნების დაუფლებაში დაეხმარნენ ლიცინიუს კრაკუსი და გამოჩენილი რომაელი იურისტი კვინტუს მოციუს სცევოლა. ფილოსოფიაში ციცირონს ამეცადინებდნენ გამოჩენილი ბერძენი ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენლები, რომლებმაც იგი აზიარეს სახელგანთქმული ხელოვნებათმცოდნეების როსციუსისა და ეპოზუსის კამათისა და არგუმენტაციის მოძღვრებას „დიალექტიკას“, რომლის დახმარებით ციცირონი კარგად დაეუფლა „დეკლამაციასა“ და „მიმიკას“, რომელიც წარმოადგენდა პოლიტიკოსისათვის საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების ნაწილს.

თავისი მომზადებისა და განათლების წყალობით ციცირონი პოლიტიკურ ასპარეზზე მალე დაწინაურდა, რაშიც დაეხმარა დახვეწილი მჭერმეტყველება და ფართო ენციკლოპედიური განათლება. ძვ.წ. აღ 76 წელს იგი დანიშნეს სიცილიის კვესტორად, რომელსაც ევალებოდა ფინანსური საქმეების გამგებლობა. ძვ.წ. აღ 66 წელს უკვე პრეტორად ინიშნება, სწორედ აქედან იწყება მისი პოლიტიკურ ორატორიაში კაპიტალის გაზრდა, რაც უკავშირდება ციცირონის გამოსვლას განილიუსის კანონპროექტის დასაცავად სენატში.<sup>3</sup>

მეცნიერულ ლიტერატურაში ციცირონის თეორიული მემკვიდრეობა შინაარსის მიხედვით რამდენიმე ჯგუფადაა დაყოფილი. პირველ ჯგუფს განეკუთვნება სახელმწიფოსა და სამართლისადმი მიძღვნილი ნაშრომები. კერძოდ „სახელმწიფოს შესახებ“, „კანონების შესახებ“, „ვალდებულებათა შესახებ“. მეო-

<sup>1</sup> პლუტარქე, ციცირონი, 1.

<sup>2</sup> დავიდი რ., თანამედროვეობის მსოფლიო სამართლებრივი სისტემები, თბ., 1998, გვ. 39.

<sup>3</sup> მათიაშვილი ი., შტრიხები პორტრეტისათვის, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“, N2 (18), 2012, გვ. 47



რე ჯგუფის კვლევებში ციცერონი ამუშავებს ზოგადფილოსოფიურ პრობლემებს, როგორებიცაა: „ღმერთების ბუნების შესახებ“, „სიკეთისა და ბოროტების საზღვრების შესახებ“, „ტუსკუნალური საუბრები“, „აკადემიკოსთა მოძღვრება“, „სტოელთა ჰაპალოქსები“, „სიმამაცის შესახებ“, „მოხუცებულობის შესახებ“, „დიდების შესახებ“ და „ნუგემის“ თაობაზე, სადაც გაანალიზებული აქვს მორალისა და ზნეობის ცალკეული საკითხები.<sup>1</sup>

თავის თხზულებებში ციცერონი ერთმანეთისაგან ასხვავებს და ზოგჯერ ერთმანეთს უპირისპირებს კანონს, სამართალს და სიმართლეს. უარყოფს სახელმწიფო ძალადობას კანონების რეალიზაციის პროცესში. ჩვენი აზრით, ციცერონი კანონებში გულისხმობდა დაწერილ ფორმალურ სამართალს, ხოლო სიმართლეში დაუნერგლს. ამ მოსაზრების არგუმენტად მოშველიებულ იქნას ციცერონის მცდელობა, ერთმანეთისაგან გამიჯნოს და გაარკვიოს სიმართლისა და კანონების წყაროები. მისი აზრით, ამ საკითხზე პასუხი ფილოსოფიის სიღრმეში უნდა ვეძებოთ, კერძოდ, სამართლის შინაარსი „საჭიროა მოვნახოთ ადამიანის ბუნებაში“, რაც შეეხება კანონს, იგი არის ბუნებაში ჩანერგილი უმაღლესი მოთხოვნა, რომელიც გვიბრძანებს შევასრულოთ შესასრულებელი და გვიკრძალავს სანინააღმდეგოს.<sup>2</sup>

მისი წარმატებული საადვოკატო საქმიანობა მსჯელობის ცალკე თემაა. ციცერონის თეორიულმა ნააზრებმა მისმა პოლიტიკურმა მოღვაწეობამ ნათელი გზა აჩვენა შემდგომ თაობებს და აქტუალობა არ დაუკარგავს, ციცერონი დღესაც კარგი მაგალითია სპეციალისტებისათვის.

ლუარსაბ ნიკოლოზის ძე ანდრონიკაშვილი დაიბადა 1872 წლის 26 თებერვალს სოფ. იფიოში, ახლანდელი ახმეტის რაიონში. მან წერა-კითხვა ჯერ კიდევ ოჯახში ისწავლა, თბილისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1892 წელს, ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტად. იგი იმთავითვე შესამჩნევი გახდა პროფესორ-მასწავლებლებისათვის, ლუარსაბ ანდრონიკაშვილს არ აკმაყოფილებდა საუნივერსიტეტო განათლების სისტემა და გადაწყვიტა ევროპაში წასულიყო სწავლის გასაღრმავებლად. სწავლობდა ფილოსოფიას ჰაიდელბერგში კუნო ფიშერთან, ხოლო შემდეგ სტრასბურგის უნივერსიტეტში ისმენდა ვილჰელმ ვინდელბერგის ლექციებს, პარალელურად ესწრებოდა გამოჩენილი გერმანელი სამართალმცოდნეების – გეორგ ელინეკის და ლაბანდის ლექციებს სახელმწიფო სამართალში. როგორც თვითონ იგონებს, ეს იყო ყველაზე სწორი გადაწყვეტილება, რადგანაც ბევრი რამ ისწავლა საქვეყნოდ ცნობილი ფილოსოფოსებისა და იურისტებისაგან.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი 1897 წელს დაბრუნდა პეტერბურგში და 1899 წელს წარჩინებით დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი.

იმ პერიოდის რუსეთში გააქტიურდა პოლიტიკური პროცესები, ეწყობოდა მანიფესტაციები, მუშათა და გლეხთა გამოსვლები, რომლებიც ხშირად შეიარაღებული აჯანყებებით მთავრდებოდა. პარალელურად იმატა პოლიტიკური მოტივებით პატიმართა რაოდენობამ და აღძრულმა სისხლის სამართლის საქმეებმა. ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა მტკიცედ გადაწყვიტა შესულიყო „პოლიტიკურ დამცველთა“ ჯგუფში, რომელიც ჩამოყალიბდა რუსეთის ადვოკატურის სისტემაში და რომლის შექმნის ინიციატორი თვითონ იყო. საადვოკატო საქმიანობაში მის წარმატებას ხელს უწყობდა ორატორული ნიჭი, მასალის ღრმა ანალიზის უნარი და არგუმენტების ლოგიკური დაწყობა-დალაგების მეთოდების ცოდნა.

ადვოკატი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი მონაწილეობდა ისტორიული მნიშვნელობის ასსზე მეტ პოლიტიკურ სასამართლო პროცესში, რომლებიც გაიმართა როგორც რუსეთის ქალაქებში ასევე საქართველოში. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 1903 წლის ბათუმის დემონსტრაციის საქმე; ლეიტენანტ შმიდტის მეთაურობით აჯანყებულ შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურთა სევასტოპოლის პროცესი; 1908-1909 წლების „ნოვოროსიის რესპუბლიკის საქმე, რევოლუციონერ ტერორისტების (პეტერბურგის ქალაქის მმართველის გენერალ ლაუნიცის მკვლელობის საქმე, 1907 წლის სახელმწიფო საბჭოს წევრის გრაფ იგნატიევის მკვლელობის პროცესი. გაზეთის „ნოვაია ჟიზნის“ და ჟურნალ „რუსსკოე ბოგატსტვის“ საქმეები და ა.შ.

ლ. ანდრონიკაშვილი 1921 წელს დაბრუნდა საქართველოში. მისმა მრავალფეროვანმა მოღვაწეობამ ღრმა კვალი დატოვა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. იგი იყო საქართველოში იურიდიული განათლების ფუძემდებელი და ორგანიზატორი, შთაგონებული ლექტორი და თავდადებული პედაგოგი.<sup>3</sup>

ლ. ანდრონიკაშვილის სტუდენტი ფ. გოკიელი წერს:

ძალიან საინტერესო და თავისებური იყო კომპოზიციურად ბ-ნ ლუარსაბის ლექციები: სალექციო

<sup>1</sup> აბაშმაძე ვ., ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 1977, გვ. 409.

<sup>2</sup> ლობჯანიძე გ., სამართლის ფილოსოფია, ტ. I, თბ., 2014, გვ. 162.

<sup>3</sup> წერეთელი თ., ანდრონიკაშვილი ლ., რევოლუციონერთა და პროგრესულ მოღვაწეთა დამცველი, თბ., 1976, გვ. 3.



საკითხის საერთო დახასიათების შემდეგ, – ვთქვათ, ეს იყო იურიდიული პირის პრობლემა ანდა სამართლისა და ზნეობის ურთიერთობის საკითხი, – რაკი სტრუქტურები აითვისებდნენ ძირითადს, რაც კი უნდა სცოდნოდან ამ საკითხზე, ბ-ნი ლუარსაბი გადადიოდა ამა თუ იმ იურიდიული კატეგორიის ირგვლივ შექმნილ კონცეფციებისა და თეორიების დახასიათებაზე, მათ გარჩევა-შეფასებაზე და აქ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მონოლოგს უკვე ცვლიდა დიალოგი, დიალოგი წარმოდგენილ მონინააღმდეგესთან, იმ თეორიის დამცველთან, რომელსაც ბ-ნი ლუარსაბი არ ეთანხმებოდა, ეწინააღმდეგებოდა. ძალიან კეთილსინდისიერად მოჰყავდა ჩვენს ლექტორს ერთი-მეორის შემდგომ ყველა ის შესაძლებელი არგუმენტი, რაც კი ძალუძდა წარმოედგინა ამა თუ იმ თეორიის მომხმარებელს, ვთქვათ, ვინმე ვინდშიადა ანდა პრინცს, – და ბრწყინვალედ არღვევდა ამ არგუმენტებს საკუთარი შეხედულებებიდან გამომდინარე მოსაზრებებით, ანდა გვიჩვენებდა, თუ რა გამოუვალ ლოგიკურ რკალში ემწყვდებოდა, ანდა შინაგან წინააღმდეგობაში ვარდებოდა მისთვის მიუღებელ შეხედულებათა ავტორი.<sup>1</sup>

იმ პერიოდში მან აღზარდა საქართველოში მეცნიერი და პრაქტიკოსი იურისტების პირველი თაობა, ხელი შეუწყო ქართული იურიდიული მეცნიერების განვითარებას. იგი იყო უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების კომპეტენტური მრჩეველი იურიდიულ საკითხებზე და არა ერთხელ გაუწევია სახელმწიფოსათვის სამსახური, განსაკუთრებით უცხოეთის მსხვილ საწარმოებთან წამოჭრილი დავების განხილვის დროს.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი ღრმად განათლებული ადამიანი და ბუნებით მომადლებული ორატორული ნიჭის პატრონი გახლდათ. იგი არა მარტო სამართლის სხვადასხვა დარგში იყო ფრიად განსწავლული, არამედ შესანიშნავად იცოდა ფილოსოფია, ლიტერატურა, თეატრი... ანდრონიკაშვილების ოჯახი თბილისში ერთგვარ სალონს წარმოადგენდა, სადაც თავს იყრიდა მაშინდელი თბილისის ინტელიგენცია. მოდიოდნენ ცნობილი მეცნიერები, მწერლები, თეატრალეები...

იგი იყო კოტე მარჯანიშვილის ახლო მეგობარი, დიდი რეჟისორი, როცა თეატრში სპექტაკლის გენერალურ რეპეტიციას მართავდა და დარბაზში ლუარსაბ ანდრონიკაშვილი ეგულებოდა, განსაკუთრებულ მონდომებას იჩენდა, რომ მისი გემოვნება დაეკმაყოფილებინა. რაც შეეხება სანდრო ახმეტელს, ის ლუარსაბ ანდრონიკაშვილს მიზანსცენების დადგმის დროს ხშირად რჩევასაც კი ეკითხებოდა.

ყოველივე ამასთან ერთად, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის პიროვნებას ერთი დიდი ადამიანური თვისებაც ამკობდა. თავის თანამედროვეთა შორის იგი უაღრესად მაღალი ზნეობით გამოირჩეოდა. ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ზნეობრივი ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ ეს თვისება მისი გარდაცვალების შემდეგაც კი მისაბაძად და სანიმუშოდ დარჩა იმ პერიოდის კულტურულ წრეებში.<sup>2</sup>

ზემოაღნიშნული მასალების შეპირწინება დამჭირდა იმისათვის, რომ გამემართლებინა პუბლიკაციის სათაური და პარალელი გამეგლო ანტიკური ეპოქის თეორეტიკოსსა და პრაქტიკოსს, ციცერონსა და ჩვენი თანამედროვე, გამორჩეული მეცნიერის, ლ. ანდრონიკაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობას შორის.

### გამოყენებული წყაროები

1. აბაშმაძე ვ., ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 1977;
2. დავიდი რ., თანამედროვეობის მსოფლიო სამართლებრივი სისტემები, თბ., 1998;
3. გამყრელიძე ო., „ბობოქარი ლუარსაბი“, ჟურნალი „ადვოკატი და მართლმსაჯულება“, N4;
4. გოკიელი ფ., ცივილისტური შტუდიები, მოგონებები, თბ., 2017;
5. ლობჯანიძე გ., სამართლის ფილოსოფია, ტ. I, თბ., 2014;
6. მათიაშვილი ი., შტრიხები პორტრეტისათვის, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“, N2 (18), 2012;
7. პლუტარქე, ციცერონი;
8. წერეთელი თ., ანდრონიკაშვილი ლ., რევოლუციონერთა და პროგრესულ მოღვაწეთა დამცველი, თბ., 1976.

<sup>1</sup> გოკიელი ფ., ცივილისტური შტუდიები, მოგონებები, თბ., 2017, გვ. 164.

<sup>2</sup> გამყრელიძე ო., „ბობოქარი ლუარსაბი“, ჟურნალი „ადვოკატი და მართლმსაჯულება“, N4, გვ. 21.



გ. ლობჯანიძე

## ქართველი ციცერონი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი

### რეზიუმე

პუბლიკაცია საინტერესოდ გადმოგვცემს გამოჩენილი ქართველი მოღვაწის (იურისტისა და ფილოსოფოსის) – ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ მომენტებს. ავტორი მას ციცერონს ადარებს თავისი სტილით, განათლებითა და უნარით – კარგად შეხამებული თოერიული და პრაქტიკული ცოდნით.

ნაშრომში მკაფიო პარალელებია გავლებული ამ ორი გამოჩენილი ადამიანის – ლუარსაბ ანდრონიკაშვილისა და ციცერონის ცხოვრებასა და მოგლაწეობას შორის, რომლებსაც ამორებდათ დრო და სივრცე, მაგრამ აახლოებდათ ფილოსოფიური და სამართლებრივი მსოფლმხედველობა, ორატორული ნიჭი და საზოგადოებისადმი განუელი ფასდაუდებელი ღვაწლი.

**G. Lobzhanidze**

## Georgian Tsitseroni, Luarsab AndronikaShvili

### Summary

The given work thoroughly describes the biography and social life of the Georgian public figure –Luarsab Andronikashvili (lawyer and philosopher). He is characterized as Georgian Tsitseroni based on his style, knowledge and the skill to combine theoretical and practical knowledge perfectly.

The author of the work makes vital parallels between these two figures – Luarsab Andronikashvili and Tsitseroni based on their social life, philosophic views and the skill of the public speaker.





## რ. შენგელია, ე. შენგელია

### სავალუტო ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების საფუძვლები

ვალუტის ცნება გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ფულისა, თუმცა ფული ვალუტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ფულთან ერთად მასში შედის სხვა საგადახდო დოკუმენტებიც, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება საერთაშორისო ანგარიშსწორება. აქედან გამომდინარე, ვალუტა არის ამა თუ იმ ქვეყნის ფულადი ერთეული, აგრეთვე სხვა საგადახდო დოკუმენტები, რომლებიც გამოიყენება სხვა სახელმწიფოებთან ეკონომიკური ურთიერთობის უზრუნველსაყოფად. ვალუტის უპირველესი დანიშნულებაა გაცვლით ურთიერთობებში საერთაშორისო ანგარიშსწორების განხორციელება. ვალუტად ითვლება, მაგალითად, არა მარტო ამერიკული დოლარი, რუსული რუბლი ან ქართული ლარი, არამედ სახაზინო ბილეთი, ბანკნოტი, ჩეკი, თამასუქი და სხვა ფულადი ერთეულით გამოხატული საგადახდო ფასიანი ქაღალდები. ვალუტას წარმოადგენს აგრეთვე ისეთი საერთაშორისო საანგარიშსწორებო ფულადი ერთეული, როგორცაა ევრო (1979 წლიდან 2000 წლამდე ევროპული ვალუტის ერთეული იყო ეკიუ) ან საერთაშორისო და რეგიონული საფინანსო ორგანიზაციების მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები. საერთაშორისო ანგარიშსწორებაში სხვადასხვა ქვეყნის ვალუტებს სხვადასხვა ხარისხის მონაწილეობის უნარი გააჩნიათ, ეს, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია ამ ვალუტების კონვერტირებულობის სხვადასხვა რეჟიმით. ეროვნული ვალუტის უცხო ვალუტაში გაცვლის მაღალი შესაძლებლობების მქონე სახელმწიფოები საერთაშორისო ანგარიშსწორების საშუალებად იყენებენ როგორც საკუთარ, ისე უცხოურ ვალუტას. სხვა სახელმწიფოები საერთაშორისო ანგარიშსწორებას უცხოური ვალუტით ახორციელებენ. მათ შორისაა საქართველოც.

სავალუტო ურთიერთობათა შინაარსის სრულად აღსაქმელად მიზანშეწონილია მათი ორგანიზაციული ფორმის ცალკეული ელემენტების ანალიზი. უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ეროვნული და უცხოური ვალუტის ცნებები. ეროვნული ვალუტა წარმოადგენს სუვერენული სახელმწიფოს ფულად ერთეულსა და სხვა საგადახდო ფასიანი ქაღალდებს, რომლებიც გამოიყენება სხვა ქვეყნებთან საკრედიტო, საანგარიშსწორებო და უცხო სახის საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობათა უზრუნველსაყოფად. უცხოური ვალუტა კი საზღვარგარეთის სახელმწიფოთა ფულადი ნიშნები და საკრედიტო-საგადახდო დოკუმენტებია, რომლებიც გამოიყენება საერთაშორისო საკრედიტო-საანგარიშსწორებო ურთიერთობებში. უცხოური ვალუტა ყიდვა-გაყიდვის მნიშვნელოვანი ობიექტია. სავალუტო ოპერაციებს, ჩვეულებრივ, ბანკები ან სავალუტო ბიუროები აწარმოებენ. ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნული ბანკი მობილიზაციას უკეთებს საზღვარგარეთული სავაჭრო ან სხვა ეკონომიკური ხასიათის გარიგებათა სარეალიზაციოდ გამიზნული ეროვნული ვალუტის შემადგენელ ელემენტებს და უზრუნველყოფს მათი სანაცვლო უცხოური ვალუტის მიღების შესაძლებლობას. ამ მიზნით იგი თავის საზღვარგარეთულ ბანკ-კორესპონდენტებს აძლევს მითითებას ინკასოზე მიიღოს საგადახდო დოკუმენტები, რომლებიც შესაბამისი გარიგების დადების შემდეგ გადაიქცევა უცხოურ ვალუტაში გამოხატულ აქტივად. ეს შესაძლებლობას უქმნის ეროვნულ ბანკს თავის კლიენტს მოემსახუროს უცხოური ვალუტით. უცხოური ვალუტები ერთმანეთისაგან მსყიდველობითი უნარიანობის, სტაბილურობითა და ზოგიერთი სხვა უპირატესობით განსხვავდება. ეს უმეტესად მსოფლიოში ეკონომიკურად და პოლიტიკურად ყველაზე განვითარებული და ძლიერი სახელმწიფოების ვალუტებია. ასეთი ვალუტა გამოიყენება სხვა ქვეყნების სავალუტო პარიტეტისა და სავალუტო კურსის განსაზღვრის საფუძვლად და ასრულებს საერთაშორისო მასშტაბის სარეზერვო საშუალების ფუნქციას. მსყიდველობითი უნარის სტაბილურობის მაღალი ხარისხის გამო ასეთი ვალუტა ინახება სარეზერვო ნაღდი ფულის სახით. იგი საერთაშორისო ლიკვიდური სახსრების ნაირსახეობაა. ამ გაგებით, სარეზერვო ვალუტა საერთაშორისო ფულია. ადრე ბევრი ქვეყნის სარეზერვო ვალუტა გირვანქა სტერლინგი იყო. ამჟამად მსოფლიო ფულის ფუნქციას ამერიკული დოლარი ასრულებს.

გამოყენების რეჟიმის მიხედვით ვალუტა შეიძლება იყოს – კონვერტირებადი და არაკონვერტირებადი, ანუ ჩაკეტილი. კონვერტირებადი ანუ შეუქცევადია ისეთი ვალუტა, რომელიც იცვლება ნებისმიერ უცხოურ ვალუტაზე და ასრულებს საერთაშორისო საგადახდო საშუალების ფუნქციას – ნებისმიერი ოპერაციის შესრულებისას. ასეთია, მაგალითად, ამერიკის, ინგლისის და იაპონიის ვალუტები. თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტისაგან განსხვავებით, ნაწილობრივ კონვერტირებადი ვალუტა შესაძლებელია ზოგიერთი სახის ოპერაციებში არ გამოიყენებოდეს. ამიტომ იგი იცვლება ზოგიერთ ქვეყნების ვალუტაზე. ასეთია, მაგალითად, კანადის, ბრაზილიის და სხვა ქვეყნების ვალუტები.



არაკონვერტირებადი ვალუტა, რომელიც ჩაკეტილია ერთი ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებში და საერთაშორისო სავალუტო ოპერაციებში დამოუკიდებლად მონაწილეობის შესაძლებლობა შეზღუდული აქვს. იგი არ იცვლება სხვა ქვეყნების ვალუტებზე, მსოფლიოს მრავალი განვითარებადი ქვეყნის მსგავსად, ჯერჯერობით არაკონვერტირებადი ვალუტაა ლარიც. ეკონომიკის აღმავლობა და მისი სტაბილურობა, ფულად-საკრედიტო სისტემის განმტკიცება და მსოფლიო ბაზარზე საქართველოში შექმნილი საქონლის კონკურენტუნარიანობის განუხრელი ზრდა უნდა გახდეს ქართული ვალუტის კონვერტირებულად გარდაქმნის საფუძველი.

კონვერტირებადობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ვალუტის გაცვლითი კურსის განსაზღვრასთან. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა და ანგარიშსწორება წარმოუდგენელია ერთი ვალუტის მეორეში გაცვლის გარეშე. მაგალითად, თუ რომელიმე ქართულ ფირმას სურს საქონელი შეიძინოს გერმანიაში, მან ლარები უნდა გადაცვალოს ევროზე. გაყიდული საქონლის ღირებულების ევროთი შეიძლება ამერიკული ან ინგლისური ვალუტის შეძენა და ა.შ. ვალუტების გაცვლა, ანუ ეროვნული ვალუტით უცხოური ვალუტის შეძენა, შესაძლებელია სავალუტო ბაზარზე.

ვალუტის გაცვლის დროს, ჩვეულებრივ, კრედიტორის ვალუტა იცვლება მოვალის ვალუტაზე. ამ დროს უნდა მოხდეს ვალუტათა შორის თანაფარდობის განსაზღვრა, რასაც ვალუტის კურსის ანუ გაცვლითი კურსის დადგენა ეწოდება. გაცვლითი კურსი გამოხატავს უცხოური ვალუტის ერთეულის იმ მერყევ სიდიდეს, რომელიც შეიძლება გაცვლილ იქნეს ეროვნული ვალუტის ერთ ერთეულში. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ვალუტა არის ერთი ქვეყნის ფულადი ერთეულის ფასი, გამოხატული მეორე ქვეყნის ფულად ერთეულში. ეროვნული ფულადი ერთეულის კურსის განსაზღვრას უცხოურ ვალუტაში კოტირება ეწოდება. შესაძლებელია პირდაპირი კოტირება, როცა უცხოური ვალუტით განისაზღვრება ეროვნული ვალუტის კურსი. მაგალითად, 1 ამერიკული დოლარი უდრის 2 ლარს და უკუკოტირება, როცა ეროვნული ვალუტით განისაზღვრება უცხოური ვალუტის კურსი. მაგალითად, 10 ლარი უდრის 4 ევროს. უმრავლეს ქვეყნებში ეროვნული ვალუტის კურსის დასადგენად გამოიყენება პირდაპირი კოტირება. ინგლისში უკუკოტირებით ხდება კურსის დადგენა, ამერიკაში კი კოტირების ორივე ფორმა გამოიყენება. ვალუტის კურსი იყოფა გამყიდველისა და მყიდველის კურსებად. მყიდველის კურსით ბანკი ყიდულობს უცხოურ ვალუტას ეროვნული ვალუტით, ხოლო გამყიდველის კურსით იგი უცხოურ ვალუტას ყიდის ეროვნულ ვალუტაზე. პირდაპირი კოტირებისას გამყიდველის კურსი უფრო მაღალია, ვიდრე მყიდველისა. მათ შორის სხვაობას ეწოდება მარჟა და იგი ბანკის მოგებას შეადგენს. არსებობს კროს-კურსის დადგენის შესაძლებლობაც, რაც ორი უცხოური ვალუტის კურსის განსაზღვრას ნიშნავს ერთმანეთის მიმართ. მაგალითად, კროს-კურსის შემთხვევაა, როცა საქართველოს ეროვნული ბანკი ადგენს ამერიკული დოლარის კურსს ევროს ან რუსული რუბლის მიმართ. სავალუტო გაცვლითი კურსის განსაზღვრისას ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება სავალუტო ბაზარზე რომელიმე ქვეყნის ეროვნული ვალუტის მიწოდებისა და მოთხოვნის თანაფარდობას. მაგალითად, ლარზე მოთხოვნა სხვა ქვეყნის რეზიდენტებს წარმოემობათ მაშინ, თუ მათ სურთ შეიძინონ ქართული საქონელი ან თავიანთი კაპიტალი დააბანდონ საქართველოში (სესხის სახით, ქონების შეძენის გზით და სხვ.). ასევე ლარის მიწოდება განპირობებულია უცხოური ფირმების მიერ მიწოდებული საქონლის – ქართული ფირმების მიერ შეძენის ან საზღვარგარეთის ქვეყნებში ქართველი ბიზნესმენების მიერ თავიანთი კაპიტალის ინვესტირების სურვილით (უცხოური კაპიტალის შესაძენად საჭირო ლარების გაღება და სხვ.).

არსებობს ნომინალური და რეალური გაცვლითი კურსები.

ნომინალური გაცვლითი კურსი არის ორი ქვეყნის ვალუტის შეფარდებითი ფასი. მაგალითად, ამ კურსით 1 ამერიკული დოლარი 2 ლარის ეკვივალენტია. ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოს სავალუტო ბაზარზე შესაძლებელია 1 დოლარის გაცვლა 2 ლარზე და პირიქით.

სავალუტო ბაზარზე საცვლელი კურსები განუწყვეტლივ მერყეობს. ეს გამონვეულია ამა თუ იმ ქვეყნის ვალუტის მიწოდებისა და მოთხოვნის თანაფარდობის დარღვევით. როცა რომელიმე ქვეყნის ვალუტის საცვლელი კურსი მაღლა იწევს, მაშინ ამ ვალუტის ღირებულება მაღლდება. ასეთი ცვლილება სერიოზულ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. მაგალითად, როცა ქართული ვალუტის ღირებულება მაღლდება, მაშინ ფასები მაღლდება ექსპორტზე და მცირდება იმპორტზე. აქედან გამომდინარე, მცირდება ექსპორტი და სტიმული ეძლევა იმპორტს. ამას კი თან ახლავს საგადახდო ბალანსის გაუარესება. როცა გაცვლითი კურსი მაღალია, მაშინ უცხოური საქონელი შედარებით იაფია, ხოლო ქვეყნის შიგნით წარმოებული საქონელი შედარებით ძვირია და პირიქით.

რეალური გაცვლითი კურსი განისაზღვრება ორ ქვეყანაში წარმოებული საქონელთა შეფარდებითი ფასით. ამ კურსით აღინიშნება თუ რა თანაფარდობით შეიძლება გაიცვალოს ერთი ქვეყნის საქონელი





მეორე ქვეყნის საქონელზე. რეალური გაცვლითი კურსი საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობის აუცილებელი შემადგენელი ელემენტია. საქართველოში ლარის რეალური გაცვლითი კურსის შედარებით დაბალი დონე ხელს უწყობს სამამულო საქონლის გაიაფებას, ექსპორტის გაზრდასა და იმპორტის შემცირებას, ამიტომ მიზანშეწონილია ქართული ვალუტის გაცვლითი კურსი ატარებდეს სტაბილურ ხასიათს და მას ჰქონდეს ზრდის ტენდენცია. ეს შესაძლებელია შენარჩუნებულ იქნეს მტკიცე სავალუტო პარიტეტის საფუძველზე.

სავალუტო პარიტეტი ეწოდება სხვადასხვა ქვეყნების ფულად ერთეულებს შორის თანაფარდობას მათი მსყიდველობითი უნარის მიხედვით. ოქროს დემონეტოზაციამდე არსებობდა ოქროს პარიტეტი. იგი გამოხატავდა ფულადი ერთეულების თანაფარდობას მათი ოქროს შემცველობისა და ოქროს წონითი რაოდენობის მიხედვით. ამჟამად ოქროს პარიტეტი უკვე აღარ არსებობს.

ვალუტის კურსის რეგულირებისათვის გამოიყენება ფიქსირებული და მცურავი ვალუტის კურსები. ფიქსირებული ვალუტის კურსისათვის დამახასიათებელია ის, რომ ეროვნული ვალუტის თანაფარდობა უცხოურ ვალუტასთან ოფიციალურადაა დადგენილი და მისი შეცვლა სხვა ფაქტორებზე არ არის დამოკიდებული. ფიქსირებული გაცვლითი კურსის ძირითადი თავისებურება ისაა, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ცენტრალური ბანკი ვალდებულია ოფიციალურად წინასწარ განსაზღვრული საკურსო თანაფარდობით იყიდოს ან გაყიდოს ვალუტა. ამ დროს შიდა სავალუტო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობა ავტომატურ რეჟიმში ხორციელდება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს სავალუტო სპეკულაციის შესაძლებლობას. პრაქტიკაში ფიქსირებული გაცვლითი კურსის გავრცელებულ სახესხვაობად მიჩნეულია კურსის ე. წ. მიბმა რომელიმე მყარი ვალუტის მიმართ. უმეტესი ქვეყნები ასეთ სარეზერვო ვალუტად ამერიკის დოლარს იყენებენ. მცურავი ვალუტის კურსი კი საერთაშორისო ანგარიშსწორების ისეთი სისტემაა, რომლის დროსაც ცალკეულ ქვეყნებს უფლება აქვთ, შინაგანი ბაზრის განწონასწორების მიზნით, შეცვალონ გასაცვლიელი კურსი საბაზრო კონიუნქტურის შესაბამისად. ამიტომ ცენტრალური ბანკები პერიოდულად ადგენენ ეროვნული ვალუტის კურსს უცხოურ ვალუტებთან შეფარდებით და აქვეყნებენ შესაბამის მონაცემებს.

ვალუტის კურსის დადგენა ხდება და სავალუტო ოპერაციები ხორციელდება სავალუტო ბაზარზე და მის ცალკეულ სეგმენტებში. სავალუტო ბაზარი არის ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში გამოხატული საგადასახადო დოკუმენტების ყიდვა-გაყიდვისგარიგებათა დადებითა და განხორციელების მექანიზმი. სავალუტო გარიგებების საფუძველი მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობით განსაზღვრული კურსებია. ბაზრის დანიშნულებაა, უზრუნველყოს სხვადასხვა ვალუტის მფლობელთა შორის ანგარიშსწორების პრაქტიკული რეალიზაცია. ამას ბაზარი აკეთებს ბანკების, სავალუტო ბირჟების, საბროკერო ფირმებისა და სპეციალიზებული სტრუქტურების მეშვეობით.

მსოფლიო სავალუტო ბაზარი მოიცავს სხვადასხვა ქვეყნის ბანკების საკორესპოდენტო კავშირებს და წარმოადგენს საერთაშორისო ანგარიშსწორების განხორციელების მექანიზმს. შედარებით შეზღუდული არეალი გააჩნია ევროვალუტის ბაზარს. იგი ევროპის ქვეყნების ვალუტებით ხორციელდება. ამ ოპერაციებში აქტიურად მონაწილეობს ევროპის გაერთიანებული ვალუტა – ევრო. იგი წარმოადგენს ევროპის ქვეყნების ვალუტათა კალათის საშუალო შეწონილ მაჩვენებელს. აღნიშნული ქვეყნებისათვის ევრო, ამერიკული დოლარის პარალელურად, უპირველეს სარეზერვო ვალუტას წარმოადგენს. სავალუტო ბაზარი არ არის ტრადიციული გაგებით ვალუტის მყიდველებისა და გამყიდველების თავშეყრის ადგილი. სავალუტო ოპერაციები ხორციელდება ბანკების წარმომადგენელი მაკლერების მიერ, რომლებიც თავიანთი ბანკებიდან ერთმანეთს უკავშირდებიან კომპიუტერებითა და ტელეფონებით. მყიდველი ბანკი მისთვის სასურველი ვალუტის კურსის მქონე გამყიდველ ბანკს უკავშირდება და მათ შორის იდება სავალუტო გარიგება. გარიგებათა გარკვეული ნაწილი ფორმდება სავალუტო ბირჟებზე. უმეტესად სავალუტო ბირჟაზე ხდება უცხოური ვალუტის კოტირება. ბირჟაზე ფიქსირდება უცხოური ვალუტების ოფიციალური კურსი, რომელიც საფინანსო და სტატისტიკური გაანგარიშების საყოველთაო მასშტაბად მიიჩნევა და საფუძველად ედება არასაბანკო სექტორის კლიენტურასთან სავალუტო საანგარიშსწორებო ურთიერთობებს.

შიდასავალუტო ბირჟების ფუნქციონირებაში განსაკუთრებულ როლს ცენტრალური ბანკები ასრულებენ. ისინი სავალუტო კურსის გამაწონასწორებლად გამოდიან. ისეთ შემთხვევებში, როცა რომელიმე ვალუტის კურსის მნიშვნელოვანი ამალღების რეალობა შეიქმნება, ბანკი გაზრდის ამ ვალუტის მიწოდებას, ხოლო კურსის დაცემის ტენდენციის გამოვლენისას ცენტრალური ბანკი ყიდულობს ასეთ ვალუტას. ორივე შემთხვევაში ბანკის ინტერვენცია მიმართულია ეროვნული ვალუტის პარიტეტის შესანარჩუნებლად. ასეთი ინტერვენციები, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია ვალუტის ოფიციალური კურსის დანევის აუცილებლობით. თანამედროვე პირობებში ცალკეულ ქვეყნებში არსებული ძლიერი სა-



ვალუტო ბირჟები არა მარტო შიდასავალუტო ოპერაციების, არამედ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობის განხორციელების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენენ. ამ მხრივ გამორჩეულია გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიის, ამერიკისა და იაპონიის სავალუტო ბირჟები. ზოგიერთ ქვეყანაში სავალუტო ბირჟა საერთოდ არ არსებობს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქვეყანაში ეროვნული ვალუტის კურსების განსაზღვრა არ ხორციელდება. ვალუტის კოტირება ყველგან ხდება, მაგრამ ამისათვის სხვადასხვა საშუალებები გამოიყენება. მაგალითად, შვეიცარიაში უცხოური ვალუტის კურსებს უმსხვილესი ბანკები ადგენენ. ასეა ინგლისშიც, სადაც პერიოდულად ქვეყნდება მონაცემები მინიმალური და მაქსიმალური კურსების შესახებ. სკანდინავიის ქვეყნებში ეროვნულ და კომერციულ ბანკებს შორის წინასწარ ხდება შეთანხმება ამერიკული დოლარისა და ინგლისური გირვანქა სტერლინგის კურსების თაობაზე. ზოგიერთ ქვეყანაში რამდენიმე სავალუტო ბირჟა არსებობს კოტირების განსხვავებული დონით. მათგან საშუალო კურსი განისაზღვრება ცენტრალური ბანკების მიერ, რაც საფუძვლად ედება სხვა ბანკების მიერ განხორციელებელ საანგარიშსწორებო ოპერაციებს.

თანამედროვე საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობები განვითარების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჩამოყალიბდა. საფუძველი კი მაშინ ჩაეყარა, როცა საერთაშორისო საგადახდო ბრუნვაში ფულის გამოყენება დაიწყო. შემდგომ პერიოდში მრავალჯერ შეიცვალა მსოფლიო ფულის ფორმები. მნიშვნელოვნად გაიზარდა ფულის მიმოქცევის საერთაშორისო სისტემის ფარგლები. ეკონომიკურ ურთიერთობათა საერთაშორისო მასშტაბები მნიშვნელოვნად განაპირობებდა საქონლისა და მომსახურების კაპიტალისა და სამუშაო ძალის ინტენსიურ მოძრაობას ცალკეულ ქვეყნებს შორის, რასაც ლოგიკურად მოჰყვებოდა ფულის მასის ბრუნვაში გაზრდილი ოდენობით მოქცევა. ყოველივე ამან გამოიწვია მწყობრი სავალუტო სისტემის შექმნის აუცილებლობა და საერთაშორისო გაცვლების სამართლებრივი საფუძვლების შემუშავება. მსოფლიო სავალუტო სისტემა მსოფლიო მეურნეობის ეკონომიკური სისტემის ორგანული ნაწილია და წარმოადგენს ცალკეული ქვეყნების შიდა ფულად-საკრედიტო მიმოქცევისა და საერთაშორისო საანგარიშსწორებო ურთიერთობათა ერთობლიობას, სავალუტო სისტემაში იგულისხმება როგორც ეკონომიკური (ქვეყნებს შორის ფულადი ანგარიშსწორება, საერთაშორისო ფულადი სახსრების ერთობლიობა, ეროვნულ ვალუტათა კოტირება), ისე ინსტიტუციონალური (სავალუტო ინსტიტუტები – სავალუტო ბაზრები, ბირჟები და სხვ.) მექანიზმების ურთიერთგანპირობებულობა. მსოფლიო სავალუტო სისტემა თავდაპირველად სტიქიურად ჩამოყალიბდა XIX საუკუნეში ოქროს სტანდარტის სახით. იურიდიულად იგი გაფორმდა პარიზის საერთაშორისო კონფერენციაზე 1867 წელს. კონფერენციამ ოქრო აღიარა მსოფლიო ფულის ერთადერთ ფორმად. ამ სისტემის ამოსავალი პრინციპები იყო: სახელმწიფოს მიერ ოქროს ფასის ფიქსირება და შესაბამისად, მისი ფულადი ერთეულის ღირებულების ოქროთი ასახვა; ეროვნული ვალუტის კურსის დადგენა ოქროთი; სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ფულის მასის სრული უზრუნველყოფა ოქროთი. ოქროს სტანდარტს გააჩნდა ორი ფორმა – ოქრომონეტური და ოქროზოდური. ოქრომონეტური სტანდარტისათვის დამახასიათებელი იყო: ოქროს მონეტების თავისუფლად მოჭრა, ღირებულების ნიშნების შეუზღუდავი გადახურდავება ოქროს მონეტებზე და ოქროს თავისუფალი ექსპორტ-იმპორტი. ვალუტის კონვერტირებულობა გულისხმობდა მისი გაცვლის შესაძლებლობას არა მარტო სხვა ვალუტაზე, არამედ ოქროზეც. იგულისხმება, რომ გაცვლა უნდა მომხდარიყო ფიქსირებული პარიტეტის მიხედვით.

ცენტრალური ბანკები ოქროს ყიდულობდნენ და ყიდდნენ მტკიცე სავალუტო კურსით. კანონით ფიქსირებული ოქროს ფასი იმავდროულად მის საბაზრო ფასსაც აღნიშნავდა. საბანკო ბილეთები უზრუნველყოფილი იყო ოქროს საკმარისი მარაგით. აქედან გამომდინარე, ბანკნოტები ფაქტობრივად ქალაქის ფულს კი არ წარმოადგენდა, არამედ ოქროს მონეობის ანუ ოქროს სერთიფიკატის ფორმას იძენდა. საერთაშორისო ვაჭრობაში ქვეყნებს შორის წარმოშობილი სალდო ოქროთი იფარებოდა. ამიტომ ოქროს მეტი რაოდენობით შემოდინება ქვეყანაში, მის საგადახდო ბალანსზე დადებითად მოქმედებდა. გაცვლითი კურსი არ შეიძლებოდა მნიშვნელოვნად გადახრილიყო ოქროს პარიტეტისაგან. ამ გაგებით ოქროს სტანდარტი უზრუნველყოფდა ვალუტათა შორის წონასწორობის დაცვას. ოქროს სტანდარტის პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნილება ოქროზე. ოქროს მოპოვება ჩამორჩა წარმოების განვითარების მოცულობას. მოგვიანებით, ეკონომიკის სწრაფმა აღმავლობამ ბევრ ქვეყანაში შესაძლებელი გახდა ვალუტის გაცვლის შესაძლებლობა ოქროს ზოდებში. ეს მონეტების შემოღებამდე არსებული წესის აღდგენას ნიშნავდა. დაიწყო ღირებულების ნიშნების გადახურდავება ოქროს ზოდებზე, თუმცა ოქროს ფონდის სიმცირის გამო ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში შემოღებულ იქნა ოქრო-დევიზური სტანდარტი, რომელიც ღირებულების ნიშნების უმეტესად უცხოურ ვალუტაზე გაცვლას გულისხმობდა. დევიზი უცხოურ ვალუტაში გამოხატული საგადახდო საშუალებაა და ოქროს ფონდის სტაბი-



ლური დონის შენარჩუნების საშუალებად გამოიყენებოდა. ყოველივე ეს მსოფლიო სავალუტო სისტემის მეორე ეტაპის შექმნას მოასწავებდა. ეს სისტემა იურიდიულად გაფორმდა გუნების საერთაშორისო ეკონომიკურ კონფერენციაზე 1922 წელს. მეორე მსოფლიო სავალუტო სისტემა დაეფუძნა შემდეგ პრინციპებს: ახალი სავალუტო სისტემის საფუძველი გახდა ოქრო და დევიზები, შენარჩუნდა ოქროს პარიტეტები, აღდგენილ იქნა თავისუფლად მერყევი სავალუტო კურსები, სავალუტო რეგულირებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა აქტიური სავალუტო პოლიტიკის განხორციელებამ. ახალმა სავალუტო სისტემამ თავისი არსებობის პირველი 10–12 წლის მანძილზე რეალურად შეუწყო ხელი სავალუტო სტაბილიზაციის შენარჩუნებას. მაგრამ XX საუკუნის ოცდაათიანი წლების მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა საფუძველი დაუდო ოქრო–დევიზური სტანდარტის გაუქმებას. დაიწყო ეკონომიკურად სუსტად განვითარებადი ქვეყნების ვალუტების გაუფასურება, მნიშვნელოვნად შემცირდა მათი სავალუტო კურსები; ოქროს რეზერვების შემცირებამ გამოიწვია ბანკების გაკოტრება. ჯერ ინგლისმა და შემდეგ ამერიკამ სრულიად შეწყვიტეს თავიანთი ვალუტების გაცვლა ოქროზე. შემდეგ ასევე მოიქცა საფრანგეთი, ჰოლანდია, შვედეთი და სხვა ქვეყნები. დღის წესრიგში დადგა ახალი სავალუტო სისტემის შექმნა. იგი შეიქმნა კიდევ 1944 წელს ბრეტონ–ვუდის კონცერენციის საფუძველზე. მესამე მსოფლიო სავალუტო სისტემის ძირითად პრინციპებად განისაზღვრა: ოქრო–დევიზური სტანდარტის აღდგენა, მტკიცე სავალუტო კურსის დამკვიდრება და ახალი საერთაშორისო სავალუტო–საკრედიტო სისტემის შემოღება. ოქრო–დევიზური სტანდარტის შემოღება ნიშნავდა იმას, რომ სავალუტო რეზერვი უნდა შექმნილიყო, ერთი მხრივ, ოქროსაგან და მეორე მხრივ, წამყვანი ვალუტისაგან, რომლებიც შეუზღუდავად გადაიცვლებოდა სხვა ვალუტებზე. ბრეტონ–ვუდის შეთანხმებით დოლარის პარიტეტი დადგინდა ოქროს მიმართ, ხოლო ყველა სხვა ვალუტის პარიტეტი უნდა დადგენილიყო დოლარის მიმართ. ეს პარიტეტი უნდა ყოფილიყო მუდმივი და მისი ფიქსაცია უნდა განხორციელებულიყო ახლად შექმნილ საერთაშორისო სავალუტო ფონდში. ამ ღონისძიებით ფეხს იკიდებდა დოლარის სტანდარტი, რომელიც ოქროსთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა. დასაშვებად იქნა მიჩნეული სავალუტო ფონდის წევრი ქვეყნების ვალუტათა კურსის მერყეობა, თუმცა თითოეულ ქვეყანას დაევალა უზრუნველყოთ ოქროს ან დოლარის მიმართ თავიანთი ვალუტების მტკიცე პარიტეტები. ჩვეულებრივ, რომელიმე ქვეყნის ვალუტაზე მოთხოვნა და მიწოდება იშვიათად შეესაბამება მტკიცედ ფიქსირებულ კურსს. რეალური კურსის მერყეობა ნორმალურად ჩაითვალება 1%-ის ფარგლებში. მაგრამ, თუ გადახრა უფრო მეტი იქნებოდა, ცენტრალურ ბანკს ეროვნული და უცხოური ვალუტის – ყიდვა–გაყიდვით კურსი უნდა მოეყვანა სტაბილურ მდგომარეობაში. ეს წესი არ ვრცელდებოდა ამერიკაზე. თუ დოლარის კურსი დაეცემოდა, მაშინ ამერიკის ცენტრალური ბანკები მათ განკარგულებაში არსებული უცხოური ვალუტით ახერხებდნენ დოლარის შესყიდვას. ეს რეზერვი თუ არასაკმარისი იქნებოდა, მაშინ დოლარის კურსის დაცვა ხდებოდა ოქროს თავისუფალი გაყიდვით.

ამერიკის ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილურობამ განაპირობა დოლარის გაბატონებული მდგომარეობა საერთაშორისო ანგარიშსწორებაში. დოლარზე მოთხოვნილება მნიშვნელოვნად გაიზარდა, რამაც საბოლოო ჯამში, გამოიწვია მრავალი ქვეყნის სავალუტო კურსის შეუსაბამობა მის რეალურ შინაარსთან. დაიწყო დოლართან მიმართებაში წამყვანი ვალუტების კურსის დაცემის პროცესი. XX საუკუნის მეორე ნახევარში ტრანსნაციონალური კაპიტალის ჩამოყალიბებამ და ეკონომიკური ურთიერთობების ფართო ინტეგრაციამ გააძლიერა მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის ინტერნაციონალიზაცია. ამან კიდევ უფრო შეუწყო ხელი დოლარის კურსის გაზრდას, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მასთან შეფარდებით სხვა ვალუტების კურსების მერყეობის პროცენტი. მოქმედი სავალუტო სისტემა უკვე გამოუსადეგარი აღმოჩნდა და ბრეტონ–ვუდის სავალუტო სისტემამ არსებობა შეწყვიტა.

1976 წელს საფუძველი ჩაეყარა ახალ მსოფლიო სავალუტო სისტემას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი ქვეყნების წარმომადგენელთა შეთანხმებით იამაიკის ქალაქ კინგსტონში განისაზღვრა მეოთხე სავალუტო სისტემის პრინციპები: 1. დასრულდა ოქროს მონეტიზაციის პერიოდი. გაუქმდა მისი ოფიციალური ფასი, ოქროს პარიტეტი, შეწყდა დოლარის გადაცვლა ოქროზე; 2. ოქროს მარაგის ნაწილი გაიყიდა საბაზრო ფასის მიხედვით და მიღებული შემოსავალი გამოყენებულ იქნა განვითარებადი ქვეყნების დასაკრედიტებლად, ნაწილი კი დაუბრუნდა ფონდის წევრ–ქვეყნებს თავიანთი კვოტის პროპორციულად თავდაპირველი ფასებით: 1 უნცია – 35 დოლარი; 3. ქვეყნებს მიეცათ სავალუტო სასურველი რეჟიმის არჩევანის უფლება და სხვ. საერთაშორისო ანგარიშსწორებიდან ოქროს საბოლოოდ გამოდევნის შემდეგ მისი ადგილი დაიკავა დოლარმა. მას ფორმალურად ჩამოერთვა სარეზერვო ვალუტის სტატუსი, მაგრამ ფაქტობრივად იგი კვლავ დარჩა საერთაშორისო საგადახდო და სარეზერვო საშუალებად. დოლარი თანამედროვე მსოფლიოს მთავარი ვალუტაა. ეს განაპირობა ამერიკის ეკონომიკის მაღალმა დონემ



და მსოფლიოში მისმა ყველაზე დიდმა ოქროს მარაგმა. ამიტომ თანამედროვე მსოფლიო სავალუტო სისტემას დოლარის სტანდარტი ეწოდება.

იამაიკის სავალუტო სისტემაში ახალი სავალუტო რეჟიმით დაკანონდა მცურავი გადასაცვლელი კურსი. ფიქსირებულ კურსთან შედარებით მცურავი კურსი ყალიბდება თავისუფლად მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე. მცურავი კურსი მოქმედი სავალუტო სისტემის მთავარი განმსაზღვრელია.

საერთაშორისო სავალუტო სისტემის შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს ევროპული სავალუტო სისტემა. იგი შეიქმნა 1979 წელს ევროპული ეკონომიკური გაერთიანების წევრ-ქვეყნების მიერ. ამ ქვეყნებს გააჩნიათ საერთო ვალუტა – ევრო.

იამაიკის სავალუტო სისტემებისაგან განსხვავებით, ევრო-სავალუტო სისტემა ოქროს იყენებს რეალურ სარეზერვო აქტივად. ამ მიზნით მისმა წევრმა ქვეყნებმა ოქროს ერთობლივი ფონდი შექმნეს. ევრო ნაწილობრივ უზრუნველყოფილია ოქროთი. ოქროსთან ერთად სარეზერვო ფონდში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია უცხოურ ვალუტას – დოლარს.

### გამოყენებული წყაროები

1. შენგელია რ., შენგელია ე., საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ., 2014;
2. ხელაია გ., საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობანი, თბ., 2005;
3. Ерпылева Н. Ю., Международное банковское право, М., 2012;
4. Шумилов В. М., Международное финансовое право, М., 2011;
5. Davies N., Green D., Global Financial Regulation, Polity, 2008;
6. Schvintovski Hans-Peter, bankrecht, München, 2004.

### რ. შენგელია, ე. შენგელია

#### სავალუტო ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების საფუძვლები

#### რეზიუმე

გამოკვლევაში ყურადღება გამახვილებულია სავალუტო ურთიერთობათა შინაარსზე, მათ სპეციფიკურ თავისებურებებზე, ამ ურთიერთობათა სუბიექტების კონკრეტულ უფლება-მოვალეობებზე; ჩამოყალიბებულია ვალუტის ცნება და სახეები, კონვერტაცია და ვალუტის გაცვლის კურსი; დახასიათებულია სავალუტო ბაზრების დანიშნულება და მათი ფუნქციონირების სამართლებრივი მექანიზმები; გაანალიზებულია საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობათა განვითარების ტენდენციები და მსოფლიოს სავალუტო სისტემების ჩამოყალიბების ცალკეული (პარიზის 1867 წლის, გენუის 1922, ბრეტონ-ვუდსის 1944 და იამაიკის (კინგსტონის) 1976 წლის საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენციების შეთანხმებები) ეტაპები.

### R. Shengelia, E. Shengelia

#### Fundamentals of legal regulation of currency relations

#### Summary

The study focuses on the content of currency relations, their specific peculiarities, the specific rights and duties of the subjects of these relations; The currency concept and types, conversion and currency exchange rate are established; The purpose of currency markets and the legal mechanisms for their functioning are characterized; The trends of development of international monetary relations and separate stages of formation of the world's currency systems (Paris 1867, Genoa 1922, Bretton Woods 1944 and Jamaica (Kingston) 1976 International Economic Conferences Agreements) are analyzed.



# ეკონომიკის მეცნიერებები

## ბ. ალადაშვილი

### სამენარმეო ეკონომიკის შესწავლის ასპექტები

სამენარმეო საქმიანობის წამოწყების და ფუნქციონირების ხელშეწყობა ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ერთ-ერთი გზაა. მენარმეობის განვითარება ის ორიენტირია, რომელმაც ჯერ კიდევ დაფარული პოტენციული უნდა გამოავლინოს. არაერთი მეცნიერი მიუთითებს, რომ სწორედ მენარმეობის ხელშეწყობაზეა დამოკიდებული ეკონომიკური ზრდის მომავალი მსოფლიოში. აღსანიშნავია, რომ სწრაფად მზარდი ფირმების წარმოშობა არ არის ეკონომიკური ზრდის საკმარისი პირობა და სწორედ მის საპასუხოდ გაჩნდა სამენარმეო ეკონომიკის მიდგომა.

საკითხთან დაკავშირებით, თუ რა არის წარმატებული სამენარმეო ეკონომიკის მთავარი კომპონენტები და რა ძირითად ფაქტორებზეა დამოკიდებული მისი ნორმალური ფუნქციონირება, ცალსახა პასუხი არ არსებობს.

სამეცნიერო კვლევების შედეგების გაცნობა გვარწმუნებს, რომ სამენარმეო ეკონომიკისათვის დაკავშირებით როგორც ცნების, ისე ფუნქციონირების თავისებურებების შესახებ შეხედულებები მრავალგვარია, რაც საკითხის შესწავლა-გაანალიზების, ახალი კვლევებისა და სასარგებლო დასკვნების გამოსახვის სტიმულს იძლევა (საკითხს მივუძღვნით ნაშრომი – Aladashvili, 2018). მოცემულ ნაშრომში მიზნად დავისახეთ გავაფართოოთ სამენარმეო ეკონომიკის კომპონენტების კვლევა და განვიხილოთ საკითხის შესწავლის გამოწვევები.

მენარმეობის მხარდაჭერაში მეცნიერთა უმრავლესობა სახელმწიფოს მთავარ როლს გამოყოფს, როცა საკითხი ეხება სამენარმეო ეკონომიკის შექმნას, თუმცა რიგ სამეცნიერო კვლევებში სახელმწიფო პოლიტიკის ალტერნატიულ ან შემავსებელ ვარიანტებზეა მსჯელობა და სახელმწიფოს როლი კრიტიკულადაა განხილული. ბიზნესგარემოს ხელშეწყობი ფორმალური ინსტიტუციური გარემოს უზრუნველყოფის გარდა, რაც სახელმწიფოს ფუნდამენტური ფუნქციაა, მას შეუძლია ფირმების პირდაპირი დაფინანსების არჩევანისგან განსხვავებით უპირატესობა მიანიჭოს გრძელვადიან ორიენტირებს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკა აჩვენებს, რომ სასწავლო დაწესებულებებისა და ბიზნესინკუბატორების მხარდაჭერა მენარმეობის წასახალისებლად უფრო შედეგიანია. გასათვალისწინებელია, რომ სწავლების ალტერნატიული გზის შერჩევა, რაც სამენარმეო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზეა ორიენტირებული, ხანგრძლივი პროცესია და არ იძლევა მყისიერ შედეგს. წარმატების მაგალითების განხილვისას მნიშვნელოვანია ფოკუსირება იმ ადგილობრივ თავისებურებებზე, რაც სამენარმეო პოტენციალის გამოვლენის, გაფართოების და განვითარების შესაძლებლობებს შექმნის.

თავად სამენარმეო ეკონომიკის არსის შესახებ შეხედულებები არაერთგვაროვანია. ამასთან, წარმატების ფაქტორებიც განსხვავებულია. მაგალითად, წარმატებული ეკონომიკის ფუნქციონირების საფუძველი ერთ შემთხვევაში შეიძლება გახდეს სამრეწველო რეგიონის არსებობა ქვეყანაში, სხვა შემთხვევაში კლასტერი ან ინოვაციური სისტემა. თითოეულ ამ შემთხვევას თავისი აქტორები და სამიზნე ორიენტირები აქვს.

გარკვეული მოსაზრებით იგი მუშაობს მაშინ, თუ სიცოცხლისუნარიან ტექნოლოგიურ პარკებს და ინოვაციურ ცენტრებს ეყრდნობა, სახელმწიფოს ჩარევა კი გამართლებულია ინოვაციების ბაზრის ჩავრდნებით; სხვა კვლევები ადამიანებზე, მათ იდეებსა და ნიჭზე, პირად ქსელებსა და მხარდამჭერებზე ამახვილებს ყურადღებას.

მეცნიერები მესონი და ბრაუნი (Mason&Brown, 2014) სამენარმეო ეკონომიკის გამორჩეულ მახასიათებლებად მიიჩნევენ შემდეგს: დაფუძნებული დიდი ბიზნესი ქმნის ბირთვს, რომელიც მოიცავს წამყვან მენარმეებსაც; ხორციელდება სამენარმეო რეციკლირება, რომლის მეშვეობითაც წარმატებული მენარმეები თავიანთი დროის, ფულის და გამოცდილების რეინვესტირებას ახდენენ ახალი სამენარმეო საქმიანობის მხარდასაჭერად და არის მდიდარი საინფორმაციო გარემო, სადაც ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი და გაზიარებულია.

მეცნიერები სტამი და შპიგელი (Stam&Spigel, 2016) ეკონომიკას განმარტავენ როგორც ურთიერთდამოკიდებული აქტორებისა და ფაქტორების ერთობლიობას, რომლებიც კოორდინირებულია ისე, რომ



კონკრეტული ტერიტორიის ფარგლებში პროდუქტიული მენარმეობის საშუალებას იძლევა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი სამენარმეო ეკოსისტემის ფართომასშტაბით წარმოდგენის საშუალებას იძლევა და შემდეგ ბლოკებად ყოფს: ხელმისაწვდომი ბაზრები; ადამიანური კაპიტალი – სამუშაო ძალა; დაფინანსება და ფინანსები; სისტემის მხარდაჭერა; მარეგულირებელი ჩარჩო და ინსფრასტრუქტურა; განათლება და ტრენინგები; მთავარი უნივერსიტეტები, როგორც კატალიზატორები; კულტურის მხარდაჭერა (Entrepreneurial Ecosystems, WEF, 2013). მიზანშეწონილად მივიჩნევთ, უფრო ფართოდ წარმოვადგინოთ აღნიშნული ბლოკები. ისინი შემდეგი კომპონენტებისგან შედგება:

**ხელმისაწვდომი ბაზრები:** შიდა ბაზარი – მსხვილი კომპანიები, როგორც მომხმარებლები; შიდა ბაზარი – მცირე და საშუალო კომპანიები, როგორც მომხმარებლები; შიდა ბაზარი – მთავრობები, როგორც მომხმარებლები; უცხოური ბაზარი – მსხვილი კომპანიები, როგორც მომხმარებლები; უცხოური ბაზარი – მცირე და საშუალო კომპანიები, როგორც მომხმარებლები; უცხოური ბაზარი – მთავრობები, როგორც მომხმარებლები.

**ადამიანური კაპიტალი / სამუშაო ძალა:** მენეჯმენტის ნიჭი; ტექნიკური ნიჭი; სამენარმეო კომპანიის გამოცდილება; აუთოსრისინგის ხელმისაწვდომობა; იმიგრანტ სამუშაო ძალაზე ხელმისაწვდომობა.

**დაფინანსება და ფინანსები:** მეგობრები და ოჯახი; ანგელოზი ინვესტორები; კერძო ფონდები; ვენჩურული კაპიტალი; კრედიტის ხელმისაწვდომობა.

**სისტემის მხარდაჭერა:** მენტორები, მრჩეველები; პროფესიონალური მომსახურება; ინკუბატორები, აქსელერატორები; მენარმეების ქსელი.

**მარეგულირებელი ჩარჩო და ინსფრასტრუქტურა:** ბიზნესის დანყების სიმარტივე; საგადასახადო სტიმულები; ბიზნესის მხარდამჭერი კანონმდებლობა / პოლიტიკა; ძირითად ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა (მაგ. წყალი, ელექტროენერგია); ტელეკომუნიკაციებზე ხელმისაწვდომობა; ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა.

**განათლება და ტრენინგები:** ხელმისაწვდომი სამუშაო ძალა უნივერსიტეტამდელი განათლებით; ხელმისაწვდომი სამუშაო ძალა საუნივერსიტეტო განათლებით; სპეციფიკური სამენარმეო ტრენინგი.

**მთავარი უნივერსიტეტები, როგორც კატალიზატორები:** ძირითადი უნივერსიტეტები – მენარმეობისადმი პატივისცემის კულტურის ხელშემწყობები; ძირითადი უნივერსიტეტები – ახალი კომპანიებისთვის იდეის ფორმირებაში ძირითადი როლის შემსრულებლები; ძირითადი უნივერსიტეტები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ახალი კომპანიებისთვის კურსდამთავრებულების მომზადებაში.

**კულტურის მხარდაჭერა:** რისკისა და მარცხისადმი დამოკიდებულება; თვითდასაქმებისათვის უპირატესობის მინიჭება; წარმატების ისტორიები/ მოდელების როლი; კვლევის კულტურა; მენარმეობის პოზიტიური იმიჯი; ინოვაციების აღნიშვნა.

წარმოდგენილი კომპონენტებიდან ლოკალური თავისებურებების გათვალისწინებით სხვადასხვა ელემენტების კომბინაცია ასრულებს შემაკავშირებელი ბირთვის როლს. ქსელების ფუნქციონირებას ისეთივე გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, როგორც თავად ელემენტების არსებობას. მაგალითად, მენარმეების ქსელები უზრუნველყოფენ ინფორმაციის გადადინებას, რაც უზრუნველყოფს ცოდნის, შრომისა და კაპიტალის ეფექტურ განაწილებას. აღნიშნულთა შორის არის რიგი საბაზო ელემენტები, რომლებიც ეფექტური სამენარმეო ეკოსისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი შემადგენელია – მაგალითად, სათანადო ნიჭის მქონე და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი სამუშაო ძალა.

მეცნიერი სტამი სამენარმეო ეკოსისტემის ელემენტების ურთიერთკავშირის შემდეგ ვერსიას გვთავაზობს (ნახ. 1):



შედეგები	ერთობლივი ღირებულების შექმნა					
გამოშვება	სამენარმეო აქტივობა					
	სამენარმეო ეკოსისტემის ელემენტები					
სისტემური პირობები	ქსელები	ლიდერობა	ფინანსები	ნიჭი	ცოდნა	დამხმარე მომ-სახურება/ შუა-მავლები
ჩარჩო პირობები	ფორმალური ინ-სტიტუტები	კულტურა	ფიზიკური ინ-ფრასტრუქტურა	მოთხოვნა		

**ნახ. 1. სამენარმეო ეკოსისტემის ელემენტები, გამოშვება და შედეგები (Stam, 2015).**

ზემოთმოტანილი მიდგომებით თუ ვიმსჯელებთ, სახელმწიფო სამენარმეო ეკოსისტემის კომპონენტებიდან პირდაპირი გზით უკავშირდება (ქმნის) ფორმალურ ინსტიტუტებს, ზოგიერთ შემთხვევაში ფიზიკურ ინფრასტრუქტურას ან არაპირდაპირი გზით ზემოქმედებს სისტემის სხვა ელემენტებზე (მაგალითად, სათანადო ცოდნის შექმნა კვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადებით).

საქართველოს სამენარმეო ეკოსისტემაში სახელმწიფო ერთ-ერთი მთავარი აქტორია, რომელიც ცდილობს შეავსოს ერთი მხრივ, საბაზრო ჩავარდნებით, ხოლო მეორე მხრივ ფინანსებზე ხელმისაწვდომობით გამოწვეული სირთულეები. ამ მიმართულებით ერთ-ერთი მთავარი აქტორია სააგენტო "ანარმოე საქართველოში", რომელიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიული პირია. იგი სამენარმეო გარემოს გაუმჯობესებაზე, კერძო სექტორის განვითარებაზე, მცირე და საშუალო საწარმოებისა და ექსპორტის ხელშეწყობაზე ორიენტირებული სახელმწიფო პროგრამის "ანარმოე საქართველოში" განმახორციელებელი პირველი სახელმწიფო უწყებაა („ანარმოე საქართველოში“). ის საქმიანობას სხვადასხვა მიმართულებით ახორციელებს: ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, დარგობრივი მიმართულებებით საქმიანობის ხელშეწყობა (სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება, კინოინდუსტრიის განვითარება), მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა, ექსპორტის ხელშეწყობა, ტრენინგები და კონსულტაციები, ბიზნესის სერვისცენტრის მომსახურების შეთავაზება. ეს უკანასკნელი წარმოადგენს მრავალფუნქციურ ბიზნეს სივრცეს. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია შემდეგი მომსახურებების თუ ინფორმაციის ერთ სივრცეში მიღება: ინფორმაცია ბიზნეს სექტორის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებზე; სააგენტოს "ანარმოე საქართველოში" მონაცემთა ბაზაში არსებულ პოტენციურ ბიზნეს პარტნიორებთან დაკავშირება; მცირე და საშუალო მენარმეების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.

სახელმწიფოს, როგორც მთავარი სუბიექტის როლზე საქართველოს ეკოსისტემის ფორმირებაში მიუთითებს ის გარემოება, რომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 323 პროექტი, რომელთა საერთო ღირებულებამ შეადგინა 406 მლნ. ლარი, განხორციელდა 786 მლნ. ლარის მთლიანი ინვესტიციები, შეიქმნა 13000 ახალი სამუშაო ადგილი (ანარმოე საქართველოში, წლიური ანგარიში, 2017).

საქართველოს სამენარმეო ეკოსისტემის ფორმირებაში მნიშვნელოვანია აღინიშნოს 2011 წელს დაფუძნებული სს „საპარტნიორო ფონდის“ საქმიანობა. ფონდი ფინანსურ პარტნიორობას უწევს კერძო ინვესტორებს, რაც საშუალო და გრძელვადიან თანადაფინანსებას გულისხმობს. იგი პარტნიორობას უწევს როგორც ახალ ბიზნესინიციატივებს, ასევე უკვე არსებულ ბიზნესში ინვესტიციების განხორციელებას. ფონდის მონაწილეობა თანადაფინანსების პროცესში არ უნდა აღემატებოდეს 50%-ს. ის ეხმარება პარტნიორ კომპანიას და მის გუნდს გრძელვადიანი მდგრადობის მიღწევაში. ფონდის მართვაში არსებული აქტივების ჯამურმა ბრუნვამ 2017 წელს 750 მლნ. აშშ დოლარს გადააჭარბა. იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად საპარტნიორო ფონდის პორტფელშია რამდენიმე პროექტი ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში, რომელთა ჯამური ბრუნვა 2,5 მლრდ აშშ დოლარს აღემატება, მიუთითებს აღნიშნული სტრუქტურის (და შესაბამისად სახელმწიფოს) განსაკუთრებულ როლზე (საპარტნიორო ფონდის ინფორმაცია).

განხილული მაგალითებით სამენარმეო ეკოსისტემის მხოლოდ ერთ კომპონენტზე გავამახვილეთ



ყურადღება, თუმცა ნათელია, რომ საქართველოს ხელისუფლების საქმიანობა შეიძლება შეფასდეს როგორც სამენარმეო ეკოსისტემის ფორმირების მთავარი აქტორის, რომელიც იღებს ინიციატორის (საქმიანობისათვის, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტიმულირებას) და ნაწილობრივ ადმინისტრატორის ფუნქციას (ეკონომიკური პოლიტიკა, პროექტები, გეგმები და ინვესტიციები). საქართველოში არ არსებობს სრულყოფილი სტატისტიკა, რამდენად სიცოცხლისუნარიანი ფირმები შექმნა, რაც სამენარმეო მიმართულებით სახელმწიფო-კერძო სექტორის თანამშრომლობის ეფექტიანობის შეფასების საშუალებას მოგვცემს. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სახელმწიფოს გრძელვადიანი ზემოქმედების შედეგების შეფასებაც, რაც გამოიხატება საგანმანათლებლო სექტორში პროფესიულ პროგრამებზე ვექტორის გადატანაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისტემის ცალკეული კომპონენტის მიხედვით შესაძლებელია კვლევის ჩატარება, რომელიც გამოავლენს როგორც მისი ცალკეული ელემენტის, ისე მთლიანად სისტემის ფუნქციონირების დონეს.

### გამოყენებული წყაროები

1. აწარმოე საქართველოში <http://enterprisegeorgia.gov.ge/ge/aboutus/Mission--Vission?v=78>;
2. აწარმოე საქართველოში, წლიური ანგარიში, 2017, <http://enterprisegeorgia.gov.ge/files/document/1e6c8aea49def04c0771e6b314b0d08b.pdf> ;
3. საპარტნიორო ფონდი <http://www.fund.ge/who-we-are>;
4. Aladashvili G. The Phenomenon of Entrepreneurial Ecosystem, Its Formation and Development Challenges, Стратегічні імперативи сучасного менеджменту : зб. матеріалів IV Міжнар. наук.-практ. конф. (19–20 квітня 2018 р.). К. : KHEU, 2018, pp. 10-16;
5. Mason C., Brown R. Entrepreneurial Ecosystems And Growth Oriented Entrepreneurship, Background paper prepared for the workshop organised by the OECD LEED Programme and the Dutch Ministry of Economic Affairs on Entrepreneurial Ecosystems and Growth Oriented Entrepreneurship, The Hague, Netherlands, 2014;
6. Stam E. Entrepreneurial Ecosystems and Regional Policy: A Sympathetic Critique, Utrecht University School of Economics, June 2015;
7. Stam E., Spigel B. Entrepreneurial Ecosystems, Utrecht School of Economics, November 2016 <http://www.uu.nl/organisatie/utrecht-university-school-of-economics-use/onderzoek/publicaties/discussion-papers/2016>;
8. Entrepreneurial Ecosystems, 2013, Entrepreneurial Ecosystems Around the Globe and Company Growth Dynamics, World Economic Forum, September 2013.

### გ. ალადაშვილი

#### სამენარმეო ეკოსისტემის შესწავლის ასპექტები

#### რეზიუმე

სამენარმეო საქმიანობის წამოწყების და ფუნქციონირების ხელშეწყობა ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ერთ-ერთი გზაა. სამენარმეო საქმიანობას ხელს უწყობს სათანადო ეკოსისტემა. მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია სამენარმეო ეკოსისტემის შესწავლის გამოწვევები, რაც უკავშირდება იმ გარემოებას, რომ საკითხის შესწავლისადმი მიდგომები მრავალგვარია და სისტემის კომპონენტების სხვადასხვა კომბინაცია გვხვდება სამეცნიერო ნაშრომებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებში. მენარმეობის მხარდაჭერაში მეცნიერთა უმრავლესობა სახელმწიფოს მთავარ როლს გამოყოფს, როცა საკითხი ეხება სამენარმეო ეკოსისტემის შექმნას, თუმცა რიგ სამეცნიერო კვლევებში სახელმწიფო პოლიტიკის ალტერნატიულ ან შემავსებელ ვარიანტებზეა მსჯელობა და სახელმწიფოს როლი კრიტიკულადაა განხილული. ბიზნესგარემოს ხელშეწყობი ფორმალური ინსტიტუციური გარემოს უზრუნველყოფის გარდა, რაც სახელმწიფოს ფუნდამენტური ფუნქციაა, მას შეუძლია ფირმების პირდაპირი დაფინანსების არჩევანისგან განსხვავებით უპირატესობა მიანიჭოს გრძელვადიან ორიენტირებს.

ნაშრომში მოცემულია სხვადასხვა მიდგომები, რომელთაგან კომპლექსურია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ ჩამოყალიბებული სისტემური მიდგომა.

სტატიაში განხილულია საქართველოს ეკოსისტემის ფუნქციონირების ასპექტები. ავტორის აზ-





რით, აღნიშნულ სისტემაში სახელმწიფოს ასრულებს წამყვან როლს. ამასთან, აღნიშნულია რომ სათანადო სტატისტიკური მონაცემების არარსებობის გამო, განხილული კომპონენტების მიხედვით საქართველოს ეკოსისტემის კვლევა პრობლემურია.

**G. Aladashvili**

### **Aspects of Studying Entrepreneurship Ecosystem**

#### **Summary**

Setting up an entrepreneurial activity and supporting its functioning, is the only way to accelerate economic growth. Particular eco-system supports entrepreneurial activity. The work deals with challenges of ecosystem research, this is connected with different types of study approaches and there are various combinations of system components in scientific works and in researches of international organizations. According to majority of scientists, a state plays a crucial role in supporting entrepreneurialism, when the issue deals with setting up entrepreneurial ecosystem, however a number of scientific researches indicate alternative variants and the role of a state is criticized. Besides providing formal institutional assistance, that is a primary role of a state, one is able to consider long-run trends more than direct financing of firms.

The article deals with various approaches, among them is complex systematic approach, formed via the world economic forum.

The work discusses functional aspects of Georgian eco-system. According to the author, in the mentioned system, a state plays the leading role. Due to absence of particular statistical data and according to discussed components, to carry out a research of eco system in Georgia is problematic.



## დ. ვეკუა

### სიღარიბე – საქართველოს განვითარების მუხრუჭი

ადამიანი იბადება იმისთვის, რომ იყოს ბედნიერი, ხოლო სიღარიბე და დუხჭირი ცხოვრება კი მას ამ განცდის შესაძლებლობას უკარგავს. სიღარიბიდან თავის დაღწევას უზარმაზარი ძალისხმევა სჭირდება და ადამიანისგან მოითხოვს დიდ მორალურ სიმტკიცეს და ფიზიკურ ენერჯიას, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სიღარიბის დაძლევის პრობლემების რეგულირებაში ადამიანი არ დარჩეს მარტო და სახელმწიფომ შეასრულოს მნიშვნელოვანი ფუნქცია.

ჩვენ ქვეყანაში მოქალაქეებს ეკონომიკის ტრანსფორმაციის ხანგრძლივი ეტაპის დასრულების შემდეგ ბუნებრივია უჩნდებათ მართებული შეკითხვა, იყო კი სიღარიბე ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესში გარდაუვალი და მაშასადამე დაუძლეველი გარემოება? ვფიქრობთ, დიახ, რადგან გლობალური ცვლილებების საწყისი ეტაპი ყოველთვის უკავშირდება მსგავსი ტიპის რეციდივებს, თუმცა ამ პრობლემის დამძიმებასა და გახანგრძლივებაში ბევრმა სუბიექტურმა ფაქტორმა (სამოქალაქო ომები, ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდა და კორუფციის დიდი მაშტაბები, არასწორად ჩატარებული პრივეტიზაციის პროცესი და სხვა.) მიიღო მონაწილეობა. ამ დამატებითი დამამძიმებელი გარემოებების გამო ქვეყნის ისედაც მწირი ფინანსური და მატერიალური რესურსები მოხვდა ე. წ. „ახლად გამოჩეკილ ბიზნესმენტა“ მცირე ნაწილის ხელში, რამაც გააჩნა საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში ეკონომიკური უთანასწორობის განცდა და ბუნებრივია პრობლემატ. გაეროს მიერ ჩატარებულ საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მეოთხე ეტაპის, 2015 წლის მონაცემებით, „ყოველი მეხუთე ბავშვი საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, ხოლო ყოველი მეექვსე ბავშვი საარსებო მინიმუმზე ნაკლებს მოიხმარს; მიუხედავად იმისა, რომ გაიზარდა ოჯახების საშუალო მოხმარება, არ შეცვლილა მათი შემოსავალი. ღარიბ ბავშვებს კვლავ ნაკლები შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ვიდრე მათ თანატოლები მდიდარი ოჯახებიდან.

ზოგადი სიღარიბის (ზოგადი სიღარიბის ზღვარია დღეში 2.5 აშშდოლარი), დონე მოსახლეობაში 2013 წლის 24.6 პროცენტთან 18.4 პროცენტამდე, ხოლო ბავშვებში 28.4-დან 21.7 პროცენტამდე შემცირდა.

იმატა ადამიანთა მიერ სიღარიბეში ყოფნის სუბიექტურმა განცდამ. გაზრდილი ფასები, მძიმე ავადმყოფობა და ოჯახების შემოსავლის შემცირება დასახელდა ძირითად პრობლემებად, რასაც მოსახლეობა აწყდება. ოჯახების მიერ ჯანდაცვაზე განხორციელებული საშუალო ხარჯი 31%-ით გაიზარდა. მედიკამენტების შეძენა ჯანდაცვაზე განხორციელებული მთლიანი ხარჯების მთავარ კომპონენტად რჩება“.<sup>1</sup>

სიღარიბის დაძლევის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიის მშენებლობის მთავარი მიზანის სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება და ამ გზაზე ჩნდება მნიშვნელოვანი შემარფერხებელი გარემოებები, რომლებმაც შეიძლება ქვეყანა ღრმა პოლოტიკურ კრიზისამდე მიიყვანოს. ფინანსურად და პოლიტიკურად ძლიერი მცირე ჯგუფების სამართლებრივი დომინირების შესაძლებლობა არის ის უმნიშვნელოვანესი გამოწვევა რაც საქართველოს უმოკლეს ვადებში აქვს მოსაგვარებელი. ლიბერალური ფასეულობები თავისუფალი ბაზრის ფუნდამენტი და მისი კონცეფციის ორგანული ქსოვილია. ამ ფასეულობების გათვალისწინებით თავისუფალი ბაზრი უნდა გახდეს პრაგმატული და რეალისტური. წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფოს ადმინისტრაციული მმართველობა ყოველთვის იძალადებს ეკონომიკური სუბიექტების თავისუფლებაზე, სახელმწიფო მოხელეები კი აქტიურად ჩაერევიან რესურსების განაწილების პროცესში. ვფიქრობთ უპრიანი იქნება გავიხსენოთ დიდი გერმანელი ფილოსოფოსის იმანუელ კანტის ერთი გამონათქვამი: „სახელმწიფო მნიშვნელოვნად უნდა იყოს ლიმიტირებული სამართლის ნორმებით, რათა არ მივიდეს განუკითხაობასთან. სახელმწიფო უნდა იყოს სამოქალაქო საზოგადოების მსახური და არა ბატონი.“<sup>2</sup>

დღეს გლობალურ მსოფლიოში, ეკონომიკის განვითარება ღრმა სოციალიზაციის ტენდენციით ხასიათდება, რადგან მთავრობების წინაშე ძალზედ მწვავედ დგას სიღარიბის დაძლევის და რესურსების სამართლიანი განაწილების უმწვავესი პრობლემა. მსოფლიოს წამყვანი ფინანსური ინსტიტუტები ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის განსაზღვრის დროს, ძირითად აქცენტებს აკეთებენ სოციალურ იმპერატივებზე, როგორც ეკონომიკური სტაბილურობის უმნიშვნელოვანეს მიმართულებაზე, რადგან მო-

<sup>1</sup> <http://bit.ly/2fTqgr4> საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა მეოთხე ეტაპი, 2015 წელი.

<sup>2</sup> [https://ka.wikiquote.org/wiki/ემანუელ\\_კანტი](https://ka.wikiquote.org/wiki/ემანუელ_კანტი)



სახეობის ზრდა დედამიწაზე და მისი გამოკვება, კლიმატის ცვალებადობა, სოციალური უთანაბრობა, მიგრაცია და სხვა გლობალური თემები ხდება თანამედროვე სამყაროსთვის მძიმედ მოსაგვარებელი პრობლემები. მსოფლიო ბანკის მონაცემებით თუ 1998 წელს დედამიწაზე ცხოვრობდა 5.9 მილიარდი ადამიანი, 2018 წელს მოსახლეობამ შეადგინა 7.6 მილიარდი. 20 წლის წინ მოსახლეობის 50% ცხოვრობდა სოფლად, დღეს ქალაქებში მცხოვრები მოსახლეობის წილი გაიზარდა 55%-მდე. ხოლო მსოფლიო ბანკის პროგნოზით, ეს მაჩვენებელი 2050 წელს მიაღწევს 66%-ს., რაც არა მარტო მოსახლეობის გამოკვების, არამედ მიგრაციის და უმწვევარების პრობლემა ხდება<sup>1</sup>.

ნობელის პრემიის ლაურიატი, ცნობილი ფრანგი ფილოსოფი, ანრი ბერგსონი წერს: „ისტორიულ-მა გამოცდილებამ ცხადყო, რომ საზოგადოების მხოლოდ ტექნოკრატიული განვითარება ვერ უზრუნველყოფს მის ზნებორც სრულყოფას, უფრო მეტიც, რიგ შემთხვევებში დოვლათის ზრდა შეიძლება საშიშიც კი აღმოჩნდეს, თუ ის არ დაეფუძნება განაწილების სფეროში სამართლიანობას“<sup>2</sup>.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე, საერთაშორისო კორპორაციები იქცნენ მსოფლიო ეკონომიკური განვითარების და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვან ელემენტად. მათი მდგრადი განვითარება წარმოებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის, საერთაშორისო სამეურნეო კავშირების გლობალიზაციის პროცესს ასახავს. დღეს კორპორაციები მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობების მთლიანი სპექტრისგან ვითარებას უკავშირდება და ისინი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მსოფლიო ეკონომიკის თავისებური „ლოკომოტივი, რომელიც გზაზე თავისთვის იხვეჭს და სხვისთვის ანადგურებს ყველაფერს.“

ასეთ პირობებში მიმდინარეობს საზოგადოების პოლარიზაცია და რესურსების დიდი ნაწილი მდიდართა ხელში ხვდება, რაც იწვევს სიღარიბის უფსკრულის გაღრმავებას და უმუშევრობის ზრდას. თანამედროვე ადამიანი ცხოვრობს არა ბუნებრივ, არამედ კულტურულ გარემოში და ამიტომაც სიღარიბე წმინდა ეკონომიკური კატეგორიიდან გადაიქცევა მორალურ პრობლემად. ვფიქრობთ, სათანადო ნებელობის პირობებში სახელმწიფოს გააჩნია საჭირო რეგულაციის მექანიზმები იმისათვის, რომ ბიზნესი გახადოს საზოგადოების მსახური და არა მასზე დომინანტი.

უკანასკნელი წლების წარმატებები ნაწილობრივ მართლაც სახეზეა, რაც პოზიტიურად აისახა ჩვენს ურთიერთობებზე ევროკავშირის ქვეყნებთან, გავხდით ევროკავშირის ასოცირებული წევრი, მივიღეთ ევროპასთან უფიზო მიმოსვლის რეჟიმი, გაიზარდა ქართული პროდუქციის ექსპორტი, ქვეყანაში მნიშვნელოვნად მატულობს ტურისტული ნაკადი, სტაბილურია ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, ინფლიაცია დაექვემდებარა მართვას, სახეზეა სხვა ეკონომიკური ინდიკატორების გაუმჯობესების პროცესი. განსაკუთრებით, საგულისხმოა უცხოური ინვესტიციების ზრდის ტენდენცია. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2017 წელს 1861,9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 16,2 პროცენტით აღემატება 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელს. ამავე პერიოდში უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნებია აზერბაიჯანი-484,1 მილიონი აშშ დოლარი თურქეთი 279 მილიონი დოლარი არაბთა გაერთიანებული სამეფო-250 მილიონი დოლარი. აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ ამ პოზიტიური ტენდენციის მიუხედავად, სოფლის მეურნეობაში, სადაც საქმიანობს საქართველოს მოსახლეობის 46 პროცენტი შეინიშნება ინვესტიციების კლების ტენდენცია.<sup>3</sup>

სიღარიბის ზღვარი არის რეალური შემოსავლების ფიქსირებული სიდიდე, რომელიც საკმარისია ცხოვრების მინიმალური დონის უზრუნველსაყოფად, ხოლო შემოსავალი კი ინდივიდის მიერ გარკვეული პერიოდის მანძილზე დახარჯული და დანაზოგი თანხების ჯამია. პრაქტიკაში სიღარიბის ზღვარის მნიშვნელობას საარსებო მინიმუმი ასრულებს, აქ მთავარ საკითხს მისი მართებულად გაანგარიშება წარმოადგენს. მოხმარების დონემ, უნდა უზრუნველყოს პიროვნების შრომისუნარიანობის აღდგენა.

რატომ არის სიღარიბე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთავარი მუხრუჭი? ეს არის კითხვა, რომელზედაც პასუხს არ უნდა გავექცეთ სტატისტიკური ინდიკატორების ცალმხრივი ინტერპრეტაციით, რადგან ტრანსფორმაციის შედეგად ჩამოყალიბებული არადივერსიფიცირებული ეკონომიკური სისტემა აღარ ტოვებს განვითარების პერსპექტივას, იგი მიდრეკილია მონოპოლიზმისკენ, ბაზრის სეგმენტიზაციისკენ და მსხვილი ბეზნესს ჯგუფებში კაპიტალის კონცენტრაციისაკენ.

ტრანსფორმაციის პროცესში რესურსების არასამართლიანი განაწილების შედეგად ცხოვრების პირობები მცირე ჯგუფისთვის ადამიანებისთვის უმჯობესდება და დიდი ნაწილისთვის უარესდება. დღე-

<sup>1</sup> ბანკები და ფინანსები 2.04.2018წ გვ. 15

<sup>2</sup> Мусский И. А. 100 великих мыслителей ввече-Москва 2000г ст 506

<sup>3</sup> ბანკები და ფინანსები 2.04.2018წ გვ. 9



ვანდელი გადასახედიდან ჩნდება ბუნებრივი კითხვა იყო კი საქართველოში სიღარიბე გარდაუვალი ტრანსფორმაციის პროცესში და მამასადამე დაუძლეველი? ვიქრობთ, ცალსახა პასუხი აქ არ არის, მაგრამ რომ არა, სუბიექტური ფაქტორები (სამოქალაქო ომი, ომი აფხაზეთში, კარასტროფულად ჩატარებული პრივატიზაციის პროცესი, კორუფცია და ჩრდილოვანი ეკონომიკის მაღალი დონე და სხვა ნეგატიური ფაქტორები) შედეგი სხვა იქნებოდა.

დემონოპოლიზებული ეკონომიკა არის ბაზისი სამოქალაქო საზოგადოების სადაც ხალხი ზრუნავს ქვეყანაზე და ქვეყანა ხალხზე.

ვფიქრობთ, რომ ამ მიმართულებით გასული ოცდაათი წელი არასათანადოდ ანალიზირდება. მაკროეკონომიური ანალიზის დროს მეტი აქცენტი კეთდება გარე რისკებზე და გამონწვევებზე, ვიდრე შიდა პრობლემებზე. ის, როგორ ხშირად, როდესაც ვაფასებთ სხვის ცხოვრებას და აღმოვაჩინებთ, რომ საკმარისად კარგად არა ვართ ჩახედული საკუთარ ცხოვრებაში. დღეს თანამედროვე მსოფლიოში მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მაღალი სტანდარტი ცხოვრების დონით იზომება, რაც სიცოცხლის ზრდას, ე.წ., დემოგრაფიული ხერხების ამოვსებას, ახალგაზრდა კადრების გადამზადებას და მათ განათლების მაღალ სტანდარტებს უკავშირდება.

სახელმწიფოს ჩარევა განსაკუთრებით აქტიურად მიდინარეობს სოციალური დაზღვევის სფეროში, სადაც დაზღვევის მექანიზმების გამოყენებით სახელმწიფო მონაწილეობს ეკონომიკას რეგულირებაში, ზემოქმედებას ახდენს კვლავწარმოების პროცესზე და ხელს უწყობს კაპიტალის დაგროვებას. აქედან, გამომდინარე სოციალური დაზღვევა, როგორც ფინანსური სისტემის მნიშვნელოვანი მექანიზმი, ასრულებს რომოდენიმე მნიშვნელოვან ფუნქციას არის სოციალური პოლიტიკის დაფინანსების წყარო და ბიზნესისთვის დამატებითი საინვესტიციო შესაძლებლობა.

მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მრავალი რისკი, მაგრამ ამ მიმართულებით განსაკუთრებით სენსიტიურია პოლიტიკური რისკები, რადგან ისინი პირველ რიგში ქვეყნის გეოპოლიტიკურ მდგომარეობას უკავშირდება. ამ ტიპის რისკების გავლენა საქართველოში მწვავედ იგრძნობოდა რუსეთ-საქართველოს ომის პირობებში, რადგან ასეთ დროს ჩნდება სრულად ახალი გამოწვევები, მაგალითად მოსახლეობის მდგომარეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, დევნილთა დიდი ნაკადები, რომლებიც მნიშვნელოვნად ამცირებს ბიზნეს აქტიურობას და ზრდის პასიური მოლოდინების პროცესს.

სიღარიბის დაძლევა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება სახელმწიფოს პირდაპირი მოვალეობაა. ამისათვის კი აუცილებელია მოსახლეობის ცხოვრების დონის ანალიზი, მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი შესწავლა, რაც ხელისუფლებას ეფექტიანი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში დაეხმარება.

ცხოვრების დონეს განაპირობებს მრავალი სოციალური თუ ეკონომიკური ფაქტორი, რომელთაგან განსაკუთრებული აქტუალურობით ხასიათდება ცხოვრების დონის გამსაზღვრელი შემდეგი ინდიკატორები: ინფლაცია, სუსტი ტექნოლოგიური ბაზა, შრომის პირობები, უმუშევრობა, სიღარიბე, მოსახლეობის შემოსავლებს შორის უთანაბრობა, ჯანდაცვა, განათლება, ცხოვრების სტილი და სხვ.

სიღარიბის დაძლევის მრავალფეროვან თემატიკიდან გამოვყოფთი უმუშევრობის დაზღვევის სისტემის დასაწესების მნიშვნელობას, რადგან ამ მნიშვნელოვან ფინანსური ინსტიტუციის ჩამოყალიბება აწყდება ბევრ პრობლემას, რომელთაგანაც გამოვყოფდი რამდენიმეს:

- უმუშევართა დაზღვევის სფეროში საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ბაზის გაუმართაობა;
- დამქირავებელთა დაბალი პასუხისმგებლობა დაქირავებულებისადმი;
- მენტალური და სოციალური ადაპტაციის პრობლემები;
- ამ სფეროში სადაზღვევო ტრადიციისა და კულტურის ნაკლებობა.

უმუშევრობის დაზღვევა სოციალური დაზღვევის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და ამიტომაც იგი სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში ასრულებს ეკონომიკაში “ჩაშენებული სტაბილიზატორის” ფუნქციას.

ეკონომიკის ტრანსფორმაციამ დასაქმების სფეროში თვისობრივად ახალი სიტუაცია წარმოქმნა. ქვეყანაში გაჩნდა დასაქმების პრობლემათა მთელი სპექტრი, რომელიც საჭიროებს მათი მოგვარების გზების ადაპტაციას საბაზრო ეკონომიკის პირობებთან. ამ მხრივ უნდა ჩამოყალიბდეს ახლებური მიდგომა ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულების განსაზღვრაში, როგორცაა უმუშევართა და სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის სისტემა, თვითდასაქმებულებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირება უმუშევართა შემწეობების გაცემის ორგანიზაცია და ა.შ.



დასაქმების სოციალური პოლიტიკის სწორად წარმართვისათვის საჭიროა იმგვარი ინსტიტუციონალური სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმების პოლიტიკის ცალკეული მიმართულებების სისტემატიზაციას, სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის სისტემისა და უმუშევრებზე შემწეობის გაცემის ოპტიმიზაციას, თავისუფალი სამუშაო ადგილების მოძიებას, უმუშევართა დასაქმებას, პროფესიონალურ მომზადება-გადამზადებას. ასეთი ინსტიტუცია შეიძლება იყოს დასაქმების ფონდი ან სააგენტო, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად მზად იქნება ორგანიზაციულად აილოს თავის თავზე ამ ფუნქციების შესრულება. ამ ორგანოს წარმატებული მართვისათვის აუცილებელია მისი საქმიანობის რამდენიმე პრობლემაზე ფოკუსირება. ესენია:

- უმუშევრობის დონის მაქსიმალური შემცირება;
- უმუშევართა შემწეობების გაცემის ორგანიზაცია და სოციალური დაცვის უზრუნველყოფა;
- პროფესიონალური მომზადება-გადამზადების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება;
- თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან, პროფკავშირებთან და მენარმეთა ასოციაციებთან აქტიური თანამშრომლობა.

იმისათვის, რომ მართვა წარმატებული იყოს, აუცილებელია შრომის ბაზრის არა მხოლოდ შუქჩრდილების, არამედ რეალური სამუშაო ძალის მიწოდება-მოთხოვნილების ბალანსის წარმოჩენა. ასეთი აღრიცხვა მხოლოდ მოტივაციების გზითაა შესაძლებელი. კერძოდ, უმუშევარი ლეგალურ აღრიცხვის სექტორს მიმართავს მხოლოდ გარკვეული მოტივაციის გამო, რაც შეიძლება განპირობებული იყოს უმუშევრობის შემწეობის მიღების შესაძლებლობით. ამასთან კანონმდებლობის შესაბამისად მენარმე ვალდებული უნდა იყოს ინფორმაცია ვაკანსიების შესახებ სისტემატურად მიაწოდოს შესაბამის ინსტიტუციებს: შრომის ბირჟას, დასაქმების ფონდს ან სააგენტოს. ასეთ პირობებში რეალურად მოხდება შრომით რესურსებზე მიწოდება-მოთხოვნილების დინამიკის განსაზღვრა, რაც სახელმწიფოს დაეხმარება ბევრად უფრო მიზანმიმართულად განახორციელოს პროფესიონალური მომზადება-გადამზადების სისტემის ჩამოყალიბება, და დასაქმების პროგრამების ეფექტიანი განხორციელება.

### გამოყენებული წყაროები

1. ვეკუა დ., ვეკუა ი, საქართველოში მოსახლეობის სოციალური დაზღვევის მაკროეკონომიკური რეგულირების გზები და მიმართულებები. თბილისი 2013წ.;
2. ბალცეროვიჩი ლ. თავისუფლება და განვითარება. თავისუფალი ბაზრის ფილოსოფია. თბილისი, 2004;
3. იაკობიძე დ. გლობალური დინამიზმის ქართული სინამდვილე. თბილისი, 2011;
4. ბანკები და ფინანსები 2.04.2018 წ.;
5. ბათიაშვილი ი, ჰაიდეგერი მ.: სხვა გზა''2017წ.;
6. 100 великих мыслителей вече-Москва 2000г ст 506;
7. [https://ka.wikiquote.org/wiki/ბერნარდ\\_შოუ](https://ka.wikiquote.org/wiki/ბერნარდ_შოუ);
8. [https://ka.wikiquote.org/wiki/ემანუელ\\_კანტი](https://ka.wikiquote.org/wiki/ემანუელ_კანტი);
9. <http://bit.ly/2fTgqr4> ;
10. საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა მეოთხე ეტაპი, 2015 წ..

დ. ვეკუა.

### სიღარიბე - საქართველოს განვითარების მუხრუჭი

#### რეზიუმე

სტატიაში განიხილება სიღარიბის გამომწვევი მიზეზები და არსებული პრობლემები, როგორც საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთავარი მუხრუჭი.

გამოკვეთილია საქართველოში სიღარიბეზე მომქმედი ის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, რომლებმაც გავლენა მოახდინა ეკონომიკური რეფორმების თანმიმდევრობის ლოგიკაზე და გააჩიანურა ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესი.

განალიზებულია საქართველოში სიღარიბის განმსაზღვრელი ზოგიერთი მაკროეკონომიკური ინდიკატორი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მოსახლეობის დასაქმება არის ერთ-ერთი იმ მნიშვნელოვანი





ლონისძიებათაგანი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სიღარიბის დაძლევა. დასაქმების პროცესის სწორად რეგულირებისათვის საჭიროა სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის, უმუშევრებზე შემწეობის გაცემის, თავისუფალი სამუშაო ადგილების მოძიების და უმუშევართა პროფესიონალური მომზადება-გადამზადების ინსტიტუციონალური სისტემის ჩამოყალიბება.

**D. Vekua**

### **Poverty – as major spoiler of Georgia’s development**

#### **Summary**

The article reviews the poverty-causing factors and other existing problems as major spoilers of Georgia’s socio-economic development. The objective and subjective factors that are influencing poverty in Georgia, having impact on the flow of economic reform and slowing down the process of economic transformation are highlighted. Some macro-economic factors causing poverty in Georgia are analyzed.

A proposition is made that employment is one of the most significant factors that has to ensure poverty alleviation.

The development of institutional systems for registration of job seekers, handling employment allowance, vacancy search and vocational education for the unemployed is necessary for the proper management of the process of employment.



**ს. თავდორაძე**

**PR სტრატეგიები ტურისტული პროდუქტის ბაზარზე წინანახვის კომპლექსში**

საზოგადოებასთან ურთიერთობა – PR მარკეტინგის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომლის მნიშვნელობაც დღითიდღე იზრდება. ტურისტული ფირმები აცნობიერებენ, რომ მასობრივი მარკეტინგი უკვე ვეღარ აკმაყოფილებს მათ კომუნიკაციურ მოთხოვნილებას. რეკლამის ღირებულება იზრდება, ხოლო კონტაქტი აუდიტორიასთან ეცემა. ასეთ სიტუაციაში PR-ი შეიძლება იქცეს უფრო ეფექტურ საშუალებად.

აღსანიშნავია ისიც, რომ PR-ის მნიშვნელობა უდიდესია კრიზისული სიტუაციების ასაცილებლად და შესარბილებლად, მისი შედეგების სალიკვიდაციოთ. PR-ის სპეციალისტებმა პრაქტიკულად დაამტკიცეს უნარი იმისა, რომ მართონ კრიზისები, მოხსნან დაძაბულობა, შეამსუბუქონ სიტუაცია, აღადგინონ საზოგადოებრივი წესები, დაიბრუნონ ხალხის ნდობა და თანხმობა მთავრობის საქმიანობასა და ბიზნესში.

PR აშშ-ში XIX-XX საუკუნის მიჯნაზე დამკვიდრდა, როდესაც ბიზნესი განვითარდა და აუცილებელი გახდა მომხმარებელზე ზრუნვა და მისი ინტერესების გათვალისწინება, ასევე ახალი პროდუქტის/მომსახურების გაყიდვა და საზოგადოების ნდობის მოპოვება. ბიზნესის წარმომადგენლები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შექმნილიყო მართვის ისეთი სისტემა, რომელიც გავლენას მოახდენდა საზოგადოებრივ აზრზე, კომპანიის რეპუტაციაზე, საზოგადოების ინფორმირებულობაზე და გრძელვადიანი კავშირის დამყარებაზე.

ზუსტი საზღვრის გავლება PR-სა და რეკლამას შორის რთულია. ერთიც და მეორეც უზრუნველყოფს საქმიანი კომუნიკაციის პროცესს. ზოგი თვლის, რომ რეკლამა არის მონოლოგი, ხოლო PR-ი დიალოგი, რომელშიც ორი მხარე მონაწილეობს. ზოგის აზრით რეკლამა ზრდის საქონლისა და მომსახურების რეალიზაციას, ხოლო PR ამყარებს ურთიერთობას მომხმარებელსა და განსაზღვრულ ბრენდს შორის. ზოგიერთი დარწმუნებულია, რომ PR-ის მთავარი ამოცანაა ჩამოაყალიბოს და შეუნარჩუნოს საწარმოს კეთილსასურველი აზრი.[1,202] რეკლამა შესაძლებელია ყოველთვის არ იქნეს გამოყენებული ორგანიზაციის მიერ, ხოლო ორგანიზაცია ყოველთვის იყენებს PR-ს. PR მოიცავს ყველას და ყველაფერს, იმ დროს, როცა რეკლამა შემოიფარგლება გარკვეული ამოცანების გაშუქებით (ყიდვა-გაყიდვა და სხვა), PR-ის მოქმედება უფრო ფართო და მრავალფეროვანია, ვიდრე რეკლამისა. ამიტომ PR არ წარმოადგენს არც რეკლამის ფორმას და არც რეკლამის ნაწილს.

PR-ი და რეკლამა ხშირად ერთმანეთში ერევათ, ძირითადი განსხვავება იმაშია, რომ პიარი ქმნის მოვლენებს, რომელიც შუქდება მედიაში. თუმცა PR-სა და რეკლამას ერთდაიგივე მიზანი აქვს – საზოგადოებრივ აზრზე მოახდინოს ზეგავლენა. გასათვალისწინებელია, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის ამოცანები ბევრ რამეში ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ მათ შორის „ჩინური კედელი“ არ არსებობს, თუმცა აქვთ განსაზღვრული საერთო და განმასხვავებელი მახასიათებლები, რომელიც წარმოდგენილია ცხრილში 1 და 2.[2,16]

ცხრილი1. პიარის და რეკლამის განმასხვავებელი მახასიათებელი

რეკლამა	PR
ორიენტირებულია გაყიდვების გაზრდაზე	ორიენტირებულია გაყიდვების ხელმშეწყობი იმიჯის შექმნაზე
იძლევა მოკლევადიან ეფექტს, რომელიც (მორიგი) სარეკლამო ტალღით ჩამოირეცხება	აქვს მოქმედების ხანგრძლივი ეფექტი (ნაკლებად ინერტულია, მაგრამ გრძელვადიანია)
სამომხმარებლო მოთხოვნებზე აპელირებს და იმას ყიდის, რასაც მომხმარებელი „ხელით შეეხება“	ღირებულებით აპელირებს

წყარო: ვერა როსი -ურთიერთობა საზოგადოებასთან 2015წ.



ცხრილი 2 პიარის და რეკლამის მახასიათებელი

მახასიათებლები	რეკლამა	პიარი
მასმედიის გამოყენება	დროისა და სივრცის შესყიდვა	მასმედიის საშუალებებით გაშუქება
ინფორმაციის კონტროლი	დროისა და შინაარსის მკაცრი კონტროლი	შედარებით სუსტი კონტროლი
ინფორმაციის სანდოობა	შედარებით დაბალი	შედარებით მაღალი
სამიზნე აუდიტორია	ორიენტაცია ბაზარზე ან გაყიდვებზე	ორიენტაცია ურთიერთობაზე ან სიტუაციაზე
დროის საზომი (შკალა)	შედარებით მოკლევადიანი მიზნები	მოკლე და გრძელვადიანი მიზნები
შეფასება	გაზომვის დადგენილი ტექნიკის გამოყენება	შეფასების შედარებით შეზღუდული მეთოდები
სააგენტოს გასამრჯელო	მასმედიისგან საკომისიოს იღებენ	დახარჯული დროის სანაცვლოდ იღებენ ჰონორარს

წყარო: ვერა როსი -ურთიერთობა საზოგადოებასთან 2015წ.

რეკლამისგან განსხვავებით, PR-ი საზოგადოებაზე ზენოლას ღიად არ ახდენს, რაც, რიგ შემთხვევაში, მის ეფექტურობას განაპირობებს. კარგად შემუშავებულ PR აქციაში ვერ ნახავთ იმ მიზნების პირდაპირ აფიშირებას, რის გამოც ეს აქცია შედგა. PR-ის უპირატესობა რეკლამასთან შედარებით განსხვავებულ მიდგომაშია: PR-ის მთავარი პრინციპია „გადავიხადოთ 2-ჯერ მეტი, მაგრამ არ ვთქვათ, რომ გადავიხადეთ“.

საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები გაცილებით სწრაფად შეიცვალა ბოლო ათი წლის გამავლობაში, ვიდრე გასული სამი დეკადის დროს. ცვლილებები უმთავრესად, ინტერნეტ სივრცისა და სოციალური მედიის როლის გაძლიერებამ განაპირობა და შედეგად, კომუნიკაციის სფეროში, ახალი გამოწვევები და შესაძლებლობები გაჩნდა. ნებისმიერი სახის წარმატებულ პიარ კამპანიაში, შემოქმედებითი მიდგომები და ხედვა ერთ-ერთი მთავარი ელემენტია. იზრდება საზოგადოების ჩართულობა ნებისმიერი სახის კამპანიაში. არავის დაავიწყდება კამპანია **Ice Bucket Challenge** და საზოგადოების გამოხმაურება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. სწორედ, ასეთი „ვირუსული“ ფენომენი/კამპანია გახდა მსოფლიო მედია სივრცის ყურადღების უმთავრესი საგანი, რომელმაც საგრძნობლად გაზარდა ხალხის ცნობიერება ბრენდების მიმართ.[3]

მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესმა ტურიზმის პიარშიც შეაღწია. PR-კამპანიის ჩატარება ტურიზმის სფეროში რთულ და ამავდროულად საინტერესო სამუშაოს წარმოადგენს. აქ განსაკუთრებით აუცილებელია შემოქმედებითი მიდგომები, ორიგინალურობა და აზროვნების არაორდინარულობა, ამიტომ, დასვენების და გართობის მესვეურთ მართებთ კონცეპტუალურად ახალი მეთოდების სისტემატიურად შემუშავება. სწორედ პიარზე დამოკიდებული ნებისმიერი საქმიანობის წარმატებაცა და წარუმატებლობაც. პიარის მიერ სწორად წარმართულ რეკლამირებასა და მარკეტინგს შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს რომელიმე კონკრეტული ქვეყნის ტურისტულ პოპულარიზაციაზე.

პიარ სამსახურმა სწორად უნდა განსაზღვროს რეკლამის სახე და კონკრეტული სეგმენტი. ამ მხრივ, ძალზე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პირდაპირი რეკლამა, არამედ გაკვეთილი შინაარსის შემცნებითი გადაცემა. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ტელეკომპანიის „Travel Channel“- ის გადაცემა „საუკეთესო აგილები, სადაც კი ოდესმე ვყოფილვარ“. მსგავსი გადაცემები საშუალებას იძლევა პოპულარიზაცია გაუკეთდეს კონკრეტულ ადგილებს არა კონკრეტული რეკლამით, არამედ ზოგადად ტელეგადაცემის მეშვეობით.[4,311]



მსოფლიო მასშტაბით წარმატებული პიარკამპანიებს შორის აღსანიშნავია, ერთ – ერთი საუკეთესო PR კამპანია „ვირტუალური კურორტი“, რომელიც სავაჭრო მარკა Hyatt Resorts-თვის შემუშავდა. აღნიშნული PR კამპანიის მიზანი იყო კომპანიის, როგორც ლიდერის, პოზიციის გაუმჯობესება და სავაჭრო მარკის პრესტიჟის გაზრდა.

კომპანიამ სააგენტო KWE-ს მიმართა, რათა შემუშავებულიყო მრავალმხრივი PR-პროგრამა კომპლექსური სავაჭრო მარკით – Hyatt Resorts – 17 კურორტის რეკლამისათვის. ვინაიდან ფიზიკურად თუ მატერიალურად შეუძლებელი იყო, ყველა მასობრივი ინფორმაციის საშუალების, ტურისტული სააგენტოსათვის საბითუმო მოვაჭრის წარმომადგენელთა მინვევა ჩვიდმეტსავე დასვენების ადგილას, სააგენტოს მიერ ორგანიზებულ იქნა სახუმარო ინტერაქტიური ორდღიანი მოვლენა, კომპანია Hyatt Resorts-ის ვირტუალურ კურორტზე. ამ ვირტუალური კურორტის წყალობით მოხერხდა თითოეული ამ 17 კურორტის მონახულების იმიტირება. წარმატებული PR -კამპანიის შედეგად Hyatt Resorts-მა დაიმკვიდრა ლიდერის პოზიცია გასართობ და დასასვენებელ კურორტთა შორის. გაიზარდა გაყიდვები მხოლოდ პიარ საშუალებების გამოყენებით ზამთრის სეზონზე – 9%-ით, ხოლო ზაფხულში – 10%-ით.[5]

აღსანიშნავია, რომ საქართველო ტურისტული ბაზრის აქტიური მოთამაშე გახდა. ქვეყნის ტურისტული პოტენციალის სრულყოფილად ათვისების შემთხვევაში, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდება, სადაც მნიშვნელოვანი როლი სწორად დაგეგმილმა რეკლამამ და PR კამპანიამ უნდა შეასრულოს.

PR-კამპანიის თავისებურება ტურიზმის სფეროში მნიშვნელოვანწილად დასახულ ამოცანებზეა დამოკიდებული. PR-სტრატეგიის ფორმირებისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას:

- ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის დონე;
- ტურისტებისათვის არსებული კრიმინალური საფრთხე, მისი ხასიათი და თავისებურებები;
- ტურისტის სამართლებრივი დაცულობა;
- კომუნიკაციების, სატრანსპორტო მომსახურების განვითარების დონე; 5. სასტუმროს სერვისის დონე;
- მომსახურების დონე, ხასიათი და მრავალფეროვნება და სხვა.

PR სტრატეგიის შემუშავებისას, ასევე აქცენტი უნდა გაკეთდეს ქვეყნის, ტურისტული უნიკალურობაზე, სიახლეზე, მომსახურების მრავალფეროვნებაზე, სამზარეულოს უნიკალურობაზე, პერსონალის პროფესიონალიზმსა და მომხიბვლელობაზე და ქვეყნის პოზიტიური იმიჯის შექმნაზე.

### გამოყენებული წყაროები

1. თევდორაძე ს., ტურიზმის მარკეტინგი თბ. 2014;
2. ვერა როსი- საზოგადოებასთან ურთიერთობა თბ.2015;
3. <https://peritusgroup.wordpress.com/2015/01/23/2015/>;
4. შამილიშვილი ი. დიასამიძე ი., – პიარი და ტურიზმის პოლიტიკა, ბათუმი.,2012.
5. სამეცნიერო პორტალი -DOCTRINA;  
<http://www.old.doctrina.ge/Geo/2013-03-05-11-25-19/2015-09-17-17-44-45/item/84-2013-03-08-06-35-36#itemCommentsAnchor>.

### ს. თევდორაძე

#### PR სტრატეგიები ტურისტული პროდუქტის ბაზარზე წინააღმდეგობის კომპლექსში

#### რეზიუმე

ტურიზმი მომსახურებაზე დამყარებული ინდუსტრიაა და ხელშესახები პროდუქციისაგან განსხვავებით მისი მარკეტინგი უფრო რთულია. ამიტომაც, სწორედ PR-ი და სარეკლამო კამპანიის მართებულად შერჩევა, რომელიც მიმართული იქნება ზოგადად მოსახლეობის, ან რომელიმე გარკვეული სეგმენტის მიმართ, შეიძლება გახდეს ტურიზმის აყვავების მიზეზი, რაც ჩვენს ქვეყანას მნიშვნელოვან წინსვლას მოუტანს.



**S.Tevdoradze**

## **PR Strategies for the Tourism Product Promotion in the Market**

### **Summary**

Tourism is a service oriented industry and in difference from tangible products, its marketing is more complex. Therefore, right selection of PR strategies and promotion campaign that will be directed towards population in general, or towards some particular segment, may become the reason for tourism flourishing that will bring our country significant progress.





## თ. კურტანიძე

### საქვეითო ქუჩების განვითარების ტენდენცია

#### შესავალი

ურბანული ცენტრების საცალფეხო უბნის ორგანიზაციის გამოცდილების შესწავლა და, პირველ რიგში, საცალფეხო ქუჩები, ფართოდაა გავრცელებული წინა საუკუნიდან. XX საუკუნე, ახალი მასალები და ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობები (ტექნოლოგიური ასპექტი). თანამედროვე ტექნოლოგიური საზოგადოება იღებს უახლეს მასალას და ტექნოლოგიებს (ინფორმაცია, ნანოტექნოლოგია, ბიოინჟინერინგი, ციბორგესიანი და სხვ.) გვაძლევს შესაძლებლობას, ჩამოაყალიბოს მიმდებარე ადამიანის სუბიექტური სივრცე გარემოს ხარისხობრივად ახალ ტექნიკურ დონეზე, რომელიც პასუხობს ფუნქციური, ფსიქო-ემოციური უმაღლეს მოთხოვნებს კომფორტს და ერგონომიკას.

ამრიგად, საზოგადოების განვითარება პოსტინდუსტრიულ ეტაპზე, ერთის მხრივ, საჭირო იყო თვისობრივად ახალი ურბანული სივრცის საჭიროება კომფორტის დონის თვალსაზრისით, მეორე მხრივ, ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობები ამ საჭიროებების რეალიზაციისათვის. თუმცა, ამ შემთხვევაში, საჭიროა სპეციალური მეცნიერულად დაფუძნებული პროექტის ინსტრუმენტი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს ეს ტრანსფორმაციები. რა თქმა უნდა, ასეთი ინსტრუმენტარი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ისტორიული გამოცდილების ღრმა ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე ქალაქის კომფორტული სუბიექტური სივრცის გარემოს ორგანიზების სფეროში.

ძველი თბილისი გამოირჩევა ისტორიულ-არქეოლოგიურ ძეგლებით, არქეოლოგიური საგანძურით – კულტურული შრეებით; აქედან გამომდინარე, ამ ტერიტორიას გააჩნია უდიდესი პოტენციალი ტურიზმის განვითარების კუთხით; საჭიროა სიძველეების აღმოჩენა გეოლოლოგიურ-არქეოლოგიური კვლევების შედეგად და თვალსაჩინოებისთვის კულტურული შრეების გამოჩენა. დღევანდელი სიტუაციით, აღნიშნულ ტერიტორიაზე თავისუფალი სივრცის პრობლემა, რომლის მოგვარება დაეხმარებოდა სავალი ნაწილის გაგანიერებას სატრანსპორტო საშუალებების უწყვეტი მოძრაობისათვის, რეკრეაციულ ადგილებისა და რაც მთავარია, საქვეითო ქუჩების განვითარებას; ვარაუდობენ, აღნიშნულ ტერიტორიაზე არ უნდა ხდებოდეს თანამედროვე პერიოდის სიძველესთან შერწყმა, კერძოდ: 1. უძველეს ისტორიულ ნანგრევებთან პარკირების სადგომები მოწყობილია სავალი ზოლის გაბარიტის შემცირების ხარჯზე, აქედან იკვეთება სატრანსპორტო საშუალებებისგან შემდგარი ძაფი – საცობები, ამ პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს გვერდულზე გაჩერებული ავტომობილები; 2. თანამედროვე სასტუმროები და კაფე-ბარები ისტორიული ძეგლებისა და ნასახლარების გვერდით, რომელიც თავის მხრივ მაღავს კულტურულ ემკვიდრების ამსახველ შემორჩენილ ფრანგმენტებს.

ჩემი აზრით, ძველი თბილისის იერსახე ესაცვლელია ამ ერთ-ერთი მოტივიდან გამომდინარე, აღნიშნული ტერიტორიის ვიწრო უბნებში მთლიანად აკრძალვას სატრანსპორტო მოძრაობა გარდა სპეც. მანქანებისა, ცენტრალურ უბნებში კი – შევამციროთ; ამ საკითხს მატემატიკური მოდელის შედეგად დავადგენთ, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული. საჭიროა განვავითაროდ ელექტრო-ბუსებით მიმოსვლა, როგორც ეს არის ევროპის უძველეს ქალაქებში: რომში, ბარსელონაში; ამასთან ჩვენი მთავარი მიზნის განხორციელება – საქვეითო ქუჩების მოწყობა გაგვიმარტივდება ამ ისტორიული ფრანგმენტების აღსაბეჭტად; პერსპექტივაში მისაღების საკითხების განხორციელება ქალაქისა და ქვეყნის ეკონომიკას მნიშვნელოვნად გაზრდის ტურისტების შემოდინების ხარჯზე ამ ტერიტორიის პოპულარიზებით.

თანამედროვე ქალაქის დაგეგმარების ძირითადი პრინციპია ფუნქციონალური ზონირება; დანიშნულების მიხედვით ქალაქის ტერიტორია გაყოფილია საცხოვრებელ, სამრეწველო, რეკრეაციულ, კულტურულ-ადმინისტრაციულ და ა.შ. ზონებად. კულტურულ და ადმინისტრაციულ ზონებისა და რეკრეაციულ ზონებისათვის აუცილებელი კომპონენტია საქვეითო ქუჩები, სადაც თავმოყრილია ისტორიული და მხატვრული ღირებულებების შენობები, ისტორიულ პირთა ძეგლები, მსოფლიოში ცნობილი ბრენდების მაღაზიები, ადგილობრივი წარმოების ტრადიციული მაღალ-ხარისხოვანი საქონელი და სამახსოვრო ნივთების მაღაზიები; ასეთ ქუჩებში თავს იყრის ადგილობრივი და ტურისტების დიდი რაოდენობა, რომლებიც ეცნობიან ქვეყნის ისტორიას და კულტურას, ქვეყნის სტრატეგიულ მიღწევებს და ა.შ.

ზემოთ ჩამოთვლილი პროცესი დანაწილებულია ადგილობრივი და უცხოური ვალუტის ინტენსიურ ხარჯვასთან ტურისტების მიერ; რაც არის ქვეყნის ეკონომიკისთვის უდიდესი მასტიმულირებელი ფაქტორი, შესაბამისად საქვეითო ქუჩებისაგან შემდგარი უბნების არსებობა გამართლებულია ეკონომიკუ-




რად, კულტურულ განვითარების დონის საჩვენებლად და ქვეყნისადმი კეთილგანწყობის მოსაპოვებლად; რეკრეაციულ და კულტურული ზონების გამართული ფუნქციონირებისათვის ნათელია ზემოთ ჩამოთვლილი ქუჩების ქსელის არსებობა.

### მოთხოვნები საქვეითო ქუჩებისადმი

საქვეითო ქუჩები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: 1. მათ უნდა ჰქონდეს შესაბამისი სიგანე ქვეითთა ინტენსიური ნაკადების კომფორტული გადაადგილებისათვის; ასეთ ქუჩებზე ტროტუარები არ ეწყობა, ფენილი უნდა იყოს მაღალხარისხოვანი მოზაიკური ტიპის ქვაფენილით, ნატურალურ ქვის ფილებით, ან უკიდურეს შემთხვევაში ქვიშოვანი ასფალტბეტონით, ეს უკანასკნელი მიუღებელია სამხრეთის ქალაქებში, ზაფხულის ან წლის ცხელ პერიოდში. 2. გრძივი და განივი ქანობები უნდა იყოს მიწისაღებო, უზრუნველყოფდეს ზედაპირული წყლების აცილებას და ხელს უწყობდეს ქვეითების კომფორტულ გადაადგილებას; სასურველია საქვეითო ქუჩა ორიენტირებული იყოს რომელიმე ისტორიული ძეგლის მიმართულებით ან ქალაქისათვის დამახასიათებელი ლანდშაფტის ხედთან, მაგ: თბილისის მთაწმინდის ხედი, ნარიყალა, მეტეხი, სამების ტაძარი, კავკასიონის პანორამა, პარიზში – ეიფელის კოშკი ან მონმარტის მთა, ცნობილი სამონასტრო კომპლექსი ბარსელონაში – მთავარი საქვეითო ქუჩა – რამბლა, ორიენტირებული მთა “მონ ჯუიკი” – ისაკენ; ზოგიერთ შემთხვევაში საქვეითო ქუჩას მნიშვნელოვნად დიდი გრძივი ქანობი აქვს, თუ ეს გამონაკვეთია ისტორიულ-მხატვრული ობიექტების თავისებურებებით, მაგ: კალას უბნიდან -- ნარიყალაზე ასასვლელი გზა, პარიზში “მონ მარტ” – ის მთაზე ამსვლელი საქვეითო ქუჩები; რომში ცნობილი შადრევნიდან მონასტრისაკენ მიმავალი კიბე; თბილისში – ბეთლემის ეკლესიისაკენ მიმავალი ქუჩაკიბე, ლადო ასათიანის ქუჩიდან; ზოგიერთ შემთხვევაში საქვეითო ქუჩები მონყობილია ადრეულ შუასაუკუნეების პერიოდში, აშენებულ ნაგებობების გაშენებულ უბნებში თავისუფალი სქემის დაგეგმარების სქემის მქონე ქუჩები; მაგ: ხორვატიასში, ქალაქი – დუბროვნიკი, თბილისში – ავლენის ქუჩა.

საქვეითო ქუჩების განვითარება უნდა მოხდეს ისეთი პარამეტრებით, რომ მათ არ გამოიწვიოს მიმდებარე ინდივიდუალური და საზოგადოებრივი სატრანსპორტო გადაადგილებისათვის განკუთვნილი ქუჩების სატრანსპორტო და საექსპლუატაციო თვისებების გაუარესება, მათი გადატვირთვა გაზრდილი სატრანსპორტო ნაკადებით, საჭიროა გარკვეული კანონზომიერების დადგენა, რომლებიც გვიჩვენებენ კონკრეტული ქალაქის ტერიტორიის, მოსახლეობის რაოდენობის არსებული და პერსპექტიული დონის ქალაქების რელიეფის და ქუჩების რიცხოვნობის მახასიათებლების გათვალისწინებით საქვეითო ქუჩებისგან შემდგარი უბნის ფართობს, უბნის მოხაზულობას და მათ გეომეტრიულ პარამეტრებს, ამ საქვეითო უბნების წილი გზებისა და ქუჩების ტერიტორიიდან უბნების გადამკვეთი კომუნალური ტრანსპორტის სამოძრაო ქუჩებზე სატრანსპორტო საშუალებების შერჩევა, მათი გადაადგილებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნა მოძრაობის ორგანიზაციის უსაფრთხოების მეთოდებითა და საშუალებებით, ქალაქების ძველ ცენტრში უმრავლეს შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება; მეტიც, ისეთ მჭიდრო დასახლებაში, როგორებიცაა მეტეხის ზემოთ მიმდებარე ქუჩები, საჭიროა კიდევ სატრანსპორტო საშუალებები აიკრძალოს და მთლიანად ქუჩას საქვეითო მიმოსვლის ფუნქცია დაეკისროს, ეს დიდ სარგებელს მოუტანს ქვეყნის ეკონომიკას, გაზრდის ტურისტულ მიმზიდველობას, სადაც უფრო მეტი ტურისტი მოიყრის თავს კონკრეტულ ადგილებში, მეტ ფულსაც დახარჯავს და ქვეყნის ეკონომიკას ამით მეტ სარგებელს მოუტანს; ამასთანავე, ქალაქში შემცირდება ავტომობილებისგან მავნე ნივთიერებათა გამონაბოლქვები, ავტომობილთა ხმაური და ა.შ.

აღნიშნული თემის განსავითარებლად მიზანშეწონილია ჩავატაროთ კვლევა თბილისის რამოდენიმე მნიშვნელოვან უბნებზე, როგორიცაა: ვერცხლის ქუჩა, კალას უბანი, აბანოს უბანი და ა.შ. (მოცემულია ნახ. 1-ში,) მეტად მნიშვნელოვანი ობიექტი ავირჩიეთ საკვლევად: რელიეფის, შენობა-ნაგებობების განლაგებიდან, ამ ტერიტორიის სიძველიდან და ტურისტული პოტენციალიდან გამომდინარე; საჭიროა დავსახოთ სამომავლო პერსპექტივაში ანალოგიური რელიეფის, მოსახლეობის სიმჭიდროვის, მასობრივ სატრანსპორტო ქსელის მქონე ქალაქებიდან მოვახდინოთ მაღალ განვითარებულ ქვეყნებში საქვეითო ქუჩების თეორიული დაპროექტების საფუძველი ნორმატივების მოდელი დანერგვა ქალაქ თბილისში.



ნახ.1

თავდაპირველად, მოვახდინოთ ამ უბნებზე რეალური სურათის აღქმა და პრევენციული ღონისძიებები მკაცრად განსაზღვრულ უსაფრთხოების დაცვით დავგეგმოთ.

არსებული სიტუაციით, ამ ტერიტორიებზე ტრანსპორტის გადაადგილება ხდება შემდეგ ქუჩებზე :

- მეტეხი – თავისუფლების მოედანი, კოტე აფხაზის ქუჩის გავლით, ცალმხრივად;
- კოტე აფხაზის ქუჩიდან ალექსანდრე პუშკინის ქუჩამდე, ვერცხლის ქუჩის გავლით, ცალმხრივად;
- ამალღების ქუჩიდან კოტე აფხაზის ქუჩამდე, ლადო ასათიანის და იეროსალიმის ქუჩების გავლით, ცალმხრივად;
- ოვანეს თუმანიანის ქუჩიდან კოტე აფხაზის ქუჩის დასაწყისამდე, ცალმხრივად;
- აბო თბილელის ქუჩიდან თავისუფლების მოედნამდე, ლერმონტოვის და შალვა დადიანის ქუჩის გავლით, ცალმხრივად;
- ალექსანდრე დიუმას ქუჩა ვერცხლის ქუჩამდე, ცალმხრივად;
- შოთა ყავლაშვილის და შოთა ნიშნიანიძის ქუჩაზე, ცალმხრივად;
- ვახტანგ გორგასლის მოედანზე, სამღებროსა და აბანოს ქუჩებზე,

თავდაპირველად დავნიშნოთ ისეთი მარშრუტები, რომელიც შეფერხების გარეშე გაატარებს სატრანსპორტო საშუალებას და რაც მთავარია, სამომავლოდ ასათვისებელ საქვეითო ქუჩებს მოუნახავს განსაკუთრებულ ტერიტორიებს, ფართობებს.

შეგვიძლია დავარეგულიროთ მიმდებარე ქუჩების გამტარუნარიანობა და შემდეგ მივცეთ ქუჩას საქვეითო სტატუსი  $P = \frac{N}{A}$ ; სადაც A გზის გამტარუნარიანობაა, N – სატრანსპორტო ნაკადების ინტენ-

სივობა. ყოველ კონკრეტულ ქუჩას თავისი დატვირთვის დონე. მაგ. 0,6  $P = \frac{N}{A}$  თუ ამ ქუჩების ნაწილს გამოვყოფთ საქვეითოდ მაშინ სხვა ქუჩებზე დატვირთვა გადანაწილდება და გაიზრდება დატვირთვის დონე,  $P, P_1 = \frac{(N_1 + 0.6N)}{A_1}$ ;  $P_2 = \frac{(N_2 + 0.4N)}{A_2}$ ;  $P_3 = \frac{(N_3 + 0.2N)}{A_3}$ ;  $P_1 + P_2 + P_3 + \dots + P_N = 1$ ;

ახლად მიღებული P- ს მნიშვნელობები თუ ნორმის ფარგლებშია ანუ  $P < 0.75$ ; მაშინ გადანყვეტილებები ამ ქუჩაზე საქვეითო მოძრაობის შესახებ მისაღებია; თუ არა მაშინ აუცილებელია  $A_1, A_2, A_3$  – შესაბამისი გაზრდა; თუ როგორ გაიზარდოს გვიჩვენებს კონკრეტული ქუჩის ანალიზი.

მოცემულ საკვლევ ტერიტორიებზე ჩატარებული კვლევებიდან შეგვიძლია ანალიზის საფუძველზე მივიღოთ გადანყვეტილებები, რომელიც სამომავლოდ საქვეითო ქუჩების განვითარების შემდგომ საფეხურებს დავადგებით.

### დასკვნა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქვეითო ქუჩების უკეთ გასაკუთრებლად საჭიროა შეიქმნას მათემატიკური მოდელი, რომელიც დაუკავშირებს ერთმანეთს: საქვეითო ქუჩების რაოდენობას, ჯამურ სიგრძეს, დაკავებულ ფართობს, ქალაქის მახასიათებლებს: (მცხოვრებთა რაოდენობა). ტურისტული რეიტინგი: დაბალი- (ზესტაფონი, რუსთავი, კემეროვი, ჩელაბინკი...) საშუალო – (თბილისი, სიღნაღი, მესტია); მაღალი – (ვენა, ვენეცია, ბარსელონა, ბერნი, ) ; რაც მეტია ტურისტული რეიტინგი, მით მეტია საქვეითო



ქუჩები; სატრანსპორტო საშუალებების დონე: ქალაქის საერთო ფართი, გზებისა და ქუჩების ქსელის ფართობი და კონფიგურაცია.

საჭიროა მოხდეს საქვეითო ქუჩების მოწყობა-გაფორმება, ღია კაფე-ბარების განვითარება; საქვეით ქუჩების შესასვლელ-გასასვლელის იზოლირება საავტომობილო ქუჩებთან სპეციალური დისტანციური ზღუდარებით უნდა მოხდეს, (მათი გამოყენება შეეძლება დასუფთავების სამსახურებს, სასწრაფო დახმარებებს, დისტრიბუციის მანქანებს, სახანძრო სახანძრო სამსახურებს, საპატრულო და კრიმინალურ პოლიციას, და კიდევ საჭირო შემთხვევებში მცირე გაბარიტების მქონე სამშენებლო მანქანებს, ისიც შეზღუდული მუშაობის საათებით, რადგან არ შეიზღუდოს ქვეითთა გადაადგილება და მათი უსაფრთხოება დაცული იყოს.

### გამოყენებული წყაროები

1. ბერიძე გ. არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის პრობლემები, თბილისი 2001 წ. გვ54-გვ56;
2. ნინიძე დ. და სხვები, თბილისის ურბანული რეაბილიტაციის ძირითადი საკითხები, თბილისი, 2001 წ. გვ77-გვ91;
3. დ.აბულაძე. „როდის ექნება თბილისს სტრატეგიული განვითარების გეგმა?“ საქართველოს არქიტექტურული კატალოგი №1, 2005 წ. გვ15-გვ18;
4. აფციაური ვ. და სხვები, თბილისის ქალაქმშენებლობითი განვითარების მეთოდოლოგიური პრობლემები, თბილისი, 2004 წ. გვ 157- გვ 158;
5. Кудрявцев О.К. Федутинов Ю.А. Чуверин И.И., Транспорт Городских Центров, Москва, 1978 г. ст 144 – ст 148.

### თ. კურტანიძე

#### საქვეითო ქუჩების განვითარების ტენდენცია

#### რეზიუმე

სამუშაოს მიზანია საქვეითო ქუჩებზე კვლევების ხელშეწყობა და განვითარება, პარკირების მოედნებისა და საავტომობილო გზის სავალი ნაწილის გამიჯვნა; წამოყენებულია შესაბამისი მოთხოვნები საქვეითო ქუჩებისადმი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეითთა ინტენსიური ნაკადების კომფორტულ გადაადგილებას.

**T.Kurtanidze**

#### **Pedestrian Street Development Tendencies**

#### **Summary**

The goal of the work is to promote and develop researches on the streets of pedestrians, separation of parking grounds and motorway road; the relevant requirements are applied to the street of pedestrians, that provide comfortable movement of pedestrians intensive streams.





## ზ. ლაოშვილი, ა. ირემაშვილი, ს. კვიციანი, ლ. გრიგოლია

### ბის მონაცემთა ორგანიზების პრინციპები

სივრცითი ინფორმაციის სრულყოფილი შესწავლისათვის აუცილებელია მათი ორგანიზება, კლასიფიცირება და დახარისხება [ნიკოლაიშვილი დ., 2004].

**გის-ში მონაცემთა ორგანიზება ეს არის სხვადასხვა სახის მონაცემების შემდგომში ეფექტურად მართვისა და ანალიზის მიზნით ერთიან ლოგიკურ მოდელად წარმოდგენის პროცესი.**

უნდა ითქვას, რომ მონაცემთა ორგანიზების საკითხი, მათ შორის, მონაცემთა მოდელები, სტრუქტურა და ფორმატი, გის-ში ერთ-ერთი ყველაზე რთული და ამავე დროს ყველაზე მნიშვნელოვანი თემაა. მისი როლი გაცილებით მნიშვნელოვანია ვიდრე კონკრეტული პროგრამული პაკეტის ან კომპიუტერული პლაფორმის შერჩევა.

მოპოვებული ინფორმაცია შეიძლება ინახებოდეს ნაკრების ან ფაილების სახით. გარდა ამისა, შეგროვების პროცესში მათი ორგანიზება შეიძლება მოხდეს დაკავშირებულ ერთობლიობაში, რომელსაც მოდელს უწოდებენ. იმისათვის, რომ განსხვავებული მონაცემები და მოდელები ერთიან სისტემაში დამუშავდეს, ისინი ერთიან ინფორმაციულ მოდელში უნდა მონესრიგდეს და დალაგდეს, რომელშიც ერთმანეთს შეავსებენ. მონაცემთა ორგანიზების შედეგს წარმოადგენს ისეთი ინფორმაციული მოდელის შექმნა, რომელიც ინფორმაციის მონაცემთა ბაზებში ეფექტური შენახვის და სხვადასხვა საინფორმაციო ტექნოლოგიებში მათი შემდგომი მართვის (ძიება, ვიზუალიზაცია, ანალიზი) საშუალებას მოგვცემს. ორგანიზაცია მონაცემებს ანიჭებს ხარისხობრივად ახალ თვისებებს. სწორედ ეს პროცესი აძლევს გეოგრაფიულ მონაცემებს ფართო დიაპაზონის სივრცითი ამოცანების (მართვა, ანალიზი, ლოგისტიკა, დაგეგმარება, პროექტირება, პროგნოზირება, რესურსების გამოყენება, მონიტორინგი) გადაჭრის საშუალებას [ლაოშვილი ზ., 2018].

საწყისი და წინასწარ დამუშავებული ინფორმაცია მრავალ პარამეტრს შეიცავს, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება დუბლირებულიც კი იყოს. ობიექტების შესახებ მონაცემთა რაოდენობის შემცირება მოდელის გამოყენებით არის შესაძლებელი, რომლებიც მხოლოდ მთავარ თვისებას ინახავს.

გეოინფორმატიკაში მონაცემების შეგროვების ერთ-ერთი თავისებურება არა მხოლოდ ის არის, რომ საწყისი მონაცემებს შეიძლება განსხვავებული განზომილებები ჰქონდეთ, არამედ ის, რომ ისინი განსხვავებული შკალით შეიძლება იზომებოდეს. მონაცემთა ორგანიზება მათ ერთიან გარემოში მოაქცევს. სწორედ ეს იძლევა კომპლექსური ანალიზის საშუალებას [ლაოშვილი ზ., 2018].

მონაცემთა ორგანიზების პროცესში საწყისი მონაცემების მთელი მრავალფეროვნება (სივრცითი ობიექტების ფორმა, მახასიათებლები, ურთიერთკავშირები, აღმწერი ინფორმაცია და სხვ.) გარდაიქმნება ინფორმაციულ მოდელად, რომელსაც იყენებს გეოინფორმაციული სისტემა. ასე მაგალითად, ნაკვეთის შესახებ ჩვენ შეიძლება ქვეყნდეს სხვადასხვა სახის ინფორმაცია: *txt* ან *dwg* ფორმატში GPS წერტილები ნაკვეთის მდებარეობის (წვეროების კოორდინატების) შესახებ; ნაკვეთის აღმწერი ინფორმაცია (მდებარეობა, მფლობელი, ფუნქცია, საკუთრების დოკუმენტი და სხვ.) ქალაქის ან ელექტრონული (*docx*) დოკუმენტების სახით; ნიადაგის მახასიათებლები ელექტრონული ცხრილების (*xlsx*) სახით; ფოტოსურათები რასტრული (*jpg*) ფორმატის სახით. ეს ყველაფერი შეიძლება ერთ ვექტორული მოდელში – შეიფ-ფაილში (*shp*) დაბინავდეს. ცხადია, მათი შემდგომი გამოყენება გაცილებით ადვილი იქნება.

ინტეგრირებული ინფორმაციული მოდელები წარმოადგენს შედარებით უბრალო მოდელის ერთობლიობას. მონაცემთა ეფექტური დამუშავებისთვის ეს ერთობლიობა ოპტიმიზირებულ უნდა იქნას. ეს ამოცანაც მონაცემთა ორგანიზების პროცესში უნდა მოგვარდეს.

გის-ში მონაცემთა ორგანიზების ამა თუ იმ ხერხის (პირველ რიგში ამა თუ იმ მოდელისთვის) შერჩევას არსებითი მნიშვნელობა აქვს. მონაცემთა მოდელის შერჩევა პირდაპირ განსაზღვრავს გის-ის მრავალ ფუნქციონალურ შესაძლებლობებს. ზოგიერთი ფუნქცია შეუძლებელია გამოვიყენოთ მონაცემთა ორგანიზების გარკვეული ტიპისთვის ან ისინი მხოლოდ რთული მანიპულაციების გზით თუ მიიღწევა. გარდა ამისა, მონაცემთა ორგანიზაცია პირდაპირ განსაზღვრავს ინფორმაციის შეყვანის ტექნოლოგიებს. იმავე მიზეზით მასზე არის დამოკიდებული მიღებული ინფორმაციის გრაფიკული ნაწილის სივრცითი სიზუსტე, ხარისხიანი კარტოგრაფიული მონაცემები და რუკების ხარისხის კონტროლის ორგანიზება. გარკვეულწილად გის სისტემის მოქმედების სისწრაფესაც (მაგ., მონაცემთა ძიება, მოთხოვნა, ვიზუალიზაცია) მონაცემების ორგანიზების ტიპი განსაზღვრავს.





დიდი მოცულობის ან ვრცელ ტერიტორიაზე განთავსებულ ზუსტ მონაცემებთან მუშაობის შესაძლებლობებიც მონაცემთა ორგანიზების ტიპზეა დამოკიდებული, ისევე, როგორც მონაცემთა რედაქტირების და განახლების ოპტიმალურობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გამოვყოთ მონაცემთა სისტემური ორგანიზების შემდეგი ამოცანები:

- ინფორმაციის, როგორც მოდელში აღმწერი მონაცემის გარდაქმნა.
- მრავალრიცხოვანი სივრცითი ინფორმაციის ერთ ინტეგრირებულ მოდელში თავმოყრა.
- ინტეგრირებულ მოდელში გარდაქმნისას საბაზისო მონაცემების და მოდელების კლასიფიცირება.

- ინტეგრირებულ მოდელში ინფორმაციის გარდაქმნისას იმ მონაცემების იდენტიფიკაცია, რითიც ის ინდივიდუალურობას ინარჩუნებს.

- გეომონაცემებს შორის მათი ინტეგრაციის საფუძველზე დამატებითი კავშირების სხვადასხვა შკალებით გაზომილი და სხვადასხვა პარამეტრების საბაზისო მონაცემების ერთ სისტემაში უნიფიკაცია, მათი შემდგომი დამუშავებისა და ანალიზისთვის შესაძლებლობების შექმნა.

- გის-ის მთავარი ამოცანისთვის (სივრცითი ანალიზისთვის), ობიექტების, მოვლენებისა და მათი მახასიათებლებისათვის სივრცითი ურთიერთკავშირების ბაზის შექმნა.

**გის-ის ორგანიზაციის დონეები**

გის-ში სივრცითი მონაცემების ორგანიზების პროცესს რეალური სამყაროს ობიექტების შესახებ ინფორმაციის თავისებურებანი განსაზღვრავენ. ასეთი ინფორმაცია ნაწილობრივ ინდივიდუალიზირებულ ობიექტებს, ნაწილობრივ კი სივრცეში უწყვეტად გავრცელებულ თვისებას განეკუთვნება.

მონაცემთა ორგანიზება ასევე დამოკიდებულია იმაზე თუ მომხმარებელი როგორ აღიქვამს რეალურ სამყაროს. მის მიერ მონაცემთა სტრუქტურის აღქმა (გონებრივი მოდელი) განათლებაზე, ერუდიციაზე, პასუხისმგებლობაზე, ორგანიზაციის მიზნებზე და სხვ. არის დამოკიდებული.

მონაცემთა ორგანიზებაში გამოიყოფა შემდეგი დონეები:

- კონცეპტუალური დონე
- I ლოგიკური დონე
- II ლოგიკური დონე
- ფიზიკური დონე

**კონცეპტუალური დონე**

ამ ეტაპზე მუშავდება კონცეპტუალური მოდელი, ანალიზდება საკვლევი ობიექტის ან პროცესის ზოგადი და უნიკალური თვისებები, შეირჩევა მონაცემების წყაროები, ტიპები, გამოსახვის საუკეთესო ხერხები, ბაზის შექმნის ვადები და სხვა მრავალი. იგი არ უკავშირდება პროგრამულ-აპარატულ კომპონენტს.

მონაცემების ორგანიზება იწყება მომხმარებლის მიერ მოდელში რეალური სამყაროს სტრუქტურის წარმოდგენის აღქმით და გააზრებით. ამისათვის საჭიროა შემდეგი ღონისძიებები:

- საგნობრივი სფეროს და მისი ინფორმაციული სტრუქტურის შესწავლა.
- ყველა ფრაგმენტის გამოვლენა, რომელთაგან თითოეული ხასიათდება სამომხმარებლო წარმოსახვით, ინფორმაციული ობიექტებით და მათ შორის ურთიერთკავშირებით.
- ყველა წარმოსახვის მოდელირება და ინტეგრაცია.

ამასთან განსაზღვრავენ: რომელი გეოგრაფიული ობიექტები წარმოადგენენ კვლევის სფეროს, როგორი დამოკიდებულებაა მათ შორის და რომელ პროცესებში მონაწილეობენ ისინი.

მონაცემთა ორგანიზების ამ დონეზე მიიღება **მონაცემთა კონცეპტუალური მოდელი**, რომელიც ორიენტირებულია მონაცემთა ბაზების სტრუქტურაზე. ხშირად იგი წარმოდგენილია **“არსი-კავშირის” მოდელის** სახით<sup>1</sup>.

მონაცემთა მოდელს აღწერს სივრცითი მახასიათებლები და ატრიბუტები, მათი ურთიერთკავშირები, მათი გამოყენება, პროცესები, რომლებიც მათი მართვისთვის არის საჭირო.

<sup>1</sup> “არსი-კავშირის” მოდელი ზოგადია და მონაცემთა ბაზების პროექტირების ეტაპზე გამოიყენება. ეს არის მონაცემების მოდელირების ტექნოლოგია, რომელიც ინფორმაციული სისტემის შიგნით ქმნის “არსების” გრაფიკულ წარმოდგენას და მათ შორის კავშირებს. ეს მოდელი დაფუძნებულია რეალური სამყაროს რომელიმე მნიშვნელოვან სემანტიკურ (ნიშნობრივ) ინფორმაციაზე, რომელიც განკუთვნილია მონაცემების ლოგიკური წარმოდგენისთვის. ის მონაცემების მნიშვნელობებს განსაზღვრავს მათი სხვა მონაცემებთან ურთიერთკავშირების კონტექსტში. “არსი-კავშირის” მოდელი შემოთავაზებულ იქნა 1976 წელს ამერიკელი მეცნიერის პიტერ პინ-შინ ჩენის მიერ.



მონაცემთა მოდელი შეიცავს:

– „სივრცითი არსი“, რომელიც წარმოადგენს სივრცითი ობიექტების კომპიუტერულ წარდგენას სტრუქტურის აღქმით (მაგ: ტბა, ტურისტული მარშრუტი, სასტუმრო და სხვ.)

– „სივრცითი არსის“ აღმწერ მონაცემებს ჩვეულებრივ ატრიბუტებს უწოდებენ. „არსის“ ურთიერთდამოკიდებულება გამოისახება კავშირებით (Relationships). განასხვავებენ კავშირების კლასებს, ეგ ზემოპლარებს.

ამ დონეს მიეკუთვნება ცნებები: შრე (ფენა), თემა, პოლიგონი, ხაზი, რკალი, ცხრილი, იდენტიფიკატორი, ინდექსირების ხერხი და სხვ. ამ დონესთან უფრო მეტად შეხება აქვს მომხმარებელს და მონაცემთა ბაზების ადმინისტრატორს. ასევე სისტემის დამმუშავებელს.

არსებობს **ლოგიკური დონეც**, რომელიც გულისხმობს მონაცემთა ბაზის შინაარსის და სტრუქტურის განსაზღვრას პროექტისთვის გამიზნული კონკრეტული გის პროგრამული პროდუქტის და მონაცემთა ბაზის ტექნიკური სპეციფიკის გათვალისწინებით. იგი დაკავშირებულია პროგრამულ უზრუნველყოფასთან და თავის მხრივ ორ დონედ იყოფა:

### I ლოგიკური დონე

მონაცემთა ორგანიზების უფრო დეტალურ – ლოგიკურ დონეზე კონკრეტული მონაცემთა ბაზების მართვის სისტემის მონაცემთა სტრუქტურურებში ხდება ინფორმაციისადმი მოთხოვნების გარდაქმნა. მონაცემთა სტრუქტურის წარმოდგენისას გამოიყენება ჩანაწერები, მონაცემთა ელემენტები, ჩანაწერებს შორის კავშირები და სხვა. აქ უკვე ჩნდება მათემატიკური და პროგრამირების ცნებები: მატრიცა, სია, კავშირის სისტემები, მანიშნებელი, ინფორმაციის შეკუმშვის მექანიზმები და სხვა. ამ ეტაპზე ძირითადად განიხილება მონაცემთა შენახვის ადგილის და სწრაფადმოქმედების ოპტიმიზაციის (შიდაკომპიუტერული) საკითხები. I ლოგიკური დონე – ეს არის პროგრამისტის თემა.

### II ლოგიკური დონე

მონაცემთა ორგანიზების დეტალიზაციის მეორე ლოგიკურ დონეზე ჩვენ საქმე გვაქვს ფაილების სტრუქტურასთან და მათ ფორმატებთან, რომელიც კონკრეტული მონაცემთა ბაზების მართვის სისტემისათვის გამოიყენება. ეს არის ფაილში ინფორმაციის განთავსება – რაც გამოტანილია მის სათაურში, თუ რა თანმიმდევრობით და რა ფორმებით არის სისტემური რიცხვები ორგანიზებული ამ ფაილებში. ეს დონე ასევე პროგრამისტის თემას წარმოადგენს. რიგითმა მომხმარებელმა სასარგებლოა იცოდეს მონაცემთა განსაზღვრულ სტრუქტურაში კონკრეტული ფაილების დანიშნულება, მათი შესაძლებლობები და შეზღუდვები და კონკრეტული ფაილის ფორმატის გამოყენება. მაგალითად, უნდა იცოდეს შეიფფაილის (Shapefile), პერსონალური (Personal Geodatabase), ფაილური (File Geodatabase) და ქსელური (Database Connection) გეომონაცემთა ბაზების ან რასტრული მოდელის ფორმატების მახასიათებლები (დანიშნულება, შესაძლებლობები, შეზღუდვები) და მათი გამოყენების საკითხები.

### ფიზიკური დონე

უკავშირდება აპარატურულ-ტექნიკურ საშუალებებს. მონაცემთა ორგანიზების ფიზიკურ დონეზე იქმნება კონკრეტული გის-ის მონაცემთა ბაზების სტრუქტურა. აქ განისაზღვრება მონაცემთა შენახვის თავისებურებანი, წვდომის მეთოდები, რომელი ობიექტები შედის მონაცემთა ბაზებში, როგორ არიანი ისინი განაწილებული თემატურ შრეებს შორის, რომელ კლასიფიკატორებს იყენებს და ა.შ. სტრუქტურის აღწერისათვის მონაცემთა ჯგუფებს, ინდექსებს და წვდომის მეთოდებს მიმართავენ. კონკრეტული მონაცემთა ბაზის სტრუქტურის ორგანიზაციის დონე უნიკალურია თითოეული კონკრეტული პროექტისათვის.

საგნობრივი სფეროს გეომონაცემთა ბაზების ლოგიკური მოდელების ასაგებად გამოიყენება ArcGIS-ის შემადგენლობაში შემავალი Case Tools, ლოგიკური მოდელი აიგება UML დიაგრამის სახით Visio™ პროგრამული პაკეტის დახმარებითაც. ამასთან, გამოიყენება ESRI-ის მოდიფიცირებული შაბლონები. UML მოდელი ერთი მხრივ წარმოადგენს მომავალი გეომონაცემთა ბაზების დოკუმენტირებულ და თვალსაჩინო წარმოდგენას, ხოლო მეორე მხრივ – საწყის მონაცემებს მონაცემთა ბაზების სტრუქტურის XML ენაზე აღწერისათვის [ლაოშვილი ზ., 2018].

გეომონაცემთა ბაზების ფიზიკური სტრუქტურა გენერირდება და საჭიროების შემთხვევაში მოდიფიცირდება XML აღწერიდან ArcCatalog ინსტრუმენტებსი დახმარებით.

გეოგრაფიული ობიექტების წარმოსადგენად არსებობს მონაცემთა მრავალი სტრუქტურა, რომელთა შერჩევაც მათ საჭიროებაზე და შემდგომ გამოყენებაზეა დამოკიდებული. ყველაზე მეტი გავრცელება სივრცითი მონაცემების ორგანიზაციის ორმა საყოველთაოდ გავრცელებულმა პრინციპმა ჰჰოვა:

– თემატური შრეების ორგანიზების პრინციპი.



– ობიექტურ-ორიენტირებული პრინციპი.

**თემატური შრეების ორგანიზების პრინციპი**

რეალური სამყარო მრავალციხოვანი სივრცითი ობიექტებისაგან შედგება. მისი დეკომპოზიცია შესაძლებელია სტრატეგიკაციის გზით. ეს არის პროცედურა, რომელიც მრავალციხოვან გეოგრაფიულ ობიექტებს დამუშავებისა და ანალიზისთვის მოსახერხებელ თემატურ შრეებად ყოფს. შედეგად მივიღებთ, რომ რეალური სამყაროს შესასწავლი სივრცე წარმოგვიდგება ურთიერთდაკავშირებული მონაცემების შრეების ნაკრების სახით [Ананьев Ю. С., 2023].

ის კარგად და თვალსაჩინოდ შეესატყვისება კლასიკური კარტოგრაფიის პრინციპებს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ გამოიყენება ობიექტების დაყოფა თემატურ შრეებად. ერთ ფენას მიკუთვნებული ობიექტები ქმნიან მონაცემთა ერთ ლოგიკურ (ზოგჯერ ფიზიკურ) ერთეულს. ეს პრინციპი რეალიზდება შემდეგნაირად: ყველა მრავლობითი ობიექტები იყოფა ქვესიმრავლეებად. თითოეული მათგანი წარმოადგენს ერთი ტიპის და ერთგვაროვანი მონაცემების სიმრავლეს, რომელიც წარმოქმნის მონაცემთა თემატურ შრეს.

მონაცემთა შრეებრივი ორგანიზაცია უშვებს, რომ:

- შრეს სივრცეში არ აქვს წყვეტა.
- ყველგან არსებობს რაიმე სახის ინფორმაცია, მათ შორის “ობიექტის არ არსებობა” ან “ობიექტის შესახებ მონაცემების არ არსებობა”.

– შრეები ყოველთვის ზუსტად არ შეესატყვისებიან თემატურ დაყოფას (მაგ., რამდენიმე შრე დროთი შკალის სხვადასხვა პერიოდთან ერთსა და იმავე თემას შეიძლება ეკუთვნოდეს).

კარტოგრაფიულ შრეებს შორის ინფორმაციის განაწილების ორი კრიტერიუმი შეიძლება გამოიყოს: 1. სივრცითი ობიექტის საბაზისო ტიპი, რომელშიც წარმოდგენილია სივრცითი მონაცემები და 2. სივრცითი ობიექტების ატრიბუტული მონაცემები.

გის ინფორმაციის სრულფასოვნად წარმოსადგენად ფრიად მნიშვნელოვანია შრეების ერთმანეთის მიმართ განაწილების სტრუქტურული მიდგომა.

საბაზისო მონაცემის ტიპიდან გამომდინარე ყველა შრე შეიძლება პირობითად დაიყოს ჯგუფებად: შრეები, რომლებიც შეიცავენ წარწერებს (მაგ., ანოტაციური კლასები); შრეები, რომლებიც შეიცავენ ნერტილოვან ობიექტებს; შრეები, რომლებიც შეიცავენ ხაზოვან ობიექტებს; შრეები, რომლებიც შეიცავენ პოლიგონურ ობიექტებს. ასეთი დაყოფის შემთხვევაში ინფორმაციის სრულყოფილად გადმოცემის მიზნით აუცილებელია შრეები ქვემოდან შემდეგი თანმიმდევრობით დალაგდეს:

პირველ რიგში გამოისახოს ფართობული ობიექტების შემცველი შრეების ჯგუფი.


შემდეგ გამოისახოს ხაზოვანი ობიექტების შემცველი შრეების ჯგუფი.

შემდეგ – ნერტილოვანი ობიექტების შემცველი შრეების ჯგუფი.

შემდეგ – თუ გვაქვს თემატური შრეები, რომლებიც შეიცავენ სხვადასხვა სახის ზომით სიმბოლოებს, დიაგრამებს და ა.შ.

სულ ბოლოს გამოისახოს სხვადასხვა ტიპი წარწერების შემცველი შრეების ჯგუფი.

ასეთი თანმიმდევრობის დაცვა ძალიან მოსახერხებელია ArcGIS-ის გეომონაცემთა ბაზებში (GeoDataBase), სადაც ფართობული, ხაზოვანი და პოლიგონური შრეების (Feature Class) დაჯგუფება შესაძლებელია ობიექტთა ნაკრებების (Feature Dataset) სახით (სურ. 1).



სურ. 1. ArcGIS-ის გეომონაცემთა ბაზებში (GeoDataBase) ორგანიზებული თემატური შრეები



თითოეული ჯგუფის შიგნით შრეების ურთიერთგანლაგების თანმიმდევრობის განსაზღვრის მიზნით ასევე უნდა შემუშავდეს პრიორიტეტების სისტემა. ეს ძირითადად ფართობულ შრეებს ეხება. ბუნებრივ პრიორიტეტს განსაზღვრავს ამ შრის სივრცითი ობიექტების საშალო ფართობი და გეომეტრიული ფაქტორი. შრეების თანმიმდევრობა ქვემოდან ზემოთ საშუალო ფართობის შემცირების მიხედვით განისაზღვრება (მაგ., ტბის შრე ტყის ზემოთ უნდა განვითავსოთ, ხოლო კუნძული – ტბის შრის ზემოთ). თუ ამ წესს არ დავიცავთ. შეიძლება ინფორმაციის ვიზუალურ დაკარგვასთან გვექონდეს საქმე (მაგ., ტბა ტყის ქვეშ დაიმალოს და ა.შ.).


რაც შეეხება ხაზოვან და წერტილოვან შრეებს აქ ინფორმაციის დაკარგვის საშიშროება ნაკლებია, თუმცა გამორიცხული არ არის. მათი ურთიერთგანლაგებისას უნდა გავითვალისწინოთ თუ რეალურ სამყაროში მათ როგორი მდებარეობა უკავიათ. ხაზოვანი ობიექტების შემთხვევაში ქვემოთ პირველად განთავსდება მინისქვეშა ობიექტები (მაგ., მილსადენი), მის ზემოთ მინისპირა ობიექტები (მაგ., გზები), ხოლო სულ ბოლოს – მინის ზედა ობიექტები (მაგ., საჰაერო ელექტროგადამცემი).

არსებობს გამონაკლისებიც, როდესაც ხაზოვანი შრეების ურთიერთგანლაგებისას გეომეტრიული ფაქტორის გვერდით სემანტიკურიც დიდ როლს თამაშობს. ატრიბუტული ინფორმაციიდან გამომდინარე შრე შეიძლება განვითავსოთ სხვა საბაზისო მონაცემებთან ერთად. ამის კარგი მაგალითია ჰორიზონტალები. ისინი შეიძლება მოექცეს იმ პოლიგონურ ობიექტების შორის, რომელსაც ჰორიზონტალი რეალურ სამყაროში ვერ გადაკვეთავს (მაგ., შენობა-ნაგებობები) და, რომელსაც გადაკვეთავს (მაგ., მინის ნაკვეთი).

წერტილოვანი შრეების შემთხვევაში ურთიერთგანლაგების ზოგადი კრიტერიუმები არ არსებობს, რადგან თანმიმდევრობის დარღვევის შემთხვევაში ინფორმაციის დაკარგვა ნაკლებად მოსალოდნელია. თუმცა არა ყოველთვის და ამიტომ, უმჯობესია გეომეტრიული განლაგების პრინციპი აქაც დავიცვათ. მაგ., წყალმომარაგების სისტემაში ჭა და ურდული ერთ ვერტიკალურ სიბრტყეში არიან განთავსებული. და რადგან ურდული ჭაში მდებარეობს, ცხადია ეს უკანასკნელი ჭის შრის ზემოთ უნდა იყოს განთავსებული.

**ობიექტურ-ორიენტირებული პრინციპი**

აქცენტს აკეთებს არა იმდენად ობიექტის ზოგად თვისებაზე, არამედ რომელიმე რთულ საკლასიფიკაციო სქემაში მის მდებარეობაზე და მათ ურთიერთკავშირებზე. ამ შემთხვევაში ადვილად აისახება ობიექტებს შორის სხვადასხვა სახის ნათესაური, გენეტიკური ან ფუნქციონალური ურთიერთკავშირები [Ананьев Ю. С., 2023] (სურ. 2).



სურ. 2. POI (Point Of Interest)-ის ორგანიზების ობიექტურ-ორიენტირებული მიდგომის სქემა

GIS-ის პროგრამული უზრუნველყოფის წინა თაობებისგან განსხვავებით, ობიექტზე ორიენტირებული სისტემები წარმოაჩენს ობიექტს ანალიზის ერთეულად და არა მის მოხაზულობად. ამ პარადიგმის ცვლილების შედეგი ისაა, რომ ადგილმდებარეობა და დრო განიხილება ობიექტის გამორჩეულ თვისებებზე, რაც სივრცე-დროითი ატრიბუტების ხშირი განახლების საშუალებას იძლევა. [David J. Maguire. 2005]

**სივრცითი და ატრიბუტული მონაცემების კავშირების ორგანიზაცია**


გის-ში მონაცემთა ნებისმიერ მოდელს პირველ რიგში კავშირი უნდა ქონდეს ელემენტარულ სივრცით ობიექტებთან. თითოეულ მათგანში სულ ცოტა 3 ტიპის ინფორმაცია უნდა ინახებოდეს:

- იდენტიფიკატორი (ID – ხშირად ფორმალური).
- ობიექტის შესახებ სივრცითი მონაცემები.
- ობიექტის შესახებ ატრიბუტული მონაცემები.



არსებობს სივრცით და ატრიბუტულ მონაცემებს შორის კავშირის 3 პრინციპი. ერთი კია სამივეს-თვის დამაკავშირებელია ID ინფორმაცია.

პირველი პრინციპი – გეორელაციური, იმაზე მიუთითებს, რომ სივრცითი და ატრიბუტული მონაცემები განსხვავებულად ორგანიზდება. მათ შორის კავშირი ინდიკატორის (ID) მეშვეობით მყარდება. სივრცითი მონაცემები ატრიბუტულისგან ცალკე – თავის (სისტემურ) ფაილებში ინახება. ატრიბუტული მონაცემები ასეთ შემთხვევაში ინახება მონაცემთა რელაციურ მოდელში ცხრილების სახით და იმართება რელაციური მბმს-ით [Ананьев Ю. С., 2023] (სურ. 3).



სურ. 3. სივრცით და ატრიბუტულ მონაცემებს შორის გეორელაციური კავშირი

მეორე პრინციპი – ორივე ტიპის მონაცემების ინტეგრირებული შენახვაა. ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია რელაციური მონაცემთა ბაზების მართვის სისტემის გამოყენება, როგორც ატრიბუტული, ისე სივრცითი მონაცემების შენახვისთვის [Ананьев Ю. С., 2023] (სურ. 4).

სურ. 4. სივრცითი (X,Y)და ატრიბუტული (Point, AU) მონაცემების ერთობლივი შენახვა

ეს ვარიანტი მთელი რიგი უპირატესობებით სარგებლობს, განსაკუთრებით დიდი მოცულობის მონაცემებისათვის, რომლებიც მრავალმომხმარებლიანი რედაქტირების რეჟიმში არიან ჩართული. აქ მონაცემთა ერთიანობა პრინციპულად მნიშვნელოვანია.

მესამე პრინციპი – ობიექტური მიდგომის გამოყენებაა. იგი მრავალ მომხიბვლელ მხარეს მოიცავს. განსაკუთრებით მასში მონაცემთა რთული სტრუქტურის შედარებით იოლად აღწერა, ობიექტებს შორის ურთიერთკავშირები, მონაცემების იერარქია და გის-ის გარემოში საინჟინრო მოდელირების მრავალრიცხოვანი ამოცანების გადაჭრა.

### გამოყენებული წყაროები

1. ნიკოლაიშვილი.დ. „გეოინფორმაციული და ექსპერტული სისტემები“. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2004;
2. ლაოშილი.ზ. გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების საფუძვლები, თბილისი, „კლიო“, 2018;
3. Kuba P. Data Structures for Spatial Data Mining, Brno, 2001;
4. David J. Maguire, Michael B. Michael F. Goodchild, “GIS, Spatial Analysis and Modeling“. Redlands 2005.
5. Ананьев Ю. С., Геоинформационные Системы, Томск, 2003.





**ზ. ლაოშვილი, ა. ირემაშვილი, ს. კვიჟინაძე, ლ. გრიგოლია**

## **გის მონაცემთა ორგანიზების პრინციპები**

### **რეზიუმე**

სივრცითი ინფორმაციის სრულყოფილი შესწავლისათვის აუცილებელია მათი ორგანიზება, კლასიფიცირება და დახარისხება. გის-ში მონაცემთა ორგანიზება ეს არის სხვადასხვა სახის მონაცემების შემდგომში ეფექტურად მართვისა და ანალიზის მიზნით ერთიან ლოგიკურ მოდელად წარმოდგენის პროცესი. მონაცემთა ორგანიზებაში გამოიყოფა კონცეპტუალური დონე, I ლოგიკური, II ლოგიკური დონე, ფიზიკური დონე. გეოგრაფიული ობიექტების წარმოსადგენად არსებობს მონაცემთა მრავალი სტრუქტურა, რომელთაგან ყველაზე მეტად იყენებენ თემატური შრეების ორგანიზების და ობიექტურ-ორიენტირებულ პრინციპებს. მონაცემთა ორგანიზებისას ძალიან მნიშვნელოვანია სივრცითი და ატრიბუტული მონაცემების კავშირები.

**Z.Laoshvili, A.Iremashvili, S. Kvizhinadze, L.Grigolia**

## **GIS Data Organizing Principles**

### **Summary**

Arranging, classifying and sorting are necessary attributes for thoroughly researching spatial data. Organizing data in GIS is a process of presenting unified logical model, aiming to manage and analyze various types of data. There are several levels of data organizing: conceptual, 1-st logical, 2-nd logical and physical. We have many principles to represent geographic objects. Most used ones are organizing thematic layers and object-oriented principles. Connection between spatial and attribute data is extremely important while organizing data.



## თ. ჟვანია, შ. კახანაძე

### ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გამოყენების პერსპექტივები ტურიზმში

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ინფორმაციზაცია გულისხმობს ინტერნეტზე დაფუძნებული ინფორმაციული და კომუნიკაციის ტექნოლოგიების განვითარებას. მნიშვნელოვანია ინფორმაციზაციის: მონაცემთა გადაცემის არხების, მონაცემთა დამუშავების მოწყობილობების, კავშირის საშუალებების, ინფორმაციასთან წვდომის, პროგრამული უზრუნველყოფის, მონაცემთა შენახვისა და გადაცემის ინფრასტრუქტურის განვითარება

ინტერნეტზე დაფუძნებული თანამედროვე საინფორმაციო სისტემების გამოყენებით შესაძლებელია ნებისმიერი ოპერაციის განხორციელება, დამოუკიდებლად იმისა, თუ სად მდებარეობს ინფორმაციის წყარო და მისი მიმღები. ბუნებრივია, ეს უპირატესობა გავლენას ახდენს კომერციული საქმიანობის ინფორმაციულ შემადგენელზე ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა სფეროში და მათ შორის – ტურისტულ ბიზნესშიც.

ონლაინ მომსახურების არანახული სისწრაფით განვითარების პირობებში, როცა „ერთი დაკლიკებით“ შესაძლებელია, დაგეგმვით და ორგანიზაცია გაუკეთოთ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მოგზაურობას, დაჯავშნოთ ნებისმიერი მიმართულებით ბილეთები, სასტუმროები, შეიძინოთ თქვენთვის სასურველი სანახაობების ბილეთები და ა.შ., მცირე ტურისტული საწარმოების (ტუროპერატორების, ტურისტული ფირმების) ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს, დინამიკურ რეჟიმში უზრუნველყონ მომხმარებლისათვის სრული ტურისტული პაკეტის შეთავაზება. მსგავსი ტურისტული პაკეტების ფორმირებასა და რეალიზაციას საფუძვლად უდევს ონლაინ რეჟიმში ავიაკომპანიებთან, სასტუმროებთან და სხვადასხვა ტიპის ტურისტულ საწარმოებთან პირდაპირი წვდომა.

გარდა ამისა, ისევე როგორც ნებისმიერ სფეროში, ტურისტულ ბიზნესშიც მომუშავე ნებისმიერი საწარმოსათვის, განსაკუთრებით კი – მცირე საწარმოებისთვის, უმნიშვნელოვანესია მართვის სისტემების გამოყენებით ისეთი საკითხების გადაწყვეტა, როგორიცაა: დაგეგმვა, საბუღალტრო და მმართველობითი აღრიცხვის წარმართვა, ეკონომიკური მაჩვენებლებისა და ფინანსური რისკების ანალიზი და სხვა.

ბუნებრივია, ამ ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს განვითარებულ ინფრასტრუქტურას, როგორც აპარატურული, ისე პროგრამული უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ასევე – მაღალკვალიფიციურ პერსონალს, რაც, განსაკუთრებით – მცირე საწარმოებისათვის, ხშირად ხელმისაწვდომი არ არის.

თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ღრუბლოვანი ტექნოლოგიის გამოყენება, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ასაწყობად, კომპანიებს საშუალებას აძლევს, ეფექტურად გამოიყენონ თავიანთი რესურსები.


ღრუბლოვანი გამოთვლები (cloud computing) წარმოადგენს მონაცემთა განაწილებული დამუშავების ტექნოლოგიას, სადაც კომპიუტერული რესურსები და სიმძლავრეები მომხმარებელს მიეწოდება ქსელური სერვისის სახით. ქსელური სერვისი შეიძლება ხორციელდებოდეს, როგორც ინტერნეტით, ისე – ლოკალური ქსელით, ვებტექნოლოგიების გამოყენებით. ღრუბლოვანი გამოთვლებზე დაფუძნებული თანამედროვე სისტემების (Google, Amazon, Microsoft, Oracle და სხვა) შექმნა განაპირობა ტექნიკურმა პროგრესმა: მრავალბირთვიანი პროცესორების განვითარებამ, იმავე ზომების მოწყობილობების მწარმოებლობის მნიშვნელოვანმა ზრდამ, მოწყობილობების გაიაფებამ, ღრუბლოვანი სისტემების ენერგომოთხოვნების შემცირებამ, მრავალნაკადიანი დაპროგრამებისა და ვირტუალიზაციის ტექნოლოგიების განვითარებამ, საკომუნიკაციო არხების გამტარუნარიანობის მნიშვნელოვანმა ზრდამ, ინფორმაციის მატარებლების მოცულობის გაზრდამ და გაიაფებამ.

ტერმინს – „ღრუბლოვანი გამოთვლები“ – აქვს მრავალი განმარტება. ვაკერომ თანაავტორებთან ერთად [1] განიხილა მრავალი მათგანი და შემოგვთავაზა შემდეგი ფორმულირება: ღრუბელი (Cloud) – ეს არის ხელმისაწვდომი და ადვილად გამოყენებადი ვირტუალური რესურსების (როგორიცაა: მოწყობილობები, დაპროექტების პლატფორმები და/ან სერვისები) დიდი გაერთიანება. დატვირთვის ცვლილების (მასშტაბირების) შესაბამისად შესაძლებელია ამ რესურსების დინამიკური რეკონფიგურაცია, რაც იძლევა გამოყენებული რესურსების ოპტიმიზაციის საშუალებას. ასეთი გაერთიანების ექსპლუატაცია, როგორც წესი, ეფუძნება მოდელს – „გადაიხადე მხოლოდ იმისთვის, რასაც იყენებ!“ ამ მოდელის ფარგლებში პროვაიდერის მიერ მომსახურების გარანტიები განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სერვისის დონის შეთანხმების შესაბამისად.

განაწილებული ინფრასტრუქტურული მოწყობილობებისთვის არსებობს ღრუბლოვანი გამოთვლე-



ბის სერვისის სამი ძირითადი კატეგორია (ნახ.1). ქვედა დონეზე მოთავსებულია ინფრასტრუქტურა, როგორც სერვისი – IaaS (სერვერები, მონაცემთა საცავები, ქსელური მოწყობილობები და სხვა). შემდეგ დონეზეა პლატფორმები, როგორც სერვისი – PaaS (დაპროექტების სხვადასხვა გარემო, ობიექტების ბიბლიოთეკები, მონაცემთა ბაზები და სხვა). ამ დონეზე დეველოპერებს შესაძლებლობა ეძლევათ, დაწერონ გამოყენებითი პროგრამები. ზედა დონეზე მოთავსებულია ღრუბლოვანი გამოთვლების გამოყენებითი პროგრამები, როგორც სერვისი – SaaS (ელ. ფოსტა, კალენდარი და სხვა), რომლებიც წარმოადგენს ღრუბლებში მოთავსებულ გამოყენებით პროგრამებს.



ნახ. 1.

ამ სერვისებზე წვდომა შესაძლებელია სხვადასხვა მოწყობილობებიდან (კომპიუტერები, მობილურები, თხელი კლიენტები, ტერმინალური ემულატორები და სხვა) მხოლოდ ვებბრაუზერის მეშვეობით. ღრუბლებში არა მხოლოდ მონაცემების, არამედ გამოყენებითი პროგრამების შენახვამ შეცვალა გამოთვლითი პარადიგმა ტრადიციული კლიენტ-სერვერული მოდელის სასარგებლოდ, რომლის თანახმადაც, მომხმარებლის მხარეს მინიმალური ფუნქციებია დარჩენილი. ამიტომ ისეთი ფუნქციები, როგორებიცაა: პროგრამული უზრუნველყოფის განახლებები, ვირუსებზე შემოწმება და სხვა მომსახურება, ეკისრება ღრუბლოვანი სერვისის პროვაიდერს. რადგან სისტემა განლაგებულია ქსელში და მასზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინტერნეტით, ამიტომ გაცილებით მარტივია საერთო წვდომა, ვერსიების მართვა და ერთობლივი რედაქტირება, ვიდრე მაშინ, როცა პროგრამები და მონაცემები განლაგებულია მომხმარებლის კომპიუტერებზე. გარდა ამისა, დეველოპერს შესაძლებლობა ეძლევა, პროგრამა განათავსოს მისთვის მოსახერხებელ ნებისმიერ პლატფორმაზე.

ღრუბლოვანი სერვისების გამოყენების ძირითად უპირატესობებს წარმოადგენს:

- **სიიაფე.** ღრუბლოვანი პროვაიდერების რესურსების გამოყენება გაცილებით უფრო იაფია, ვიდრე ამ სერვისების თავად შექმნა. ფაქტობრივად ხარჯები აღარ არის საჭირო კორპორატიული მოწყობილობებისა და პროგრამული პროდუქტების შესაძენად და მათი მომსახურებისათვის, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და სეზონური საწარმოებისთვის, ასევე სტარტაპ-კომპანიებისთვის.

- **მასშტაბირება.** ღრუბლოვანი გამოთვლები განუსაზღვრელი მასშტაბირების საშუალებას იძლევა, რაც კომპანიას შესაძლებლობას აძლევს, ხანმოკლე პერიოდით სწრაფად გაზარდოს გამოთვლების სიმძლავრე. ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ღრუბლებს შესაძლებლობა აქვს, მოთხოვნების სხვადასხვა სერვერზე გადანაწილებით გაუმკლავდეს მოულოდნელი დატვირთვის პიკებს. ორგანიზაცი-



ებს, რომლებიც იყენებენ ღრუბლოვან სერვისებს, თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე, აქტივობების ზრდის ან შემცირების შემთხვევაში აღარ სჭირდებათ სერვერების მოსალოდნელი დატვირთვის დონის ზრდის ან შემცირების დაგეგმვა. ისინი უბრალოდ იხდიან გამოყენებული გამოთვლითი სიმძლავრეების შესაბამისად.

- **საიმედოობა.** ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურის საიმედოობა განპირობებულია იმით, რომ ისინი, როგორც წესი, განლაგებულია მაღალტექნოლოგიურ სპეციალურად მოწყობილ მონაცემთა დამუშავების ცენტრებში. ასეთი ცენტრები აღჭურვილია დენის წყაროს სარეზერვო მოწყობილობებით, მონაცემთა რეგულარული რეზერვირებით, სპეციალიზირებული დაცვით, მაღალი გამტარუნარიანობის ინტერნეტარხებით, DDOS და სხვა ჰაკერული შეტევების მიმართ მაღალი მდგრადობით და დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური პროფესიონალი თანამშრომლებით.

- **წვდომადობა.** ღრუბლოვანი სერვისი ხელმისაწვდომია ყველა იმ წერტილიდან, სადაც არის ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. ამიტომ კომპანიას აღარ სჭირდება მაღალი წარმადობის ძვირადღირებული კომპიუტერების შეძენა. ამასთან, კომპანიის თანამშრომლები ხდებიან უფრო მობილურები, რადგან მათ შეუძლიათ, მიმართონ თავიანთ სამუშაო ადგილს დედამიწის ნებისმიერი წერტილიდან ნოუთბუკით, ნეთბუკით, სმარტფონით და სხვა მოწყობილობებით. ამ სერვისის გამოსაყენებლად საჭირო არ არის ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა, მისი გამართვა და განახლება ხდება მხოლოდ ფაქტობრივად მოხმარებული სერვისის ანაზღაურებით.

აღსანიშნავია, რომ ღრუბლოვან სერვისზე გადასვლა დაკავშირებულია გარკვეულ რისკებთან, კერძოდ:

- დამოკიდებულება სერვისების ერთ კონკრეტულ მომწოდებელზე. თუმცა რისკი იმისა, რომ ისეთი კომპანიები, როგორებიცაა: Google და Microsoft, ახლო მომავალში გაკოტრდებიან და კლიენტებს დატოვებენ სერვისის გარეშე, ძალიან დაბალია;

- სერვისების მუშაობაში მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა კომპანიებში შეიძლება გამოიწვიოს დიდი დანახარჯები, ვინაიდან მათ ხელი არ მიუწვდებათ სერვისების შესაბამის პროგრამული უზრუნველყოფის კოდთან და უარეს შემთხვევაში – ღრუბელში განთავსებულ მონაცემებს;

- მონაცემების შენახვის უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული რისკები. თუმცა, მაგალითად, Google აცხადებს, რომ მონაცემები შენახულ იქნება ევროპული კანონების მოთხოვნების შესაბამისად. ყველა ღრუბლოვანი სერვისის მომწოდებელ კომპანიას აქვს კონფიდენციალურობის პოლიტიკა – არ აგროვებს კერძო პირებისა და კომპანიების შესახებ ინფორმაციას და მონაცემებს არ გადასცემს მესამე მხარეს;

- სხვადასხვა სახის შეტევებით გამოწვეული შეფერხებები მუშაობაში;

- რისკი, რომელიც გამოწვეულია ერთი კომპანიის მიერ ღრუბლოვანი გამოთვლების სერვისების მართვით;

- ახალ ტექნოლოგიაზე გადასვლით გამოწვეული ტექნიკური პრობლემები.

რა შეიძლება მისცეს ტურისტულ ბიზნესს „ღრუბლოვანმა გამოთვლებმა“ და სად ხდება ეფექტურად მისი გამოყენება ?

ღრუბლოვანი ტექნოლოგიის ისეთი შესაძლებლობები, როგორიცაა: ვირტუალურ სივრცეში მონაცემთა დამუშავება, შენახვა, საიმედოდ დაცვა და სხვადასვა ტიპის მოწყობილობების საშუალებით მათი გადაცემა, ბუნებრივია, ხელსაყრელ პირობებს ქმნის ბიზნესსაქმიანობის ეფექტიანი წარმართვისთვის, ამასთან, ამცირებს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შექმნისა და მხარდაჭერისათვის საჭირო მატერიალურ დანახარჯებს.

მონაცემთა დამუშავებისა და გადაცემის ვირტუალური გარემოს გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია ტურისტულ ბიზნესში მცირე და სეზონური სანარმოებისთვის, რომლებიც სანყის ეტაპზე იყენებენ საოფისე აპლიკაციებს, ინფორმაციის შენახვისა და არქივიზაციისათვის – ელექტრონულ ფოსტას. მნიშვნელოვანია ისეთი აპლიკაციების არენდის შესაძლებლობები, როგორიცაა: ბუღალტრული პროგრამები, ელექტრონული ოფისი, ასევე პროგრამები, რომლებიც მოითხოვენ მძლავრ რესურსებს, მაგალითად, როგორიცაა ბიზნეს-ანალიზის სისტემები დიდი ზომის მონაცემთა მასივების დასამუშავებლად და სხვა. აღსანიშნავია, რომ ქართულენოვანი ამ ტიპის აპლიკაციები ჯერჯერობით ღრუბლოვან სივრცეში არ არის განთავსებული.

ღრუბლოვანი გამოთვლების კომერციული პერსპექტივები სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ტურისტული ბიზნესისთვის, რასაც განაპირობებს ამ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ისეთი სისტემები, როგორიცაა: Amadeus – მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარული სისტემა ტურისტულ და სასტუმ-



რო ინდუსტრიაში, NEWhotel Clous PMS – სისტემა, რომელიც საერთაშორისო ბაზარზე წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სრულფასოვან ღრუბლოვან გადაწყვეტას სასტუმროების ბიზნესში და სხვა. მსგავსი სისტემების არსებობის გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე ტურისტული ინდუსტრიის არსებობა.

აღსანიშნავია, რომ ღრუბლოვანი გადაწყვეტების გამოყენებით ტუროპერატორები, მომსახურების მომწოდებლებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, იღებენ განსაკუთრებულ უპრეტესობებს, რადგან ონლაინ მოთხოვნით, კონკრეტული მომსახურების მისაღებად საჭიროა ძალიან მცირე დრო. ამასთან, ინახება მოთხოვნების სრული ისტორია. ტუროპერატორებს ონლაინ ბრონირების სისტემაზე გადასვლით შესაძლებლობა ეძლევათ, ისარგებლონ აქტუალური მონაცემთა ბაზებით, რაც, ბუნებრივია, აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს. გარკვეულ უპირატესობებს იღებენ კლიენტებიც. მაგალითისათვის, ტურისტის პირად მონაცემებში შეიძლება ინახებოდეს ტურისტულ სააგენტოსთან ურთიერთობის ისტორია და ასევე – საგზურის გაფორმებისათვის საჭირო მათი პირადი დოკუმენტაცია.

ამრიგად, თანამედროვე ტენედენციებიდან გამომდინარე, ტურისტული საწარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდისა და მისი საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია ღრუბლოვანი ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც გულისხმობს როგორც ინფრასტრუქტურულ სერვისებს, ასევე – მზა პროგრამული პროდუქტების გამოყენებას.

### გამოყენებული წყაროები

1. Vaquero Luis M., Luis Roderer-Merino, Caceres Juan, Lindner Maik, A break in the clouds: towards a cloud definition, Computer Communication Review, v39 i1, January 2009, <http://portal.acm.org/citation.cfm?id=1496091.1496100>;
2. ჟვანია, თ. კაპანაძე, დ. კაიშაური, თ. ღრუბლოვანი ტექნოლოგიების პერსპექტივები სტარტაპ-კომპანიებში, მესამე საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია: კომპიუტინგი/ინფორმატიკა, განათლების მეცნიერებები, მასწავლებლების განათლება., შრომათა კრებული, 2014.

თ. ჟვანია, შ. კაპანაძე

### ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გამოყენების პერსპექტივები ტურიზმში

#### რეზიუმე

თანამედროვე ტურისტულ კომპანიებში ბიზნეს პროცესების ეფექტიანი წარმართვა წარმოუდგენელია ინტერნეტზე დაფუძნებული ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე, რომლის ახალ ტრენდად დღეისათვის გვევლინება ე.წ. „ღრუბლოვანი ტექნოლოგიები“.

ნაშრომში ჩამოყალიბებულია კომპანიებისთვის ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გამოყენების უპირატესობები და შესაძლო რისკები, მათი განსაკუთრებული მნიშვნელობა მცირე და სეზონური ტურისტული საწარმოებისთვის. ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გამოყენებისას აღარაა საჭირო ინვესტიციები აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფის შესაძენად; მტყუნებამედგობის, ტექნოლოგიური მხარდაჭერისა და მომსახურებაზე ზრუნვის რთული და ძვირადღირებული პრობლემა წყდება პროვაიდერული კომპანიის მიერ, ამასთან ბიზნეს საქმიანობის გაფართოების შემთხვევაში მოსხსნილია მასშტაბირების პრობლემა, ასევე მნიშვნელოვანია ამ ტექნოლოგიებით სარგებლობით გადახდის პრინციპი „pay as you go“.

T. Zhvania, Sh. Kapanadze

### Prospects of Cloud Technologies in Tourism

#### Summary

In modern touristic companies, it is inconceivable to perform business processes effectively without using informational technologies, based on internet, the new, today's trend of which are so – called “cloud technologies”.





The study highlights advantages and possible risks of applying “cloud technologies“ by companies, their importance for small and seasonal touristic companies. When applying the cloud technologies, investments for obtaining hardware and software are not necessary any more; difficult and expensive problems of fault-resilience, technological support and service, is solved by provider company, in addition, in case of expanding business activities, the problem of zooming is removed, and it is also important to use the principle of payment "pay as you go" while using these technologies.



Л. ТАБАТАДЗЕ

## УПРАВЛЕНИЕ И УСПЕХ МЕЖДУНАРОДНОГО ПРЕДПРИНИМАТЕЛЬСТВА

Несмотря на то что в условиях глобализации общемировой рынок играет по единым правилам, особенности локальных рынков при этом только усилились. В этой связи международным компаниям и предпринимателям нельзя недооценивать различия между национальными рынками и игнорировать потенциальные барьеры, возникающие на пути компании к завоеванию доверия национального потребителя. Для эффективного предпринимателя и бизнесменеджера существование понятий глобальности и локальности рынков, восприятие мира единым рынком или представление его мозаикой из национальных экономик требует понимания специфики подходов к международному бизнесу. Термин «Глобальная компания» до настоящего времени активно обсуждается экономистами, бизнесменами и предпринимателями. Названия компаний с развитием процессов глобализации менялись на всемирные, иностранные, мегакорпорации, транснациональные компании и т.п. Сейчас используются термины «международная» или «глобальная» компания. Однако назвать компанию «международной» недостаточно для того, чтобы она ею стала.

Кристофер Бартлет, профессор Гарвардского университета, определяет международную компанию как организацию, которая переносит на новые рынки опыт, знания и умения головной компании, адаптируя их под местные особенности [3, 9]. Примером для этого определения являются компании, которые завоевали своими товарами или услугами национальный рынок, а затем развивают свою деятельность за границей, перенося в другие страны производство. Бизнес в новой стране позволяет не только адаптировать существующие продукты и услуги под новый рынок, но и внедрять новые инновационные продукты [1,3]. Однако инновации на локальных рынках зачастую продвигаются достаточно медленно, что вызвано внутрикорпоративной бюрократией и неготовностью материнской компании в полной мере учитывать национальные особенности. Принципиальное отличие международных компаний от других типов хозяйствующих субъектов заключается в том, что они изначально рассчитывают на адаптацию своих продуктов и услуг под требования и финансовые возможности иностранных потребителей, но при этом объединяют свои действия единой глобальной корпоративной стратегией. Рассматривая мировой рынок как единое целое, в предпринимательской деятельности необходимо учитывать, что существуют экономические факторы, на которые не могут повлиять процессы глобализации или инновационные процессы. В качестве примера можно назвать предпочтения потенциальных покупателей, их поведенческие особенности, распределение доходов, климатические условия или менталитет населения региона. В первую очередь, предпринимателю следует развивать многоаспектный взгляд на вещи, что позволяет ему быть не только гибким в своих решениях, но и осознавать свою ограниченную компетентность в понимании местной культуры и деловых обычаев. Помочь здесь могут местные сотрудники, являясь культурными наставниками и, в какойто мере, бизнесспрайдерами.[1,5]

Кроме различий в культуре и профессиональных традициях, нельзя упускать из внимания действия правительств иностранных государств. Новые правила, новое торговое законодательство, патентное законодательство, изменения в политике местного правительства все это значительным образом влияет на деятельность предпринимателя и подходы управлению компанией. Глобальное мышление со стороны компании означает, в том числе, и умение выстраивать отношения с правительствами иностранных государств, а не жаловаться на тяжести законодательства или несправедливость государственного регулирования экономики и бизнеса. Определенным препятствием могут служить языковые барьеры. Даже если бизнес ведется обеими сторонами на английском языке, речевые тонкости иногда требуют усиленного внимания и терпения. Одно только использование сторонами фразеологизмов или сленговых выражений, пусть даже случайное, может завести деловые переговоры в тупик по причине простого недопонимания сторонами друг друга. Использование нескольких языков арабский, китайский, английский, русский, французский и испанский в международном общении стало тенденцией последних нескольких лет. Именно поэтому менеджеры, обладающие знанием нескольких языков, а кроме этого, имеющие опыт работы в разных странах и в разных отраслях, пользуются особенно высоким спросом со стороны международных корпораций. [3,7]

Выход на новый рынок требует ответа на три глобальных вопроса: «Как?» (покупка бизнеса, партнерство, работа «с нуля»), «Где?» (развитый или развивающийся рынок), «Что?» (все продукты, отдельные сегменты, только новые продукты и услуги). От ответов на эти вопросы будет зависеть процесс принятия решений на всех уровнях компании. Если при ответе на вопрос «Что?» предприниматель вправе воспользоваться собственным опытом или бэнчмаркигом, а на вопрос «Где?» – осознавать причины выбора той или иной страны, то вопрос «Как?» не предполагает готового ответа. Это связано с тем, что в разных странах, несмотря процессы



გლობალიზაციის, მიზნების მიხედვით განსხვავებული. В одних странах местное законодательство затрудняет открытие иностранными организациями бизнеса «с нуля». Сначала может потребоваться поиск местной компании партнера, а только потом будет разрешено производство готовой продукции или оказание услуг. Если же в качестве варианта выхода на рынок рассматривать покупку местной компании, то здесь также существуют подводные камни, в частности, риск переплаты и преодоление сопротивления покупателям (инвесторам) со стороны акционеров. На завершающем этапе формирования стратегии перед менеджментом встает дилемма выбора скорости выхода на новый рынок действовать напрямую «здесь и сейчас» или выждать. В данном случае выбор целевой страны будет играть ключевую роль.




Таблица 1<sup>1</sup> – Глобальный рынок мобильной связи, 2009-2017 г.




Таблица 2<sup>2</sup> – Статистика продажи компании i-Phone, 2007-2018 г.

К примеру, [www.Amazon.com](http://www.amazon.com), желая быстро войти на рынок Китая, рассчитал, что бюрократическая волокита при открытии компании с нуля займет слишком много времени, а прогнозирование восприятия американской интернет-компании в Китае не представлялось возможным. В этой связи было принято решение о покупке местной компании (Joyo). После покупки, Amazon не менял наименование компании, желая укрепить свои позиции на рынке. Только спустя три года китайский филиал получил название Joyo Amazon. В данном случае стратегия, выбранная компанией Amazon, была комбинированной: с одной стороны быстрый выход на рынок путем приобретения местной компании, но с другой стороны – три года ожидания терпеливого изучения рынка и локальных традиций предпринимательства, прежде чем открыто выводить на рынок свой бренд.

<sup>1</sup> [http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/The\\_EU\\_in\\_the\\_world](http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/The_EU_in_the_world);

<sup>2</sup> <https://www.statista.com/statistics/271496/global-market-share-held-by-smartphone-vendors-since-4th-quarter-2009/>;



### **Заклучение**

Современные тенденции развития мирового бизнеса отчетливо демонстрируют желание все большего числа компаний добиться успеха на мировой арене. Такие понятия, как «бедные» и «богатые» страны становятся все более туманными, а границы между ними все менее отчетливыми. Таким образом, современный менеджер все чаще будет сталкиваться с дилеммой, как ему воспринимать современный мир: как рынок без границ или как совокупность ограниченных локальных рынков? Именно то, как современный предприниматель решает для себя эту дилемму, будет являться основой для принятия сбалансированных управленческих решений.

### **Литература**

1. Paul J. Hermel, P., „*Entrepreneurial intentions – theory and evidence from Asia, America, and Europe*“ 2014;
2. Pisani M.J. Guzman J.M., „*Towards a conceptual multilayered framework of entrepreneurship*, 2016;
3. Bartlett, C.A., and Beamish P.W., „*Transnational Management: Text Cases and Readings in Cross Border Management. 6th ed. Burr Ridge, IL: McGraw-Hill/Irwin*, 2011;
4. <https://www.statista.com/statistics/271496/global-market-share-held-by-smartphone-vendors-since-4th-quarter-2009/>;
5. <http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/The-EU-in-the-world>;

**Л. Табатадзе**

### **Управление и успех международного предпринимательство**

#### **Анотация**

В статье рассматриваются вопросы выбора стратегий развития международного предпринимательства в условиях мировой экономики с оценкой отдельных решений при создании предпринимателями международных компаний.

**L. Tabatadze**

### **Management and Success of International Entrepreneurship**

#### **Summary**

Issues about choosing development strategies for international entrepreneurship, taking under consideration the world economic environment, are overviewed in the article. There are estimated decisions referring to establishing new international companies.



## მ. უკლება

### საა ტურიზმი – მნიშვნელოვანი ტრანდი საქართველოს რეკონსტრუქციული ტურიზმისთვის

ადამიანის მრავალფეროვან მოთხოვნილებათა შორის არსებითი ადგილი უჭირავს რეკონსტრუქციულ მოთხოვნილებას, რაც მას რეკონსტრუქციული აქტივობებისაკენ უბიძგებს, ხოლო ტურიზმის ინდუსტრიას – შექმნას პირობები რეკონსტრუქციული საქმიანობისათვის.

რეკონსტრუქციული საქმიანობას მრავალმხრივი სამედიცინო-ბიოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქცია აქვს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის თანამედროვე საზოგადოების დაკვეთას წარმოადგენს.

რეკონსტრუქცია, რომლის საფუძველი დასვენება, გაჯანსაღება და მკურნალობაა, ხელს უწყობს ყოველმხრივ და ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირების საზოგადოებრივი მოთხოვნილების რეალიზაციას. რეკონსტრუქციული ტურიზმი კი ქმნის მოსახლეობისთვის სასიამოვნო და კონსტრუქციული დასვენების, ძალების აღდგენის და გაჯანსაღების შესაძლებლობებს მათი ასაკის, სქესისა და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად და მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზოგადოების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში. დიდი წვლილი შეაქვს ადამიანის პერსონალური ფიზიკური, სოციალური, ემოციური, ინტელექტუალური და სულიერი განვითარებისა და კეთილდღეობის ზრდის საქმეში.

რეკონსტრუქციული ტურიზმს უდიდესი სოციალური დატვირთვა აქვს, რადგან ის ხელს უწყობს ფიზიკური გარემოს განვითარებას არა მხოლოდ რეკონსტრუქციისთვის, არამედ ადგილობრივი საზოგადოებისთვისაც, ქმნის ბუნებრივი პარკების და ღია სივრცეების ქსელს, სარეაქციო ატრაქციებს, ახდენს მათ ინტეგრირებას ურბანულ გარემოში და მიმზიდველს ხდის საცხოვრებელ გარემოს.

თავისუფალი დროის ანტისოციალური მიზნებით გამოყენების პრევენცია თანამედროვე რეკონსტრუქციის ძალზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა. როგორც ცნობილია, თავისუფალ დროს განხორციელებული ყველა საქმიანობა არ იძლევა ადამიანის ჰარმონიულ პიროვნებად ჩამოყალიბების შესაძლებლობას. ხშირად ეს დრო ფუჭად იკარგება, ზოგჯერ კი თავად ადამიანისა და გარშემო მყოფთათვის ზიანის მომტანია, რაც საბოლოო ჯამში ზარალს აყენებს საზოგადოებრივ ინტერესებს. თავისუფალი დროის ანტისოციალური მიზნებით გამოყენების პრევენციის მიზნით იქმნება სასიამოვნო და, ამავე დროს, სასარგებლო რეკონსტრუქციული პროგრამები.

რეკონსტრუქციული მოგზაურობების პროცესში ურთიერთობენ განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური მრწამსის, კულტურის, ასაკის რეკონსტრუქციები და რეზიდენტები; ხდება რეკონსტრუქციული და კულტურული გამოცდილების გაზიარება, დიდი ყურადღება ეთმობა სპეციალური საჭიროებების პირთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

რეკონსტრუქცია ხშირად წარმოადგენს ადგილობრივი საზოგადოებისთვის ძირითად „რესურსს“ და იქცევა ბიზნესის განვითარების მოტივატორად, ადგილობრივი და რეგიონული შემოსავლების ზრდის და დასაქმების წყაროდ. ამდენად, ის ეკონომიკური მდგრადობისა და ადგილობრივი საზოგადოების სტაბილურობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფუნქციას ასრულებს.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ სწორედ რეკონსტრუქციული ტურიზმი შეიძლება იქცეს საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის წამყვან დარგად, ხოლო მის განვითარებას რეალისტური ბაზა და საფუძველი აქვს რეკონსტრუქციული რესურსებისა და პოტენციალის სახით, რაც სათანადო ანალიზს და ადეკვატურ შეფასებას მოითხოვს. სამწუხაროდ ქართულ აკადემიურ სივრცეში საკმაოდ მწირია რეკონსტრუქციული ტურიზმთან დაკავშირებული კვლევები, ისევე როგორც საგანმანათლებლო პროგრამები. აღნიშნული ხარვეზი თავის მხრივ განაპირობებს ამ სფეროს და მისი სტრუქტურისადმი განსხვავებულ მიდგომებს, რაც არა მხოლოდ თეორიული სახის პრობლემაა, არამედ ართულებს შესაძარისობას დასვენების საერთაშორისო ბაზართან და განსახორციელებელ პრაქტიკულ აქტივობებს.

რეკონსტრუქციული ტურიზმის სტრუქტურის დასაზუსტებლად, ჩვენი აზრით, მთავარი კრიტერიუმი უნდა იყოს რეკონსტრუქციული ტურიზმის მიზნები, რომელთაც ვყოფთ ორ ძირითად და დამატებით მიზნებად და სუბკატეგორიებად. მივიჩნევთ, რომ რეკონსტრუქციული ტურიზმის ძირითადი მიზნებია გაჯანსაღება და მკურნალობა.

გაჯანსაღების მიზნების განხორციელების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს რეკონსტრუქციული დასვენება (არ იგულისხმება ფიზიოლოგიური დასვენება), გამაჯანსაღებელი და სარეაბილიტაციო საქმიანობა. ხოლო, რეკონსტრუქციული ტურიზმის მეორე ძირითადი მიზანი, საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს





გარეთ მკურნალობა, ხორციელდება მკურნალობის ხერხების და სამედიცინო მანიპულაციების ნებაყოფლობით გამოყენებით. რაც შეეხება დამატებითი მიზნებსა და ამოცანებს, ამ კატეგორიაში განვიხილავთ შემეცნებით, სპორტულ და კულტურულ-გასართობ საქმიანობას რომელთა დოზირებული (!) ჩართვა შესაძლებელია რეკრეაციის ორივე მიზნის განხორციელების პროცესში.

რეკრეაციული ტურიზმის სუბკატეგორიებად განვიხილავთ რეკრეაციულ დასვენებას, ველნეს ტურიზმს, სპა-ტურიზმს, საკურორტო-სამკურნალო ტურიზმს და სამედიცინო ტურიზმს.

წინამდებარე სტატიაში გვინდა შევეხოთ სპა-ტურიზმს, როგორც გამაჯანსაღებელი რეკრეაციული ტურიზმის სუბკატეგორიას.

როგორც ცნობილია, ტერმინი SPA მომდინარეობს ლათინურიდან, არის "Sanitas per Aquam" (ლათ.:ჯანმრთელობა წყლის მეშვეობით) აბრევიატურა და წარმოადგენს ველნეს-კონცეფციის ტექნოლოგიების რეალიზაციის წყაროს. მეორე მოსაზრებით, SPA ბელგიის პატარა დასახლების სახელწოდებაა, სადაც ჯერ კიდევ მე-10 საუკუნეში იქნა აღმოჩენილი სამკურნალო თვისებების წყალი.

ამ დეფინიციების მუხედავად ტერმინს თან სდევს ერთგვარი გაურკვევლობა. ის ხან მოდურ კურორტად მოიხსენება, ხან სასტუმროდ, ხან კლინიკად, ზოგ შემთხვევაში კი კოსმეტოლოგიადაც. დღეისთვის არ მოიძებნება სპა-ტურიზმის ერთიანი განსაზღვრება, რაც იმით არის გამოწვეული, რომ აღნიშნული დარგის დამოუკიდებლად პოზიციონირება მხოლოდ XX საუკუნის ბოლოდან იწყება. დარგის წარმომადგენლები განსხვავებულ კონცეფციებს აჟღერებენ, რაც თავის მხრივ მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში საკურორტო ბიზნესის ისტორიული თავისებურებებით არის განპირობებული.

ამ სფეროში ერთიანი ტერმინოლოგიის შემუშავების გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2010 წელს სტამბულში (თურქეთი) გამართულ მსოფლიო სპა სამიტზე (GSS 2010). შემდეგ წელს კი (GSS 2011), სამიტი მიედღვნა სპა ტურიზმის ადგილს სამედიცინო და ველნეს ტურიზმს შორის, სლოგანით: "Wellness Tourism and Medical Tourism: Where Do Spas Fit?".

სამიტის რეზოლუციაში ნათქვამია: „სპა ტურიზმი ველნეს-ტურიზმის მნიშვნელოვანი ნაწილია, მაგრამ ველნესი თავისთავად გაცილებით მეტია ვიდრე უბრალოდ სპა“.

სპას მზარდი როლი აქვს სამედიცინო ტურიზმში, თუმცა უფრო მიზანშეწონილია მისი გამოყენება სამედიცინო პროცედურების წინა და შემდგომ პერიოდებში რეაბილიტაციის, რეგენერაციის, მოვლის მიზნებისთვის“

ჯული გეროუს (სპა ინდუსტრიის კვლევის ავტორიტეტული ორგანიზაციის – Intelligent Spas დამფუძნებელი, რეკრეაციული ტურიზმის მკვლევარი; სინგაპური) განსაზღვრებით, სპა არის "ბიზნესი სპა-პროცედურების შეთავაზებით, დაფუძნებული წყლით მკურნალობის მეთოდებზე, რომლებიც კვალიფიციური პერსონალის მიერ პროფესიულ და მომადუნებელ გარემოში ხორციელდება" (<http://www.intelligentspas.com>). როგორც განსაზღვრებიდან ჩანს, ის გამოჰყოფს ორ ძირითად ელემენტს – წყლის პროცედურებსა და პროფესიულ, სპეციალიზებულ გარემოს. მისი აზრით, ეს ელემენტები აუცილებელია, რათა სპა-ბიზნესის სფეროდან ამოღებულ იქნეს ათასობით სილამაზის სალონი, მასაჟის ცენტრები და სამედიცინო დაწესებულებები.

საერთაშორისო სპა-ასოციაცია (ISPA) სპას ასე განსაზღვრავს: "ადგილი ზოგადი კეთილდღეობის ამაღლებისთვის, სადაც სხვადასხვა პროფესიული მომსახურების საშუალებით ხდება სხეულის, გონებისა და სულის განახლების ხელშეწყობა.“

სხვადასხვა პუბლიკაციების განზოგადებიდან და არსებული საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, სპა შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: სპა არის სულიერი და ფიზიკური გაჯანსაღების კონცეფცია, მიმართული გარემოსადმი ადამიანის დამოკიდებულების ჰარმონიზაციისკენ, რაც დაფუძნებულია ბუნებრივი და ხელოვნური ფაქტორების ერთობლივ გამოყენებაზე, რომელშიც წამყვანია წყლის პროცედურები, ჯანსაღი კვება, აქტიური მოძრაობა.

სპა ტურიზმი, რომელსაც ხშირად იხსენიებენ როგორც ფუფუნებით დასვენებას ("Luxury Leisure"), დღეს გლობალურ ტრენდადაა აღიარებული და მომავალზე ორიენტირებულ „ტომ-ბიზნესად“ ითვლება. სპა-ცენტრებში ტურებზე დიდი მოთხოვნის ტენდენცია შეიმჩნევა მთელ ევროპაში. TUI AG (Touristic Union International) მონაცემებით, გერმანიის მოსახლეობის 40% დაინტერესებულია სპა-ტურებით. მათი მესამედი სარგებლობს ავსტრიის სპა-ველნეს ცენტრებით, რაც ავსტრიის კურორტებს (700-ზე მეტი სპა-ველნეს სასტუმრო) 17-19 მილიარდ ევროს შემოსავალს აძლევს. ევროპის სპა ასოციაციის ESPA-ს (European Spas Association) მონაცემებით, 20 მილიონამდე ევროპელი წელიწადში ერთხელ მაინც სარგებლობს სპა-კურორტით.

სპა პროდუქტზე მოთხოვნის გამო განსაკუთრებით გაიზარდა იმ კურორტთა პოპულარობა, რომ-



ლებიც სხვადასხვა ბუნებრივ სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ფაქტორებს ფლობენ და დამსვენებლებს სპა მომსახურებას სთავაზობენ. ამ ტიპის კურორტებზე სპა-სასტუმროების მშენებლობის რეალური ბუ-  
მია! სპა-სასტუმროები, რომლებიც მომხმარებელს სთავაზობს გამაჯანსაღებელ და სარელაქსაციო სერ-  
ვისებს, ფუნქციონირებს და ვითარდება არა მხოლოდ კურორტებზე, არამედ მსხვილ მეგაპოლისებშიც.  
ბევრ კურორტზე არსებულ სასტუმროში მოქმედებს სპა-ველნეს კომპლექსური პროგრამები (გამაჯანსა-  
ღებელი, ანტისტრესული, კოსმეტოლოგიური), საზღვაო კურორტებზე კი თალასოთერაპიული პროგრა-  
მები. ამ ცენტრებში იზრდება აღმოსავლური მედიცინის მეთოდების ჩართვის ტენდენცია, რაც ცხოვრე-  
ბის ჯანსაღი წესის მოყვარულთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ორგანიზმისთვის სასარგებლო სპა პროგრამები დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, მაგალი-  
თად გახდომა, მშობიარობის შემდგომი რეაბილიტაცია, ცელულიტის პროფილაქტიკა, ორგანიზმის გაა-  
ხალგაზრდავება და გამონაკლის შემთხვევებში პლასტიკური ოპერაციებიც კი (რაც ველნეს და სპა კონ-  
ცეფციებს არ ესადაგება!).

როგორ უნდა იქცეს სპა ცენტრი, კურორტი, სასტუმრო და სპა მომსახურება ბრენდად, მოთხოვნა-  
დი და დინამიკურად განვითარებადი ბაზრისა და მაღალი კონკურენციის პირობებში? რა პრინციპებით  
უნდა იხელმძღვანელონ ამ ცენტრებმა?

ხარისხის საყოველთაო მენეჯმენტის 14 პრინციპის ავტორი ე. დემინგი, რომლის შრომები შემდგომ  
საფუძვლად დაედო პროდუქტის ხარისხის მენეჯმენტის ცნობილ კონცეპტს TQM, ამტკიცებდა: “მომხმა-  
რებელმა უნდა მიიღოს ის, რაც სურს, როცა სურს და იმ ფორმით, როგორც მას სურს. მთავარი სა-  
კითხია, რისკენ უნდა ისწრაფვოდეს კომპანია. კომპანია უნდა ისწრაფვოდეს ალაფროთოვანოს მომხმარე-  
ბელი და მიაწოდოს მას მეტი, ვიდრე ელოდა.”

ამ მოდელის მთავარი პრინციპია ტურისტული პროდუქტის გამდიდრება ისეთი შეთავაზებებით,  
რომლებიც გააოცებს და ალაფროთოვანებს მომხმარებელს. ამდენად, სპა წარმოადგენს ველნეს-საკუ-  
რორტო დასვენების მოთხოვნების დაკმაყოფილების ქვეკუთხედს, ამასთან ძალზე მნიშვნელოვანია, რომ  
შეთავაზებული იყოს ისეთი მომსახურება, რომელიც გადააჭარბებს მიზნობრივი ჯგუფის (როგორც  
უფრო მეტად ქალები ითვლებიან) მოთხოვნებს და დააკმაყოფილებს სხვებსაც, რაც გასათვალისწინებე-  
ლია სპა რეკრეაციის მენეჯერების მიერ.

როგორ უნდა შეარჩიოს პოტენციურმა კლიენტმა სპა-ცენტრი იმის გათვალისწინებით, რომ ბა-  
ზარზე ამ ცენტრების დიდი არჩევანია? ხარისხის ნიშანზე ორიენტირება ის გზაა, რომელსაც სპა ცენ-  
ტრების ლიდერი ქვეყნები მიმართავენ (მაგ., «Best Health Austria»-ს ხარისხის ნიშანი და სხვა); ქვეყანათა  
გარკვეული კატეგორია (მაგ., შვეიცარია) დიდ მნიშვნელობას ანიჭებს წინასწარი გამოკვლევების ჩატა-  
რებას და ექიმის კონტროლს, რაც შვეიცარიის “მაღალი ხარისხის ველნეს-ოტელის ასოციაციის  
("Wellfeeling") მიერ შემუშავებული სპა ცენტრების ფუნქციონირების ერთ-ერთი კრიტერიუმია. ევროპის  
ბევრ ქვეყანაში სპა-ოტელის სტატუსი შეიძლება მოპოვოს მხოლოდ იმ სასტუმრომ, რომელმაც დააკმა-  
ყოფილა ნაციონალური ასოციაციების კრიტერიუმები, ვინაიდან ყველასთვის გასაგებია, რომ საბაზრო  
ეკონომიკის პირობებში ამ ტრენდს შეიძლება ბევრი არაპროფესიონალი “მიეკედლოს”, რაც მთელ მიმარ-  
თულებას დარტყმის ქვეშ დააყენებს.

სპა ტურიზმის განვითარების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპა მომსახურების ფორმების  
სტანდარტიზაციას, რომლის კარგი მაგალითია საერთაშორისო სპა ასოციაციის (ISPA) მიერ განსაზ-  
ღვრული სპა მომსახურების რვა მიმართულება, კერძოდ: სპა დიეტები (სპა და ფიტნეს-ცენტრებისა და  
სილამაზის სალონების მომსახურება); საკლუბო სპა (ფიტნეს-ცენტრების მომსახურება); საკრუიზო სპა  
(სპა მომსახურება საკრუიზო გემებზე); სპა სასტუმროები (სპა მომსახურება, ფიტნესი, ასევე, საგანმა-  
ნათლებლო პროგრამები სასტუმროებში); სპა-ცენტრები ( დაფუძნებული მინერალური, თერმული წყა-  
როების ან ზღვის წყალზე); სპა-კურორტები ( სპა ცენტრები კურორტებზე და/ან საკურორტო სასტუმ-  
როების ბაზაზე); მედი-სპა (სამედიცინო მიმართულების კურორტი); დეი-სპა (ერთდღიანი სპა კურორტი  
ქალაქის გარემოში).

სპა ტურიზმის განვითარებას ახლავს გარკვეული პრობლემები, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშ-  
ვნელოვანია ინფორმაციის ნაკლებობა, მათ შორის, მინერალურ და თერმულ წყლებსა და მათ თვისებებ-  
თან დაკავშირებით, რომელთა როლი მკვეთრად შემცირდა XIX საუკუნის ბოლოდან, თუმცა დღეისთვის  
კვლავ პოპულარული ხდება და იზრუნებს დაკარგულ პოზიციებს.

საქართველოს მრავალფეროვანი და ცალკეულ შემთხვევაში უნიკალური (მაგ. წყალტუბოს რადო-  
ნიანი წყლები) შესაძლებლობები აქვს სპა ინდუსტრიის განვითარებისათვის, რომელიც თავის მხრივ, სა-  
ერთაშორისო მნიშვნელობის სპა-დესტინაციად ჩამოყალიბების პერსპექტივას შექმნის.



დღეისათვის ქართულ სპა-ბაზარზე რამდენიმე მსხვილი მოთამაშეა (მაგ. „წყალტუბო სპა რეზორტი“, თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი, ბალნეოლოგიური კურორტი „საირმე“, „ჯინო ველნეს რაბათი“, „ლოპოტა სპა რეზორტი“, „სამ რაან სპა ცენტრი“, ეს უკანასკნელი აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის გამარჯვებული სპა-ცენტრი გახდა და სხვა), რომელთა საქმიანობა გააზრებულ სპა კონცეფციას და საკმაოდ მრავალფეროვან პროდუქტს ეფუძნება, თუმცა მათი წვლილი საერთაშორისო სპა ტურისტების მოზიდვაში ჯერ-ჯერობით უმნიშვნელოა.

არსებობს ასევე ათეულობით სპა-ცენტრი და სალონი (უმრავლესობა თბილისშია), რომელთა ნაწილს საინტერესო პროდუქტის შეთავაზება შეუძლია ტურისტებისათვის, ნაწილის საქმიანობას კი, სახელწოდების მიუხედავად, სპა კონცეფციასთან საერთო არაფერი აქვს.

მრავალი ნაშრომი მიეძღვნა ამა თუ იმ ქვეყნის ან რეგიონისთვის სპა ტურიზმის დიდ სოციალურ-ეკონომიკურ მნიშვნელობასა და სარგებელს (მათი ანალიზი ამჯერად ჩვენ მიზნებში არ შედის), შესაბამისად ვთვლით, რომ სპა ტურიზმზე უაღრესად მაღალი მოთხოვნის პირობებში, საქართველო არ შეიძლება პროცესებისაგან განზე დარჩეს.

უაღრესად მაღალი კონკურენციის პირობებში სპა დესტინაციად ჩამოყალიბების პოტენციალის მქონე საქართველოს, არა ერთი ინფრასტრუქტურული, საკადრო, საინფორმაციო, მარკეტინგული ამოცანა ექნება გადასაჭრელი, თუმცა გადაუდებელ აუცილებლობად მიგვაჩნია სპა ტურიზმის განვითარების ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება. ვინაიდან ნებისმიერი სპა საქმიანობა (პროცედურა) დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს ამ საქმიანობათა (პროცედურათა) სანდოობის და ზოგადად სპა სექტორის ხარისხის სტანდარტები, რომელიც მისადაგებული იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან; უნდა მოხდეს საბაზრო სეგმენტების იდენტიფიკაცია, რათა შემუშავდეს შესაბამისი სპა მიმართულებები და მეთოდები.

### გამოყენებული წყაროები

1. Todd., Maria. K. MHA PhD Health Tourism Marketing Trends for 2017: Refocusing the Lens <http://medicaltourismstrategy.com/health-tourism-marketing-trends-2017/>;
2. Padilla-Meléndez. A. Del-Águila-Obra. A.R. Tourism & Management Studies, 12(1) (2016), 86-96;
3. 8 Wellness Trends for 2017 – and Beyond. As identified at the Global Wellness Summit. pdf [www.globalwellnesssummit.com/.../8WellnessTrends-20...](http://www.globalwellnesssummit.com/.../8WellnessTrends-20...)

**M. Ukleba**

### SPA Tourism –Significant Trend for Georgian Recreational Tourism

#### Summary

Considering rich, diverse and in some cases, unique resources, there are many possibilities and advantages of developing Spa Tourism in Georgia. Furthermore, Georgia has realistic potential to be an attractive SPA destination for international tourists. In this regard and taking in account the biggest competitiveness within SPA sector, urgent task for Georgia is to create SPA tourism developing strategy. Besides infrastructural, human resources, information and marketing issues, strategy has to be focused on credibility to spa proceedings and to spa sector in general, by establishment international quality standards, identifying the market segments for setting the working principles and methods.



## მ.უკლება

### სპა ტურიზმი – მნიშვნელოვანი ტრენდი საქართველოს რეკრეაციული ტურიზმისთვის

#### რეზიუმე

მდიდარი, მრავალფეროვანი და ზოგიერთ შემთხვევაში, უნიკალური რესურსების გათვალისწინებით, საქართველო ფლობს ბევრ შესაძლებლობას და უპირატესობას სპა ტურიზმის განვითარებისთვის. უფრო მეტიც, საქართველოს გააჩნია რეალური პოტენციალი, გახდეს მიმზიდველი სპა დესტინაცია საერთაშორისო ტურიზმისათვის. ამ თვალსაზრისით, თუკი გავითვალისწინებთ სპა სექტორში არსებულ დიდ კონკურენციას, საქართველოსთვის მთავარი ამოცანაა, შეიქმნას სპა ტურიზმის განვითარების სტრატეგია. ინფრასტრუქტურულ, ადამიანური რესურსების, საინფორმაციო და მარკეტინგულ საკითხებთან ერთად, სპა ტურიზმის განვითარების სტრატეგია ყურადღებას უნდა ამახვილებდეს სპა საქმიანობის და ზოგადად სპა სექტორის სანდოობაზე, რაც შესაძლებელია ხარისხის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვით და შესაბამისი საბაზრო სეგმენტის იდენტიფიკაციით, რათა მართებულად განისაზღვროს შესაბამისი სამუშაო პრინციპები და მეთოდოლოგია.



## 6. ჯერენაშვილი

### აგრობიზნესის განვითარება საქართველოში

დღევანდელ საქართველოში აგრობიზნესი უმთავრესია. იგი ოდითგანვე წარმოადგენს მოსახლეობის ძირითად საქმიანობას. ლათინურად „გეორგია“ – თვით სიტყვაც კი მიგვანიშნებს, რომ ჩვენი ქვეყანა მინათმოქმედი ქვეყანა გახლდათ. აგრობიზნესის მნიშვნელობა ოდითგანვე ყოველი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი იყო. იგი წარმოადგენს უპირველეს დარგს მსოფლიო ეკონომიკის ისტორიაში. თავდაპირველად იყო ბარტერი აგრო პროდუქტებით, შემდგომ წამოვიდა ეკონომიკის სხვა დარგების განვითარება, როგორც: ვაჭრობა, ინდუსტრია, წარმოების სხვა სფეროები და სხვ.

საქართველოსთვის საბჭოთა პერიოდში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა აგრარული სექტორი. 1990 წლისთვის ქართული ეკონომიკის მესამედს სწორედ აგრარული სექტორი შეადგენდა. ამასთან, აგრარული სექტორი საქართველოსთვის მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორის როლს არ თამაშობს – ის უშუალოდ უკავშირდება საქართველოში არსებულ დაახლოებით 3500-ზე მეტ სოფელს. სოფელი, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული ტერიტორიული ერთეული, საქართველოსთვის დამახასიათებელ, გარკვეული კულტურული და სოციალური ფენომენის როლს ასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პერიოდში მიმდინარე ურბანიზაციის პოლიტიკამ და სოფლად კოლექტივიზაციამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განაპირობა ქართულ სოფლებში, ის კვლავ ინარჩუნებს ძირითადი სოციალურ-კულტურული ერთეულის ფუნქციას საქართველოს ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე და მათში მოსახლეობის თითქმის ნახევარი ცხოვრობს.

რეალურად დღეს საქართველო მოიხმარს მეტ იმპორტირებულ კვების პროდუქციას, ვიდრე აწარმოებს. ამ ფონზე ჩნდება კითხვები, თუ რა ადგილს იკავებს ეს სფერო საქართველოს დარგობრივ სტრუქტურაში, ღირს თუ არა მასზე პოლიტიკის აქცენტირება, სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულ დარგად აღიარება, ხელს შეწყობს თუ არა დამატებითი ინვესტირება ეკონომიკურ ზრდას, ეფექტურად იმოქმედებს თუ არა სიღარიბის შემცირებაზე, არსებობს თუ არა შესაბამისი რესურსები და სხვ.

დღესდღეობით, სოფლის მეურნეობა ნელი ტემპით ვითარდება და მცირე ზომის ფერმები ვერ უზრუნველყოფს მაღალეფექტიანობას. ქართველი ფერმერები წააწყდნენ სრულიად განსხვავებულ წინააღმდეგობებს, დაწყებული ბაზარზე იმპორტიორების მიერ დაბალფასიანი პროდუქციის შემოტანით, დამთავრებული სოფლის მეურნეობის განუვითარებელი ინფრასტრუქტურით, დაბალი კვალიფიკაციით, ტექნოლოგიებისა და სხვადასხვა რესურსების ნაკლებობით, კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების მოუწყობლობით და იმ გაურკვეველობით, რაც სოფლის მეურნეობის როლს უკავშირდება საქართველოს სტრატეგიულ განვითარებაში. დამოუკიდებლობის 20 წელი 7 ამ დარგის ჩავარდნა ქმნის სკეპტიციზმის საფუძველს, შეუძლია თუ არა სოფლის მეურნეობას, შეასრულოს სიღარიბის დაძლევის მთავარი როლი და გახდეს შინამეურნეობების შემოსავლების ზრდის წყარო. ამ სკეპტიციზმის შედეგად შეიქმნა მისი განვითარების არასახარბიელო პირობები და მხოლოდ მიზერული ინვესტიციები იდება სოფლის მეურნეობის ფიზიკურ, ინსტიტუციურ და ადამიანურ რესურსებში. სოფლის მეურნეობისადმი ყოველივე პოზიტიურ თუ ნეგატიურ დამოკიდებულებას აქვს თავისი თეორიული და იდეოლოგიური საფუძველები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში გარემოს სტრუქტურულ ცვლილებებთან ერთად ძირეულად იცვლებოდა.

კლასიკური თეორიის წარმომადგენლები (ადამ სმიტი) ეკონომიკური განვითარების ზრდას განიხილავდნენ, როგორც პროცესს, რომელიც მოითხოვდა წარმოების ფაქტორების გადანაწილებას დაბალი შრომის მწარმოებლურობით გამორჩეული ტრადიციული სოფლის მეურნეობის სექტორიდან მაღალტექნოლოგიურ სექტორებში. ამ პერიოდში სოფლის მეურნეობას ეკისრებოდა პასიური როლი და განიხილებოდა, როგორც მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფის და დასაქმების დარგი. გარდა ამისა, არსებობდა იმის მოლოდინი, რომ სოფლის მეურნეობის, როგორც განვითარების ტრადიციული დარგის, მნიშვნელობა არსებითად შემცირდებოდა იმის მიხედვით, თუ როგორ წარიმართებოდა ქვეყნის ტრანსფორმაცია საწყისი ტრადიციული ეკონომიკიდან თანამედროვე ეკონომიკაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში სოფლის მეურნეობა განიხილება, როგორც ინდუსტრიალიზაციის წინაპირობა, რამდენადაც ამ სექტორიდან ისტორიულად ხდებოდა სამუშაო ძალის გადადენა მრეწველობაში, იგი აწვდის კვების პროდუქტებს, იყენებს სხვა დარგებში წარმოებულ რესურსებს და პროდუქციას და არის დასაქმების ერთ-ერთი დიდი სფერო. იგი ამცირებს ქვეყნის დამოკიდებულებას იმპორტზე და





დამოკიდებულია როგორც მსხვილი ფერმერული მეურნეობის განვითარებაზე, ისე მცირე მენარმეობის ეფექტიანობაზე. დღეს არ არსებობს სამეცნიერო ლიტერატურა (თუმცა არის ცალკეული ექსპერტების მოსაზრებები), რომელიც დაამტკიცებს საქართველოში მსხვილი მეურნეობის სტრატეგიულ მნიშვნელობას და შესთავაზებს პოლიტიკოსებს სამუშაო ძალის ქალაქად გადინების აუცილებლობას. თუმცა არც იმის პირიქით მტკიცება შეიძლება, რომ მცირე მეურნეობების განვითარება შეიძლება გახდეს პანაცეა სოფლის მეურნეობის განვითარებაში მეურნეობების ინტეგრაციისა და ღირებულების ზრდის ერთ-ერთი ან უაქტიური კონსოლიდაციის გარეშე. სოფლის მეურნეობის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მასთან დაკავშირებული სხვა დარგების განვითარებასთან ერთად. მცირე ფერმები შეიძლება გახდეს ეფექტიანი იმ ქვეყნებში, სადაც ჭარბია სამუშაო ძალა, მაგრამ მინისა და კაპიტალის შეზღუდულობა აძვირებს მის პროდუქციას. როდესაც სტრატეგიული პოლიტიკა მიმართულია საბაზრო განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს ფორმირებისაკენ, აგრარული პოტენციალის მქონე მცირე ფერმები სიღარიბის დაძლევიდან თანდათანობით იძენენ კომერციულ მნიშვნელობას. სოფლის მეურნეობის განვითარებით მიღებული სარგებელი, თუ იგი სოციალურ მიზნებზე აგებული სიღარიბის წინააღმდეგ პოლიტიკის განხორციელების შედეგია, სოფლის მეურნეობის მხოლოდ პასიური როლის აღიარებაა, ხოლო თუ სახელმწიფოსთან ერთად კერძო კაპიტალდაბანდებებისა და ინფრასტრუქტურის ზრდით სოფლის მეურნეობა სოციალურ დატვირთვასთან ერთად კომერციულ მნიშვნელობასაც იძენს, მაშინ იზრდება ფერმერთა კონკურენტუნარიანობა და აგრარული ბიზნესგარემო.

აღნიშნული დარგი ხდება ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა. ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში სოფლის მეურნეობაში სამუშაო ძალის დაახლოებით 54%-ია დაკავებული. აგრარული სექტორის ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის და დეკაპიტალიზაციის პირობებში უაღრესად დაბალია შრომის ნაყოფიერება, მოსავლიანობა და მწარმოებლურობის სხვა მაჩვენებლები, რაც, საბოლოო ჯამში, ამ სექტორის პროდუქციის დაბალ კონკურენტუნარიანობაში აისახება.

აგრარულ სექტორში ტექნოლოგიური ცვლილებების და ფიზიკურ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების შედეგად სავარაუდოდ შემცირდება ამ მოცულობით სამუშაო ძალის საჭიროება, რამაც, შესაძლოა, ქართული სოფლები დეპოპულაციის წინაშე დააყენოს.

1992 წლიდან მეცნიერებათა აკადემიაში არსებობდა სპეციალური ინსტიტუტები, რომელიც უზრუნველყოფდა საქართველოში არსებულ სოფლის მეურნეობის პრობლემათა მოგვარებას, თუმცა 2006 წელს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ეს ინსტიტუტი შეუერთეს განათლების სამინისტროს და ჩამოაყალიბეს აგრარული უნივერსიტეტის ბაზაზე. სწორედ ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ საქართველოში, ამ მიმართულებით განათლების დონე არც თუ ისე მაღალია. 2010 წელს, საქართველოს განათლების სამინისტროს დადგენილებით ეს ინსტიტუტი აგრარულ უნივერსიტეტს შეუერთდა.

თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ გლეხების განწყობა სოფლის მეურნეობაში კატასტროფულად დაბალია. ყოველივე ეს სახელმწიფო პოლიტიკის ნაყოფია. გლეხებს არ ჰქონდათ საშუალება დაემუშავებინათ მიწა, არ გააჩნდათ ტექნიკა, თანხა, რომელსაც სახელმწიფო მათ იაფი სესხის სახით მისცემდა. ამ ყველაფერს კი დომინოს პრინციპით მოჰყვა სხვა მრავალი პრობლემა. გლეხებმა დატოვეს მაღალმთიანი რეგიონები და ჩამოვიდნენ დედაქალაქში რასაც მოჰყვა სიღარიბის, სატრანსპორტო გადატვირთვის, ქაოსური მშენებლობების და დაცარიელებული სოფლების მასშტაბური პრობლემები. სოფლის მეურნეობას რაც შეეხება, დაცარიელებულ სოფელს მოჰყვა დაუმუშავებელი მიწა ჰექტრობით, რაც შესაბამისად აისახა საქართველოს შიგნით წარმოებული სასოფლო სამეურნეო პროდუქტზე. იკლო ექსპორტირებული პროდუქტის რაოდენობამ და გაიზარდა იმპორტი. საქართველოს აღარ შესწევს ძალა, რომ დაამუშაოს იმდენი მიწა, რაც საჭირო იქნება მოსახლეობის გამოსაკვებად და საექსპორტოდ.

ასევე გვინდა აღვნიშნოთ რომ, იაპონიაში როგორც აგრარული სფეროს ერთ-ერთ ლიდერ სახელმწიფოში არსებობს ასეთი პროგრამა რომელსაც შეგვიძლია პატერნალიზმი ვუწოდოთ. პატერნალიზმი გულისხმობს შემდგომ მოვლენას: მოსახლეობა აძლევს სახელმწიფოს რეკომენდაციას ქცევის ნორმის შესახებ ხოლო სახელმწიფო ამის პასუხად კი მათ აძლევს რეკომენდაციას სწორი ბიზნეს პროექტის შემუშავების შესახებ. მსგავსი პროექტი საქართველოში იქნება წარმატებული ვინაიდან საქართველოს მოსახლეობის ძირითად ნაწილს არ აქვს საკმარისი განათლება, აგრარულ სფეროში. წარმატებული იქნებოდა საქართველოში ასევე მეცნიერებათა აკადემიის ხელშეწყობა ამ მიმართულებით, სასურველია მთავრობის მიერ იქნეს გატარებული გლეხების ხელშეწყობი ფინანსური პოლიტიკა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს მთავრობამ გაუწიოს შუამავლობა გლეხებს ბანკებთან, რომლებიც გასცემენ იაფ აგრო სესხს. გასააზრებელია ისიც, რომ საქართველოში ყველაზე პოტენციურ სფეროდ ითვლება ტურიზმი. აქედან გამომდინარე, შესაძლოა ტურიზმის განვითარებიდან მიღებული შემოსავლის წყალობით,



შეიქმნას ისეთი გარემო, რომელიც უცხოელ ბიზნესმენებს გაუჩინოს სურვილს საქართველოში, აგროსფეროში ჩადოს დიდი რაოდენობით ინვესტიცია. ეს ინვესტიცია უკეთესი იქნება თუ დაიხარჯება მთლიანად სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შექმნაში, რომელიც ფუნქციურად შეესაბამება საქართველოში არსებულ თანამედროვე სტრანდარტებს. ბიოლოგიური სასუქები და ქიმიური შესანამლი საშუალება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება მოსავალი მწერების, ქვეწარმავლებისა და მავნებლებისგან.

მთავრობის როლი ასევე შეიძლება გამოიკვეთოს აღებული მოსავლის გაყიდვაშიც. სახელმწიფო ვალდებულია გლახთა სურვილების შესაბამისად უზრუნველყოს მოსავლის გაყიდვა.

### გამოყენებული წყაროები

1. ანდლულაძე რ. კვირიკაძე ლ. გოგოტიშვილი მ. სახელმწიფო ინტერვენციონიზმი სოფლის მეურნეობაში. აგრარული ეკონომიკის ს/კ ინსტიტუტის საიუბილეო შრომების კრებული. თბ. 1999;
2. ბურდული ვ. საქართველოში ქმედითუნარიანი საფინანსოსაკრედიტო სისტემის ჩამოყალიბების გზები. პ.გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული;
3. ვაშაკიძე ო. გიორგაძე ჰ. სმედს-ის შრომების კრებული. ტ. 12. თბ. 1996;
4. კუნჭულია თ. საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები. `მეცნიერება~. თბ. 1997. ტ. I. `მეცნიერება~. თბ. 2000;
5. ქეშელაშვილი ო. საქართველოს აგროსამრეწველო სექტორის პოტენციალი. `ცოდნა~. თბ. 1984;
6. [http://geworld.ge/ge/4966/;](http://geworld.ge/ge/4966/)
7. <http://www.ei-lat.ge/images/doc/20%20Years%20of%20IndependenceTransformation%20of%20Georgian%20Agricultural%20System.pdf>.

## 6. ჯერენაშვილი

### აგრობიზნესის განვითარება საქართველოში

#### რეზიუმე

რესურსების ეფექტურ გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს ბიზნესის წარმართვისათვის. აგრო ბიზნესმენის ხელში იმყოფება მიწის, კაპიტალის, ფულადი და ადამიანური რესურსების გარკვეული ზღვრული რაოდენობა და მარაგი. ამიტომ, მათ წინაშე ყოველთვის დგება ეკონომიკური არჩევანის პრობლემა, მუდმივად წარმოიქმნება ალტერნატიული არჩევანის შესაძლებლობა.

ამდენად, ბიზნესის წარმატება დამოკიდებულია შეზღუდული რესურსების პირობებში სწორი არჩევანის გაკეთებაზე. შეზღუდულ რესურსებთან ერთად, საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი საფუძველი კონკურენციაა. კონკურენციული გარემო ხდება მოტივატორი მომხმარებლების მიერ გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით.

## N. Jerenashvili

### Development of Agrobusiness in Georgia

#### Summary

Effective use of resources is important for business management. In Agro businessman hands is the land, capital, money and human resources, a certain amount of limit, stock. Therefore, the problem of economic choice is always faced before them, and the possibility of alternative choice is constantly generated.

The success of the business depends on the right choice for limited resources. Along with the limited resources, one of the foundations of the market economy is competition. Competitive environment is made by the motivator users in terms of decision-making.

# სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები

## ი. გერსამია

### პიროვნებათმორისი ურთიერთობის როლი ბავშვის სოციალური ადაპტაციის პროცესში

სოციალური ადაპტაცია – ესაა ადამიანის, პიროვნების შეგუება პირობებისადმი, ქცევის ნებსები-სადმი, პრინციპებისადმი, ეტიკეტისადმი საზოგადოებაში, ამ საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისად, აგრეთვე, პიროვნების ინდივიდუალური თვისებების, ფსიქიკის თავისებურებების გათვალისწინებით. სხვა სიტყვებით, ესაა ურთიერთკონტაქტი, ინდივიდის კომუნიკაცია გარემომყოფ ადამიანებთან, მისი აქტიური მოქმედება ადამიანთა შორის. მას ორი ასპექტი გააჩნია. პირველი – პიროვნების მიჩვევის პროცესი მისთვის ახალ სოციალურ გარემოსთან; ძველი სტერეოტიპის ნგრევის პროცესი და ახლის თანდათანობითი აწყობის პროცესი, ადამიანისა და მისი გარემოს ჰარმონიზაცია. მეორე – პიროვნების სოციალური ადაპტაციის, მისი აღზრდისა და თვითგანვითარების შედეგია.

გარემომყოფ ადამიანებთან ურთიერთობის მოთხოვნილება, რომლის მეშვეობით ბავშვი ეუფლება სოციალურ გამოცდილებას, ადრე იქცევა მის ძირითად მოთხოვნილებად. ურთიერთობის მოთხოვნილების ბუნებაზე სხვადასხვა შეხედულება არსებობს. ლ.ვიგოტსკი და ა.ნ. ლეონტიევი აყენებენ დებულებას იმის შესახებ, რომ ბავშვი მაქსიმალურად სოციალური არსებაა და მიისწრაფის ურთიერთობისკენ მოზრდილებთან, რადგანაც მას სჭირდება მოზრდილის დახმარება, პირველ რიგში მისი ბიოლოგიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

მკვლევართა აზრით, არსებობს ბავშვის მშობლებთან ურთიერთობის სხვადასხვა ტიპი (Lynette C. Magaña with Judith A. Myers-Walls and Dee Love) ისინი გამოყოფენ ურთიერთობის 4 კატეგორიას:

1. უსაფრთხო ურთიერთობა. ამ კატეგორიის ურთიერთობაში ბავშვი გრძნობს მშობლის მხარდაჭერას. მშობლები უზრუნველყოფენ ბავშვის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, იზიარებენ მის განცდებს. ბავშვი გრძნობს მშობლის სიყვარულს და ზრუნვას. ამგვარი ურთიერთობის შედეგად ბავშვი კარგად ურთიერთობს თანატოლებთან. თუ მშობელი მიდის შეიძლება დაეღვენოს, იტიროს, მაგრამ სწრაფადვე მშვიდდება თუ კეთილგანწყობილი მოზრდილი იმყოფება მის გვერდით და ამშვიდებს მას;

2. განრიდებითი ურთიერთობა (**avoidant relationships**). ამ შემთხვევაში ბავშვი არ ელოდება მშობლისგან მხარდაჭერას, ზრუნვას და ცდილობს დამოუკიდებლად იმოქმედოს. თანატოლებთან ურთიერთობისას ის ხშირად ავლენს აგრესიას, ძნელად მიდის შეთანხმებაზე თამაშის პროცესში. მშობლის წასვლაზე არანაირად არ რეაგირებს. ასეთი ბავშვი იშვიათად მიმართავს დახმარებისთვის სხვას;

3. ამბივალენტური ურთიერთობები. ბავშვი ვერ გრძნობს თავს სტაბილურ პირობებში (მისი მოთხოვნილება ხან კმაყოფილდება ხან არა). ბავშვი აფიქსირებს, თუ რომელი მისი ქმედება იწვევს მშობლის დადებით დამოკიდებულებას და ცდილობს ამგვარად მოიქცეს. ასეთ ბავშვს ახასიათებს მაღალი ემოციურობა და მიჯაჭვულობა. მას უძნელდება მშობლის გარეშე დარჩენა და დიდხანს ტირის. ასეთ ბავშვს უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა და ხშირად ავლენენ ასაკით უფრო პატარა ბავშვის თვისებებს, რათა მიიპყრონ მოზრდილის ყურადღება.

4. არაორაგნიზებული ურთიერთობები. ამგვარ ურთიერთობებში ბავშვმა არ იცის რას შეიძლება ელოდოს მშობლისგან. სასურველის მისაღებად ცდილობს მშობლის ქმედებების პროგნოზირებას. თანატოლებთან ურთიერთობისას ხშირად „მშობლის“ ან „ბოსის“ პოზიციას იკავებს. მას უძნელდება სხვა ადამიანის გრძნობებში გარკვევა.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ბავშვებს, რომლებსაც უფრო ახლო ურთიერთობა აქვთ დედებთან და მამებთან კოგნიტიურ, სოციალურ და ემოციურ განვითარებაში აქვთ უპირატესობა (Raikes, 1996).

კვლევათა რიგი ეძღვნება სკოლამდელი ბავშვების ურთიერთობას ერთმანეთთან. უცხოელი ავტორებიდან ვ.ჰერტუბმა ჰ.დევიმ, ა.ჯერალდმა შეისწავლეს ბავშვების ურთიერთობა ერთმანეთთან თამაშისას, ამ დროს წარმოქმნილი კონფლიქტები, შეჯიბრებითი მომენტების როლი და მეგობრული ურთიერთობები. სკოლამდელი ბავშვების ერთმანეთის მიმართ აგრესიულ ქცევას იკვლევდნენ ა.ბანდურა და რ. უოლტერსი (Ньюкомб, 2003).



ფსიქოლოგების კვლევებით დადგენილია მოზრდილის ბავშვთან ურთიერთობის როლი მისი სრულფასოვანი ფსიქიკური განვითარებისთვის. ბავშვს უზრუნველყოფილი უნდა ქონდეს მისი მოზრდილთან ურთიერთობის გენეტიკურად აუცილებელი ყველა ფაზის გავლა (Леонтьев 1974).

სიცოცხლის პირველი წლის პირველ ნახევარში სრულფასოვანი ემოციურ ურთიერთობას მოზრდილთან (პირადად მისკენ მიმართული კეთილგანწყობილი ყურადღება, ალერსი და სინაზე) მოსდევს აფექტურ-პიროვნული კავშირების გაჩენა მასთან, მიჯაჭვულობა, მინდობილი მგრძობიარობა მისი ზემოქმედების მიმართ. ეს კი, თავის მხრივ, წარმოადგენს ბავშვის შემეცნებითი განვითარების, პიროვნების ჩამოყალიბების, სამყაროსთვის ლიაობის საფუძველს.

ასაკთან ერთად უცხო ადამიანებთან კონტაქტების ხასიათი, ისეთები, როგორც მოლოდინი და დადებითი ემოციური დამოკიდებულება, იცვლება ინიციატივანი და აქტიური ქმედებებით, რომლებიც მიმართულია მოზრდილის ყურადღების მოსაზიდად და გამოხატულ კეთილგანწყობაზე მისდამი. რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით უფრო მეტადაა დამოკიდებული მისი მოზრდილთან ურთიერთობის ინიციატივა ამ უკანასკნელის აქტივობაზე.

უმცროსი სკოლამდელები (3-4 წლის) ეძიებენ მოზრდილის დახმარებას თამაშის ორგანიზებაში და პრაქტიკული ამოცანების შესრულებაში; მათ ახასიათებთ საქმიანი ინტერესი სხვა ადამიანისადმი. საშუალო სკოლამდელების (4-5 წლის) შემეცნებითი ინტერესები კარგავენ თავიანთ ვინროსიტუაციურ ხასიათს და გამოდიან იმ კონკრეტული პირობების ჩარჩოებიდან, რომელშიც ხორციელდებოდა მოზრდილთან თანამშრომლობა; შემეცნებითი ინტერესები იძენენ ბავშვების ფართო ცნობისმოყვარეობის ხასიათს. უფროსი სკოლამდელებისთვის არსებით მნიშვნელობას იძენს პირადი კონტაქტები უფროსებთან, რომელთა დროს ბავშვი იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას გაუგოს ადამიანებს და მათ ურთიერთობებს, მიიღოს მოზრდილისგან თავისი მიღწევებისა და მთლიანი პიროვნების შეფასება.

აღმზრდელები, პედაგოგები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს პროსოციალური უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობაში. „მასწავლებელი-ბავშვი წარმოადგენს გაგრძელებას პირველადი ურთიერთობისა მშობელი-ბავშვი“ (Edwards & Raikes, 2002.)

თანატოლებთან კონტაქტები უფრო გვიან აწეწება, ვიდრე მოზრდილებთან ურთიერთობა. პირველი წლის განმავლობაში ბავშვის ყურადღება კონცენტრირდება მოზრდილზე, შემდეგ საგნებზე. მაგრამ თანდათან სასიცოცხლო გამოცდილება ფართოვდება. ურთიერთობის მოთხოვნილება უბიძგებს ბავშვს ეძებოს ემოციური კონტაქტი არა მხოლოდ მოზრდილთან, არამედ თანატოლებთან, სხვა ადამიანებთან.

თავიდან ინტერესი გამოიხატება ღიმილში, ახალი ადამიანის ქმედებებზე დაკვირვებით, მასთან მიახლოების, ხელის მოკიდების სურვილით. უკვე მეორე წელს ბავშვებს შორის ჩნდება მრავალნაირი კონტაქტები, რომლებიც მოიცავენ როგორც დადებით, ისე უარყოფით ურთიერთობებს. მოზრდილის როლია მოცემულ ეტაპზე – გადაიტანოს ინტერესი თანატოლისადმი ობიექტურიდან სუბიექტურ თვისებებზე. მოზრდილის ყურადღება, ალერსიანი დამოკიდებულება – პიროვნული კონტაქტების, დადებითი ურთიერთმიმართების დამყარების ერთ-ერთი მაგალითია. ამ მხრივ სასარგებლოა ერთობლივი თამაშები – მოზრდილი და რამდენიმე ბავშვი. თამაშით ხელმძღვანელობისას მოზრდილი აყალიბებს ერთად თამაშის უნარ-ჩვევას.

რ.სანდლერი აღნიშნავს მეორე წლის ბავშვების ურთიერთ-კონტაქტების განსხვავებულ სახეებს შორის ემოციურად დამუხტულ ურთიერთობის ფორმას, რომელიც წარმოადგენს თანატოლის თანატოლის მიმართ სიმპატიის გამოვლენის ყველაზე ადრეულ ფორმას. ეს არაა არც თამაში და არც ერთობლივი საქმიანობა, არამედ ქცევაა, რომელშიც ვლინდება ბავშვების ერთმანეთისადმი დამოკიდებულება, რაც წარმოიქმნება ბავშვის ემოციური მდგომარეობის გავლენით. ბავშვი თვალშისაცემი მიზეზის გარეშე მიდის მეორე ბავშვთან, ეფერება მას (Сандлер, 1950).

ასაკთან ერთად ურთიერთობის მოთხოვნილება ფართოვდება და ღრმავდება როგორც ფორმით, ისე შინაარსით. მეორე წლის ბოლო, მესამე წლის დასაწყისი – ურთიერთობის განვითარების ახალი ეტაპია. ამ მომენტისთვის თანატოლი სულ უფრო იზიდავს ბავშვს როგორც პარტნიორი თამაშში. თუმცა ეს თამაში თავიდანვე განსხვავდება უფროსთან ურთიერთობისგან. ბავშვების ურთიერთინტერესი პოულობს გამოვლენას განსაკუთრებულ ურთიერთქმედებაში, რომელიც გაიფურჩქნება მესამე წელს. პირველი შეხედვით ურთიერთობა ამ პერიოდში უმიზნოა: სირბილი, ხტომა, გორაობა, აღტაცებული ყიჟინა. თითქოს ყველა მოქმედება ატარებს ერთმანეთისთვის თავიანთი უნარების დემონსტრაციის ხასიათს. მაგრამ, მსგავსი კონტაქტები, უპირველეს ყოვლისა, უყალიბებენ ბავშვებს ქცევის სხვებთან შეთანხმების უნარს. თავდაპირველი ინტერესი სხვა ბავშვისადმი, როგორც საინტერესო სათამაშოსადმი, იცვლება პიროვნულად-ორიენტირებული დამოკიდებულებით. დადებითი ემოციები იწვევენ დაკმაყოფილებას და



სიამოვნების განვლვის სურვილს. თუ 3-4 წლის ბავშვი ჯერ კიდევ კმაყოფილდება სათამაშოებით, 5 წლისას სჭირდება ამხანაგი თანატოლები. ეს ურთიერთობის მოთხოვნილება სწორედ ბავშვებთან მკაფიოდ გამოხატა 6 წლის პატარამ. როცა ეკამათებოდა დედას, რომელიც სთავაზობდა საკუთარ თავს არმოსული მეგობრის სანაცვლოდ, მან უთხრა „მე ბავშვები მჭირდება, შენ კი არა ხარ ბავშვი“. ცნობილია, რომ დანყებული 4-5 წლიდან ბავშვების იზოლაცია – დასჯის ერთ-ერთი უმძიმესი ფორმაა (Коломинский, 1984).

თანატოლებთან ურთიერთობის მოთხოვნილების ზრდას მოყვება ის, რომ სკოლამდელების ჯგუფი – ეს უკვე რთული სოციალურ-ფსიქოლოგიური ერთეულია.

ბავშვის მოსვლა საბავშვო ბაღში – ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი მის ცხოვრებაში: იცვლება მისი ფსიქიკური განვითარების სოციალური სიტუაცია. იმ მომენტიდან, როცა ბავშვი ხვდება თანატოლთა ჯგუფში, მისი ინდივიდუალური განვითარება უკვე ვერ განიხილება, ვერ შეისწავლება ჯგუფში სხვა ბავშვებთან ურთიერთქმედების გარეშე. სწორედ ჯგუფში, თანატოლებთან ურთიერთობის ნიადაგზე ეყრება საფუძველი პიროვნების ძირითად ზნეობრივ თვისებებს.

ზოგიერთი სოციალური ჩვევები ყალიბდება თამაშის პროცესში: საერთო მიზნისთვის ერთობლივი მუშაობის უნარი, თანამშრომლობა თანატოლებთან, საუბრის ინიცირება და გაგრძელება. მსგავსი ინტერესები შეიძლება მეგობრობაში გადაიზარდოს. მეგობრობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ურთიერთობები აზრთა, გრძნობათა გაცვლით, ერთმანეთის ნუგეში აუცილებლობის შემთხვევაში (ბერკი, 2010).

თანატოლებთან ურთიერთობის პროცესში ბავშვი შეიცნობს საკუთარ თავს შედარების გზით. თუ მოზრდილებთან ურთიერთობა შეიძლება შევადაროთ დახრილ სიბრტყეს, თანაბარ პარტნიორთან ურთიერთობა ხორციელდება, ასე ვთქვათ, ჰორიზონტალურ სიბრტყეში, რომელიც აჩენს თვითშემეცნების ახალ რაკურსს. ერთმანეთთან თავისუფალი, არარეგლამენტირებული ფორმით ურთიერთობისას, ბავშვები თავისებურად შეიმეცნებენ საკუთარ თავებსაც და სხვებსაც. თანასწორთან ურთიერთობა – ეს თვითგამოხატვის საშუალებაა. მაშასადამე, დროული კონტაქტები შეუქმნიან ბავშვს თანატოლთა ჯგუფში ყოფნის, მათთან ურთიერთობის სურვილს.

განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენენ კომუნიკაციური სიძნელებები, რომლებიც წარმოიქმნება ოჯახის გარეთ – ნეგატივიზმიდან, აგრესიიდან და სიჯიუტიდან, შიშის, დაურწმუნებლობის და აღმზრდელის წინაშე სიმორცხვის გამოხატულ ფორმებამდე. კომუნიკაციური უნარ-ჩვევები, სხვა ადამიანის გაგების უნარი, მისი მისწრაფებების საკუთარ გეგმებთან და მიზნებთან შეფარდების, სხვისი მოთხოვნილებების, გრძნობების, განცდების წარმოდგენის უნარი, მოითხოვს პიროვნებათმორისი ურთიერთობის საკმარის გამოცდილებას. თუ ბავშვი ურთიერთობს მხოლოდ რამდენიმე ახლობელ ადამიანთან, მაშინ, როგორც წესი, ის სიძნელებებს განიცდის ამ ვიწრო წრიდან გადასვლისას ბავშვთა ჯგუფზე სკოლამდელ დანესებულებაში.

სკოლამდელებთან აგრესიის გამოვლენა ბავშვების დაცინვის საპასუხოდ, სხვა ადამიანებთან კონფლიქტები (ბავშვებთან და მოზრდილებთან) და სხვა ტრავმული სიტუაციები – საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. სიჯიუტეს და აგრესიულობას შეიძლება ქონდეთ განსხვავებული მიზეზები – სირთულეები მშობლებთან (აგრესიული მშობლები, ან მათ მიერ ბავშვის უგულვებელყოფა, ან, პირიქით, ზედმეტი დათმობა). ქცევის დარღვევების საფუძველად აფექტური პიროვნულად მნიშვნელოვანი განცდების მთელი კომპლექსი დევს. ეს შეიძლება იყოს წყენასთან, შელახულ თავმოყვარეობასთან, ახლობლებთან კონფლიქტთან (პირველ რიგში, დედასთან) დაკავშირებული განცდები. ასეთი ტიპის რეაქციები ყოველთვის შერჩევითი მიმართულობისაა: პირველად ისინი ყოველთვის ჩნდება იმ სიტუაციაში, რომელიც ფსიქოტრავმულია, და მიმართულია იმათ წინააღმდეგ, ვისაც ბავშვი თვლის უსიამოვნო განცდებისა და კონფლიქტების მიზეზად. ოჯახში ეს შეიძლება იყოს კონფლიქტები მშობლებთან, ეჭვიანობა გაჩენილი უმცროსი ბავშვის მიმართ, ხშირი უსამართლო ან ბავშვისთვის გაუგებარი დასჯა, ბავშვის შეურაცხყოფილი მოქმედებები ან ქცევა. საბავშვო ბაღში ეს ყველაზე ხშირად არის აღმზრდელთან, სხვა ბავშვებთან ვერანყოფილი ურთიერთობა, სოციალური იზოლაცია, ადაპტაციის დარღვევა.

ზემოთ ჩამოთვლილი სიტუაციების წარმოქმნისას აუცილებელია მათი ზედმინეწვითი ანალიზი, ბავშვის სიძნელების გამოვლენა, მიზეზების დადგენა და, შესაძლებლობისდაგვარ, მათი გამოსწორება, შემდეგ ბავშვში საჭირო უნარ-ჩვევების, აგრეთვე სხვა ადამიანებისადმი ადექვატური განწყობების ჩამოყალიბება. მოზრდილის ყურადღება და უზარმაზარი მოთმინება – წარმატების აუცილებელი პირობებია.

მთლიანობაში სკოლამდელ ბავშვთა აგრესიული ქცევის წყაროები განპირობებულია, ერთი მხრივ, მათი ბიოლოგიური ქარაქტეროლოგიური თავისებურებებით, ტემპერამენტით, ემოციური აგზნებადო-





ბით, მეორე მხრივ – სოციალური მიზეზებით: ოჯახში ან ფართო სოციალურ გარემოში მდგომარეობით, ამ მდგომარეობით დაკმაყოფილების ხარისხით, თანატოლებთან ურთიერთობის უნარით, თამაშის უნარ-ჩვევის განვითარებით და საქმიანობის სხვა სახეების ფლობის დონით.

ბავშვისადმი ყურადღება, მისი ქცევის მარჯვე ხელმძღვანელობა, სიჯიუტის და ჭირვეულობის წინასწარ არიდება, რომელთა საფუძველზე შემდგომში შეიძლება განვითარდეს აგრესიული ქცევა, ბავშვში ურთიერთობის ჩვევების გამომუშავება, მისთვის სხვა ბავშვებთან ურთიერთობის პირობების შექმნა, მისი სოციალური გამოცდილების ორგანიზება ოჯახში თბილი, თანაბარი ემოციური კლიმატის ფონზე – ყველაფერი ეს შეიძლება სკოლამდებლებთან აგრესიის გამოვლენის აცილებას და მისი შემდგომი განვითარების არდაშვებას.

არსებით როლს თამაშობს აგრეთვე საკუთარი ქცევის ნებელობითი რეგულაციის ჩამოყალიბებულობისათვის სკოლამდელი დანესებულებისადმი ადაპტაციების დინამიკა და აგრეთვე, აღმზრდელების პროფესიული კვალიფიკაცია და პიროვნული თვისებები.

თანატოლებთან არაადეკვატური ურთიერთობები შეიძლება დაკავშირებული იყოს სოციალური მოტივების არასაკმარის განვითარებასთან, აუცილებელი კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარების დაბალ დონესთან, ქცევის იმ ფორმების ჩამოყალიბებლობასთან, რომლებშიც ბავშვები დამოუკიდებელ აქტიურ ურთიერთობას ამყარებენ.

ქცევის ყველაზე ადეკვატურ ფორმას აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად წარმოადგენს კოლექტიური თამაში. თუ საწყის ეტაპზე ბავშვის თამაშების ინიციატორი მოზრდილია, შემდგომში ბავშვი თითონ იღებს ინიციატივას საკუთარ ხელში. თამაშისადმი ინტერესი სკოლამდელ ასაკში იმდენად დიდია, რომ იგი ეძებს პარტნიორებს არა მხოლოდ ნაცნობ, არამედ უცნობ ბავშვებს შორისაც.

ბევრი მშობელი თვლის, რომ თუ ბავშვები დიდი ხნის განმავლობაში ეურთიერთებიან სხვა ბავშვებს, ისინი შეიძენენ სოციალურ უნარ-ჩვევებს. მაგრამ სოციალიზაცია – ეს უბრალოდ ურთიერთობა არაა, ესაა იმის სწავლის პროცესი, თუ როგორ უნდა ააწყო ურთიერთობა სხვა ადამიანებთან. ხშირად, თანატოლებთან ურთიერთობა არ ნიშნავს თანამშრომლობის უნარ-ჩვევების შექმნის საშუალებას. თანატოლებისგან განსხვავებით, მოყვარული და მგრძობიარე მშობლები, ბავშვებთან ურთიერთქმედებისას ყვრდნობიან ემოციურ რესურსებს. მათ შეუძლიათ:

- გაიგონ ემოციათა მიზეზები და შედეგები;
- სხვა ადამიანთა ემოციების გაგება;
- ემოციის აღწერა სიტყვიერად;
- საკუთარი ემოციები რეგულირება;

ჩამოთვლილი მაჩვენებლები, როგორც ცნობილია, ითვლება ე.წ. „ემოციური ინტელექტის“ განვითარების კრიტერიუმად (Mayer, J., and all, 2004).

სკოლამდელის ძირითადი სოციალური უნარ-ჩვევები – ემპათია, ემოციური თვითკონტროლი და ვერბალური კომუნიკაცია – საუკეთესოდ ვითარდება მშობლების დამსახურებით (Dewar, G., 2006-2009).

ბავშვის სოციალური უნარ-ჩვევებისა და ემოციური კომპეტენციის გასავითარებლად აუცილებელია ბავშვთან მის გრძნობებზე ლაპარაკი. მსჯელობა, რა სიტუაციებში ბავშვი გრძნობს თავს ცუდად და რაში კარგად. როცა მშობლები უხსნიან ემოციებს და მათ მიზეზებს, ბავშვები სწავლობენ თავიანთი ემოციების რეგულაციას (Denham and all, 1992).

ბავშვები, რომლებსაც შეუძლიათ მშობლებზე დაყრდნობა და გრძნობენ მათ მხარდაჭერას, ემოციურად უფრო განონასწორებულები არიან. მათთვის უფრო ადვილია ახალ სოციალურ სიტუაციებთან ადაპტაცია (Dewar, G., 2006-2009).

მამასადამე, ახალი პირობებისადმი შედარებით სწრაფი ადაპტაცია, მისი წარმატება დამოკიდებულია ბავშვებში აუცილებელი ჩვევების, კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებაზე, რომლებიც ხელს უწყობენ მოზრდილებთან და თანატოლებთან კონტაქტების დამყარებას. თამაშის უნარ-ჩვევები, სხვა ბავშვებთან ურთიერთობის უნარი ხელს უწყობს ბავშვის ადაპტაციას ახალი სოციალური გარემოს პირობებთან.

### გამოყენებული წყაროები

1. Denham, Susanne A., Mary Cook, and Daniel Zoller. "Baby Looks Very Sad": Implications of Conversations about Feelings between Mother and Preschooler." *British Journal of Developmental Psychology*, 1992, 301-15;
2. Dewar Gwen. *Preschool social skills: A guide for the science-minded parent* © 2006-2009 See more at:



<http://www.parentingscience.com/preschool-social-skills.html>;

3. Edwards, C., & Raikes, H. (2002). Extending the dance: Relationship-based approaches to infant/toddler care and education. *Young Children*, 57 (4), 10-17;
4. Lynette C. Magaña with Judith A. Myers-Walls and Dee Love. Different Types of Parent-Child Relationships. See more at: <https://www.extension.purdue.edu/providerparent/familychild%20relationships/differenttypesp-c.htm>;
5. Mayer, J.D., Salovey, P., & Caruso, D.R. (2004). Emotional intelligence: Theory, findings, and implications. *Psychological Inquiry*, 15, p. 197-215;
6. Raikes, H. (1996). A secure base for babies: Applying attachment concepts to the infant care setting. *Young Children*, 51 (5), 59-67;
7. ბერკი, ლ., ბავშვის განვითარება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2010;
8. Коломинский Я.Л. Психология детского коллектива. Минск, 1984;
9. Ньюкомб Н. Развитие личности ребенка. СПб.: Питер, 2003;
10. Сандлер Р.Я. Взаимоотношения детей на втором году жизни. Москва, Медгиз. 1950. 52с.

#### ი. გერსამია

### პიროვნებათშორისი ურთიერთობის როლი ბავშვის სოციალური ადაპტაციის პროცესში

#### რეზიუმე

სტატიაში განხილულია სკოლამდელი ასაკის ბავშვის უფროსებთან და თანატოლებთან ბავშვის ურთიერთობათა სხვადასხვა ფორმები: ემოციური, საქმიანი და პიროვნული. სადაც წამყვან როლს საქმიანი კონტაქტების აწყობა- გამართვას აკუთვნებენ. ასეთი კონტაქტები ხელს უწყობს საგნობრივ სინამდვილესთან მიახლოებას, რაც სკოლამდელი ასაკის ბავშვის აქტივობის წამყვანი ფორმის- თამაშის რეალური საფუძველია.

ბავშვის ახალ სოციალურ პირობებისადმი მომზადების წარმატებულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის მასში გამოუმუშავებული კომუნიკაციის და თამაშის უნარები, რომლებსაც ემყარება ბავშვის შემდგომი განვითარება და სოციალური ადაპტაცია ახალ სოციალურ გარემოსადმი.

#### I. Gersamia

### The Role of Interpersonal Relations in the Process of Child's Social Adaptation

#### Summary

The article considers various forms of contacts of a pre-school child with adults and peers: emotional, personal and functional where leading role comes to establishing functional contacts. Such contacts contribute to coming closer to factual reality that is the base of the leading form of the pre-school child's activity – game.

The child's preparedness to new social conditions depends on the level of his communicative and gaming abilities, being the basis of the child's further development and social adaptation to new social environment.



## 6. გოგიჩაშვილი

### სელფი – დიაგნოზი, თვითპრაქტიკა თუ კულტურის ატრიბუტი?

თანამედროვე საზოგადოების განვითარება საინფორმაციო და საკომუნიკაციო თვალსაზრისით, დღესდღეობით, უპირატესად ხდება აღქმის ვიზუალიზაციით, რასაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ტექნოლოგიების აქტიური განვითარება და ადამიანის შინაგანი მოთხოვნილება, რომელიც მიმართულია პიროვნულ ზრდასა და გარემო პირობების ცვლილებებზე. აღნიშნული ფაქტორები იძენს მაპროვოცირებელ მნიშვნელობას შიდაპიროვნული კონფლიქტების თვალსაზრისით და შედეგად, ადამიანს უჭირს საზღვრების დაცვა ილუზორულ და რეალურ სამყაროს შორის. პიროვნება ერთვება ახალი ტიპის რეალობაში, რომელიც ხდება ე.წ. „ფსიქიკური სარკე“ და პიროვნებას სთავაზობს ფართო შესაძლებლობას, რომ მან საზოგადოებას საკუთარი პერსონა ვირტუალური სახით შესთავაზოს მისთვის სასურველი და მისაღები ფორმით.

სწორედ ამ თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესო ფუნქციები შეითავსა ისეთმა, თითქოსდა უწყინარმა ქცევითმა აქტივობამ, როგორც საკუთარი თავისთვის ფოტოს გადაღება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ დავსვამთ რამდენიმე კითხვას და ვეცდებით მათზე ამომწურავი პასუხების გაცემას. კერძოდ: რა არის სელფი? ვინ, როდის და რა მიზნით გადაიღო იგი პირველად და რა პარალელების გავლება შეიძლება ავტოპორტრეტებსა და დღევანდელ სელფებს შორის? სელფი თვითპრეზენტაციაა, ფსიქიკური დაავადება თუ თანამედროვე სოციალური კულტურის ატრიბუტი, რომელიც ახდენს არა მარტო ადამიანის პიროვნული თავისებურებების ილუსტრირებას, არამედ აღწერს მთელი მისი ცხოვრების, ინტერესების, ღირებულებების, „ისტორიას“, განვიხილავთ სელფის დადებით და უარყოფით მხარეებს და ბოლოს, მეცნიერთა პროგნოზებს სელფთან მიმართებაში.

სელფი (ინგლ. Selfie, self – საკუთარი თავი) — ავტოპორტრეტული ფოტოსურათია, რომელიც როგორც წესი, გადაღებულია ხელში მოთავსებული ციფრული ან მობილური ტელეფონის კამერით. ასეთი სურათები ხშირად ერთმანეთს ჰგავს – ავტორს კამერა უკავია წინ გამომშვერილი ხელით და ფოტოს უღებს საკუთარ თავს, ხშირად – სარკის წინ.

ტერმინმა თავი დაიმკვიდრა დაახლოებით 2000 წლიდან, 2012 წელს ჟურნალ „Time“-ის მიხედვით, სიტყვა „სელფი“ შევიდა მოდური სიტყვების ტოპ-ათეულში, ხოლო 2013 წლის ბოლოსთვის იგი იმდენად პოპულარული გახდა, რომ ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონის ონლაინ ვერსიაში იქნა შეტანილი, 2013 წლის ნოემბერში კი, ლექსიკონის რედაქტორების მიერ, „სელფი“ დასახელად წლის სიტყვად.

ყველაზე ძველ სელფად ითვლება ფილადელფიელი ფოტოგრაფის რობერტ კორნელიუსის მიერ გადაღებული ფოტო, რომელიც შესრულებულია დაახლოებით 175 წლის წინ. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა „სელფი“ არც თუ დიდი ხნის წინ დამკვიდრდა მეტყველებაში, მსგავსი ფოტოების გადაღება ჩვენს დაბადებამდე გაცილებით ადრეც ხდებოდა. ფოტოს უკანა მხარეს ავტორმა მიაწერა: მსოფლიოში შუქზე გადაღებული პირველი ფოტო. 1839 წელი.

მიუხედავად რობერტ კორნელიუსის გადაღებული ფოტოს თარიღისა, პირველ სელფ-ფოტოდ (იგულისხმება სელფის გადაღების პრინციპები, რაც ნიშნავს, რომ აპარატი დამაგრებულია არა შტატივზე, არამედ გადაღებულია წინ განვდილი ხელით) მაინც ითვლება ნიუ-იორკის მუზეუმის თანამშრომლების მიერ მოძიებული ფოტო, რომელიც დათარიღებულია 1920 წლის დეკემბრით და რომელზეც ასახულია ხუთი მამაკაცი ფოტოგრაფის მიერ გადაღებული სელფ-ფოტო, როდესაც ისინი პოზიორობენ მარსოს ფოტოსტუდიის ტერასაზე (ჯოზეფ ბაირონი, პირიე მაკდონალდი, ტეოდორ მარსო, პოპ კორი და ბენ ფოლკი). კამერა უკავია ჯოზეფ ბაირონს წინ განვდილი მარჯვენა ხელით, ხოლო ბენ ფოლკს მარცხენა ხელით.



ავტოპორტრეტი ანუ სელფი პოპულარული იყო საიმპერატორო ოჯახშიც. ანასტასია რომანოვა 13 წლის ასაკში, ერთ-ერთი პირველი მოზარდი იყო, რომელმაც საკუთარ თავს სარკეში ფოტოსურათი გადაუღო და მეგობარს გაუგზავნა 1914 წელს. თანმხლებ წერილში ეწერა: „საკუთარ თავს სარკეში ეს სურათი გადავუღე. ძალიან რთული იყო, რადგან ხელები მიკანკალებდა.“



შეიძლება ითქვას, რომ ავტოპორტრეტებისადმი ინტერესი, უკვე მე-20 საუკუნის დასაწყისში შეინიშნებოდა, შესაბამისად, დღევანდელი სელფი სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს ავტოპორტრეტის მემკვიდრედ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 21-ე საუკუნის დასაწყისიდან, ციფრული ფოტოაპარატებისა და კამერებიანი მობილური ტელეფონების გამოჩენამ, მსგავს ფოტოსურათებს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა. კერძოდ, თანამედროვე ტექნოლოგიებმა სელფის ტიპის ფოტოებს, დემოკრატიულობა და საყოველთაობა შესძინეს. მათი გადაღება არ ითხოვს განსაკუთრებულ უნარებს და ცოდნას, საკუთარ ავტოპორტრეტს ამის გარეშეც ასრულებს ადამიანი და მართლაც, ადამიანების გარკვეული რაოდენობა ხელიდან არ უშვებს შესაძლებლობას, რომ საკუთარ გამოსახულებას დღეში რამდენჯერმე შეავლოს თვალი.

უკანასკნელი წლის განმავლობაში სოციალურ ქსელებში განთავსებული სელფების რაოდენობამ (დაახლოებით 39 მლრდ), რომლებსაც სოციალურ ქსელში ათავსებენ არა მარტო მოზარდები, არამედ ზრდასრულებიც (დანაყებული პოლივეუდის მსახიობებითა და პოპვარსკვლავებით, დამთავრებული კოსმონავტებით, რომის პაპით და პრეზიდენტებით), სპეციალისტების ყურადღება მიიქცია და სელფის კრიტიკოსები ალაპარაკდნენ სხვადასხვა ტიპის დარღვევებზე.





დღესდღეობით სერიოზული კვლევა სელფომანიასთან დაკავშირებით, ნამდვილად არ არსებობს, თუმცა, ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ეს ფენომენი არსებობს და ამ ადამიანების გარკვეული ნაწილისათვის, ფსიქიკის სიჯანსაღე დარღვევის ზღვარზეა (თუ უკვე დარღვეული არ არის), საკმაოდ ბევრია.

არსებობს რამდენიმე შოკისმომგვრელი ფაქტი სელფის შესახებ(მსგავსი შემთხვევები საკმაოდ ბევრია, თუმცა, აქ მხოლოდ რამდენიმე მათგანს მოვიყვანთ). კერძოდ:

➤ 2014 წელს კოლორადოს შტატში ავიაკატასტროფა განიცადა მსუბუქწონიანმა თვითმფრინავმა, რის მიზეზადაც დასახელდა 29 წლის პილოტის მიერ აფრენიდან 4 წუთის შემდეგ სელფის გადაღება. თვითმფრინავმა მართვა დაკარგა და ჩამოვარდა. შედეგად დაიღუპნენ, როგორც პილოტი, ისე მგზავრები.

➤ 2014 წელს პორტუგალიის საკურორტო ზონაში დაიღუპა პოლონელი ცოლ-ქმარი, რომლებიც ცდილობდნენ ლამაზი ფოტოს გადაღებას კლდის პირზე. ტრაგედია მოხდა საკუთარი შვილების თვალწინ;

➤ სანქტ-პეტერბურგში გოგონა ავიდა მაღალი ხიდის ზედა ნაწილზე სასურველი ფოტოს გადასაღებად. მცდელობა საშინელი ტრაგედიით დამთავრდა. გოგონამ ბალანსი ვერ შეინარჩუნა, ჩამოვარდა და გარდაიცვალა.

➤ მსგავსი შემთხვევა მოხდა ესპანეთშიც, როდესაც 23 წლის სილვია რეჩელი ცდილობდა ცნობილი ხიდის – პუენტე დე ტრიანას ფონზე ფოტოს გადაღებას. ეს მცდელობაც ტრაგედიით დასრულდა. გოგონა ოთხნახევარი მეტრის სიმალიდან ვარდნის შედეგად ბეტონის საყრდენს დაეცა და გარდაიცვალა;

➤ უნიკალური ფოტოს გადაღების სურვილით შეპყრობილი 18 წლის ანნა ურსუ, ასევე გარდაიცვალა სელფის გადაღებისას, როდესაც მატარებლის სახურავზე ის აკრობატულ ნომერს აკეთებდა და შემთხვევით შეეხო ელექტროსადენს. სიკვდილი დაფიქსირდა მყისიერად.

➤ მსოფლიო მასშტაბით, არსებობს ადამიანების გარკვეული რაოდენობა, რომლებიც დაიღუპნენ სხვადასხვა ტიპის იარაღთან სურათის გადაღებისას.

სელფის გამო დაღუპულ ადამიანთა სტატისტიკამ უკვე სერიოზულ მაჩვენებელს მიაღწია. 2014 წელს ამერიკის კარნეგი-მელონის უნივერსიტეტის სპეციალისტებისა და ინდოელი მკვლევარების მიერ დაფიქსირდა სელფის გადაღების 127 ფაქტი, რომლებიც ფატალურად დასრულდა. ამავე კვლევის თანახმად, ტრაგედიათა რაოდენობით, ლიდერები ინდოელები არიან. გარდაცვალების მიზეზი კი, როგორც





ნესი, სიმაღლიდან ვარდნაა. რეიტინგში მეორე ადგილს პაკისტანი, მესამეს კი – აშშ იკავებს. გარდა ამისა, საინტერესოა, რომ დალუპულთა 76% 20-დან 24 წლამდე მამაკაცები იყვნენ.

ალბათ, სწორედ ასეთი შემთხვევების არსებობის გამო, ამერიკის ფსიქიატრიულმა ასოციაციამ (აფა) სელფი 2015 წელს აღიარა ფსიქიურ აშლილობად და ოფიციალურად დაადასტურა ის ფაქტი, რასაც მანამდე ფსიქოლოგები ვარაუდობდნენ: საკუთარი თავის მუდმივი ფოტოგრაფირება წარმოადგენს ფსიქიკური აშლილობის ფორმას, რომელსაც ეწოდება „სელფიტისი“ და იგი განისაზღვრება როგორც ობსესიურ-კომპულსიური არაკონტროლირებადი სურვილი განათავსონ საკუთარი ფოტოსურათები სოციალურ ქსელში დაბალი თვითშეფასების და რეალური კომუნიკაციის დეფიციტის კომპენსაციის მიზნით. არსებობს აშლილობის სამი ფორმა:

1. ზღვრული სელფიტისი, როდესაც ადამიანი იღებს დღეში 3 სელფს, მაგრამ არ განათავსებს მათ სოციალურ ქსელში.

2. მკვეთრი სელფიტისი, როდესაც ადამიანი იღებს 3 სელფს და თითოეულ მათგანს განათავსებს სოციალურ ქსელში.

3. ქრონიკული სელფიტისი, როდესაც ადამიანი ვერ აკონტროლებს საკუთარ თავს, იღებს დიდი რაოდენობით ფოტოებს და განათავსებს მათ სოციალურ ქსელში, მინიმუმ, 6-ჯერ დღეში.

ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის (აფა) თანახმად, დაავადების შესაბამისი მკურნალობა ჯერჯერობით არ არსებობს, თუმცა, სიმპტომების დროებითი შემსუბუქება შესაძლებელია კოგნიტურ-ქცევითი ფსიქოთერაპიის საშუალებით. სერიოზულობის რა ხარისხით შეხედავენ მომხმარებლები აღნიშნულ ინფორმაციას, მაინც სადაო საკითხია, თუმცა, საკითხის პრობლემურობა ბოლო წლებში განსაკუთრებულად აქტუალური ხდება ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრების თვალსაზრისით.

შედარებით გასაგებია ე.წ. ვარსკვლავებისა თუ ცნობადი სახეების ქცევა. როდესაც ისინი პოზიორობენ, ისინი, თითქოსდა ანგარიშს აბარებენ მსმენელს თუ მაყურებელს საკმაოდ პრაგმატული თვალსაზრისით. თანაც, ეს არის საკმაოდ ეფექტური საშუალება საზოგადოების ყურადღების შენარჩუნებისათვის. არ არის საჭირო მუშაობა, წიგნების კითხვა, რამე სასარგებლოს კეთება, როლის რეპეტირება, არამედ ერთი ჩვეულებრივი „წკაპ“ და საზოგადოების დიდი ნაწილი გებულობს როდის, სად და ვისთან იყავი, რა მიირთვი საუზმეზე, რომელ საათზე დაიძინე ან რომელი წიგნი „გეკავა“ ბოლოს ხელში და ა.შ.

ტენდენციაც საკმაოდ საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ სოციალური ქსელის აუდიტორია უკაცრავად, მაგრამ შედარებით პრიმიტიული ხდება იმ თვალსაზრისით, რომ ხშირად ლოგიკას მოკლებული უშინაარსო ფოტოები გაცილებით მეტ მოწონებას და კომენტარს იმსახურებს, ვიდრე საინტერესო შემეცნებითი ინფორმაცია, რომელიც ინტელექტუალურ აქტივობას და გაცნობიერებას მოითხოვს. ეს ფაქტი ადვილად ასახსნელია მოზარდებთან, რომელთა მთავარი ამოცანა თავის დამკვიდრება და აღიარების მოპოვებაა, მაგრამ საკამათოა იგივე მოთხოვნილების არსებობა ზრდასრულ ადამიანებში. შესაბამისად, შეიძლება ვივარუდოთ, რომ ზრდასრულმა ადამიანებმა, მოზარდობის ასაკში ვერ მოახერხეს იმ პრობლემების და მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და აღნიშნული პროცესი ინერციით გრძელდება ყურადღების დეფიციტის შევსებისა და თავის დამკვიდრების მიზნით. დიდი ალბათობით, ამ ასაკის ადამიანებმა არ იციან როგორ დაიკმაყოფილონ აღნიშნული მოთხოვნილებები და მიიღონ სიამოვნება საინტერესო სამსახურიდან, სერიოზული და ღრმა ურთიერთობებიდან, საინტერესო შთაბეჭდილებებიდან და არა მოჩვენებითი და ილუზორული ფაქტებიდან. ფაქტია, რომ ზრდასრული ადამიანების გარკვეული ნაწილი მსგავსი ქმედებებით აფიქსირების ინფანტილიზმის მაღალ ხარისხს.

სელფზე დამოკიდებულებას ხშირად არაპროგნოზირებად შედეგებამდეც შეუძლია მიიყვანოს ადამიანი. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ ინგლისელი მოზარდის, დენი ბოუმენის ისტორია, რომელიც დღის განმავლობაში დაახლოებით 200 ფოტოს უღებდა საკუთარ თავს. პირველი სელფი მოზარდმა სოციალურ ქსელში განათავსა 15 წლის ასაკში. ნამდვილი დამოკიდებულების ჩამოყალიბებისათვის გადამწყვეტი მომენტი გახდა სამოდელი კასტინგზე მისი წარუმატებელი გამოსვლა 2011 წელს. მან დაიწყო მხოლოდ დილის განმავლობაში, დაახლოებით 80-100 ფოტოს გადაღება, გამოდიოდა საგაკვეთილო პროცესებიდან და სამი საათის განმავლობაში პოზირებდა სკოლის საპირფარეშოში სარკის წინ მოსაწონი ფოტოს მოლოდინში. იგი სურათებს უღებდა საკუთარ თავს ყველგან – სანოლში, აბაზანაში, სამზარეულოში, ქუჩაში, ვარცხნილობის კეთებისას, სხვადასხვა რაკურსით და განათების ხარისხით და ა.შ. იგი საოცარი ძალისხმევით ცდილობდა დამსაგავსებოდა პოლიუედის ვარსკვლავს ლეონარდო დი კაპრიოს და აკოპირებდა მის პოზებს სხვადასხვა ფოტოებიდან. თითოეულ ფოტოს ის თვლიდა წარუმატებლად. მან წონის კორექციის მიზნით შეცვალა კვების რაციონი, თუმცა, ვერც ამან ვერ დააკმაყოფილა. მალე მან სწავლას დაანე თავი, გამოიკეტა სახლში და გახდა უკიდურესად აგრესიული მშობლებთან მი-



მართებაში. ბოლოსდაბოლოს, მორიგი „ნარუმატებელი“ სელფის გადაღების შემდეგ, მან გადანყვიტა, რომ ვერასოდეს ვერ გადაუღებს საკუთარ თავს იდეალურ ფოტოს და გადანყვიტა თვითმკვლელობა საძილე აბების საშუალებით, თუმცა, საბედნიეროდ, დედამ დროულად შეძლო მისთვის დახმარების აღმოჩენა. შედეგად, მოზარდს დასჭირდა სერიოზული თერაპიული კურსის გავლა ერთ-ერთ სამედიცინო ცენტრში, სადაც ის თავიდან ცდილობდა ცხოვრების სწავლას კამერიანი ტელეფონის გარეშე. „მე მუდმივად და განუწყვეტლივ ვცხოვრობდი იდეალური სელფის გადაღების მოლოდინსა და ძიებაში და როცა მივხვდი, რომ მე ეს არ გამომივიდოდა, გადავწყვიტე სიკვდილი. მე დავკარგე მეგობრები, განათლება, ჯანმრთელობა. ფაქტიურად, მე დავკარგე ცხოვრება“ – ამბობდა წლების შემდეგ დენი ბოუმენი.

საინტერესო მოსაზრება გააჩნია სელფის შესახებ ფსიქოთერაპევტ მარკ სანდომირსკის, რომელიც თვლის, რომ სელფიზმი ანუ სელფით გატაცება, შეიძლება ჩაითვალოს სოციალური მედიის ნარცისიზმად და ვირტუალურ ქსელში ექსტრემიზმის გამოვლინებად. მასში ასევე ვლინდება ქცევითის დამახასიათებელი ბავშვური თვისებები – ეგოცენტრიზმი და საკუთარი თავის სიყვარული. იგი ასევე თვლის, რომ სოციალურ ქსელში აღნიშნული ქცევებით ადამიანები „ვარდებიან“ ბავშვობაში, თუმცა, ამავე დროს, ავტორი თვლის, რომ სელფის საფრთხეები ცოტა გავზიადებულად არის წარმოდგენილი. ავტორი ამბობს, რომ სელფიზმის რისკის ჯგუფში განსაკუთრებით ხვდებიან ის ადამიანები, რომლებიც ზოგადად არიან დამოკიდებულებისკენ მიდრეკილი და თუ ისინი არ დაკავდებიან ისეთი შედარებით უსაფრთხო აქტივობით, როგორც საკუთარი პერსონის ფოტოგრაფირება, ისინი აუცილებლად დაკავდებიან ისეთი გაცილებით დესტრუქციული ქცევებით, როგორცაა აზარტული თამაშები, ალკოჰოლიზმი ან ნარკოდაზიანიობა.

კორექციის მიზნით ავტორი სელფზე დამოკიდებულ პირებს სთავაზობს სურათების განთავსებას ე.წ. „ლაიქების“ ანუ მოწონებების გარკვეულ რაოდენობამდე (მაგ. 20 ან 30 და არა 1000) და შემდეგ ამ სურათების ნაშლას, შემდეგ სურათების განთავსებას და ნაშლას ისე, რომ არ დაელოდოს კომენტარებს და „მოწონებებს“, შემდეგ სარკეში საკუთარი პერსონით ტკობას და ა.შ. ანუ ეტაპობრივი დესენსიბილიზაციის საშუალებით მგრძობელობის შესუსტებას გარე გამლიზიანებელზე დამოკიდებულების მოსახსნელად.

მსგავსი მოსაზრება აქვს ასევე სოციალურ ფსიქოლოგს ნატალია ვარსკაიას, რომელიც ფიქრობს, რომ „ვილაცამ დაიწყე და სხვები აყენენ და რომ ეს ყველაფერი, მალე დაკარგავს ხიბლს და რაოდენობრივადაც შემცირდება“. ამ შემთხვევაშიც, ავტორი ინარჩუნებს იგივე პოზიციას და რეკომენდაციას იძლევა, რომ ადამიანები უნდა გათავისუფლდნენ არა კონკრეტულად სელფზე დამოკიდებულებისაგან, არამედ იმ მიზეზისაგან, რომელიც ზოგადად იწვევს ამა თუ იმ სახის დამოკიდებულებებს.

სელფზე დამოკიდებულება მსოფლიო ჯანდაცვის სექტორის შემფოთების მიზეზიცაა. „გამოქვეყნებულ ფოტოებზე ძალიან დიდი ყურადღების გამახვილება, იმის კონტროლი, ვინ ხედავს მათ ან ვერ ხედავს და მოწონებების დიდი რაოდენობით დაგროვების იმედი, მიუთითებს, რომ სელფები სერიოზულ პრობლემებს იწვევს“, – განაცხადა ბრიტანელმა პროფესორმა ფსიქიატრიის დარგში.

სელფზე დამოკიდებულების ხარისხით ასევე შემფოთებული არიან ტაილანდის ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტები. „ყურადღების მაღალი ხარისხი საკუთარი ფოტოებისადმი, იმის კონტროლი ვინ როდის დაათვალიერა და რამდენი „like“ და კომენტარი გაქვს განთავსებულ სურათზე, არის სწორედ იმის წინაპირობა, რომ ადამიანს აქვს ფსიქიკის სიჯანსაღის პრობლემა“. – ამბობს ტაილანდის ფსიქიკური ჯანმრთელობის დეპარტამენტის სპეციალისტი.

ბრიტანეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის წარმომადგენლების თქმით, სოციალურ ქსელებზე დამოკიდებულება, (facebook, twitter, instagram) მიიჩნევა ფსიქიკურ დაავადებად, რომლისგან განკურნებასაც ნელინადში, მინიმუმ, 100 პაციენტი ცდილობს.

„სელფები ხშირად აღიქმება, როგორც თვითნაქეზებისა და ყურადღების მიქცევის სოციალური საშუალება, რომელიც ან ნარცისიზმში გადაიზრდება-ხოლმე, ანდაც საშინლად დაბალ თვითშეფასებას იწვევს“. – აცხადებს ფსიქოლოგი პამელა რუთლეჯი.

მკვლევარების ნაწილი (ვეილა-კორნელის უნივერსიტეტის სამედიცინო კოლეჯის სპეციალისტები) პამელა რუთლეჯის მსგავსად, მიიჩნევენ, რომ სელფი, როგორც ნარცისიზმის ონლაინგამოვლინება, არის საკუთარი თავის დემონსტრირების კომპენსაცია იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც არასრულფასოვნების განცდა ან დაბალი თვითშეფასება აქვთ და როდესაც მათი ძალისხმევა სხვების მიერ დადებითად ფასდება, რეალობის აღქმა სამუდამოდ მახინჯდება და ხდება ნარცისული ილუზიების ნახალისება, თუმცა, ტეხასის უნივერსიტეტის მეცნიერების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ეს, ყოველთვის ასე არ არის. ამ ადამიანებს სხვა მოტივიც შეიძლება ამოძრავებდეთ. სპეციალისტებმა გამოყვეს სელფის



მოყვარულთა სამი კატეგორია: პირველი კატეგორია არის ე.წ. „კომუნიკატორები“, რომლებიც სელფს იღებენ საკუთარ მეგობრებთან, ნათესავებთან, ახლობლებთან, თაყვანისმცემლებთან კომუნიკაციის დროს; მეორე კატეგორია – ე.წ. „ავტობიოგრაფები“, რომლებიც საკუთარ ფოტოებს იღებენ ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენების დასაფიქსირებლად და სამახსოვროდ. ისინი უზიარებენ საკუთარ ფოტოებს სხვებს, თუმცა, პირველი ჯგუფისგან განსხვავებით, მათ არ სჭირდებათ უკუკავშირი და ბოლოს, მესამე კატეგორია – ადამიანები, რომელთაც სელფი თვითრეკლამირებისთვის სჭირდებათ. ისინი აფიქსირებენ მთელ თავიანთ ცხოვრებას და მათთვის უმნიშვნელოვანესია, რომ სხვები მათ უყურებდნენ მხოლოდ დადებით ჭრილში.

ნარცისული ფოტოსურათები ბოლო წლებში სულ უფრო პოპულარული გახდა: სელფს არა მხოლოდ ცნობილი ადამიანები იღებენ, არამედ მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკები, ინტელექტუალები და ცხოველებიც კი. თვითგამოხატვისა და პიარის ასეთი მარტივი გზა კი, როგორც მეცნიერები მიიჩნევენ, საკმაოდ საზიანოა. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ფ. კონდრატიევი ამტკიცებს, რომ სელფი ნარცისიზმის ერთ-ერთი ნაირსახეობაა, ამით ზედმეტად გატაცებას კი დიდი პრობლემების შექმნა შეუძლია სამსახურსა თუ ოჯახში, რადგან საკუთარი პერსონის ფოტოგრაფირება, ხშირ შემთხვევაში, ნამდვილ დამოკიდებულებად გადაიქცევა.

ციფრული ნარცისიზმის ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ უტოპიური მიზნების მიღწევის სურვილი გვიჩნდება. ამის მოთხოვნილება კი დროთა განმავლობაში გვიძლიერდება. ადამიანების სურვილი, გამოიყურებოდნენ ნამდვილი ვარსკვლავებივით, დღითი დღე ძლიერდება. ეს კი, ბუნებრივია, რთულია. ადამიანისთვის ძალიან ცოტა რამ არის გადამეტებულ თვითშეფასებასა და არაეთიკურობაზე მეტად დამლუპველი.

ყოველგვარი აკრძალვა ბავშვისათვის საშიშროებასთან არის დაკავშირებული. კარგად უნდა გავაცნობიეროთ, ხშირად ხომ არ ვამბობთ ფრაზას „არ შეიძლება!“ ამ ფრაზის ყოველი წარმოთქმა ბავშვს ყურში გამაყრუებლად ჩაესმის. ამიტომ ისინი ბრაზდებიან, ტირიან, ყვირიან, პროტესტს გამოთქვამენ და ხშირად უფრო ჯიუტობენ. პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბავშვი მთლიანად თავისი მოთხოვნილებების ტყვეობაშია. მას უჭირს მოთხოვნილების შეკავება ან თუნდაც მცირე ხნით გადავადება. ამის მართვას წლები ესაჭიროება. აკრძალვა ამუხრუჭებს ქცევას და არა მოთხოვნილებას. თუ ბავშვი აკრძალულს აღარ აკეთებს, მშობელს ეს კარგი ჰგონია, არადა შესაძლოა ჩამოყალიბდეს კომპლექსი „მინდა – არ შეიძლება“, რაც ფსიქოლოგიური პრობლემების საწყისია.

სასურველია, „არა“, „არ შეიძლება“ ნაცვლად პოზიტიურის გამოხატველი სიტყვების გამოყენება, ბავშვისათვის სიტუაციის ახსნა, გაცვლა, ალტერნატივის შეთავაზება. მნიშვნელოვანია, რომ გარკვეული ქცევის წინააღმდეგ ისეთი ფორმით წავიდეთ, რომ ბავშვს ღირსება არ შეეუღახოს, არ გამოიწვიოს, არ გავანზილოთ. ვალია, რომ გვესმის მისი სურვილების და ეს ბუნებრივია, ვეხმარებით ბავშვს, გამოხატოს უკმაყოფილება კონკრეტული სიტუაციის გამო.

მშობელს, რა თქმა უნდა, უყვარს თავისი შვილი, მაგრამ ყოველთვის ისე როდის გამოხატავს ამას, რომ ბავშვს ეჭვი არ შეეპაროს. მაგალითად, როცა დედა ბავშვს ტანს ბანს, შეიძლება ზედმეტი გულმოდგინებით მოწმინდოს ცხვირი. ამან შეიძლება ბავშვში უსიამოვნო გრძნობა გამოიწვიოს და დედის ძალადობად აღიქვას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბავშვი ხშირად მშობელში სიყვარულთან ერთად იმედგაცრუებას და სასონარკვეთასაც აღძრავს. მშობელი კი სიყვარულზე ნაკლებად არც ამ ემოციებს გამოხატავს შვილის მიმართ. ზოგ მშობელს წესად აქვს იმოქმედოს მკაცრი კანონების პრინციპით – „შვილი მტრულად გაზარდე, რომ მოყვარედ გამოგადგესო“. ამ დროს კი ბავშვი მშობელში ხედავს დესპოტს, რომელიც ეწინააღმდეგება მას სურვილების დაკმაყოფილებაში, ნორმალურად ცხოვრებაში. ეს აუცილებლად გამოიწვევს მასში გაბოროტებას, აგრესიას. ბავშვმა შესაძლოა პირდაპირ მშობლისადმი მიმართოს ეს აგრესია ან შიშის გამო ეს ვერ გამოავლინოს და საკუთარი თავისაკენ მიმართოს. როცა ბავშვი აგრესიას მშობლებსადმი აშკარად გამოხატავს, შემდგომში ამას ნანობს. მშობლები მისთვის ძლიერები, ავტორიტეტულები არიან და თუ მათგან მუქარა და დასჯაც მიუღია, ამ შემთხვევაში აგრესიის გამოხატვა ბავშვისათვის საშიში ხდება. მას ეშინია, ერთი მხრივ, დასჯის და, მეორე მხრივ, მშობლების მხრიდან სიყვარულის დაკარგვის. ამის გამო აგრესია მიმართულებას იცვლის და გადადის ან სხვა ობიექტზე ან საკუთარ თავზე. რამდენადაც სხვა ობიექტებზე აგრესიის გამოვლენასაც უშლიან, ბავშვს ერთი გამოსავალია რჩება – დააღანაშაულოს საკუთარი თავი და მთელი სიბრაზე მასზე მიმართოს. შიგნით მიმართული აგრესია, დანაშაულის განცდა კი თვითშეფასების მთავარი მტერია (#1, გვ.36)

ბავშვი საშინლად ღიზიანდება, როცა დედა და მამა ერთმანეთს ეფერებიან, მას კი არა. ასეთივე განცდას იწვევს დედ-მამის მიერ მისი პატარა დის ან ან ძმის მიაღერება. ეჭვიანობა, შური, ჯიბრი საშინლად ტანჯავს ბავშვს. მას ჰგონია, რომ ის აღარ უყვართ.

ასევე ძალიან მტანჯველია ბავშვისათვის არასწორი სქესობრივი აღზრდა. ყველა ბავშვი აკეთებს



მასტურბაციას და ეს ბუნებრივიცაა. ჯერ ერთი, ამით იგი ეცნობა საკუთარი სხეულის მგრძობიარე ნაწილს, რომელსაც შემდეგ გამოიყენებს ყველაზე დიდი სიამოვნების მისაღებად. მეორე, რომ ეს ქმედება იმ მომენტში სასიამოვნოა. მცდარია აზრი, რომ ამას ბავშვის განვითარებისთვის მოაქვს ფიზიკური, ფსიქიკური და მორალური ზიანი. სამწუხაროდ, სასქესო ორგანოებისადმი საზოგადოების არაჯანსაღი დამოკიდებულების გამო, უარყოფითად ითვლება მასზე მანიპულაცია და ლაპარაკიც კი. ამ ვითარებას ხშირად მივყავართ სექსუალურ არასრულფასოვნებასთან და ზოგჯერ სერიოზულ ბარიერად იქცევა მომავალში სექსუალური აქტის ჩატარებისათვის.

როცა ბავშვი სასქესო ორგანოზე მანიპულირებისას მიიღებს სიამოვნებას, ეს არ არის უარყოფითი მოვლენა. არც ამის გამო დასჯა შეიძლება. უმჯობესია ისეთი სახე მივიღოთ, თითქოს ამას ვერც ვამჩნევთ. კიდევ უკეთესია, თუ ბავშვს ექნება შესაძლებლობა ამ თემაზე თავისუფლად ესაუბროს მშობლებს.

მასტურბაცია საგანგაშო ხდება მაშინ, როცა ბავშვი უფროსებთან და თანატოლებთან კონტაქტის დაკარგვის გამო ველარ ახორციელებს სხვა სასიამოვნო მოქმედებას და განდგომილი მხოლოდ სასქესო ორგანოებზე მანიპულაციითაა დაკავებული. ამ შემთხვევაში სახიფათო აუტისტური გამოვლინებაა და არა მასტურბაცია.

აღსანიშნავია, რომ საკუთარი სხეულისადმი, სიძიშვლისადმი სწორია დამოკიდებულება, როცა სასქესო და ანალური ორგანოები არ ითვლება ბინძურად და სასირცხვილოდ, რამდენადაც მათი საშუალებით ხორციელდება ორი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია – სქესობრივი და გამწმენდი. ძნელია მიიღო სიამოვნება იმისგან, რისიც გრცხვენია. ამიტომ ბავშვებს უნდა ვასწავლოთ მიიღონ სიამოვნება საკუთარი სხეულისაგან ისე, როგორც ჭამის, თამაშის, თუ მუსიკისაგან.

ბავშვისათვის დასაწყისში არ უნდა იყოს სასირცხვილო სისძიშველი. ეს არ უნდა ინვედეს დანაშაულის განცდას. მეტიც, ჩვენ უნდა წავახალისოთ ამის მიმართ ინტერესი და უნდა ვუპასუხოთ მრავალრიცხოვან შეკითხვებს. ასაკის მატებასთან ერთად ბუნებრივია უნდა ვასწავლოთ სიძიშვლის დაფარვის აუცილებლობაც ნორმის ფარგლებში.

დანაშაულისა და არასრულფასოვნების განცდები უდიდეს სატანჯველს უქმნის ადამიანებს. მათ ჩამოყალიბებას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბევრი ნიუანსი, რისკ-ფაქტორი უწყობს ხელს და მათ ფორმირებას საფუძველი ბავშვობიდანვე ეყრება. თავდაპირველად ბავშვს წარმოდგენაც კი არ აქვს „კარგზე“ და „ცუდზე“, მათ შესახებ ცოდნას ის სხვებთან ურთიერთობაში იძენს და ასე ყალიბდება ცივილიზებულ ადამიანად. მას უყალიბდება სინდისი.

ადამიანი, ჩვეულებრივ, გრძნობს პასუხისმგებლობას გარშემომყოფთა წინაშე. როცა ვაცნობიერებთ, რომ ამ მიმართებით რაიმე შეცდომა დავუშვიტ, ვგრძნობთ სინდისის ქენჯნას. გამწვავების შემთხვევაში იგი ისეთივე მტანჯველი ხდება, როგორც დასჯა. ეს არის დანაშაულის განცდა, რაც სინდისის ემოციური გამძაფრებაა. იგი შეიძლება აღმოცენდეს არა მარტო მას შემდეგ, როცა ადამიანმა რაიმე დიდი ცოდვა ჩაიდინა, არამედ მაშინაც კი, როდესაც განზრახვის განხორციელება არ მომხდარა. ვთქვათ, ბავშვი გაბრაზებულია მშობლებზე და სურს სამაგიერო გადაუხადოს, მაგრამ რეალურად არაფერს სჩადის. თვით ამის გაფიქრებამ შეიძლება წარმოშვას დანაშაულის განცდა. უფრო მეტიც, სულიერი აშლილობის დროს დანაშაულის განცდა იმდენადაა გაძლიერებული, რომ ადამიანი თავის თავს აბრალებს სტიქიურ უბედურებასაც, ვინმეს გარდაცვალებას და ა.შ. საკუთარი თავის ასე მკაცრად განსჯა იგივეა, რომ თავი მიიჩნიო ცუდ ადამიანად.

როცა მშობლები ბავშვის მიმართ ხშირად იჩენენ სიმკაცრეს, ავლენენ უკმაყოფილებას, მას უჩნდება სიყვარულის უკმარისობის განცდა. როცა მას ვკიცხავთ, ვსაყვედურობთ, ბავშვს უჩნდება აგრესია ჩვენს მიმართ, რომლის გამოვლენისას კიდევ უფრო მკაცრად ვსჯით. ამით შეშინებული ბავშვი დაშვებას იწყებს, იქნებ მართლა ასეთი დამნაშავეა. იგი თანდათან იწყებს საკუთარი თავისადმი ნაკლები პატივისცემით მოპყრობას. ხდება საკუთარ თავში დაქვებულობა, გაუბედავი. იგი განიცდის შიშს რაიმე ინიციატივის გამოხატვის მიმართ, იჩენს გადამეტებულ სიფრთხილეს და გრძნობს იმის აუცილებლობას, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე იხადოს ბოდიში და იმართლოს თავი. დანაშაულის განცდა მას აიძულებს ბევრ რამეზე თავი შეიკავოს, რამდენადაც აქვს შესაძლო წარუმატებლობის შიში. ამ პროცესის კიდევ უფრო გაძლიერებაა არასრულფასოვნების განცდა, როცა ადამიანი თავს სხვებზე ნაკლოვანად განიცდის ფიზიკურადაც, ინტელექტურადაც და ზნეობრივადაც. ახასიათებს საკუთარი მიღწევის შეუფასებლობა, ძალებში დაურწმუნებლობა.

აღსანიშნავია, რომ ფსიქოანალიზის მიხედვით, ფსიქიკური აშლილობის მიზეზად მიჩნეული იქნა წინააღმდეგობა ცნობიერსა და არაცნობიერს შორის, მორალსა და რეალობას შორის, რის გამოც ვერ





ხერხდება ბუნებრივი, სასიცოცხლო მოთხოვნილებების რეალიზება. ასეთად განხილულია სამი ძირითადი ლტოლვა: აგრესია, ინცესტი და ბისექსუალობა. ფროიდის აზრით, ისინი ადამიანს დაბადებით თან დაჰყვება, თავს იჩენს 6 წლამდე ასაკში და ამ დროს ზნეობის ზეგავლენით, რომელიც კრძალავს მათ დაკმაყოფილებას, განიდევნება არაცნობიერში. ისინი შემდგომ სიმპტომების სახით ამოდის. მორალური მიუღებლობის გამო იწყება მათთან ბრძოლა, რაც სულიერ აშლილობაში გამოიხატება. ადამიანის ნორმები, ეთიკა და ასევე ეს დაპირისპირება ყალიბდება ფსიქოანალიზის სტრუქტურული მოდელის ენაზე სუპერეგოს (ზე-მეს) ფორმირებით. ის წარმოადგენს საზოგადოებრივი ნორმებისა და ქცევის სტანდარტების გაშინაგებულ ვერსიას. სუპერეგო ჩნდება მაშინ, როცა ბავშვი სწავლობს „სწორისა“ და „არასწორის“ გარჩევას, რა არის კარგი და რა – ცუდი. სუპერეგო შეიძლება განვიხილოთ, როგორც სოციუმის „კოლექტიური სინდისის“ ინდივიდუალიზებული გამოხატულება (#2, გვ. 35).

ფროიდმა გაყო სუპერეგო ორ ქვესისტემად: სინდისი და ეგო-იდეალი. სინდისი შედგება მშობლების დასჯის გამოხატულებებისაგან. სინდისი მოიაზრებს კრიტიკული თვითშეფასების შესაძლებლობას, დანაშაულის განცდას ბავშვში. სუპერ-ეგოს პოზიტიური, დამაჯილდოებელი ნაწილია ეგო-იდეალი. ის იქმნება იმისაგან, რასაც მშობლები აქებენ და მაღალ დონეზე აფასებენ. მას მიყავს ადამიანი საკუთარი თავისათვის მაღალი სტანდარტების დანებსისაკენ. თუ მიზანი მიღწეულია ეს ინვესს თვითკმაყოფილება და სიამაყის გრძნობას და პირიქით. თუმცა სუპერეგოს თვითკონტროლის მიზნები არ ემსახურება რეალობის პრინციპის მიზნებს. ის ყოველთვის ცდილობს დაამუხრუჭოს იდის იმპულსები და ცდილობს დაარწმუნოს ეგო, რომ რეალისტურზე უმჯობესია იდეალისტური მიზნები. ამ დაპირისპირებას მიყვავართ წინააღმდეგობამდე, რაც გადაჭრას მოითხოვს (#4, გვ. 115)

ადლერიც თვლიდა, რომ არასრულფასოვნების განცდა საწყისს იღებს ბავშვობაში. ის ამას შემდეგნაირად ხსნიდა: ბავშვი გადის დამოკიდებულების ძალიან დიდ პერიოდს, როცა ის სრულებით დაუცველია და რომ გადარჩეს, უნდა დაექვემდებაროს მშობლებს. ეს გამოცდილება ბავშვში ინვესს ღრმა არასრულფასოვნების განცდას სხვა ადამიანებთან შედარებით ოჯახურ გარემოში, რომლებიც არიან უფრო ძლიერები. ამ ადრეული არასრულფასოვნების განცდის გაჩენა გულისხმობს გარემომყოფების მიმართ გრძელი ბრძოლის დაწყებას უპირატესობის მიღწევისათვის. ადლერი ამტკიცებდა, რომ უპირატესობისაკენ სწრაფვა არის ადამიანის ცხოვრებაში ძირითადი მოტივაციური ძალა. ადლერის თანახმად, ფაქტიურად ყველაფერი, რასაც ადამიანები აკეთებენ, ატარებს საკუთარი არასრულფასოვნების განცდის გადალახვის მიზანს და უპირატესობის განცდის მოპოვებას (#4, გვ. 167).

თუმცა არასრულფასოვნების განცდა სხვადასხვა მიზეზის გამო შეიძლება ზოგიერთ ადამიანში გახდეს გადამეტებული. შედეგად ვლინდება არასრულფასოვნების კომპლექსი – საკუთარი სისუსტის გაზვიადებული, გადამეტებული განცდა. ადლერმა გამოყო ტანჯვის 3 ფორმა, რისი ადამიანისათვის ბავშვობაში განცდაც ავითარებს არასრულფასოვნების კომპლექსს: 1) ორგანოების არასრულფასოვნება; 2) გადაჭარბებული მზრუნველობა (ზე-მზრუნველობა); 3) მშობლების მხრიდან გარიყულობა (ფრუსტრაცია) (#4, გვ. 169)

ბავშვებს გარკვეული თანდაყოლილი ფიზიკური არასრულფასოვნებით შეიძლება განუვითარდეთ ფსიქოლოგიური არასრულფასოვნების გრძნობა. მეორე მხრივ, ბავშვები, რომელთა მშობლებიც მათ მაგივრად ასრულებენ ყველაფერს, იზრდებიან დაურწმუნებლები საკუთარ შესაძლებლობებში. მათ ანუხებთ ღრმად ჩაძირული არასრულფასოვნების განცდა, რადგან დარწმუნებულები არიან, რომ თავად არ შეუძლიათ ცხოვრებისეული საკითხების გადალახვა. საბოლოოდ კი, მშობლების მხრიდან ბავშვის გარიყვამ შეიძლება გამოიწვიოს მათში არასრულფასოვნების კომპლექსი იმ მიზეზით, რომ გარიყული ბავშვები ყოველთვის გრძნობენ თავს არასასურველად. ისინი ცხოვრებას გადიან დაურწმუნებლები საკუთარ შესაძლებლობებში, რომ იქნებიან ვინმესთვის სასურველი, საყვარელი და შესატყვისად დაფასებული. აღნიშნულ 3 ფაქტორს აქვს გადამწყვეტი როლი ზრდასრულ ასაკში ნევროზების წარმოქმნისათვის.

ადამიანს არასრულფასოვნების განცდის პასუხად შესაძლოა გამოუვლინდეს ჰიპერკომპენსაცია და ამგვარად ადლერის მიხედვით ვითარდება უპირატესობის კომპლექსი. ეს კომპლექსი გამოხატულია იმ ტენდენციაში, რომ გადაამეტოს (გააზვიადოს) საკუთარი ფიზიკური, ინტელექტუალური თუ სოციალური შესაძლებლობები. ასეთი ადამიანი აკეთებს ყველაფერს, იყენებს ყველა ხელსაყრელ შემთხვევას, რათა მუდმივად ამტკიცოს, რომ მან ყველაზე მეტი იცის, ან რაღაც ყველაზე კარგად გამოსდის. ადამიანი, რომელიც ატარებ უპირატესობის კომპლექსს, გამოიყურება როგორც მკვებარა, ტრახახა, ქედმაღალი, ეგოცენტრული და სარკასტული. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ადამიანი არ არის საკუთარი თავის მიღების მდგომარეობაში (აქვს დაბალი შეხედულება საკუთარ თავზე, დაბალი თვითშეფასება).

კარენ ჰორნის მიხედვით, ბავშვობისათვის დამახასიათებელია ორი მოთხოვნილება: დაკმაყოფი-



ლების და უსაფრთხოების მოთხოვნები. დაკმაყოფილება მოიცავს ყველა ძირითად ბიოლოგიურ საჭიროებას: ჭამის, ძილის და ა.შ. თუმცა ჰორნი მნიშვნელობას ანიჭებდა მოთხოვნებთან დაკმაყოფილებას ფიზიკური გადარჩენისთვის, ის არ თვლიდა, რომ ისინი თამაშობდა განსაკუთრებულ როლს პიროვნების ჩამოყალიბებაში. მთავარი ბავშვის განვითარებაში იყო უსაფრთხოების მოთხოვნები. ბავშვის ძირითადი მოტივია, იყოს საყვარელი, სასურველი და დაცული საშინაოებისგან ან მტრული სამყაროსგან. ჰორნი თვლიდა, რომ ამ უსაფრთხოების მოთხოვნების დაკმაყოფილება ბავშვისთვის მთლიანად დამოკიდებულია მშობლებზე. თუ მშობლები ავლენენ ჭეშმარიტ სიყვარულსა და სითბოს ბავშვთან ურთიერთობაში, ამით კმაყოფილდება მისი უსაფრთხოების მოთხოვნები. ამის წყალობით ხდება ჯანმრთელი, სწორი თვითშეფასების მქონე პიროვნების ჩამოყალიბება. და პირიქით, თუ მშობელთა ქცევა ეწინააღმდეგება უსაფრთხოების მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ხდება პიროვნების პათოლოგიური განვითარება. მშობელთა ქცევის ბევრ მომენტს შეუძლია ბავშვის უსაფრთხოების მოთხოვნების ფრუსტრირება: არამდგრადი, უგუნური ქცევა, დაცინვა, დაპირების არშესრულება, ზე-მზრუნველობა, ასევე ძმებისა და დებისთვის უპირატესობის მინიჭება, ბავშვების შედარება და ა.შ. მშობლების მხრიდან მსგავსი უარყოფითი მოპყრობის შედეგია ბაზალური მტრობის განწყობის ჩამოყალიბება. ამ შემთხვევაში ბავშვი ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდება: ის დამოკიდებულია მშობლებზე და ამასთანავე, მათთან ურთიერთობაში განიცდის წყენას და გულისწყრომას. ამ კონფლიქტს მივყავართ ისეთი დაცვითი მექანიზმებისკენ, როგორცაა განდევნა. შედეგად, ბავშვის ქცევა, რომელიც ვერ გრძნობს უსაფრთხოებას მშობლიურ ოჯახში, მიემართება დაუცველობის, შიშის, დანაშაულის განცდებისაკენ, რაც ასრულებს ფსიქოლოგიური დაცვის ფუნქციას, რომლის მიზანია, დააქვეითოს მტრული განცდები მშობლების მიმართ, რათა გადარჩეს (#4, გვ. 256)

სამწუხაროდ, ჩახშობილი მტრული განცდები, რომელთა წარმოქმნის მიზეზი მშობლები არიან, არ არსებობს თავისთავად ცალკე: ისინი ვლინდება სხვა ადამიანების მიმართ ბავშვის ყველა ურთიერთობაში როგორც აწმყოში, ისე მომავალში. აქ ბავშვს უყალიბდება ბაზალური შფოთვა, რომელიც წარმოადგენს მარტოობისა და დაუცველობის ყოვლისმომცველ განცდას პოტენციურად საშიში სამყაროს მიმართ. ჰორნის მიხედვით, ბაზალური შფოთვა არის სწორედ ინტენსიური უსაფრთხოების არარსებობის განცდა, რომელსაც მივყავართ წარუმატებლობისკენ, არასტაბილური თვითშეფასებისა და ნევროზის ფორმირებამდე მოზრდილებში.

ერიკ ბერნის ტრანსაქციული ანალიზის მიხედვით, ადამიანი საკუთარი ცხოვრების სცენარს ადრეულ ასაკში აყალიბებს, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე გადაათამაშებს. ცხოვრების სცენარი არის „არაცნობიერი ცხოვრებისეული გეგმა,“ ადამიანის ხედვა, მისი წარმოდგენა საკუთარ თავსა და სამყაროზე, მისი თვითშეფასებიდან გადმოხედვა.

ადამიანის სცენარის დანერგვაში განსაკუთრებული როლი მშობლებს უჭირავთ და მათ მითითებებზეა მნიშვნელოვნად დამოკიდებული ბავშვის სცენარის შინაარსი, მისი მომავალი, წარმატება – წარუმატებლობა და საერთოდ მთელი ცხოვრება.

თუმცა მშობლები ვერ აიძულებენ ბავშვებს მიიღონ გარკვეული გადაწყვეტილებები, ისინი მაინც დიდ გავლენას ახდენენ მათზე. პირველივე დღეებიდან მშობლები აგზავნიან მათკენ ისეთ სიგნალებს, რომელთა საფუძველზეც ბავშვები აყალიბებენ თავიანთ წარმოდგენებს საკუთარ თავზე, სხვა ხალხზე და ცხოვრებაზე. სცენარული გზავნილები შესაძლოა იყოს როგორც ვერბალური, ასევე არავერბალური. სწორედ ეს გზავნილები წარმოადგენს სერიოზულ რისკ-ფაქტორს შემდგომში არა-გამარჯვებული, წარუმატებელი, დამარცხებული სცენარის დანერგვისათვის.

მშობელთა მითითებებსა და მიდგომებს რომ მნიშვნელოვანი როლი აქვს ბავშვის სცენარის ჩამოყალიბებისთვის, ამას მოწმობს ტა-ში არსებული „12 მითითების“ ფენომენი, რომლებსაც მუდმივად აქვს ადგილი ხალხის ადრეულ ნეგატიურ გადაწყვეტილებებში (#3 გვ. 143). ესენია:

1. არ იცოცხლო (მოკვდი);
2. არ იყო საკუთარი თავი;
3. არ იყო ბავშვი;
4. არ გაიზარდო (დარჩი პატარა);
5. არ მიაღწიო წარმატებას;
6. არ გააკეთო (არ გააკეთო არაფერი);
7. არ იყო პირველი (არ იყო ლიდერი);
8. არ მიეკუთვნებოდე;
9. არ იყო ახლოს;
10. არ იგრძნო თავი კაგრად (არ იყო ჯანმრთელი);
11. არ იფიქრო;
12. არ იგრძნო

აღნიშნულ რისკ-ფაქტორებს, საბოლოოდ, მივყავართ ცხოვრებისეული პოზიციისა და საერთოდ, სცენარის ჩამოყალიბებამდე (#3, გვ. 125). ეს პოზიციები შესაძლოა შემდეგი სახის იყოს:

1. მე OK ვარ, შენ OK ხარ;
2. მე არ ვარ, OK, შენ OK ხარ;
3. მე OK ვარ, შენ OK არ ხარ;



4. მე OK არ ვარ, შენ OK არ ხარ.

აქედან მხოლოდ პირველი პოზიცია გულისხმობს ჯანსაღ, სტაბილურ თვითშეფასებასა და ხედვას, ხოლო დანარჩენები არა-გამარჯვებულ და დამარცხებულ სცენარებს მოიაზრებს, სადაც აშკარად მკვეთრადაა გამოხატული დანაშაულის განცდა, არასრულფასოვნების კომპლექსი, არაადეკვატური თვითშეფასება. ზრდასრულ ასაკში ადამიანი საკუთარი სცენარის ტიპიდან გამომდინარე იყენებს რეკეტს, აგროვებს მარკებს, თამაშობს ფსიქოლოგიურ თამაშებს, რასაც ძირითადად წარუმატებლობა მოაქვს მისთვის ცხოვრებაში, მაგრამ თავს ვერაფერს უხერხებს, რადგან ამ ყველაფერს ის გაუცნობიერებლად, ზრდასრულის ცნობიერების გარეშე ახორციელებს.

ჰუმანისტური მიმდინარეობის ღირსეულ ავტორს, კარლ როჯერსს ჰქონდა ღრმა, დაახლოებით რელიგიური პატივისცემა ადამიანის ბუნებისადმი. იგი თვლიდა, რომ კაცობრიობა მიისწრაფვის დამოუკიდებლობისკენ, სოციალური პასუხისმგებლობისკენ, კრეატიულობისკენ და მომნიშვნელობისკენ. როჯერსის აზრით, ადამიანის ყველა მოქმედება რეგულირდება გამაერთიანებელი მოტივით, რომელსაც მან აქტუალიზაციის ტერმინით უწოდა. როჯერსის აზრით, გარეგანი შეზღუდვების გარეშე ეს ტერმინი გამოიყვანება ქცევის სხვადასხვა ფორმების მეშვეობით. როჯერსისათვის აქტუალიზაციის ტერმინი არის საკუთარი პოტენციალის რეალიზაცია მთელი ცხოვრების განმავლობაში სრულფასოვნად ფუნქციონირებადი პიროვნების ჩამოყალიბების მიზნით. ეს სწრაფვა ბუნებრივია (#4, გვ. 533)

როჯერსის თეორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტია ადამიანის „მე-კონცეფციის“ ჩამოყალიბება, რაც ყველაზე მეტად არის თვითშეფასებასთან დაკავშირებული. „მე-კონცეფცია“ არის ადამიანის შეხედულება იმის შესახებ, რასაც თვითონ წარმოადგენს. ის აგრეთვე ასახავს იმას, თუ როგორ აღვიქვამთ ჩვენს თავს სხვადასხვა ცხოვრებისეულ როლში – მშობლის, სტუდენტის, ხელმძღვანელის და ა.შ. მე-კონცეფცია მოიცავს არა მარტო იმის აღქმას, თუ როგორები ვართ, არამედ იმასაც, როგორი გვსურს, რომ ვიყოთ. „მეს“ ეს კომპონენტი იწოდება „მე-იდეალურად“. ეს არის „მე“, რომელსაც ადამიანი ყველაზე მეტად აფასებს და რომლისკენაც მიისწრაფვის (#4, გვ. 539)

როცა „მე“ იწყებს ფორმირებას ბავშვი ყოველ ახალ განცდას აფასებს იმ პოზიციიდან, ეს განცდა ხელს უწყობს თუ ხელს უშლის თვითაქტუალიზაციის თანდაყოლილ ტენდენციას. მაგ., შიმშილი, წყურვილი, ტკივილი და მოულოდნელი ხმაური ფასდება ნეგატიურად, ხოლო საკვები, წყალი, უსაფრთხოება და სიყვარული ფასდება პოზიტიურად, რამდენადაც ისინი ხელს უწყობს ორგანიზმის ზრდა-განვითარებას. „მეს“ სტრუქტურა ფორმირდება გარემოსთან ურთიერთობით, მნიშვნელობის მქონე სხვებთან (მშობლები, და-ძმები, სხვა ნათესავები, ა.შ.). ნებისმიერი ადამიანისთვის მნიშვნელოვანია, რომ ის უყვარდეთ სხვებს. თავდაპირველად ის ვლინდება ჩვილის სიყვარულისა და მოვლის მოთხოვნილებაში, შემდგომში კი გამოიხატება ადამიანის კმაყოფილებაში, როცა მას აქებენ ან ფრუსტრაციაში, როცა მისით უკმაყოფილონი არიან. როჯერსის აზრით, ბავშვი ყველაფერს აკეთებს, რომ დაიკმაყოფილოს პოზიტიური ყურადღების მოთხოვნილება. მაგ., როცა მშობელი ბავშვს აიძულებს, იყოს კარგი (კარგად მოიქცეს), თორემ იგი არ ეყვარებათ, იგი შეეცდება, მოიქცეს მშობლის პოზიციის მიხედვით. ეს ვითარება როჯერსს მიაჩნია ყველაზე სერიოზულ წინააღმდეგობად ფსიქოლოგიური სიმნიშვნის განვითარების გზაზე. თუ ბავშვი მოქმედებს სასურველად სხვებისთვის (მშობლებისთვის), მას უჩნდება პოზიტიური ყურადღების გამოცდილება. „მე“ მეყვარები და პატივს გცემ მხოლოდ მაშინ, თუ შენ იქნები ისეთი, როგორსაც მე მსურს გხედავდე“. პოზიტიური ყურადღების მაგალითებია, როცა მშობელი ფულს აძლევს შვილს, მასწავლებელი მაღალ ნიშანს უწერს ან სამკერდე ნიშნით აჯილდოებს ბავშვს, ფირმის ხელმძღვანელი აწინაურებს თანამშრომელს. როჯერსი ამტკიცებს, რომ ეს ვითარება ზარალს აყენებს ბავშვს, რომ იგი ჩამოყალიბდეს სავსებით ფუნქციონირებად ადამიანად, რამდენადაც ის ცდილობს შეესაბამებოდეს სხვების სტანდარტებს იმის საპირისპიროდ, რომ განახორციელოს მისთვის მისაღები ქცევა. ეს გამოცდილება არ წარმოადგენს ჯანმრთელი ადამიანის განვითარების საფუძველს. ამის ფონზე როჯერსს შემოაქვს უპირობო პოზიტიური ყურადღების ცნება, როცა დედას უყვარს შვილი არა იმიტომ, რომ იგი ამართლებს მის მოლოდინს, არამედ იმიტომ, რომ ის მისი შვილია. ეს ნიშნავს, გვიყვარდეს და მივილოთ ბავშვი კრიტიკის გარეშე. შეიძლება მშობელმა გამოხატოს უკმაყოფილება ბავშვის გარკვეული ქცევების გამო, მაგრამ ამ დროს საუკეთესო სტრატეგიაა: „მე შენ ძალიან მიყვარხარ, მაგრამ აკეთებ ისეთ რამეს, რაც სანყენია, ამიტომ ჯობია, რომ ეს არ გააკეთო“. უპირობო პოზიტიური მიმღებლობა ხსნის საკუთარი თავისადმი თვითაქტუალიზაციის ბუნებრივ ტენდენციას და ხელს უწყობს სრულფასოვანი, სტაბილური თვითშეფასების მქონე პიროვნების ჩამოყალიბებას.



### გამოყენებული წყაროები

1. მერაბიშვილი გ., ბავშვთა ფსიქოპროფილაქტიკა, თბილისი, საერთაშორისო საზოგადოება „ცოდნა“, 1999, გვ. 23-36
2. მერაბიშვილი გ., ფსიქიკური სიჯანსაღის ფორმულა – ანთროპოანალიზი, თბილისი, ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“, 2005, გვ. 35
3. Стюарт Ян, Джойнс Венн, Современный тразактный анализ, Санкт-Петербург, Социально-психологический центр, 1996, стр. 125-143
4. Хьелл Л. Зиглер Д., Теории личности, Санкт-петербург, Питер, 1999, стр. 115-256; 533-539

#### თ. მერაბიშვილი

#### არასრულფასოვნების განცდა, დანაშაულის განცდა და თვითშეფასების პრობლემა

#### რეზიუმე

თვითშეფასება არის ადამიანის მიერ საკუთარი პიროვნების შეფასების უნარი, მისი დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი. ჩვენი ქცევა ძირითადად ჩვენივე თვითშეფასებით არის ნაკარნახევი.

ის, თუ როგორი პიროვნება დადგება ამა თუ იმ ბავშვისგან მომავალში, მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმაზე, როგორი თვითშეფასება გამოუმუშავდება მას. ბავშვებს ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში უყალიბდებათ საკუთარი შესაძლებლობებისა და თვისებების შეფასების უნარი, ამიტომ მისი სწორად ჩამოყალიბების შემთხვევაში ბევრი სირთულის თავიდან აცილება შეიძლება. თვითშეფასების ფორმირებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვისთვის მრავალი რისკ-ფაქტორის აცილებას და ფსიქოპროფილაქტიკას. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა მივიღოთ დანაშაულის განცდისა და არასრულფასოვნების კონპლექსის მქონე, არაადეკვატურად მაღალი ან დაბალი თვითშეფასების ადამიანი.

#### T.Merabishvili

#### Complex of Inferiority, feeling of guilt and self-esteem problem

#### Summary

Self-esteem is an ability of a human being to evaluate his personality, his attitude towards himself. Our behaviour is mainly dictated by our self-esteem.

What kind of person comes from a child in future, is largely depended on how self-esteem will be developed. Children develop evaluating their capabilities and properties at an early age, so in case of its correct formation, many difficulties can be avoided. In the case of self-assessment formation, it is crucial to eliminate and prevent from many risk-factors and children psychoprophylaxis. Otherwise, we may get a person with a feeling of guilt and inferiority complex, a person with inadequate high or low self-esteem.





## 6. პარინოსი

### მომარი ქალები – ამერიკული და ქართული სინამდვილა (მე-18 საუკუნიდან დღემდე)

#### შესავალი

დღევანდელ მსოფლიოშიც აქტუალურია კითხვა თუ რამდენად მოსაწონია ქალის ჩართულობა სამხედრო სამსახურში. საზოგადოებრივი აზრი ორად იყოფა: ერთნი თვლიან, რომ ქალის ყოფნა საჭირო და აუცილებელია შეიარაღებულ ძალებში, რადგან მისი მენტალური შესაძლებლობები და უნარები არ ჩამოუვარდება მამაკაცისას და მისი ყოფნა კაცებით დაკომპლექტებულ ქვედანაყოფებში საჭიროც კი არის, ხოლო მეორენი თვლიან, რომ „არაქალურ“ პოზიციაზე და პირობებში, მეტიც “ზედმეტად მამაკაცურ“ სფეროში ქალი არ უნდა მუშაობდეს, რადგან ეს სფერო მთლიანად მასკულიური მხარის წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული.

საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის სამხედრო სამსახური, განსაკუთრებით კი შეიარაღებული ძალები იმ მასკულიურ სტრუქტურას წარმოადგენს, რომელშიც იგი ქალის ადგილს ვერ ხედავს. ეს კი აკნინებს იმ ქალების ღვაწლს, რომელთაც უმსახურიათ შეიარაღებულ ძალებში და ქვეყნისათვის სასიკეთო საქმე გაუკეთებიათ.

ქალის ყოფნას ბრძოლის ველზე სხვადასხვაგვარი დატვირთვა ჰქონდა. პლატონი ამტკიცებდა, რომ მშვენიერი ქმნილებები ბრძოლის ველზე მეომრების ფსიქოლოგიური მხარდაჭერის როლის შესასრულებლად შეუცვლელი იყვნენ: მათ თვალწინ მამაკაცი უკან ვერ იხევდა და არ გამოხატავდა შიშს. შესაბამისად, იგი ასკვნიდა, რომ ქალისა და მამაკაცის ერთად სამხედრო სამსახური არა მარტო შესაძლებელი, არამედ აუცილებელიც კი იყო (უნდა აღინიშნოს, რომ ეტყობა ქალები ძველი დროიდან არა მარტო ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას ახორციელებდნენ, ვინაიდან ასევე ცნობილია, რომ სციპიონ აფრიკელმა ერთხელ თავისი ჯარებიდან 2000-მდე მსუბუქი ყოფაქცევის ქალი გაყარა, კარლ IV-ის არმიამ 4000-მდე, ხოლო ჰერცოგ ალბას ჯარებში 400 ცხენოსანი და 800-ზე მეტი იგივე კატეგორიის ქალბატონს ითვლიდნენ). ჟანა დ'არკის შესახებ ყველამ იცის, მაგრამ ცოტას თუ გაუგია, რომ ინგლისელების წინააღმდეგ უილიამ უოლესის შოტლანდიელ მეომრებთან ერთად 1297 წელს ბრძოლის ველზე გამირულად იბრძოდა გრაფინია როსი თავისი პირადი რაზმით<sup>1</sup>.

ღეგნადად ქცეული ცნობილი ფემინისტი მწერალი, ჟორჟ სანდი, რომელიც მამაკაცის სახელითა და გვარით აქვეყნებდა რომანებს, სინამდვილეში ქალბატონი იყო, სახელად ავრორა დიუპენი. მისი შემოქმედება ძირითადად ეძღვნება ქალებს, მათ პრობლემებს, ურთიერთობებს. სანდი არასოდეს ერიდებოდა თავის წიგნებში ღიად განეხილა იმ პერიოდის ტაბუდადებული თემები. ამიტომ მისი ყოველი რომანის გამოსვლას ხმაურის გარეშე არ ჩაუვლია [8]. „გაზეთებმა ხოტბა შეასხეს ვინმე ბატონ სანდს და ამასთანავე, ოსტატურად შეაპარეს მკითხველს, რომ „ინდიანას“ შექმნაში სუსტი სქესიც ჩაერია, რათა ავტორისათვის უკეთ გაეგნო ქალის გულის საიდუმლოებები (...), თუმცა, ყველანი ერთმნიშვნელოვნად აცხადებდნენ, რომანის სტილი, მსჯელობის ყაიდა და საზოგადოების ბალზაკისეული, სიღრმისეული კრიტიკა მამაკაცური სიძლიერითა და შეუვალი ლოგიკით გამოირჩევა ამიტომაც, შეუძლებელია, ეს რომანი ქალს დაენერაო“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სანდმა იმისთვის შეიყვანა რომანში მთხრობელი მამაკაცი, რათა მისი პირით ესაუბრა სერიოზულ სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე, რადგან იმ ეპოქაში ითვლებოდა, რომ ასეთ საკითხებზე მსჯელობა ქალის საქმე არ იყო<sup>2</sup>.

თუკი ქალისაგან მსგავს საკითხებზე საუბარიც კი არ აღიქმებოდა სერიოზულად, მასებისათვის წარმოუდგენელია, თუ როგორ უნდა ემსახურა ქალს სამხედრო სამსახურში და აბსოლუტურად „არაქალური“ საქმეები ეკეთებინა. თუმცა, ეს ყოველივე ხდება მე-19 საუკუნეში, შეხედულება ამ საკითხისადმი არსებითად არ შეცვლილა.

სხვადასხვა ქვეყანაში დამოკიდებულება ქალისა, მისი მოვალეობებისა და უნარებისადმი სხვადასხვაგვარია. შესაბამისად, ყველა ქვეყანას თავის ტრადიციებზე, კულტურაზე და პოლიტიკურ ვითარებაზე მორგებული წესი და კანონი აქვს.

მეტად საინტერესოა პაკისტანის შემთხვევა. პაკისტანი ერთადერთი ისლამური სახელმწიფოა,

<sup>1</sup> კაპანადიკე, ქალი და სამხედრო სამსახური, <http://presa.ge/new/?m=military&AID=16058> 16.05.2018

<sup>2</sup> Coreau, A., Whatever George Sand Wants, <https://www.nytimes.com/2003/04/20/books/whatever-george-sand-wants.html>, 07/07/2018





სადაც ქალები სამხედრო სამსახურში არიან ჩართული. მათ ეს უფლება 1947 წლიდან აქვთ. დღეს პაკისტანის შეიარაღებულ სამსახურში ქალებს საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ. 2006 წელს პირველად დაიწყო ბრძანებების შესრულება ქალი მოიერიშე მფრინავების ჯგუფმა. ამავე წელს საბრძოლო მისიებისთვის განვრთნილი იქნა პაკისტანის არმიის ქალი ჯარისკაცები, მათ შორის სნაიპერები, დესანტები და ქვეითები. დღეისთვის საზღვაო ძალები ერთადერთია, რომლის საბრძოლო მისიებში ქალებს მონაწილეობის უფლება არა აქვთ<sup>1</sup>.

იქიდან გამომდინარე, რომ პაკისტანი მუსლიმანური სახელმწიფოა, ხოლო მუსლიმანურ ქვეყნებში ძალიან დიდი როლს ასრულებს რელიგიური ფაქტორი, ქალის სამხედრო სამსახურში ყოფნა, როგორც წესი, აკრძალული უნდა იყოს.

ისლამის წესების თანახმად ქალი არასტანდარტულ ტანისამოსში იმოსება და მამაკაცებთან კომუნიკაციის დონეზეც კი ურთიერთობა მინიმუმდეა დაყვანილი. შეიარაღებულ ძალებში სამსახური, თანაც სნაიპერად ან დესანტად, აბსოლუტურად გამორიცხავს მამაკაცებისაგან თავის გარიყვას და კომუნიკაციის არ ქონას. წარმოუდგენელია ბრძოლის ველზე შენს თანამემამულესთან კონტაქტი არ იქონიო, მხოლოდ იმიტომ, რომ ის „ძლიერი სქესის“ წარმომადგენელია. შეიარაღებულ ძალებში კი მსგავსი წესების ან ტრადიციების დაცვის არც დროა და არც ადგილი. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია თამამად დავასკვნათ, რომ ქალბატონების მსგავს პოზიციებზე ყოფნა არა მხოლოდ სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობითაა გამოწვეული, არამედ ისევე და ისევე გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობითა და პოლიტიკური ვითარებით, რომელიც როგორც აღმოჩნდა რელიგიურ კანონებსაც ჯაბნის.

### სამხედრო ქალი აშშ-სა და საქართველოში

ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაფერი 1775 წლიდან დაიწყო. სამხედრო სამსახურში ქალები შეუცვლელნი იყვნენ. ისინი უვლიდნენ დაჭრილებს, უმზადებდნენ საკვებს და ა.შ. მოგვიანებით ამ ყველაფერმა არსებობა სახეშეცვლილი ფორმით განაგრძო. ქალებმა იმდენად დიდი როლი შეასრულეს ამერიკის არსებობის ისტორიაში, რომ მათ თავგანწირვამ და მსხვერპლმა ყოველგვარი გენდერული ბარიერი გაარღვია.

ქალების გააქტიურებას შეიარაღებულ ძალებში სათავე ამერიკის შეერთებული შტატების პერლ ჰარბორზე თავდასხმამ დაუდო. გენერალი ჯორჯ მარშალი თვლიდა, რომ მამაკაცების წვრთნაში მონაწილეობასთან ერთად უნდა მომხდარიყო ათასობით ქალის ჩართულობა. მან ამერიკის წარმომადგენელთა პალატაში კანონის გატანას შეუწყო ხელი, სადაც ითხოვდა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებთან არსებულ ქალთა დამხმარე საბრძოლო ქვედანაყოფის შექმნას – Women's Army Auxiliary Corps (WAAC). ინიციატივა, რომელიც მასაჩუსეტისის წარმომადგენელმა ედით ნორს როჯერსმა გაიტანა განსახილველად, კანონად 1942 წლის 5 მაისს იქცა. აღნიშნულ კანონის მხარს უჭერდა ელენორა რუზველტიც<sup>2</sup>.

ქალების WAAC-ში მოსაზიდად შემუშავდა მიღების კრიტერიუმები, რომლებიც ითვალისწინებდა შემდეგს:

ქალი უნდა ყოფილიყო 21 დან – 45 წლამდე ასაკის. ამ საქმეზე მუშაობა მარშალმა დაავალა ქალთა ინტერესების სექციის უფროსს, ოვეტა ჰობის, რომელმაც თავის მხრივ განაცხადა, რომ ქალები, რომლებიც WAAC-ში იმსახურებდნენ ჩვეულებრივ „მანდილოსნებად“ დარჩებოდნენ. მსურველებს ეკრძალებოდათ შვილის გაჩენა<sup>3</sup>.

მეტად უცნაურია ის ფაქტი, რომ იმის მიუხედავად, რომ კონტრაქტის პირობებიც კი აბსოლუტურად არაადეკვატურ ხასიათს ატარებდა, კერძოდ: დაბალმა ხელფასმა, ტყვეობაში ჩავარდნის შემთხვევაში დახმარების არ არსებობამ, შვილის გაჩენის აკრძალვამ, ვეტერანის უფლებებით ვერ სარგებლობამ და ბოლოს და ბოლოს სამედიცინო დაზღვევის არ არსებობამაც კი, ვერ შეაჩერა ამერიკელი ქალები.

ჰობიმ პირველი წვრთნებისათვის შემოსული 35000 აპლიკაციიდან, 440 ქალი აარჩია, რომელიც 1942 წლის 20 ივლისს დაიწყო. არჩეულ ქალთა საშუალო ასაკი 25 წელი იყო. მათი უმეტესობა სწავლობდა კოლეჯებში, ისინი მომავალი მასწავლებლები, ოფის-მენეჯერები და აღმასრულებელი მდივნები უნდა გამხდარიყვნენ [15]. აუცილებლად გაჩნდება კითხვა, რა მოტივი ამოძრავებდა ამ ქალბატონებს? მთავარი მოტივი კი პატრიოტიზმი აღმოჩნდა. მათ უბრალოდ არ შეეძლოთ სხვა რაიმე მოტივი ჰქონოდათ, რადგან მატერიალურ მხარეზე, და კეთილდღეობაზე საუბარიც კი ზედმეტი იყო. იმის განცდამ, რომ ქვეყანას უჭირდა, ხოლო მათ ჰქონდათ გვერდში დგომის პოტენციალი, დაჯაბნა ყოველგვარი მატერიალური სარგებლის არ ქონაც. ოჯახში მამაკაცის არყოფნა იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის შედეგადაც ქალი

<sup>1</sup> კაპანადიე, ქალი და სამხედრო სამსახური, <http://presa.ge/new/?m=military&AID=16058> 16.05.2018

<sup>2</sup> Wood, J., A History of Women in the U.S. Military, <http://www.infoplease.com/us/military/women-history.html>, 20/03/2018/

<sup>3</sup> Wood, J., A History of Women in the U.S. Military, <http://www.infoplease.com/us/military/women-history.html>, 20/03/2018/W



ოჯახიდან სამხედრო სამსახურში მიდიოდა. ზოგჯერ, პირიქითაც ხდებოდა, ქალებს სურდათ მათი ოჯახის წევრებისათვის (ამ შემთხვევაში მამაკაცებისათვის) გაენიათ სოლიდარობა. რალაც პერიოდის შემდეგ WAAC-ის ქალების 40 პროცენტი გადავიდა შეიარაღებულ ძალებთან არსებულ AAF- ში (საჰაერო ძალებში). ეს ქალები მუშაობდნენ ამინდის პროგნოზის მაუწყებლებად, კრიპტოგრაფიზად (ისინი ეხმარებოდნენ ქვეყანას გერმანული და იაპონური ტექსტური შეტყობინებების გაშიფვრაში), რადიო-კომუნიკაციის სპეციალისტებად, მექანიკოსებად, სამხედრო აღჭურვილობების სპეციალისტებად და საჰაერო ტრანსპორტის შემომწვებლებად. შემდგომ, 40 პროცენტი დასაქმდა ASF-ში ( არმიის მომსახურების ძალები), რომელშიც ქალები ელექტრიკოსებად, მექანიკოსებად და საქმის მწარმოებლებად მუშაობდნენ. WAAC-სი მხარში ედგა მანჰეტენის პროექტს, რომელიც ითვალისწინებდა პირველი ატომური ბომბის შექმნას. ამ ქვედანაყოფის 20 პროცენტი AGF-ში – სახმელეთო ძალები გადავიდა, რომელიც ძალიან დიდი ხანი აპროტესტებდა ქალთა ყოფნას მათ ქვედანაყოფში<sup>1</sup>.

საბოლოოდ პატრიოტიზმის ამ დოზით წარმოჩინებამ, საქმისადმი ერთგულებამ და ქალების შეიარაღებულ ძალებში ყოფნის აუცილებლობამ, გენერალ დუაიტ აიზენჰაუერი აიძულა 1943 წლის 3 ივლისს WAAC-ი დროებითი დამხმარე ქვედანაყოფიდან რეგულარულ არმიად – WAC-ად ექცია<sup>2</sup> და ქალებს ყველა ის პრივილეგია მიენიჭათ, რაც რეგულარულ ჯარში მყოფ მამაკაცებს ჰქონდათ.

სწორედ ამ წლებში დაფიქსირდა საკმაოდ საინტერესო ფაქტი. ამერიკელი მამაკაცები გალიზიანებული იმ ფაქტით, რომ ქალებმა ფეხი მოიკიდეს შეიარაღებულ ძალებში, არაერთ ხერხს მიმართეს ჯანყის ასატყხად. დადიოდა ხმები, თითქოს შეიარაღებულ ძალებში მყოფი ქალების 90 პროცენტი პროსტიტუციით იყო დაკავებული და ბევრი მათგანი თითქოს ფეხმძიმედაც კი იყო. კონგრესმა აღნიშნული საქმის სტატისტიკის გარკვევა ოვეტა ჰობის დაავალა. გავრცელებული ხმები არ დადასტურდა<sup>3</sup>.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ 1977 წლამდე საპირისპირო სქესის წარმომადგენლების მომზადება ცალკე ბანაკებში ხდებოდა, თუმცა უკვე 1979 წლიდან მიღების კრიტერიუმები ორივე სქესისათვის ერთი და იგივე გახდა. 1980 წლიდან ქალებს უფლება მიეცათ ნებისმიერი სახის კურსები გაეარათ აშშ-ს ჯარში. 1982 წელს მათმა რაოდენობამ 65000-ს მიაღწია. ამ ქვეყნის მაგალითი ადვილი ასახსნელია იდეოლოგიური თვალსაზრისით, რადგან ის როგორც ზელიბერალური სახელმწიფო აშკარად ავლენს ამ სფეროშიც ინდივიდუალიზმსა და თანასწორობაზე დამყარებულ პოლიტიკას, რომელიც მას სამაგალითოს ხდის საერთაშორისო საზოგადოების თვალში<sup>4</sup>. აქვე, გვინდა გავიხსენოთ რიდლი სკოტის ცნობილი ფილმი „ჯარისკაცი ჯეინი“, რომლის შინაარსი მდგომარეობს შემდეგში: ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ გასულ საუკუნეს არ წყდებოდა საუბარი ქალთა დისკრიმინაციის თაობაზე სამხედრო-საზღვაო ძალებში. ერთ-ერთი სენატორი ქალბატონის დახმარებით, ლეიტენანტი ჯორდან ო'ნილი (იგივე ჯეინი) მიღებულ იქნა სპეცნაზის ქვედანაყოფში. ზემოხსენებულ სპეცნაზში მსახური საკმაოდ რთულია, თითქმის შეუძლებელს უტოლდება. დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ძლიერი სქესის წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს უმძიმესი დავალებების შესრულება და იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ სპეცნაზი. ჯეინმა გადალახა ყოველგვარი, დაბრკოლება, სირთულე და შეურაცხყოფა. მან დაამტკიცა, რომ ქალსაც შეუძლია ასეთ რთულ პირობებში მსახური და, როგორც თავად ამბობს: „ქალსაც აქვს სამშობლოსათვის სიკვდილის უფლება“, მაგრამ კულმინაცია იმაში მდგომარეობს, რომ იმის მიუხედავად, რომ ჯეინმა დაამტკიცა, ფიზიკური სიძლიერით, ამტანობითა თუ ნებისმიერი სხვა თვისებით უამრავ მამაკაცს აჯობა, ნამდვილ სპეცოპერაციაზე გაგზავნისას ხმელთაშუა ზღვაში, სპეცნაზის უფროსის არგაილის გადარჩენისას, მისი თვითმფრინავის ბორტზე აყვანის შემდგომ, (იგი მძიმედ იყო დაჭრილი) იგი ჯეინს შემდეგ სიტყვებს ეუბნება: „თავს ვერასოდეს ვაპატიებ, რომ მე ქალმა გადამარჩინა“. არგაილის ეს ფრაზა კი აშშ-ს მამაკაცთა დიდი ნაწილის პოზიციას გამოხატავს და პირდაპირ გვიჩვენებს, რომ საზოგადოება არ არის ამისათვის მზად, მეტიც, უჭირს ამ ფაქტის მიღება. ასევე, ფილმში ზემდგომ ოფიცერს აღიზიანებს ჯეინის სუნამოს სუნი, თუმცა საქმე ნამდვილად არ არის არომატში, იგი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ჯეინი ქალია და დიდი იმედი აქვს, რომ იგი დიდი ხანი ვერ დარჩება სპეცნაზში. სწორედ იგივე ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას ქართველი კაპიტანი ქალბატონიც, რომელიც ამბობს, რომ მამაკაცებისათვის ნორმაა ყაზარმაში არასასიამოვნო წინდების სუნი, რადგან – ქალის პარფიუმის სურნელი მანდ აბსოლუტურად უადგილოა.

არ შეიძლება არ შევეხოთ ერთ მეტად პარადოქსალურ ფაქტს. 1918 წელს, იმ დროს, როდესაც შე-

<sup>1</sup> Wood, J., A History of Women in the U.S. Military, <http://www.infoplease.com/us/military/women-history.html>, 20/03/2018/

<sup>2</sup> Wood, J., A History of Women in the U.S. Military, <http://www.infoplease.com/us/military/women-history.html>, 20/03/2018/

<sup>3</sup> Cosgrove, B., "Take off the Silk, Put on the Khaki": America's First Women Soldiers, 1942, <http://time.com/3877591/photos-of-americas-womens-army-auxiliary-corps-1942/>, 07/07/2018

<sup>4</sup> Wood, J., A History of Women in the U.S. Military, <http://www.infoplease.com/us/military/women-history.html>, 20/03/2018/



ერთებულ შტატებში ქალებს არ ჰქონდათ ხმის მიცემის უფლება, მათი საზღვაო ფლოტში დასაქმება და-საშვები იყო. ქალებს, რომლებიც იმ დროს საზღვაო ფლოტში მსახურობდნენ “მარიონეტები” შეარქვეს, სიტყვიდან “Marine”- საზღვაო. 25 წლის შემდეგ, 1943 წლის 13 თებერვალს, მეორე მსოფლიო ომის დროს, შეიქმნა საზღვაო ფლოტის ქალთა რეზერვი, სადაც დაახლოებით 23000 ქალი მსახურობდა. მათი სლოგანი ჟღერდა შემდეგნაირად: „გაუშვი მამაკაცი საბრძოლველად“<sup>1</sup>.

საინჟინრო ბრიგადის კაპრალი, 30 წლის ინგა მამალაძეს თავდაცვის სამინისტროს საინჟინრო ბრიგადის J1-ის სპეციალისტის თანამდებობა უკავია. მას ძირითადად საქმისწარმოება ევალება. ინგა შავი ქამრის მფლობელია კარატეში.

იგი ამბობს, რომ ამ ე.წ. “არაქალური სპორტის” სიყვარულის გამო როცა 2008 წელს ჯარში წასვლის სურვილი გამოთქვა. “არავის გაკვირვებია ჩემი გადაწყვეტილება, არც დაუშლიათ, იმიტომ, რომ იქამდეც “ნაკლებადქალურ” საქმეში ვიყავი. როცა პირველად ჯარში მიღება დაიწყო ხელვაჩაურში, მეც ვცადე, მივედი და გამიმართლა. გასაუბრების შედეგად დამტოვეს. ასე დავინწყე მუშაობა ჯარში“<sup>2</sup>.

ინგა ამბობს, რომ საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც ქალის ჯარში წასვლა უკვირს, მცდარი წარმოდგენა აქვს ქალის ფიზიკურ შესაძლებლობებზე. “ფიქრობენ, რომ ქალი ჯარში ვერ გაუძლებს ისეთივე დატვირთვას, როგორსაც მამაკაცი უძლებს. საქმე ისაა, რომ, რაც ძალიან გინდა, ყოველთვის გააკეთებ, ჯარი იქნება ეს თუ სხვა რამ. გარდა ამისა, ჯარში არ არის ისეთი დატვირთვა, რომ ადამიანმა, კაცი იქნება ის თუ ქალი – ვერ გაუძლოს.

საინტერესოა, რომ კაპრალი მამალაძე აღნიშნავს, რომ ადრინდელთან შედარებით საზოგადოება დღეს მაინც ნაკლებად სტერეოტიპულია ქალი სამხედროების მიმართ. ამონარიდი ინტერვიუდან: „ადრე, როცა კარატეზე დავდიოდი, ხშირად მეხუმრებოდნენ: `ვა, კარატისტი, თან შავი ქამარი? ვაი, შენ ვის ოჯახშიც შეხვალ...“, თუმცა ეს აგრესიულად მაინც არ განმანწყობდა. ადრე უფრო მძაფრად იყო განწყობა, რა უნდა ქალს პოლიციაში, ჯარში... ვფიქრობ, ნელ-ნელა საზოგადოება ეგუება იმ აზრს, რომ ქალი არ არის “სუსტი სქესი”, ახლა ბევრი სიამაყითაც გვიყურებს და ეს ძალიან სასიამოვნოა“, – ამბობს ინგა<sup>3</sup>.

კიდევ ერთი სამხედრო ქალი მეორე ქვეითი ბრიგადის კაპრალი, ორი შვილის დედა, 31 წლის ნატო კობალაძეა. იგი ქობულეთიდანაა და ახლა სენაკში, დასავლეთ სარდლობის ბაზაზე მსახურობს. მისი საქმიანობაც საქმისწარმოებას უკავშირდება.

ნატო კობალაძე ამბობს, რომ სამხედრო სამსახური ბავშვობიდან აინტერესებდა და ამის საწინააღმდეგო არც მშობლებს ჰქონიათ რამე. ამბობს, რომ როცა სერჟანტობის კურსები დაიწყება, აუცილებლად გაივლის, შემდეგ კი საოფიცრო კურსებზეც იფიქრებს. ოჯახში უკვე ჰყავდათ რამდენიმე სამხედრო პირი. მიუხედავად ოჯახის ნევრების პოზიტიური დამოკიდებულებისა, ნატო მიიჩნევს, რომ საზოგადოებაში ქალის ჯარში სამსახურთან დაკავშირებით სხვადასხვა მცდარი წარმოდგენა არსებობს. ერთ-ერთი მათგანი მალაღ ანაზღაურებას უკავშირდება<sup>4</sup>.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აშშ-ს ჰყავს ქალები, რომელთაც საუკეთესო მხრიდან გამოიჩინეს თავი და დიდი სარგებელიც მოუტანეს ქვეყანას: მაიორი ლორენ ედვარცი, ქალი, რომელიც 150 ჯარისკაცს და 7 ტანკს მიუყვებოდა წინ თავდაცვითი ოპერაციების დროს ერაყში შესვლისას, რისთვისაც ჯილდოც მიიღო სიმამაცისათვის, სნაიპერი, სერჟანტი შერი გალაჰერი, იმისათვის, რომ გამხდარიყო წლის ჯარისკაცი, დაამარცხა 11 მონაწილე. გალაჰერი გრძელვადიან ოპერაციებში ლებულობს მონაწილეობას და ცნობილია, როგორც უმაღლესი კლასის სნაიპერი. სერჟანტი ენ ჰესტერი, ქალბატონი, რომელმაც ერაყში მტრის რამდენიმე ბანაკი გაანადგურა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჰესტერი პირველი ქალია, ვინც ვერცხლის ვარსკვლავი მოიპოვა, რომელიც მესამე ხარისხის ორდენს წარმოადგენს.

ქალები ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებში 1990-იანი წლების დასაწყისიდან მსახურობენ. თუმცა, ისინი არ შედიან არმიის, საჰაერო და საზღვაო ძალების წინა ხაზზე მებრძოლი შენაერთების შემადგენლობაში<sup>5</sup>.

<sup>1</sup> Cosgrove, B., 'Take off the Silk, Put on the Khaki': America's First Women Soldiers, 1942, <http://time.com/3877591/photos-of-america-womens-army-auxiliary-corps-1942/>, 07/07/2018

<sup>2</sup> „ქალი აჭარიდან საქართველოს შეიარაღებულ ძალებში“, <http://batumelebi.netgazeti.ge/weekly1/22241/#sthash.vEzSoqm3.zgNWOf03.dpb>, 16.03.2018

<sup>3</sup> „ქალი აჭარიდან საქართველოს შეიარაღებულ ძალებში“, <http://batumelebi.netgazeti.ge/weekly1/22241/#sthash.vEzSoqm3.zgNWOf03.dpb>, 16.03.2018

<sup>4</sup> „ქალი აჭარიდან საქართველოს შეიარაღებულ ძალებში“, <http://batumelebi.netgazeti.ge/weekly1/22241/#sthash.vEzSoqm3.zgNWOf03.dpb>, 16.03.2018

<sup>5</sup> Stanger., M., Warner, Anmargaret, The 14 Most Impressive Women In The US Military, <http://www.businessinsider.com/most-impressive-women-in-the-military-2013-7>, 07/07/2018



**საკმაოდ საინტერესოდ საუბრობს ვაჟა-ფშაველა ქალის როლზე და თანასწორ უფლებებზე:**

„მეგობარო! დღეს ქალებიც თხოულობენ მამაკაცებთან თანასწორ უფლებას. სჯობს, მიეცეს, თუ არა, რას იტყვი? მე ამა საკითხზე გაჭიანურებულს პასუხს არ მოგცემ და იმის კვლევას, თუ რა როლს ასრულებდა დედაკაცი ქვეყნის ისტორიულ ცხოვრებაში, რა მნიშვნელობა აქვს ოჯახისთვის და სხვ., არ გამოვუდგები, რადგან ამის განმარტვას მთელი ტომები მოუწოდებ, ჩვენ კი დრო არა გვაქვს ამისთვის საკმაოდ. მე მხოლოდ ამას ვიტყვი: დიდად და დიდად საჭიროა დაკმაყოფილდეს ქალთა მოთხოვნილება. მჯერა, მნამს და ვერცავეინ შემაცვლეინებს ამ რწმენას.....“<sup>1</sup>.

საკითხის დეტალურად შესწავლისათვის, უნდა დავიწყო ცოტა ადრიდან. შევხედოთ რა ვითარებაა ქართულ არმიში, უცხოელ დამპყრობლებთან ბრძოლიდან საუკუნეების შემდეგაც, ქართველი მამაკაცები საქვეყნოთ არიან ცნობილნი, როგორც მებრძოლები და მცველები, მაგრამ არც ქართველი ქალები იყვნენ ისტორიის მანძილზე მხოლოდ დიასახლისის სტატუსით, ბევრ ბრძოლაში დახმარებიან ისინი ქართველ მამაკაცებს და ბევრჯერაც უმნიშვნელოვანესი როლი უთამაშიათ ქვეყნის ბედ-ილბალის გადწყვეტის საკითხში. მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვით 65 წელს გნეუს პომპეუსის ლაშქრობის აღწერისას მემატინანე წერს, თუ როგორი თავგანწირვით იბრძოდნენ ქართველი ქალები რომაელების წინააღმდეგ. ამ მხრივ მეტი ფაქტებია შემორჩენილი მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნის და მთელი შემდგომი პერიოდის ბრძოლებიდან. ბოლოს კი უნდა ითქვას, რომ 1921 წელს წითელი არმიის წინააღმდეგ და მეორე მსოფლიო ომის დროს ქართველი ქალები სამშობლოს გადასარჩენად მამაკაცების მხარდამხარე გმირულად იბრძოდნენ. დღეს საქართველოში თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით ირიცხება 1821 ქალი ჯარისკაცი, მათი უმრავლესობა რა თქმა უნდა საოფისე და სამედიცინო საქმის შემსრულებელია, მაგრამ არიან სერჟანტი, პილოტი და სხვაბერი ქალებიც. რამდენად ხელსაყრელია დღესდღეობით საქართველოს სამხედრო ბაზების მდგომარეობა ქალი ჯარისკაცებისთვის, ეს ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშაა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს ქვეყანაშიც იმატებს ჯარისკაცი ქალების რიცხვი, მარტო 2009 წლიდან დღემდე როდესაც ქვეყანა ჩაება ISAF-ის ოპერაციებში 1600-მდე სამხედროდან, 33 ქალია. როგორც სიმონ დე ბოვუარმა თქვა „ქალებს ქმნიან, ისინი არ იზადებიან“ საზოგადოება ქმნის მათ სუსტებად და საოჯახო საქმეებისთვის განკუთვნილად, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი იცვლება და დროთა განმავლობაში პროგრესს განიცდის. ქალები კი მათი ძალისხმევით შედეგად ანგრევენ გენდერულ სტერეოტიპებს და არიან ისეთივე კარგი მებრძოლები, როგორც მამაკაცები [6].

საინტერესოდ აფიქსირებს თავის აზრს გიორგი ძნელაძე საკუთარ ბლოგზე განთავსებულ სტატიაში, სახელწოდებით: **„მეამბოხე ფემინისტი პატრიარქალური ოჯახისა და რეპროდუქციული მონობის წინააღმდეგ“**: „ბავშვობაში, გოგონებს უფლება აქვთ, „მასკულიზურ“ გზას დაადგინონ, ანუ სკოლაში წარმატებას მიაღწიონ, ხეებზე აძვრნენ და ა.შ. მაგრამ მშობლებსა და საზოგადოებას – ამ სოციალიზატორებს, არ აეჭვებთ მისი ფემინური იდენტობის სიმყარე. იციან, რომ იგი გაიზრდება და თავის „ქალურ ხვედრს“ დაემორჩილება – გათხოვდება და შვილებს გააჩენს. როგორც კი დაქალიშვილდება, მისგან ყველა მოითხოვს, რომ ნაზი და პასიური იყოს, აღარ ჩაერთოს „მამაკაცურ საქმიანობაში“, საკუთარ გარეგნობაზე იზრუნოს, კაცები მოხიბლოს, მამრების სურვილებს დაემორჩილოს და საკუთარი თავი პასიურ ობიექტად აქციოს. ქალისთვის თითქოს ყველა კარი ღიაა, მაგრამ წარმატებისაკენ გადადგმული ყოველი მისი ნაბიჯი აღიქმება ზიანის მომტან ქმედებად არა მხოლოდ მისი ქორწინებისათვის, არამედ იმ მამაკაცებისთვისაც, რომლებსაც იგი უსწრებს წარმატებისაკენ მიმავალ გზაზე“<sup>2</sup>.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობით, პენტაგონის 1994 წლის გადანყვეტილების თანახმად, ქალებს ეკრძალებოდათ ყოველგვარ სამხედრო სპეცოპერაციებში მონაწილეობა. თუმცა, 2013 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ბარაკ ობამამ ისტორიული გადანყვეტილება მიიღო, რომელმაც გააუქმა პენტაგონის გადანყვეტილება. 2013 წელს თავდაცვის მინისტრმა, ლეონ პანეტამ ხელი მოაწერა ქალების სპეცოპერაციებში და ცხელ წერტილებში იარაღით ხელში ბრძოლის ნებართვას.

თეთრი სახლის პრესმდივანმა ჯეი კარნიმ განაცხადა, რომ პრეზიდენტი ბარაკ ობამა სრულ მხარდაჭერას უცხადებს ახალ კურსს. ამგვარად, აშშ, სადაც შეიარაღებულ ძალებში 14 პროცენტს მდებრობითი სქესის წარმომადგენელი შეადგენენ, ყველა ქალს პროფესიული ცოდნისა და შესაბამისი მომზადე-

<sup>1</sup> ვაჟა-ფშაველა, დედაკაცები რომ იყვნენ მაღალ თანამდებობებზე, ვაჟა-ფშაველა ქალთა უფლებების შესახებ, <http://mental.ge/vaja-gender/>, 07/07/2018

<sup>2</sup> ძნელაძე, გ., პატრიარქალური ბორკილებისა და ოჯახის უღლის მსხვერვიდან ფილოსოფიურ კვარცხლბეკამდე (ნაწილი 2) <http://liberali.ge/blogs/view/6154/patriarqaluri-borkilebisa-da-ojakhis-ughlis-mskhvrevidan-filosofiur-kvartskhlbekamdenatsili-2>, 07/07/2018





ბის შემთხვევაში ამიერიდან შეეძლება მამაკაცებთან ერთად უშუალოდ ფრონტის წინა ხაზზე შეასრულონ საბრძოლო ამოცანა.

საქართველოში ადრეული დროიდან ფიქსირდება ქალების გააქტიურება საბრძოლო საქმიანობაში. ისტორიაზე დაყრდნობით ამის ბრწყინვალე მაგალითია მაია წყნეთელი, თამარ ვაშლოვანელი და თინა ნავკისელი, რომლებმაც თავისი გმირობით გაითქვეს სახელი. აი, რას გვეუბნება ისტორია: “გლების ქალს, მაია წყნეთელს, მეფე ერეკლეს დროს უცხოვრია (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი). უასაკო ყოფილა, როცა ბატონს ძალით მიუყვანია სახლში და ნამუსი აუხდია. მაიას მშობლებს ვერ აუტანიათ ეს მწუხარება და მალე გამოსალმებთან წუთისოფელს. მამას ტყეში ჩამოუხრჩვია თავი, დედას შიმშილით თავი მოუკლავს. ერთ ღამეს ჩაუცვამს მამამისის ტანისამოსი, შემოურტყამს ხმალი, ხანჯალი, მხარზე მამის თოფი გადაუკიდია და ჩასულა თბილისში. ასე ვაჟურად გამოწყობილი მისულა მეფე ერეკლეს კარზე და მფარველობა უთხოვია. მეფეს მიუღია იგი. მაიას სახელად მათე დაურქმევია. არ გასულა დიდი ხანი, რომ კახეთის მხარეს დასცემიან ლეკები. მეფეს შეუყრია საჩქაროდ ჯარი და თან გაუყოლებია შინაყმანიც. მათ რიცხვში ყოფილა მაიაც. ყველანი კარგად გარჯილან მტერთან ბრძოლაში, მაგრამ მაიასებრი ვაჟკაცობა ვერავის გამოუჩენია. ამ დროს მაია ოცი წლისა ყოფილა. მეფე გაუკვირვებია მის მხნეობას, სიმარდესა და ვაჟკაცობას. გახარებული გადახვევია, ორთავ თვალებში უკოცნია და უთქვამს:

- აი, შენ კი გენაცვალე! კაციც შენა ყოფილხარ და ქუდიც შენ გხურებიაო!<sup>1</sup>

არ შეგვიძლია არ ვახსენოთ თამარ ვაშლოვანელი. „ყოფილა სასტიკი და გაუტყეხელი, მეხი დედაკაცი, რის გამოც მისი სახელი განთქმულა საქართველოში. სოფელში უიმისოდ არა კეთდებოდა რა. ერთხელ ვაშლოვანს თათრები დასცემიან, აუკლიათ სოფელი, დაუნგრევიათ ეკლესიები და მცხოვრებნი ტყვედ წაუყვანიათ. თამრო გამოსდგომია თათრებს, დასწევია თავისი რაზმით და საკვირველი გმირობა გამოუჩენია. მტერი დაუმარცხებია და გაუთავისუფლებია ქართველი ტყვეები. ეს ამბავი ერეკლე მეფეს რომ შეუტყვია, ძლიერ დიდის მადლობით უთქვამს თამროსათვის: შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ საქართველო გმირი ქალების სამშობლოა – ოჰ, შვილო! შენ გენაცვალოს ჩემი მოხუცი თავი, რომ შენის მაგალითით კაცებიც გამხნევდნენო. მეფეს მიუცია მისთვის და მისი ამხანაგებისათვის ტყვია-ნამაღლი და ერთ ზარბაზანსაც დაჰპირებია.

თამროს თავის რაზმში ბევრი მეომარი ქალიც ჰყოლია. თამროს და მის რაზმს ბევრჯერ გადაურჩენია ვაშლოვანის მცხოვრებნი ლეკებისა და თათრების თარეშისაგან“<sup>2</sup>.

საკმაოდ საინტერესო დამთხვევაა, რომ მამაკაცის სამოსში გადაცმულ ქალი ჯარისკაცების გამოჩენაც ამერიკის შეერთებულ შტატებში დაახლოებით ამ პერიოდში დაიწყო. ამერიკაში პირველი გადაცმული ქალები გამოჩნდნენ სამოქალაქო ომისა და მექსიკასთან ომის დროს. სწორედ 1787 წელს დებორა სემსონი, მისი გარდაცვლილი ძმის (რობერტ სემსონის) სახელით იბრძოდა ბრძოლის ველზე. 17 წლის განმავლობაში იგი იბრძოდა კონტინენტურ არმიაში. იგი ორჯერ დაიჭრა კიდეც. მოგვიანებით, 1847 წელს მამაკაცის ტანისამოსში გადაცმული ელიზაბედ ნიუქამი იბრძოდა ფორტ ლევენვორთთან. 10 თვის შემდეგ სიმართლე გაირკვა და 1848 კონგრესმა მას გამოუყო თანხა განეული შრომისათვის<sup>3</sup> ელიზაბედ ნიუქამი და დებორა სემსონი მაია წყნეთელისა, თამრო ვაშლოვანელისა და თინა ნავკისელის მსგავსად, პირველი ამერიკელი ჯარისკაცი ქალები იყვნენ.

### სოციოლოგიური გამოკითხვა

იმისათვის, რომ სწორად შემეფასებინა ამ ეტაპისათვის არსებული მდგომარეობა, ჩავატარე სოციოლოგიური გამოკითხვა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს 22-დან-65-წლამდე დასაქმებულმა საქართველოს მოქალაქე ქალებმა და კაცებმა. მონაწილეობა 153 ადამიანმა მიიღო, რომლებმაც აბსოლუტურად სხვადასხვაგვარი პოზიცია დააფიქსირეს. კითხვაზე უნდა იყოს თუ არა სამხედრო სამსახური ქალებისათვის სავალდებულო, 77,8 პროცენტმა დააფიქსირა პასუხი-“არა“, ხოლო 16, 3 უპასუხა-“დიახ“ (**იხ. ცხრილი 1.1**) დარჩენილი 0,7 პროცენტი მეტად განსხვავებულად პასუხობს, კერძოდ: ისინი თვლიან, რომ სამხედრო სამსახური ქალისათვის გაუსაძლისი შრომაა, ნაწილი თვლის, რომ სამხედრო სამსახური სავალდებულო არცერთი სქესისათვის არ უნდა იყოს. იქიდან გამომდინარე, რომ უარყოფით პასუხზე 77.8

<sup>1</sup> აბულაშვილი, ი., ერეკლე მეფის მებრძოლი გმირი ქალები, [http://www.resonancedaily.com/index.php?id\\_rub=5&id\\_artc=37655](http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=5&id_artc=37655), 07/07/2017

<sup>2</sup> გამოჩენილი ქართველი ქალები, <https://iberiana.wordpress.com/iberiana/geowomen/>

<sup>3</sup> ჩიქვანია, თ., ერეკლე მეორის ძეგლი თელავშიაა წყნეთელი, თამარ ვაშლოვანელი, თინა ნავკისელი - მითი თუ რეალობა?, <https://sputnik-georgia.com/people/20171029/237963158/maia-ckneteli.html>, 07/07/2018






პროცენტი მოდის, შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ ქართველი ერი არაა მზად ქალი იხილოს ჯარში, ყაზარმაში, ან სანგარში. რაც შეეხება, საკონტრაქტო განწვევას, გამოკითხულმა საზოგადოებამ ბევრად ღმობიერი პასუხი გასცა, რადგან პასუხი - „არას“ პროცენტული მაჩვენებელმა, 54,9% შეადგინა (იხ. ცხრილი 1.2). საკონტრაქტო განწვევა გულისხმობს იმსახურო სამხედრო სამსახურში, სურვილისამებრ, სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ის რაც სავალდებულო არაა ნაკლებ აგრესიას იწვევს, როგორც კაცების, ასევე, ქალების მხრიდან.

ცხრილი 1.1

უნდა იყოს თუ არა სამხედრო სამსახური ქალებისათვის სავალდებულო?


153 responses



ცხრილი 1.2

ეთანხმებით თუ არა ქალის საკონტრაქტო სამხედრო განწვევას?

153 responses




კითხვაზე რამდენად მისაღებია საქართველოს მოქალაქისათვის ქალის ცხელ წერტილში, მეგრძოლის ამპლუაში ხილვა, პასუხმა 54.2 5 შეადგინა (იხ. ცხრილი 2.1) მხოლოდ ქვეყნის 36, 6 დაუშვებს და ეგუება ქალის იარაღით ხელში ბრძოლის ფაქტს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ კითხვაზე, თუ რამდენად პროდუქტიულია ქალი სამხედრო სამსახურში, დაფიქსირდა პარადოქსული პროცენტული მაჩვენებელი - 57,5%, რაც ვერავითარ შესაბამისობაში ვერ მოდის ზემოთ მოცემულ დიაგრამებთან და დაფიქსირებულ მოსაზრებასთან.

თუკი, გამოკითხული საზოგადოების 77, 8% (იხ. ცხრილი 1.1) ქალის სავალდებულო სამხედრო სამსახურს კატეგორიულად არ ეთანხმება, საკონტრაქტო სამსახურს 41,2 % უარყოფს (ცხრილი 1.2), ხოლო მის ცხელ წერტილში ბრძოლას 54, 2 % არ იზიარებს (იხ. ცხრილი 2.1), მეტად უცნაურია, რატომ თვლის იმავე საზოგადოების 57,5% ამ სფეროში ქალის ჩართულობას პროდუქტიულს (იხ. ცხრილი 2.2).

ცხრილი 2.1

ეთანხმებით თუ არა ქალი სამხედროების ცხელ წერტილში საბრძოლველად გაგზავნას?


153 responses



ცხრილი 2.2

პროდუქტიულია თუ არა ქალი სამხედრო სამსახურში?

153 responses



### დასკვნა

ჩატარებულმა კვლევამ დამარწმუნა, რომ საზოგადოება არ არის ინფორმირებული იმის შესახებ, რომ ქალები ომში, სხვადასხვა ფორმით, მე-18 საუკუნიდან არიან ჩართულნი. შესაბამისად, მას სიახლის მიმართ გარკვეული შიში უჩნდება. მე არ ვსაუბრობ ქალებისათვის სავალდებულო სამხედრო განწვევაზე, არამედ, სურვილისამებრ, მათთვის ცხელ წერტილებში ბრძოლის უფლების მიცემაზე, როგორც ეს შეერთებული შტატების მაგალითზე ვიხილეთ. პარალელის გასავლებად ამერიკის შეერთებული შტატები შემთხვევით არ შერჩეულა, ორივე ქვეყანაში ქალის გამოჩენა ბრძოლის ველზე მე-18 საუკუნიდან იწყება და ერთიდაიმავე ფაქტი ფიქსირდება- მამაკაცის ტანისამოსში გადაცმული ქალი.

თუმცა, საზოგადოების ინფორმირებულობამ შესაძლოა შეცვალოს აღნიშნული დამოკიდებულება,



რათა სამხედრო სამსახური ქალისათვის არ მიიჩნეოდეს არასასურველ პროფესიად და მისი შესაძლებლობები დაფასებულ იქნეს. პირველ რიგში, ინფორმაციის მასებისათვის მიწოდება უნდა მოხდეს მეტად დიპლომატიური გზით. ადამიანები, რომლებიც არ არიან გათვითცნობიერებულნი ისტორიაში და არ ფლობენ ინფორმაციას იმის შესახებ თუ რომელი საუკუნიდან იწყება ქალთა აქტივობა ბრძოლის ველზე, მეტად ნეგატიურ განწყობას ავლენენ აღნიშნული საკითხისადმი. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების განწყობას, რადგან ის საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს მთავრობის გადაწყვეტილებაზე. სახელმწიფო ერიდება იმ კანონების გატანას პარლამენტში, რასაც შეიძლება მისი მთავრობა ემსხვერპლოს, მეტად გაურბის პროვოკაციული და მისი ქვეყნის მენტალიტეტისათვის შეუფერებელი რეფორმების გატარებას. ამ შემთხვევაში ძალიან დიდ როლს შეასრულებს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელოვნება, რომელიც სწორი კუთხიდან წარმოაჩენს ქალის როლს.

### კვლევამ დაადგინა:

1. ქართული საზოგადოება არ ეთანხმება ქალი ყოფნას ბრძოლის ველზე;
2. ქართული საზოგადოება ნაწილობრივ ეთანხმება ქალის საქონტრაქტო სამხედრო განვევას;
3. ქართული საზოგადოება არაა ინფორმირებული თუ რომელი საუკუნიდან იწყება ქალის მიერ განეული სამხედრო ღვაწლი საქართველოში;
4. ქართული საზოგადოება ქალს ბრძოლის ველზე პროდუქტიულად აღიქვამს, რაც გამორიცხავს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პუნქტს
5. შესაბამისად, ქართული საზოგადოება ინფორმაციის დიდ ნაკლებობას განიცდის და არ იცნობს არც ამერიკულსა და არც ქართულ ქეისებს. იგი სიახლედ აღიქვამს იმ ფაქტს, რაც ისტორიის ფურცლებისათვის დიდხნის წინ დაძველებული მასალაა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ 4 საუკუნის გასვლის შემდეგაც, ქართული საზოგადოების ცნობიერებაში აღნიშნული საკითხისადმი არაფერი შეცვლილა, ხოლო შეერთებულმა შტატებმა დააფასა ქალის ღვაწლი და მას ნება დართო იარაღით ხელში იბრძოლოს საკუთარი ქვეყნის ინტერესების დასაცავად. მძლავრი პიარის საშუალებით, კერძოდ კი, იმიჯის ტექნოლოგიების გამოყენებით მოხდება სტერეოტიპების რღვევა. შეირაღებული ძალები არ იქნება მიჩნეული ქალისათვის „მამაკაცურ“ პოზიციად. ჩვენ არ ვსაუბრობთ საზოგადოებაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენაზე ან შავი პიარის გამოყენებაზე, უბრალოდ ცნობიერების ამაღლებაზე. საზოგადოების ცნობიერება საჭიროებს გარკვეულ მინიშნებებს, რომლებიც მათ ეხმარება საკუთარი აზრის გამომუშავებაში. მხოლოდ ინფორმაციის შემოტანა ამ შემთხვევაში არაა საკმარისი, საჭიროა მისი პოზიტიური შეფასება და აღქმის მოდელის დანერგვა.

### გამოყენებული წყაროები

1. აბულაშვილი, ი., ერეკლე მეფის მეტრძოლი გმირი ქალები, <http://www.resonancedaily.com/index.php?id=rub=5&id=artc=37655>;
2. გამოჩენილი ქართველი ქალები, <https://iberiana.wordpress.com/iberiana/geowomen/>;
3. ვაჟა-ფშაველა, დედაკაცები რომ იყვნენ მაღალ თანამდებობებზე, ვაჟა-ფშაველა ქალთა უფლებების შესახებ, <http://mental.ge/vaja-genderi/>;
4. კაპანაძე, ვ., ქალი და სამხედრო სამსახური, <http://presa.ge/new/?m=military&AID=16058>;
5. ლიკლიკაძე, კ., ქეთი თევზაძე: „მდებრობითი სქესის სამხედროები არავისზე ნაკლებნი არ ვართ“, <http://www.radiotavisupleba.ge/content/weekly-military-program-keti-tevzadze/24885010.html>;
6. ნოზაძე, მ., შესაძლოა ქართველი ქალები ჯარში გაიწვიონ, <http://news.mcvane.ge/news/axali-ambebi/7707--.html>;
7. ფრანგიშვილი, ი., „ქალი აჭარიდან საქართველოს შეირაღებულ ძალებში“ <http://batumelebi.netgazeti.ge/weekly1/22241/#sthash.vEzSoqm3.zgNWOf03.dpb>;
8. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და განვითარების დეპარტამენტის დებულება, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3402347>;
9. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და განვითარების დეპარტამენტის დებულება



- [http://www.mod.gov.ge/assets/up-modul/uploads/samartlebriviaqtebi/1-\(40\).pdf](http://www.mod.gov.ge/assets/up-modul/uploads/samartlebriviaqtebi/1-(40).pdf);
10. ძნელაძე, გ., პატრიარქალური ბორკილებისა და ოჯახის უღლის მსხვერველად ფილოსოფიურ კვარცხლბეკამდე (ნაწილი 2), <http://liberali.ge>;
  11. ჩიქვანია, თ., ერეკლე მეორის ძეგლი თელავშიაია წყნეთელი, თამარ ვაშლოვნელი, თინა ნავკისელი. მითი თუ რეალობა?, <https://sputnik-georgia.com/people/20171029/237963158/maia-ckneteli.html>;
  12. Coreau, A., Whatever George Sand Wants, <https://www.nytimes.com/2003/04/20/books/whatever-george-sand-wants.html>;
  13. Cosgrove, B., 'Take off the Silk, Put on the Khaki': America's First Women Soldiers, 1942, <http://time.com/3877591/photos-of-americas-womens-army-auxiliary-corps-1942/>;
  14. Sisk, R., Panetta: Women in Combat Strengthens US Military, <https://www.military.com/daily-news/2013/01/24/panetta-women-in-combat-strengthens-us-military.html>;
  15. Stanger., M., Warner, Anmargaret, The 14 Most Impressive Women In The US Military, <http://www.businessinsider.com/most-impressive-women-in-the-military-2013-7>;
  16. Veazie, T., First Lady Michelle Obama Honors 14 Women Veterans as Champions of Change, <https://obamawhitehouse.archives.gov/blog/2013/03/21/first-lady-michelle-obama-honors-14-women-veterans-champions-change>;
  17. Women In Uniform, <http://www.encyclopedia.com/topic/Women-in-Military-Service.aspx>;
  18. Wood, J., A History of Women in the U.S. Military, <http://www.infoplease.com/us/military/women-history.html>.

## 6. პარინოსი

### მეომარი ქალები – ამერიკული და ქართული სინამდვილე (მე-18 საუკუნიდან დღემდე)

#### რეზიუმე

საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის სამხედრო სამსახური, განსაკუთრებით კი შეიარაღებული ძალები იმ მასკულიზურ სტრუქტურას წარმოადგენს, რომელშიც იგი ქალის ადგილს ვერ ხედავს. ეს კი აკნინებს იმ ქალთა ღვაწლს, რომელთაც უმსახურიათ შეიარაღებულ ძალებში და ქვეყნისათვის სასიკეთო საქმე გაუკეთებიათ.

კვლევა ფოკუსირებულია ქართველ და ამერიკელ ქალებზე, რომლებიც მე-18 საუკუნიდან დღემდე ბრძოლის ველზე, თავდაუზოგავად, იბრძოდნენ. საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰყავდათ ისეთი მებრძოლი ქალები, როგორც იყვნენ ელისაბედ ნიუჟამი, დებორა სემსონი, ხოლო საქართველოში მათა წყნეთელი, თამრო ვაშლოვნელი და თინა ნავკისელი.

კვლევის მეთოდოლოგია: შედარებითი ანალიზი, კონტენტ-ანალიზი, სოციოლოგიური კვლევა.

## N.Parinos

### Women Warriors – American and Georgian Reality (Since 18<sup>th</sup> century till now)

#### Summary

Opinions on women's involvement in military service, namely: armed forces – widely vary. Generally, it is believed to be a masculine world where they see no place for a woman. This is a thing that insults the contributions of the women who served and fought for their country.

The paper is focused on Georgian and American women from XVIII century on whose deeds are highly appreciated. Georgia and the United States have this thing in common. Their history is enriched with the women worthy of praise, such as: Elizabeth Newcome, Debora Samson, Maia Tskhneteli, Tamar Vashlovneli and Tina Tsavkiseli.

The research methodology: comparative analyses, content analyses and social survey.



## თ. ტუხაშვილი

### შფოთვა თირკმლის დონორებში ტრანსპლანტაციის შემდეგ

#### შესავალი

თირკმლის ტრანსპლანტაცია მკურნალობის არჩევის მეთოდია თირკმლების ქრონიკული უკმარისობის მქონე პაციენტებში. თირკმლის ტრანსპლანტაცია ხდება როგორც ცოცხალი, ასევე გარდაცვლილი დონორებიდან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

დონორის როლი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან დონორები გამცემი პირები არიან და მათ ოპერაცია უკეთდებათ არა სამედიცინო ჩვენებით, არამედ იმიტომ, რომ გაიღონ ორგანო და გააკეთონ კეთილი საქმე. ცოცხალი დონორის თირკმელებს აქვს უპირატესობა: უფრო დიდხანს ფუნქციონირებს, ვიდრე გარდაცვლილის. ეს უპირატესობა ვრცელდება როგორც ნათესავებს შორის, ასევე დონორსა და რეციპიენტს შორის, რომლებიც არ არიან სისხლით ნათესავები (მაგ: მეუღლეებსა და მეგობრებს შორის).

დონორების ფსიქიური ჯანმრთელობა უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორია ოპერაციის შემდგომი ფსიქოლოგიური პრობლემების რისკის განსასაზღვრად [Reimer J, Rensing A, Haasen C, et al. The impact of living-related kidney transplantation on the donor's life. Transplantation 2006; 81: 1268-73; Franklin PM, Crombie AK. Live related renal transplantation: psychological, social, and cultural issues. Transplantation 2003; 76: 1247-1252.6,7, 17,21,22]. როგორც ლიტერატურული მასალიდან ჩანს, მათგან ერთ-ერთი ხშირია-შფოთვა.

#### შფოთვა

ინგლისური სიტყვა შფოთვა (anxiety) მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან *angustia* და „სიკინროვეს“ ნიშნავს. შფოთვა გავრცელებულ ემოციურ მდგომარეობას წარმოადგენს. შფოთვა ძირითადად ჩნდება მაშინ, როდესაც პიროვნება მოცემულ სიტუაციას განიხილავს, როგორც სახიფათოს მისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ხშირად, საქმე ეხება ძირითადი სოციალური მოთხოვნილებების წარმოსახული მარცხის მოლოდინს. პიროვნებას ეჭვი ეპარება, რომ ვერ შეძლებს პროფესიული, ინტელექტუალური ან ზნეობრივი პრობლემების გადაჭრას. შფოთვის მდგომარეობას იწვევს აგრეთვე მოულოდნელი არსებითი ცვლილებები კარგად შეგუებულ სიტუაციაში, მაგ: სამუშაოს პროფილის შეცვლა, ახალ კოლექტივთან შეგუება და სხვა. შფოთვის მდგომარეობა ჩნდება პოსტ ტრანსპლანტაციულ ვითარებაში: ომის, ძალადობის გადატანის, მინისძვრის და ა. შ.

შფოთვის მკვლევარები არჩევენ შფოთვის სამ ძირითად ასპექტს: შფოთვას, როგორც აქტუალურ ემოციურ მდგომარეობას. შფოთვას, როგორც პიროვნების მახასიათებელს და შფოთვას, როგორც მოტივაციის ფაქტორს. თითოეულის გასაზომად შემუშავებულია სპეციალური ტესტები და ხერხები. პირველი ასპექტი გულისხმობს თავისებურ განცდას, რომელიც ჩნდება მომავალი მარცხის, ფრუსტრაციის წარმოსახულ სიტუაციაში, მის ინტენსივობას, ფიზიოლოგიურ და გარე გამოხატულებას (გაფითრებას, კანკალს, ოფლიანობას, ძილის დარღვევას და სხვა). ეს ასპექტი იზომება ე.წ. სიტუაციური შფოთვის ტესტებით.

შფოთვა, როგორც პიროვნული მახასიათებელი ნიშნავს, რომ ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისი მიდრეკილებით აღიქვან სიტუაცია, როგორც საშიში. ზოგისთვის, მაგალითად, ყოველგვარი შემონმება, გამოცდა, საკონტროლო გამოსვლა, შეჯიბრი ძლიერ შფოთვას იწვევს. ზოგიერთი ემოციურად მდგრადი ადამიანი, ნაკლებად მწვავედ განიცდის ამ სიტუაციებს. ეს თავისებური რეაქციები პიროვნების მუდმივ მახასიათებლად იქცევა. ამ ასპექტებს ადგენენ ე.წ. პიროვნული შფოთვის ტესტებით, რომლებიც ზომავენ ინდივიდის შფოთიანობის საერთო დონეს.

შფოთვის მესამე ასპექტი გულისხმობს მის გავლენას რაიმე მოქმედების შესრულების ეფექტურობაზე. არსებობს მრავალი გამოკვლევა, რომელიც ადგენს შფოთვის დონის კავშირს სასწავლო, შრომითი სპორტული ქცევის წარმატებასთან. უმრავლეს შემთხვევაში ნაჩვენებია, რომ მეტისმეტად მაღალი შფოთვა არღვევს მოქმედებას (თუ ის საკმაოდ რთულია), ზრდის შეცდომების რაოდენობას. მეტისმეტად დაბალი შფოთვის დონე ინდივიდენტულს ხდის ადამიანს ქცევის მიმართ. შფოთვის საშუალო დონე ქმნის ქცევის ოპტიმალური მოტივაციის პირობას, ხელს უწყობს პიროვნების მაქსიმალური შესაძლებლობების გამოვლენას. [ი. იმედაძე. „ფსიქოლოგიის საფუძვლები“-გამომცემლობა „მნიგნობარი“, 2008].

ფროიდი შფოთვას განმარტავს, როგორც „ერთგვარ უსიამოვნო მდგომარეობას, რომელსაც მოტორული განმუხტვა ახლავს თან“. მოტორული განმუხტვა შესაძლოა სხვადასხვა გზით ხდებოდეს. ფროიდის აზრით, „ შფოთვა საშიშროების საპასუხო უნივერსალური რეაქციაა და ეგო შფოთვის ერთადერთი





ადგილსამყოფელია; საშიშროება შეიძლება იყოს რეალური ან ანტიციპირებული“[Нельсон-Джоунс Р. Теория и практика консультирования]. არსებობს სამი სახის შფოთვა: 1)რეალისტური შფოთვა მომდინარეობს გარე სამყაროში არსებული რეალური საშიშროებიდან; 2)მორალური შფოთვა არის სინდისის შიში და იგი სუპერეგოსთან კონფლიქტისაგან მომდინარეობს; 3) ნევროტული შფოთვა არის შიში იმისა, რომ იდის ინსტიტუტური იმპულსები უმართავი გახდება. იგი დასჯის შიშსაც გულისხმობს.

შფოთვა საშიშროების მაუნყებელია; ის აფრთხილებს ეგოს, რომ მან რაღაც უნდა იღონოს. როდესაც ადამიანი ვერ ახერხებს შფოთვისათვის თავის არიდებას ან მისი ეფექტური გზით მოვლას, ის ტრამვული ხდება. როდესაც ეგო ვერ უვლის შფოთვას რაციონალური მეთოდებით, მიმართავს დაცვით მექანიზმებს, რომლებიც უარყოფენ და არღვევენ რეალობას. ისინი არაცნობიერად მოქმედებენ და დარეალისტური ქცევის შეფერხება მას შემდეგაც შეუძლიათ, როცა უსარგებლონი ხდებიან[Larry Hjelle, Daniel Ziegler "Personality Theories: Basic Assumptions, Research, and Applications", 3th ed., 1992].

როლო მეი გამოყოფს შფოთვის ორ სახეს: ნორმალური და ნევროტული შფოთვა. ნორმალურ შფოთვას ახასიათებს სამი სახით: 1) შფოთვა, რომელიც უკავშირდება ობიექტური საშიშროების სერიოზულობას, რომელსაც გარკვეულ სიტუაციაში აქვს ადგილი; 2) შფოთვა, რომელიც არ მიდის განადგურებამდე და 3) შფოთვა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემოქმედებითად: მისი აღმოცენების ფაქტორების იდენტიფიცირება და ამ ფაქტორების წინააღმდეგობის განევის მცდელობა.

ნევროტული შფოთვა კი ობიექტური საშიშროების მიმართ არაადექვატური რეაქციაა, რის დროსაც ვლინდება ადამიანთა შინაგანი ფსიქოლოგიური მოდელი და კონფლიქტები. ცნობიერების ბლოკირება, რომელიც ნევროტულ შფოთვასთან არის კავშირში, მისი აზრით, ადამიანებს უფრო მონყვლადებს ხდის საფრთხეების მიმართ[Нельсон-Джоунс Р. Теория и практика консультирования].

პერლზი შფოთვას განიხილავს, როგორც ფსიქოლოგიურ, ასევე ფიზიოლოგიურ კონტექსტში. მისი აზრით, „შფოთვა არის ნებისმიერი აგზნების დროს სირთულის განცდა სუნთქვაში“(ფიზიოლოგიური განსაზღვრება). ფსიქოლოგიური გაგებით, „შფოთვა არის გახლეჩვა „ახლასა“ და მოგვიანებით“შორის ან შიში აუდიტორიის წინაშე“. ამ მოსაზრების მიხედვით, შფოთვა არის ფანტაზიის ზონის აქტიურობის მიზეზი. აქ ინახება ინფორმაცია, რა არ სურთ ადამიანებს იმიტომ, რომ ეშინიათ[Нельсон-Джоунс Р. Теория и практика консультирования].

შფოთვის გარკვეული, ზომიერი დონე წარმოადგენს პიროვნების აქტიური საქმიანობის ბუნებრივ და სავალდებულო თავისებურებას. თითოეულ ადამიანს გააჩნია ოპტიმალური ან სასურველი მღელვარების დონე, ანუ ეგრეთ წოდებული სასარგებლო მღელვარება. ამ მხრივ ადამიანის მიერ საკუთარი თავის შეფასებას სპეციალისტები მიიჩნევენ თვითკონტროლისა და თვითაღზრდის ფრიად მნიშვნელოვან კომპონენტად. ცნობილია, რომ მღელვარების მაღალი ან დაბალი დონისა და შესაბამისად ცხოვრების სტილის მიხედვით რესპონდენტები ავლენენ სოციალურ – ფსიქოლოგიური ადაპტაციის განსხვავებულ უნარს. კერძოდ, მღელვარების მაღალი დონის მახასიათებლის მქონე ადამიანებისგან განსხვავებით, მღელვარების დაბალი დონის მქონე პიროვნებებს გააჩნიათ უფრო გამოკვეთილი სოციალურ – ფსიქოლოგიური ადაპტაციის უნარი.

**უცხოური კვლევები შფოთვის შესახებ:**

A.Lopes და თანაავტორებმა დაადგინეს, რომ ტრანსპლანტაციამდე, რეციპიენტთა 100%-სა და დონორთა 64%-ს აღენიშნებოდა ტოტალური შფოთვითი აშლილობა. აღსანიშნავია, რომ ოპერაციის შემდეგ, შფოთვის სიხშირე შემცირდა რეციპიენტებში, მაგრამ არა -დონორებში. რაც შეეხება დეპრესიას, მისი სიხშირე არ შეიცვალა არც დონორებში და არც რეციპიენტებში[Lopes A, et al. Depression and anxiety in living kidney donation: evaluation of donors and recipients. Transplant Proc. 2011; 43(1):131-6].მსგავსი შედეგები აღინიშნა სხვა კვლევებშიც[Frade IC, et al. Impact assessment in living kidney donation: psychosocial aspects in the donor. Transplant Proc. 2008; 40(3): 677-81]. ამასთან, თუ შფოთვითი აშლილობის სიხშირე ოპერაციის შემდეგ იკლებს რეციპიენტებში, დონორების ფსიქოლოგიური მდგომარეობა არ იცვლება.

იყო დონორთა კატეგორია, რომელთაც ჭკნდათ შფოთვა პოსტოპერაციულ ტკივილთან დაკავშირებით (ქირურგიულ ჩარევას აღიქვამდნენ, როგორც ყველაზე მტკივნეულ გამოცდილებას, რომელიც აქამდე ჰქონიათ), ჯანმრთელობის აღდგენა დროის თვალსაზრისით, დასაქმების საკითხები, ფინანსური პრობლემები, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკები და ცხოვრების ხარისხის შეზღუდვა (შეცვლა). ზოგიერთი დონორი აღნიშნავდა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ნაკლებობას და სურდათ მიეღოთ მეტი ყურადღება, მაღლიერება და შემდგომი ზრუნვა სამედიცინო პერსონალისგან.

**საქართველოში ჩაატარებული კვლევები:**





რამოდენიმე წლის წინ საქართველოში ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანი იყო თირკმლის დონორთა ცხოვრების ხარისხის შესწავლა, მისი შედარება საერთო პოპულაციის მაჩვენებლებთან და რადიკალური ნეფრექტომიით ნაოპერაციებ პაციენტთა სიცოცხლის ხარისხთან. აღნიშნულ კვლევაში გამოკვლეულ იქნა ალ. წულუკიძის სახ. უროლოგიის ეროვნულ ცენტრში 2005-2008 წლებში ნაოპერაციები დონორები და თირკმლის სიმსივნის მქონე პაციენტები (45 თირკმლის დონორი, 120 ჯანმრთელი პირი და 40 პაციენტი, რომელთაც ჩაუტარდათ ნეფრექტომია თირკმლის სიმსივნისა და ჰიდრონეფროზის გამო). კვლევა ჩატარდა მრავალპუნქტიანი კითხვარის SF-36-ის საშუალებით, რომელიც შედგება 36 კითხვისაგან და აფასებს პიროვნების ფიზიკურ ფუნქციას, სოციალურ ფუნქციას, ფიზიკურ ჯანმრთელობას, სხეულის ტკივილს, მენტალურ მდგომარეობას, ემოციურ სტატუსს, სიცოცხლის უნარიანობას, ზოგად თვითშეფასებას.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ თირკმლის დონორთა სიცოცხლის ხარისხი არ განსხვავდებოდა ჯანმრთელ, არანაოპერაციებ პირთა მაჩვენებლებისაგან და სარწმუნოდ აღემატებოდა თირკმლის სიმსივნის გამო ნაოპერაციებ პაციენტთა სიცოცხლის ხარისხის მაჩვენებლებს [Maglakelidze N, Pantsulaia T, Managadze L, Chkhotua A. Assessment of health-related quality of life in living kidney donors. Transplantation Proceedings, 43, 373-375].

რაც შეეხება ფსიქოლოგიური რეაქციების, კონკრეტულ შემთხვევაში - თირკმლის დონორებში შფოთვის დონის დადგენის მიზნით ჩატარებულ კვლევას, საქართველოში ამ მიმართულებით ტრანსპლანტაციის შემდგომი კვლევები არ განხორციელებულა.

### **კვლევის მიზანი და ამოცანები**

კვლევა ჩატარდა 170 ცდისპირზე. სამიზნე ჯგუფი წარმოდგენილი იყო 40 დონორით (მათ შორის: მამაკაცი-14, ქალი-36), ხოლო საკონტროლო-130 ცდის პირით (მამაკაცი- 38, ქალი- 92). რესპოდენტთა ასაკი განისაზღვრებოდა 18-65 წლით. შერჩევა მოხდა ასევე განათლების, ეროვნების, სარწმუნოების, დასაქმების, დონორთა ვინაობის მიხედვით.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა:

1. ტრანსპლანტაციის შემდეგ თირკმლის დონორთა შფოთვის დონის განსაზღვრა;
2. პოპულაციის წარმომადგენელთა შფოთვის დონის განსაზღვრა;
3. კვლევის შედეგად მიღებული თირკმლის დონორებისა და პოპულაციის წარმომადგენელთა შფოთვის დონის შედარებითი ანალიზი.

მიზნის მისაღწევად განხორციელებული ამოცანები:

1. სპილბერგერის შფოთვის შეფასების სკალის საშუალებით თირკმლის დონორთა ტრანსპლანტაციის შემდგომი სიტუაციური და პიროვნული შფოთვის დონის განსაზღვრა ქალებსა და მამაკაცებში;
2. სპილბერგერის შფოთვის შეფასების სკალის საშუალებით პოპულაციის წარმომადგენელთა სიტუაციური და პიროვნული შფოთვის დონის განსაზღვრა ქალებსა და მამაკაცებში;
3. მიღებული შედეგების შედარებითი ანალიზი.

ჰიპოთეზა:

1. ტრანსპლანტაციის შემდეგ თირკმლის დონორთა სიტუაციური და პიროვნული შფოთვის მონაცემები არ განსხვავდება საკონტროლო ჯგუფის-პოპულაციის მონაცემებისაგან;
2. სამიზნე და საკონტროლო ჯგუფის წარმომადგენელ მამაკაცებში სიტუაციური შფოთვის დონე მაღალია ქალებთან შედარებით;
3. სამიზნე და საკონტროლო ჯგუფებს შორის პიროვნული შფოთვის მონაცემები მსგავსია.

### **სპილბერგერის სიტუაციური და პიროვნული შფოთვის შეფასების სკალა**

ტესტი "სპილბერგის შფოთვის სკალა" – The State-Trait Anxiety Inventory (STAI) შედგენილია ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგის, პროფესორ ჩარლზ დონალდ სპილბერგის მიერ. ეს არის მეთოდოლოგია, რომლის დიაგნოსტიკიდ საგანი მოიცავს პიროვნული და სიტუაციური ლეღვის/მლეღვარების შეფასებას. იმის გათვალისწინებით, რომ ჩ. სპილბერგერის ხედვა თარგმნილია 52 ენასა და დიალექტზე, იგი შეიძლება ჩაითვალოს ლეღვის/მლეღვარების დონის დიაგნოსტიკის, გაზომვის საერთაშორისო სტანდარტულ მეთოდოლოგიად.

ჩ. სპილბერგერი თვითშეფასებისათვის გეთავაზობს 40 კითხვა – მსჯელობას. მათგან 20 კითხვა ემსახურება სიტუაციური შფოთვის დონის შეფასებას, ხოლო შემდეგი 20 – პიროვნული შფოთვის დონის დადგენას. ჩ. სპილბერგერის მეთოდოლოგია თითოეულ კითხვაზე იძლევა ოთხ შესაძლო პასუხს. პასუხები არ განსხვავდებიან იმით, რომ რომელიმე მათგანი არასწორია, ყველა პასუხი მხოლოდ რესპოდენტის არჩე-



ვანს ასახავს. კვლევის ჩატარება შეიძლება ინდივიდუალურად და ჯგუფშიც.

ჩ. სპილბერგერის კონცეფციის შესაბამისად ღელვა განიხილება, როგორც მდგომარეობა, ხოლო მღელვარება, როგორც – პიროვნული თვისება.ე.ი. სპილბერგერი რეაქტიულ(სიტუაციურ) შფოთვის განიხილავს, როგორც მდგომარეობას, ხოლო პიროვნულ შფოთვის, როგორც პიროვნების მახასიათებელს[education. Ge. თეონა ნუცუბიძე. სპილბერგერის (Spielberger, C.D) მეთოდიკა და „მღელვარების კვლევის ტესტი“.17 ივლისი 2010წ].

ღელვა (შფოთი) – რეაქციაა მოსალოდნელ რეალურ ან მოჩვენებით საფრთხეზე, ობიექტის არმქონე შიშის ემოციური მდგომარეობაა, რომელიც ხასიათდება მუქარის გაუთვითცნობიერი შეგრძნებით.

მღელვარება (შფოთიანობა) – ინდივიდუალური მდგრადი ფსიქოლოგიური მახასიათებელია, რომელიც გამოიხატება მღელვარების (შეშფოთების) განცდის გაზრდილ მიდრეკილებაში, მათ შორის ცხოვრებისეულ სიტუაციებში, რომელთა ობიექტური დახასიათება არ იძლევა ამის რეალურ საფუძველს.

პიროვნული მღელვარება – თვისებაა, რომელიც აქტიურდება იმ სტიმულების აღქმის შედეგად, რომლებსაც ადამიანი აფასებს როგორც სახიფათოებს და რომლებიც უკავშირდებიან მისი პრესტიჟის, თვითშეფასების, პირადი პატივისცემის მიმართ მუქარის სპეციფიკურ სიტუაციებს.

სიტუაციური, ანუ რეაქტიული მღელვარება – ხასიათდება ემოციების სუბიექტური განცდით, დაძაბულობით, მოუსვენრობით, შეფიქრანებით, ნერვიულობით.

შფოთვა, ეს არის ემოცია, რომელიც წარმოიშობა შიშის დროს. პაციენტებისთვის დამახასიათებელია შიში, რომ დაკარგავენ კონტროლს, რის შედეგადაც ჩნდება დამცირებულობის, შებოჭილობის, სევდის გრძნობები. ხშირად გვხვდება შიშები: კონტროლის დაკარგვა საკუთარ ორგანიზმზე, მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევის შეუძლებლობაზე. მათი აზრები და ყურადღება მთლიანად კონცენტრირებულია უსაფრთხოების თემის ირგვლივ.


პიროვნული შფოთვა ხასიათდება სიმყარით და ზემოქმედებს სიტუაციური შფოთვის მდგომარეობაზე. სიტუაციური შფოთვა ხასიათდება დაძაბულობით, მოუსვენრობით, ნერვიულობით. ძალიან მაღალი პიროვნული შფოთვა პირდაპირ კორელაციაშია ნევროტულ კონფლიქტთან, ემოციურ და ნერვულ ჩავარდნებთან და ფსიქოსომატურ პრობლემებთან. ძალიან ძლიერი სიტუაციური შფოთვა იწვევს ყურადღების გაფანტვას, ხანდახან კი კოორდინაციის დარღვევას[education. Ge. თეონა ნუცუბიძე].

ჩ. სპილბერგერის კვლევის მეთოდიკის პრაქტიკული მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ გამოკითხვით მიღებული შედეგების გამოყენება შესაძლებელია ინდივიდუალური ფსიქოლოგიური კონსულტაციისათვის, თვითანალიზისა და თვითშეფასებისათვის და რაც მნიშვნელოვანია-ფსიქოკორექციისათვის.

**კვლევის მონაცემები (ძირითადი ჯგუფი)**

**შფოთვა (სიტუაციური)**


დონორთა სიტუაციური შფოთვის მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 5%-ში, საშუალო მაჩვენებელი-45%-ში, დაბალი-30%-ში, ხოლო უკიდურესად დაბალი-10%-ში.



განსხვავებული სურათი დაფიქსირდა დონორთა პიროვნული შფოთვის მონაცემებში. კერძოდ: 4-




ჯერ მაღალია პიროვნული შფოთვის მაღალი მაჩვენებელი სიტუაციურთან შედარებით და წარმოდგენილია 20%-ით, საშუალო-57.5%-ში, დაბალი-12.5%-ში, უკიდურესად დაბალი-10%-ში.



(შენიშვნა: უკიდურესად მაღალის ნაცვლად უნდა იყოს უკიდურესად დაბალი)

**სიტუაციური და პიროვნული შფოთვის ერთობლივი გრაფიკი:**



როგორც გრაფიკებიდან ჩანს, სახეზეა როგორც პიროვნული, ასევე სიტუაციური შფოთვის საშუალო მაჩვენებელის უპირატესობა.

**სიტუაციური შფოთვა:**

საშუალო არითმეტიკული: 37.425, სტანდარტული გადახრა-8.9583.

საშუალო არითმეტიკული: მამრობითი: 37.64, სტანდარტული გადახრა-8.005.

მდედრობითი: 37.30, სტანდარტული გადახრა-9.582.



**პიროვნული შფოთვა:**

საშუალო არითმეტიკული: 46, სტანდარტული გადახრა: 8.644.

საშუალო არითმეტიკული: მამრობითი: 41.7, სტანდარტული გადახრა-6.4.

მდედრობითი:48.3, სტანდარტული გადახრა-8.9.

სამიზნე ჯგუფის დისპერსიული ანალიზის შედეგები:

სტატისტიკურად სანდო განსხვავება დაფიქსირდა მხოლოდ გენდერული ფაქტორის მიხედვით პიროვნული შფოთვის სკალაზე(p=0.019). მამრობითი: p=0.019, მდედრობითი: p=0.011.

რაც შეეხება სტატისტიკურად სანდო მონაცემებს პიროვნული შფოთვის მიხედვით, საშუალოების შედარებით ანალიზი ასე გამოიყურება:

საშუალო არითმეტიკული:

მამრობითი: 41.7, სტანდარტული გადახრა-6.4. ნომინალური მნიშვნელობით საშუალოზე დაბალი, ნორმატიულთან მიმართებაში-საშუალო.

მდედრობითი:48.3, სტანდარტული გადახრა-8.9. ნომინალური მნიშვნელობით საშუალოზე მაღალი,

ნორმატიულთან მიმართებაში-საშუალო.

შფოთვა-საკონტროლო ჯგუფი:

საშ. არით. სტან. გადახრა			
<b>პიროვნული შფოთვა</b>	130	46,13	10,324
<b>სიტუაციური შფოთვა</b>	130	44,388	12,5047

საკონტროლო ჯგუფის დისპერსიული ანალიზის შედეგები:

განათლების კომპონენტის მიხედვით აღინიშნება სტატისტიკურად სანდო განსხვავებები სიტუაციური(p=0.019) და პიროვნული(p=0.007) შფოთვის სკალაზე.

დასაქმების კომპონენტის მიხედვით სტატისტიკურად სანდო განსხვავებაა სიტუაციური და პიროვნული შფოთვის სკალაზე(სიტუაციური: p=0.020; პიროვნული: p=0.002

უმადლესი და არასრული საშუალო განათლების მქონე ადამიანები ავლენენ **სიტუაციური შფოთვის** დაბალ დონეს ნორმატიულთან მიმართებაში(ნომინალური მნიშვნელობა: არასრული საშუალოს ნომინალური: 42.542, უმაღლესი განათლების ნომინალური: 42.000-დაბალი დონე); ხოლო საშუალო განათლების მქონე ადამიანებს აღენიშნებათ- საშუალო დონე ნორმატიულთან მიმართებაში(ნომინალური მნიშვნელობა: 49.429-მაღალი დონე).

განათლების კომპონენტის მიხედვით **პიროვნული შფოთვის** მაჩვენებელი ასე გამოიყურება: არასრული საშუალო განათლების მქონე პირები ავლენენ პიროვნული შფოთვის საშუალო დონეს(ნომინალური მნიშვნელობა: 45.500; ნორმატიულთან მიმართებაში-საშუალო დონე); საშუალო განათლების მქონე პიროვნული შფოთვის მაღალი დონით ხასიათდებიან(ნომინალური მნიშვნელობა: 50.743, ნორმატიულთან მიმართებაში-მაღალი დონე), ხოლო უმაღლესი განათლების მქონე პირები პიროვნული შფოთვის დაბალი დონით გამოირჩევიან(ნომინალური მნიშვნელობა: 44.409-ნორმატიულთან მიმართებაში საშუალო დონე).

დასაქმების კომპონენტის მიხედვით ნომინალური მნიშვნელობებით **სიტუაციური შფოთვის** მაღალი დონე აღენიშნათ პენსიონერებსა და უმუშევრებს(ნორმატიულთან მიმართებაში-საშუალო დონე). კერძო სექტორში დასაქმებულებს ნომინალური მნიშვნელობით აღენიშნათ საშუალო დონე(ნორმატიულთან მიმართებაში-საშუალო დონე), ხოლო თვითდასაქმებულებსა და სახელმწიფო სექტორში დასაქმებულ პირებს ნომინალური მნიშვნელობებით აღენიშნათ სიტუაციური შფოთვის დაბალი დონე(ნორმატიულთან მიმართებაში-საშუალო დონე).

დასაქმების კომპონენტის მიხედვით ნომინალური მნიშვნელობით **პიროვნული შფოთვის** მაღალი დონე აღენიშნათ პენსიონერებსა და უმუშევრებს(ნორმატიულთან მიმართებაში მაღალი დონე). კერძო სექტორში დასაქმებულებს ნომინალური მნიშვნელობით აღენიშნათ საშუალო დონე(ნორმატიულთან მიმართებაში-საშუალო დონე). სახელმწიფო სექტორში დასაქმებულებსა და თვითდასაქმებულებს აღენიშნათ ნომინალურით-საშუალოზე დაბალი და ნორმატიულთან მიმართებაში-პიროვნული შფოთვის საშუალო დონე.

ძირითადი და საკონტროლო ჯგუფების საშუალოების შედარება t ტესტის მიხედვით (მხოლოდ სიტუაციური შფოთვის შემთხვევაში სტატისტიკურად სანდო მონაცემების გამო) დონორები: p=0.001; სა-



კონტროლო ჯგუფი:  $p=0.000$ .

	დონორები	საკონტროლო ჯგუფი
პიროვნული შფოთვა	46,00	46,13
სიტუაციური შფოთვა	37,425	44,388

#### დასკვნები:

- ტრანსპლანტაციის შემდეგ თირკმლის დონორთა სიტუაციური და პიროვნული შფოთვის მონაცემები არ განსხვავდება საკონტროლო ჯგუფის-პოპულაციის შფოთვის მონაცემებისაგან;
- სამიზნე და საკონტროლო ჯგუფებს შორის სიტუაციურს სჭარბობს პიროვნული შფოთვის მაჩვენებელი.
- სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელ მამაკაცებში სიტუაციური შფოთვის დონე უმნიშვნელოდ მაღალია მდებრობითთან შედარებით.
- სამიზნე და საკონტროლო ჯგუფის მდებრობით წარმომადგენელთა პიროვნული შფოთვის დონე მსგავსია(მაღალია ქალებში).
- განათლებისა და დასაქმების კომპონენტები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ სიტუაციური და პიროვნული შფოთვის დონეზე.

#### თ. ტუხაშვილი

##### შფოთვა თირკმლის დონორებში ტრანსპლანტაციის შემდეგ

##### რეზიუმე

ნაშრომი ასახავს თირკმლის დონორთა ტრანსპლანტაციის შემდგომი შფოთვის დონის დადგენის მიზნით განხორციელებული კვლევების მიმოხილვას, როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ასევე საქართველოში. ნაშრომში ასახულია შფოთვის რაობა(როგორც სიტუაციური, ასევე პიროვნული შფოთვა), მისი მიმართებები სხვადასხვა კომპონენტებთან, როგორცაა: ასაკი, სქესი, ეროვნება, განათლება და ა. შ.

ნაშრომში ასევე წარმოდგენილია სამიზნე და საკონტროლო ჯგუფების შფოთვის დონის შედარებითი ანალიზი, რომელსაც ახლავს გენდერული ფაქტორის მიხედვით მიღებული მონაცემების შედარებითი ანალიზი ორივე ჯგუფის წარმომადგენელ-თათვის (სიტუაციური და პიროვნული შფოთვის ძრილში)

#### T. Tukhashvili

##### Anxiety of Renal Donors after Transplantation

##### Summary

The work outlines the review of surveys carried out in order to determine the level of anxiety of renal donor transplantation in different parts of the world as well as in Georgia. The work tells the story of anxiety (as situational as well as personal anxiety), its relationships with different components such as age, gender, nationality, education and etc.

The paper also provides the target and control groups' comparative analysis of the level of anxiety, which is accompanied by a received comparative analysis from the gender factor for both groups (in the context of situational and personal anxiety).





### 3. შუბითიკა

#### ნიკო ნიკოლაძე და ქართული ეკონომიკურ-ინფრასტრუქტურული პროექტები

თავიდანვე უნდა ითქვას ის, რომ არავის საქართველოს ახალი ისტორიაში იმდენი ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პროექტი არ განუხორციელებია, რამდენიც „ულმობელი საქმის კაცს“ (არჩილ ჯორჯაძე) – ნიკო ნიკოლაძეს.

გაოცებას და აღფრთოვანებას იწვევს ის ფაქტი, რომ დამონებულ და დამოუკიდებლობა -დაკარგულ ქვეყანაში როგორ შეძლო ჯერ კერძო პირმა, მერე კი პატარა ქალაქის ფოთის თავმა- ნიკო ნიკოლაძემ ასეთი რთული და ძვირადღირებული პროექტების განხორციელება. აქ ორგანიზაციულ ნიჭთან ერთად უნდა ვიგულისხმოთ მისი დაჟინებითი სწრაფვა, დიპლომატიურობა, მოხერხება, განჭვრეტის უნარი, პრინციპულობა და დაულალავი შრომა და ძიება.

დავინწყოთ რკინიგზით; საქართველოს რკინიგზა დღეს ნიკო ნიკოლაძის სახელს უნდა ატარებდეს, რადგან უზარმაზარია ნიკოლაძის წვლილი მის მშენებლობასა და ფუნქციონირებაში.

ნიკო ნიკოლაძის აქტიური ძალისხმევით და უშუალო მონაწილეობით გაკეთდა:

- კახეთის რკინიგზა, მოხდა მისი ჩართვა კავკასიის რკინიგზის ქსელში;
- ფოთი-თბილისის რკინიგზა;
- თბილისი-ბაქოს რკინიგზა;
- ჭიათურა-შორაპნის რკინიგზის ხაზი მანგანუმის გადასაზიდად;
- ტყიბული-ქუთაისის რკინიგზის ხაზი ნახშირის გადასაზიდად.

ნიკო ნიკოლაძის უდიდესი ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პროექტი იყო ფოთის აღმშენებლობა, რასაც იგი თითქმის ოცი წელი ეწეოდა.

საქართველოს ახალ ისტორიას დღემდე არ მოსწრებია ასეთი სანიმუშო, გონიერი, წინდახედული და ენერგიული ქალაქის თავი.

ფოთის პორტის გაფართოებით და ქალაქის აღმშენებით ნიკოლაძემ შესაძლებელი გახადა რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით ევროპასთან პირდაპირი დაკავშირება, რაც იყო მომავალი დამოუკიდებელი საქართველოსთვის პირდაპირი ფანჯრის გაჭრა ევროპაში, რაც ხორციელდება დღესაც.

ნიკოლაძე ხედავდა ფოთის დიდ პერესპექტივას – როგორც ევროპა-აზიის დამაკავშირებელ უმოკლეს და ხელსაყრელ სავაჭრო გზას და პორტს, რომელსაც ოდესაზე ნაკლები პრესპექტივა არ ქნებოდა [1,207]

ნიკო ნიკოლაძემ, როგორც ბრწყინვალე მენეჯერმა და ორგანიზატორმა, ჯერ ფოთის და მისი ნავსადგურის პრობლემები შეისწავლა და შემდეგ მათი გადაჭრის გეგმაც შეიმუშავა. მან პრიორიტეტად სავსებით სწორად მიიჩნია ნავსადგურის რეკონსტრუქციის საკითხი, რისი გადანწყვეტის გარეშე დიდი გემები იქ ვერ შევიდოდნენ და გაჩერდებოდნენ რთულ ამინდში.

3 წელი ნიკოლაძე მოუწია ინჟინერ ნ.ვოზნესენსკის მიერ შემუშავებული ნავსადგურის რეკონსტრუქციის პროექტს და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებას. მის დიდ მონდომებას და სიჯიუტეს უშედეგოდ არ ჩაუვლია.

ფოთის თვითმართველობის ხმოსნების დადგენილებით და საგანგებო საიმპერატორო ნებართვით ნიკო ნიკოლაძე 1900-1901წლებში მივლინებულ იქნა საზღვარგარეთ იქ არსებული გამოცდილების გასაცნობად და შესასწავლად. მან იმოგზაურა უცხოეთში და დაათვალიერა ევროპისა და ჩრდილო აფრიკის მნიშვნელოვანი საპორტო ქალაქები, შეისწავლა და გაანალიზა მათი ინფრასტრუქტურა და ტვირთბრუნვის დინამიკა, ფოთში დაბრუნებისას მან მიღებული გამოცდილება ადგილობრივ პირობებს მოუსადაგა და მოარგო, მანვე დაწერა ფოთის პორტში ის სიახლეები, რითაც სარგებლობდნენ მსოფლიოს ნამყვანი პორტები.

1902 წლიდან ფოთის პორტის რეკონსტრუქცია დამთავრდა, მასში პირველად გამოიყენეს ცემენტი, ბეტონი. ნიკოლაძემ დაიწყო ზრუნვა პორტის ელექტროფიკაციისა და მექანიზაციისათვის. 1908წელს დიდი ძალისხმევით და ნებართვის მიღების შემდეგ ამუშავდა ელევატორი და ელექტროსადგური, დაიდგა რკინის ორი ამხნე (მანამდე გემებს ნიჩბებით ცლიდნენ და ტვირთავდნენ). ორივე ელევატორის მეშვეობით გემებში ყოველდღიურად უკვე შეეძლოთ ჩაეტვირთათ 300ათას ფუთზე მეტი მარგანეცი, რაც უდიდესი გარღვევა იყო ტვირთბრუნვის გაზრდის საქმეში.

ევროპაში ნაცხოვრებმა და იქაური ურბანისტიკის მცოდნე ნიკოლაძემ კარგად იცოდა, რომ რკი-



ნიგზის გაყვანის და ნავსადგურის რეკონსტრუქციის პარალელურად აუცილებელი იყო ფოთის ინფრასტრუქტურის, სოციალური და კულტურული ობიექტების მშენებლობა.

ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ 1901წელს მისი ინიციატივით შედგენილ იქნა ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმა – დიდი გემოვნებით და ცოდნით, პერსპექტივით. დაიგეგმა განიერი ქუჩები ჭადრაკული წესით, ფართო, წრისებური მოედნები. ქალაქის ცენტრს მიეცა მზის ფორმა, რომელსაც თან ერთვის 12სხივი (ქუჩა)

პორტთან ერთად ნიკოლაძემ გაანათა თავად ფოთიც. მან გაიყვანა ტელეფონის ქსელი ქალაქში, ქალაქს გარშემო ჯებირი შემოავლო, რომელიც იცავდა წყალდიდობებისგან.

დახვავებული სამოქალაქო და სახელოსო სასწავლებლების ხის შენობები ჩაანაცვლა აგურის ლამაზი ორსართულიანი შენობებით, ქალთა და ვაჟთა გიმნაზიის ქვის შენობებით, ააშენა დახურული ბაზარი და სასაკლავო, მოაწყო გენებიკის სისტემა, რომელიც ფოთის მცხოვრებლებს სუფთა წყალს აწვდიდა.

ნიკო ნიკოლაძემ განაახლა და ირი სართულით აამაღლა ქალაქის კოშკი და მის გვერდით აღმართა ბიზანტიური სტილის უზარმაზარი ეკლესია, რომელიც დღემდე ამშვენებს ქალაქს. იმისათვის, რომ საბოლოოდ დაემტკიცებინა ცემენტითა და ქვის მასალით ნაგები შენობების უპირატესობა, მან ფოთის კათედრალური ტაძარი ბეტონით და ქვით ააგო და ამაში შემონიშნულობები გამოიყენა ხალხისაგან [2,155] მან ააშენა სპეციალური ნაგებობები სავადმყოფოსთვის და პოლიციისათვის.

ნიკოლაძემ მოაწყო ცხენის რკინიგზის ლიანდაგი (ე.წ. „კონკა“) ფოთში, ქუთაისსა და თბილისში, გაიყვანა და მოაკირწყვლინა ახალი ქუჩები და გზატკეცილები, ააგო სასაქონლო ტერმინალები პორტსა და ელევატორში, ააგო 3 ხიდი, მოაწყო თანამედროვე ბანკი, სადაც პირველად დაიბეჭდა ლატარიის ბილეთები და ობლიგაციები, ხოლო ნახევარკაპიციანი საფუთო გადასახადის დაწესებით შეექმნა ფინანსური წყარო, ფონდი, რომლითაც ფინანსდებოდა ქალაქის კულტურული დაწესებულებანი, მანვე შეიძინა ბანკიდან ქალაქისათვის განაპირა ტერიტორიები.

ძალზე დიდი ენერჯია და წლები შეაღია ნიკო ნიკოლაძემ რიკოთის (სურამის) სარკინიგზო გვირაბის გაყვანას და ამოქმედებას. რიკოთის გვირაბი გაყვანილ იქნა 1886-1890წლებში და ის იყო ამ ტიპის პირველი ნაგებობა მთელს რუსეთის იმპერიაში. ნიკოლაძემ მონაწილეობა მიიღო როგორც მის დაპროექტებაში, ასევე მშენებლობაში და ეს ნაგებობა დღესაც გამართულად მუშაობს.

ბაქო-თბილისის რკინიგზის მშენებლობის პროცესში ნიკო ნიკოლაძემ ჩართო და ამ საქმესთან დააკავშირა მაშინდელ მსოფლიოში უმსხვილესი მაგნატები ფრანგი ებრაელები- ალფონს და გუსტავ როტშილდები, რომელთა დახმარებით ნიკოლაძემ 1880იან წლებში მეორე საქმეც გააკეთა-ძალზე შეზღუდა ძმები ნობელების მონოპოლია ბაქოს ნავთობზე იმით, რომ როტშილდები მისი თხოვნით ჩაერთვნენ ნავთობის ექსპორტში.

ნიკო ნიკოლაძემ ყველაზე აქტიური მონაწილეობა მიიღო ტყიბულის ქვანახშირის სამრეწველო ათვისებაში. მანამდე ქვანახშირის წარმოება და ტრანსპორტირება პრიმიტიული გზებით ხდებოდა. ნიკო ნიკოლაძემ 1889წელს ჩამოაყალიბა სააქციონერო საზოგადოება „ნახშირი“, რომელიც პირველ მსოფლიო ომამდე ისე განვითარდა, რომ მნიშვნელოვანი სამრეწველო მასშტაბები მიიღო. ნიკო ნიკოლაძის ინიციატივით შემუშავდა ქუთაისი-ტყიბული რკინიგზის პროექტი და ამისი რწმუნებულობით განახორციელა კიდევ 1883-1887წლებში. მას მოუხდა ბევრი ენერჯიის დახარჯვა და სირბილიც, რომ დაერწმუნებინა რუსეთის იმპერიის მესვეურნი ამ წამოწყების ეკონომიკურ და სოციალურ მნიშვნელობაში. რკინიგზის გაყვანამ ნახშირის მოპოვება-ტრანსპორტირება მნიშვნელოვნად და საგრძნობლად გააუმჯობესა და გააიაფა კიდევ.

უდიდესია ნიკო ნიკოლაძის ღვაწლი ჭიათურის მარგანეცის ათვისებისა და ექსპორტის საქმეში. 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ცდილობდა ნიკო ნიკოლაძე ამ საქმის სერიოზულ ორგანიზებას, გადალახა უამრავი დაბრკოლება და მაინც მიაღწია მის გამართვას და ხალხის სასარგებლოდ ამუშავებას. რუსეთის იმპერიას არ აინტერესებდა დიდად ქართული პროექტების განხორციელება და მისთვის ინფრასტრუქტურის მოწყობა. დიდი წვალების და დავის შემდეგ მიიღო და 1895წელს გაიხსნა კიდევ ვინროლიან-დაგანი სარკინიგზო ხაზი, რომელმაც სრულად შეცვალა ჭიათურელთა ცხოვრება. მარგანეცს მანამდე პრიმიტიულად მოიპოვებდნენ და ურმებით გადაჰქონდათ. რკინიგზის გაყვანამ ძალზე გააიაფა მარგანეცის ტრანსპორტირება და კონკურენტუნარიანი გახადა. მოგვიანებით, 1917წელს ნიკო ნიკოლაძემ ჩამოაყალიბა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საზოგადოება („ჩემო“), რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ადგილობრივი წარმოების გამოცოცხლებაში, ხალხის დასაქმებაში და საქართველოს დამოუკიდებლობის დროს (1918-21) ბიუჯეტის სავალუტო რეზერვების და შემოსავლების მატებაში.

საქართველოში კომუნისტების რეჟიმის დამყარების შემდეგ მათ ობიექტების ნაწილი კონცესიების სახით უცხოურ კომპანიებს გადასცეს. ნიკო ნიკოლაძის ინიციატივით ჭიათურის მარგანეცი გადაეცა



ავერელ ჰარიმანის კომპანიას, რომელიც მისი რჩევით ჩამოვიდა საქართველოში და რამდენიმე წელიწადს ამუშავებდა ამ საწარმოს.

ნიკო ნიკოლაძე ენერგეტიკული პრობლემებით 1880-იან წლებში დაინტერესდა, გაიცნო, შეხვდა და დაეხმარა ფრანგ მეცნიერს მარსელ დეპრეს, რომელმაც გამოიგონა სადენებით ელექტროენერჯის გადაცემა შორ მანძილზე. ნიკოლაძეს ჰქონდა პროექტი თბილისის გასანათებლად და სამრეწველო ათვისებისათვის მტკვრისა და არაგვის პოტენციალის გამოყენება და წყალსადგურების (ჰიდროელექტროსადგურს ასე უძახდა ნიკო) აგება. მან იტალიიდან ჩამოიყვანა ინჟინერი მდინარე ყვირილაზე მცირე ჰესის ასაგებად და მდინარე ენგურზე უფრო დიდი ელექტროსადგურის სამომავლოდ ასაშენებლად.

ნიკოლაძის ინიციატივით დაიწყო თბილისში ავჭალიდან წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელის მონყობა, ქალაქის ნავთის ფანრებით განათება, ცხენის ტრამვაის („კონკა“) ამუშავება.

ნიკო ნიკოლაძე სერიოზულ მუშაობას ეწეოდა ქართული მევენახეობა-მეღვინეობის, მეხილეობის და ჩაის სამრეწველო დონეზე მოსაწყობად. მან ფოთსა და ჯიხაშიში საკუთარი ხელით დარგო ჩაის ნერგები და პოპულარიზაცია გაუწია ახალ აგროკულტურას საქართველოში. 1920-24წლებში საზღვარგარეთ მყოფი ნიკო ნიკოლაძე დაუხლოვდა ერთ-ერთ კანადურ ბიზნესჯგუფსა და ბანკს და შესთავაზა სვანეთისა და რაჭის ხე-ტყის გონივრული ექსპლუატაცია და მისი ექსპორტზე გატანა [3,30].

ნიკო ნიკოლაძე კარგად ხედავდა ნავთობის როლს ეკონომიკის განვითარებაში, მან შეიმუშავა პროექტიც კი გროზო-ფოთის ნავთობსადენის გასაყვანად, მოიძია უმსხვილესი ინვესტორი კომპანია „შელი“, რომელსაც უნდა განეხორციელებინა ეს პროექტი, მაგრამ კომუნისტებმა ეს პროექტი უარყვეს და იგი მერე აღარც განხორციელებულა.

ნიკო ნიკოლაძე აქტიურად ცდილობდა საქართველოს ბუნებრივი პოტენციალის სამეცნიერო დონეზე ათვისებას და მისი ხალხის სამსახურში ჩაყენებას. თანამედროვე საქართველოსთვის მაგალითი უნდა იყოს მისი აქტიური მოღვაწეობა და სწორი მიდგომები, რადგან ქვეყანა კიდევ უარეს დღეში არ ჩავარდეს: „საქართველოს ბუნება, წერდა ნიკოლაძე, – დიდაც მდიდარია, მაგრამ მისი სიკეთე ჯერ ვერაფრით დატყობია არც ქართველობას, არც ქართველებს. როცა რომელიმე ხალხი თავისი ქვეყნის ბუნებას გულხელდაკრეფილი შესცქერის, იმას ჩვენს დროში ის სირცხვილი და ზარალი მოეღის, რომ უცხოეთის დაბეგრულ მონად ხდება. უცხოეთიდან ელის და ყიდულობს ის ყოველგვარ საქონელს და მონყობილობას, იარაღს, სამოსელს, წამალს. მისი შრომისა და შემოსავლის უმეტესი ნაწილი უცხოეთს ამდიდრებს ამ ნაყიდი საქონლის სამაგიეროდ“ [4,123]

### გამოყენებული წყაროები

1. ბაქრაძე ა. ნიკო ნიკოლაძე, თბ, 1989;
2. შუბითიძე ვ. ნიკო ნიკოლაძე – კაცი-სახელმწიფო, თბ, 2013;
3. ჯანელიძე ო., უკანასკნელი თერგდალეული, თბ, 2010;
4. ნიკო ნიკოლაძე. ყურნალი „მომბე“ 1894, N8.;
5. ნიკო ნიკოლაძე 170. კრებული, თბ, 2013.

### V. Shubitidze

#### Niko Nikoladze and Georgian Economic and Infrastructure projects Summary

The article deals with and analyzes Niko Nikoladze's tireless work in order to implement economic and infrastructure projects in Georgia, the most important of which is construction of railway lines, Rikoti Railway Tunnel, Construction of Poti Port and City Infrastructure, Port Mechanization and Automation, City lighting, construction of streets and bridges, industrialization of Tkibuli Coal and Chiatura Manganese, Water and Sewage Issues in Tbilisi, Poti and Kutaisi, Development of viticulture and wine – making, reasonable exploitation of timber and export and so on.



## ავტორები

- გელა ალადაშვილი** – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი  
**ნინო ბოჭორიშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
**ნანა გოგიჩაიშვილი** – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
**ირინე გერსამია** – განათლების დოქტორი  
**ლადო გრიგოლია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი  
**ინგა დიაკონიძე** – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი  
**თეიმურაზ დარსანია** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მონვეული პროფესორი  
**დავით ვეკუა** – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
**ქეთევან ზაქარეიშვილი** – აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, ასისტენტი, დოქტორანტი  
**სოფიკო თევდორაძე** – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი  
**ია იოსელიანი** – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, მონვეული სპეციალისტი  
**Bence Kis Kelemen – პეჩის უნივერსიტეტის პროფესორი University of Pécs**  
**ანა ირემაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი  
**შოთა კაპანაძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი  
**მართა კლდიაშვილი** – ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი  
**თორნიკე კურტანიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი  
**სერგო კვიციანიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მაგისტრი  
**გივი ლობჯანიძე** – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი  
**ნინო ლომსაძე** – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, მონვეული პერსონალი  
**ზურაბ ლაოშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი  
**თამარ მერაბიშვილი** – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, მონვეული სპეციალისტი  
**თამარ მერაბიშვილი** – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, დოქტორანტი  
**ნანა პარინოსი** – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, მონვეული პროფესორი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი  
**თალიკო ყვანია** – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი  
**ლაშა ტაბატაძე** – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
**თამარ ტუხაშვილი** – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის, დოქტორანტი  
**მაია უკლება** – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი  
**რომან შენგელია** – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი  
**ეკატერინე შენგელია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
**ვაჟა შუბითიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი  
**ნინო ჯერენაშვილი** – საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი



## AUTHORS

- Gela Aladashvili** – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Professor  
**Nino Bochorishvili** – Georgian Technical University, Associate Professor  
**Nana Gogichashvili** – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Associate Professor  
**Irine Gersamia** – Doctor of Education  
**Lado Grigolia** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Doctoral student  
**Inga Diakonidze** – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Professor  
**Teimuraz Darsania** – Georgian Technical University, Invited Professor  
**Davit Vekua** – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Associate Professor  
**Ketevan Zakareishvili** – East European University, Assistant, Doctoral Student  
**Sopiko Tevdoradze** – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Professor  
**Ia Ioseliani** – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Invited Specialist  
**Bence Kis Kelemen** – **University of Pécs, Professor**  
**Ana Iremashvili** – Georgian Technical University, Doctoral Student  
**Shota Kapanadze** – Georgian Technical University, Doctoral Student  
**Marta Kldiashvili** – Doctor of Biological Sciences  
**Tornike Kurtanidze** – Georgian Technical University, Doctoral Student  
**Sergo Kvizhinadze** – Georgian Technical University, Master's program student  
**Givi Lobzhanidze** – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Professor  
**Nino Lomsadze** – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Invited Staff  
**Zurab Laoshvili** – Georgian Technical University, Professor  
**Tamar Merabishvili** – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, invited Staff  
**Tamar Merabishvili** – St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia, Doctorate student  
**Nana Parinos** – Caucasian International University, Invited Professor; Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Doctorate student  
**Taliko Zhvania** – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Professor  
**Lasha Tabatadze** – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Associate Professor  
**Tamar Tukhashvili** – St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia, Doctorate student  
**Maia Ukleba** – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Professor  
**Roman Shengelia** – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Professor  
**Ekaterine Shengelia** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor  
**Vazha Shubitidze** – Georgian Technical University, Professor  
**Nino Jerenashvili** – Georgian Aviation University, Associate Professor



ფასი სახელმძიკრულებლო





**გამომცემლობა „უნივერსალი“**

თბილისი, 0186, ა. ჯორჯიაძის ქ. №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: [universal505@ymail.com](mailto:universal505@ymail.com); [gamomcemlobauniversal@gmail.com](mailto:gamomcemlobauniversal@gmail.com)